

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities



პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან
100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი
XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია

17th Faculty Scholarly Conference
In Honour of the 100th Anniversary of the Birth of
Prof. Nodar Kakabadze

თეზისები
Abstracts

ივლისი 20-21 July
თბილისი 2023 Tbilisi

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

პროფესორ ნოდარ კაკაბაძის დაბადებიდან
100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი
XVII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია
17th Faculty Scholarly Conference in Honour of the 100th
Anniversary of the Birth of Prof. Nodar Kakabadze

თ ე ზ ი ს ე ბ ი

A B S T R A C T S

ივლისი 20-21 July
თბილისი 2023 Tbilisi

საორგანიზაციო კომიტეტი:

პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი
პროფესორი დარეჯან თვალთვაძე
პროფესორი თეიმურაზ პაპასქირი
პროფესორი ლალი ქეცბა-ხუნდაძე
პროფესორი დარეჯან გარდავაძე
ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი
ფილოლოგიის დოქტორი ნათია ფუტკარაძე
დოქტორანტი ირინა ნოზაძე

Organizing Committee:

Professor Nana Gaprindashvili
Professor Darejan Tvaltvadze
Professor Teimuraz Papaskiri
Professor Lali Ketsba-Khundadze
Professor Darejan Gardavadze
Associate Professor Ekaterine Navrozashvili
Doctor of Philology Natia Putkaradze
PhD student Irina Nozadze

რეგლამენტი:

მოსხენება სექციის სხდომაზე – 15 წუთი
დისკუსია – 5 წუთი
სამუშაო ენა ქართული

Time Limit:

Presentation at the section meeting – 15
minutes Participation in discussions – 5 minutes

Working language – Georgian

მარინე ალექსიძე, ლაურა გურული
Marine Aleksidze, Laura Guruli

ელექტრონული ლინგვოდიდაქტიკის
ზოგიერთი ასპექტი
Some Aspects of Electronic Linguodidactics

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი*
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities



საკვანძო სიტყვები: ლინგვოდიდაქტიკა, ინტერნეტსაინფორმაციო სივრცე, უცხო ენის შესწავლა, საძიებო აქტივობა, ავტონომია, ქსელური სწავლების მეთოდები.

Keywords: linguodidactics, Internet information space, learning a foreign language, search activity, autonomy, network teaching methods.

უცხო ენების სწავლების პროცესი დღეს ხასიათდება მჭიდრო კავშირით არა მხოლოდ ტექნიკური აზრის განვითარებასთან (კომპიუტერების, სმარტფონების, iPad-ების შექმნა და ა. შ.), არამედ იმასთან, თუ რამდენად სწრაფად ვრცელდება და გამოიყენება ინფორმაცია ინტერნეტის ქსელში. უცხო ენის შემსწავლელთათვის ინტერნეტიდან მიღებული ინფორმაცია ძალიან მნიშვნელოვანი და თანამედროვეა, რადგან მისი გამოყენება შესაძლებელია არა მხოლოდ კომუნიკაციისთვის, არამედ უცხო ენის სწავლისა და სწავლებისთვისაც. უცხო ენების პედაგოგები სულ უფრო ხშირად მიმართავენ ლინგვოდიდაქტიკას – „მეთოდური მეცნიერების იმ განხრას, რომელიც ასახულებს განათლების, სწავლების შინაარსობრივ კომპონენტებს მათ განუყოფელ კავშირში ენისა და კომუნიკაციის, როგორც სოციალური ფენომენის, ბუნებასთან“ – და ცდილობენ გამოიყენონ მისი ძირითადი დებულებები ინტერნეტის უზარმაზარ საინფორმაციო სივრცეში. უცხო ენების სწავლა სულ უფრო და უფრო ავტონომიური და დამოუკიდებელი ხდება, რადგან ინტერნეტის ბევრ მომხმარებელს შეუძლია ინტერნეტში მოიძიოს ის მასალა, რომელიც დაეხმარება მათ სხვადასხვა ენის სწავლაში საძიებო აქტივობების მეშვეობით. ზოგი თავისთვის პოულობს უცხო ენის დისტანციური სწავლების კურსებს, ზოგი ეძებს ტექსტებს და ონლაინსავარჯიშოებს მომავალი სპეციალობის ენაში – იურისტის ან ეკონომისტის პროფესიისათვის, ზოგს სიამოვნებს კომუნიკაცია ზუმის მეშვეობით უცხო ენის მატარებელთან, ზოგს მოსწონს ახალი ამბების კითხვა მშობლიურ ენაზე და შემდეგ მათი შედარება უცხოენოვან საიტებზე განთავსებულ ინფორმაციასთან და ა. შ. ზოგადად ინტერნეტი წარმოადგენს უზარმაზარ საინფორმაციო სივრცეს, რომლის გამოყენება შესაძლებელია როგორც კომუნიკაციისთვის, ისე სწავლისთვის ინტერნეტში, ადამიანის საქმიანობის ძირითადი საჭიროებების გათვალისწინებით.

როდესაც განვიხილავთ ინტერნეტის საინფორმაციო სივრცეს სასწავლო მიზნებისათვის უცხო ენების სწავლების სფეროში, ჩვენ ვიყენებთ მას, როგორც ლინგვოდიდაქტიკურ სივრცეს, რადგან ა) იგი შედგება ენის მატარებლების საიტებით წარმოდგენილი სხვადასხვა ენებისა და კულტურებისგან, ბ) განსხვავებული ჟანრის ელექტრონული ტექსტების ბაზაზე ჩვენ შეგვიძლია გამოვიკვლიოთ ენობრივი სისტემებისა და კულტურების მსგავ-

სება და განსხვავება, ვიპოვოთ და გავაანალიზოთ სხვადასხვა უცხო ენის სწავლების შინაარსი, მეთოდები და საშუალებები, მოვიძიოთ და შევარჩიოთ ენობრივი მინიმუმები შესასწავლი უცხო ენის თემატური გაკვეთილებისა და პროექტების შესაქმნელად, ჩავრთოთ მოსწავლეები საძიებო აქტივობებში მათი ინტელექტუალურ-სამეტყველო კომუნიკაციის უნარის გასავითარებლად.

გარდა ამისა, ლინგვოდიდაქტიკური სივრცე მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ მასში ყველა პედაგოგს შეუძლია მოიძიოს საგანმანათლებლო სისტემების დოკუმენტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, უცხო ენების შესწავლის სტანდარტები და პროგრამები, სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები, განსხვავებული ჟანრის ტექსტები, გაზეთებისა და ჟურნალების ელექტრონული ვერსიები, ლექსიკონები, ენციკლოპედიები და მრავალი სხვა, რაც დაგვეხმარება უცხო ენის სწავლების მეთოდისა და ხერხის არჩევაში, საშუალებას მოგვცემს, შევავსოთ სახელმძღვანელოები „ახალი სიახლეებით“ გაზეთებისა და ჟურნალების ელვერსიებიდან, წარმოვადგინოთ ინტერნეტში არსებული საკომუნიკაციო, შემეცნებითი და სათამაშო აქტივობების მრავალფეროვანი შესაძლებლობები უცხო ენების სწავლების პროცესში.

ინტერნეტის ლინგვოდიდაქტიკური სივრცე წარმოადგენს სასწავლო პროცესის საინფორმაციო, ტექნიკურ და მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის ერთობლიობას, რომელშიც სხვადასხვა უცხო ენის პედაგოგებს შეუძლიათ გაცვალონ სწავლების მეთოდები, ტექნოლოგიები, გაკვეთილების სცენარები, სხვადასხვა თემაზე მეცადინეობის ჩატარების გზები, ისაუბრონ თავიანთ გამოცდილებასა და წარმატებებზე ინტერნეტის უზარმაზარი შესაძლებლობების გამოყენებაში. პედაგოგთა ასეთი ქსელური თანამშრომლობის წყალობით ხორციელდება თანამედროვე განათლების მთავარი ამოცანა – სწავლების უახლესი საშუალებებისა და ქსელური მეთოდების გამოყენებით ვასწავლოთ სტუდენტებს საკუთარი საქმიანობის თვითორგანიზების მექანიზმები, რათა მოიძიონ და გამოიყენონ უცხო ენის შესასწავლად საჭირო ინფორმაცია.

The process of teaching foreign languages today is characterized by a close connection not only with the development of technical thought (the creation of computers, smartphones, iPads, etc.), but also with how soon information is distributed and used on the Internet. For foreign language learners, information from the Internet is very important and up-to-date, because it can be used not only for communication, but also for teaching a foreign language. Foreign language teachers are increasingly turning to the theoretical foundations of linguodidactics as a branch of “methodological science that substantiates the content components of education, training in their inextricable connection with the nature of language and the nature of communication as a social phenomenon” and trying to apply its main provisions in the vast information space of the Internet.

Learning foreign languages is becoming more and more autonomous and independent, as many Internet users can find materials on the web that help them learn different languages through search activities. Some find distance learning courses for themselves, others look for texts and online exercises in a special language for the future profession of an economist or lawyer, still others find pleasure in communicating with native speakers via Skype, while others like to read news in their native language and compare it with sites in the foreign language being studied.

Considering the information space of the Internet for educational purposes in the field of learning foreign languages, we can use it as a linguodidactics space, because, firstly, it consists of different languages and cultures, represented by sites of native speakers; secondly, on the basis of electronic genres of different texts, one can explore the similarities and differences of different language systems and cultures, find and analyze the content, methods and means of teaching various foreign languages, include students in search activities to develop their intellectual-verbal communication.

In addition, the linguodidactics space is important because it contains documents of educational systems from different countries of the world, standards and programs for learning foreign languages, modern teaching methods and technologies, multi-genre texts, electronic versions of newspapers and magazines, dictionaries, encyclopedias and many more, which could help to choose a method and way of teaching

a foreign language, provide an opportunity to supplement the content of a textbook or teaching aid with “fresh news” from electronic versions of newspapers and magazines, provide a variety of opportunities for communication, cognitive and gaming activities in the process of learning foreign languages.

The linguodidactics space of the Internet is a set of information, technical, educational and methodological support for the learning process, in which teachers of different foreign languages can exchange their teaching methods, technologies, lesson scenarios, ways of conducting classes on various topics, talk about their experiences and successes in using huge possibilities of the Internet. Thanks to such network cooperation of teachers in the linguodidactics space of the Internet, the main task of modern education is realized, which is to teach students the mechanisms of self-organization of their own activities to find and use the information necessary for learning a foreign language using the latest tools and network teaching methods.

თამარ ანთაძე, მერაბ კალანდაძე
Tamar Antadze, Merab Kalandadze

ჟან პოლ მარატი ქართულ ისტორიოგრაფიაში Jean-Paul Marat in Georgian Historiography

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities*



საკვანძო სიტყვები: ჟან პოლ მარატი, საქართველო, საფრანგეთი,
ქართული ისტორიოგრაფია.

Keywords: Jean-Paul Marat, Georgia, France, Georgian historiography.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწეებს შორის ერთ-ერთი იყო ჟან პოლ მარატი (1743-1793). მან დანტონთან და რობესპიერთან ერთად შექმნა იაკობინთა პარტიის ტრიუმვირატი და თავისი კვალი დატოვა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიაში, ზოგის აზრით – დადებითი, ზოგის კი – ძალიან უარყოფითი, ამიტომ ვფიქრობთ, საინტერესოა, ვცადოთ და გამოვარკვიოთ, თუ როგორ იყო გაშუქებული მისი საქმიანობა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. მას აქვს ქართული კონტექსტი, ეს სიახლეა და აღნიშნული საკითხის გაშუქების პირველ მცდელობად გვევლინება. ეს საშუალებას მოგვცემს, შევავსოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული კიდევ ერთი სუფთა ფურცელი და თეთრი ლაქებიც ამ სფეროში კიდევ უფრო ნაკლები იქნება. ეს მნიშვნელოვანია და წარმოდგენას შეგვიქმნის იმაზე, თუ რა გვაქვს გაკეთებული ამ საკითხთან დაკავშირებით და რისი გაკეთებაა კიდევ საჭირო. გაკეთებული ცოტაა, გასაკეთებელი კი – გაცილებით მეტი. შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა მინიმუმს, რომელიც ითვალისწინებდა მარატის მოღვაწეობის პოპულარიზაციას, ქართულმა ისტორიოგრაფიამ ურიგოდ როდი გაართვა თავი, რაც მის წარმატებად მიგვაჩნია. მარატის მოღვაწეობის მეცნიერული შესწავლა ადვილი საქმე არ იყო, მთელ რიგ სირთულებთანაა დაკავშირებული, მაგრამ მისი დრამატიზება ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. შეიძლება ითქვას, რომ მან კულტურტრეგერულ მისიას წარმატებით გაართვა თავი. მთავარი, ვფიქრობთ, სწორედ ეს უნდა იყოს, ამიტომ აქ ნიჰილისტური განწყობილების საფუძველს ვერ ვხედავთ. ქართული ისტორიოგრაფიის მთავარი დამსახურება სწორედ ისაა, რომ მან თავისი წვლილი შეიტანა მარატის მოღვაწეობის პოპულარიზაციის საქმეში. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე. ნუ ვიქნებით ძალიან პრეტენზიულები. რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა მარატის მოღვაწეობის მეცნიერული შესწავლა, მაგრამ ამის გამო ქართული ისტორიოგრაფიის მკაცრად განსჯა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

მარატი იყო უაღრესად რთული და წინააღმდეგობრივი ფიგურა, რომლის მოღვაწეობის ერთმნიშვნელოვნად შეფასება ძალზე ძნელი იქნებოდა. ის ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის პაექ-

რობა დღეს და გუშინ არ დაწყებულა, კიდევ დიდხანს გასტანს და ალბათ არასოდეს დასრულდება. მარატს უარყოფითად ჯერ კიდევ თანამედროვეები ახასიათებდნენ, მის სახელს აუგად იხსენიებდნენ პოლიტიკური როიალისტები, ფეიანები, ჟირონდისტები, ისინი მარატის პოლიტიკური მოწინააღმდეგეები იყვნენ. მისადმი უარყოფითად იყო განწყობილი დემოკრატიული ბანაკის ზოგიერთი წარმომადგენელი (ებერი, კლოტსი). XIX-XX საუკუნეების ევროპულ ისტორიოგრაფიაში მარატის მოღვაწეობისადმი ნეგატიური დამოკიდებულება პრიორიტეტულია. მას უარყოფითად ახასიათებდნენ სხვადასხვა მიმართულების ისეთი ისტორიკოსები, როგორებიც იყვნენ: ფრანსუა მინიე, ადოლფ ტიერი, ჟიულ მიშლე, იპოლიტ ტენი, ლუი მადლენი, ეტიენ კაბე. მისი მკვლელის, შარლოტა კორდეს, განდიდება მარატისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამოძახილია. გერმანელმა პუბლიცისტმა იოჰანეს შერმა ისე შორს შეტოპა, რომ მარატის მკვლელი შარლოტა კორდე ჟანა დარკს შეადარა. ეს ერთი უკიდურესობა იყო, არსებობს მეორე უკიდურესობა, რომელიც მიზნად ისახავს მარატის რეაბილიტაციას და მას უსაშველოდ განადიდებს. მის მთავარ ტონისმიმცემად გვევლინება ფრანგი ისტორიკოსი ალფრედ ბუჟარი. მისი წიგნი „მარატი ხალხის მეგობარი“ ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. საბჭოთა ისტორიოგრაფია, რომელიც იაკობინოცენტრისტულად იყო განწყობილი, ბუნებრივია, მარატს განსაკუთრებით დიდ პატივს მიაგებდა. აღსანიშნავია, რომ უახლოესი რუსული ისტორიოგრაფიის ტონი მარატის შეფასებისას გაცილებით განონასწორებული და ობიექტურია.

ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მარატის მოღვაწეობის შესწავლას საქართველოში, მართალია, მოკრძალებული, მაგრამ გარკვეული ტრადიცია გააჩნია, ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ქართული ისტორიოგრაფიის აქტივს უნდა მივაკუთვნოთ. მან, უპირატესად, სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და კულტურტრეგერული დატვირთვა გააჩნდა. ეს არ იყო პატარა საქმე. აქ ინდიფერენტული განწყობილება უადგილო იქნებოდა. მან, უმთავრესად ასახვა პოვა სასწავლო-საცნობარო ლიტერატურაში და საფრანგეთის რევოლუციაზე დაწერილ სამეცნიერო-პოპულარულ ნარკვევებში. სასურველი იქნებოდა მარატის მოღვაწეობაზე ერთი საინტერესო სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევის ან სტატიის დაწერა.

ნაშრომს ლაიტმოტივად გასდევს პოლემისტური ტონი, რაც მიზნად ისახავს აღნიშნულ საკითხზე საბჭოთა წარმოდგენის რევიზიას, არგუმენტირებულად, მეცნიერულად გაბათილებას. საბჭოთა წარმოდგენა იყო უაღრესად ცალმხრივი და ტენდენციური, არანაირი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნდა. ამიტომაც მეტად ხისტად მიგვაჩნია, ძირშივე მცდარია და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ანტიეროვნული და არაპატრიოტულია.

საქართველოში მარათის მოღვაწეობით დაინტერესების დასაბამად 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების პერიოდის მიჩნევა, ჩვენი აზრით, დაგვიანებულია. მას ცოტა ხანგრძლივი ისტორია აქვს. ფაქტობრივად, საქმე ეხება საკითხის პერიოდიზაციას. საბჭოთა წლებში საქართველოში მარათის მოღვაწეობით დაინტერესების საერთო სურათი და პერიოდიზაცია, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური სახელმწიფოს ძალისხმევით გამრუდება და სერიოზული კორექტივების შეტანას, დაზუსტებას საჭიროებს. ჩვენ ვცადეთ, გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა.

საქართველოში მარათის მოღვაწეობით დაინტერესება, პირობითად, სამ პერიოდად შეიძლება დავყოთ, რაც აშკარად სცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უდევს:

1. მარათის მოღვაწეობით დაინტერესება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში.

2. მარათის მოღვაწეობის შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991).

3. მარათის მოღვაწეობის გაშუქება პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე).

აქვე უნდა შევეხოთ ერთ საკითხს, რომელიც ამ თემაზე კიდევ უფრო სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას შეგვიქმნის. 1918 წლამდე ქართულ რეალობაში მარათის სახელი ფაქტობრივად არ მოიხსენიება. მარათისადმი ამგვარი დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და ჩვენ ვცადეთ, მასში მარათისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამოძახილი ამოგვეკითხა. რა თქმა უნდა, კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ, ეს მხოლოდ ჩვენი ფრთხილი ვარაუდია. ქართული საზოგადოების საყვარელი გმირი იყო ჟორჟ ჟაკ დანტონი, ამგვარი განწყობილების მთავარი ტონისმიმცემი გახლდათ დიდი ნიკო ნიკოლაძე, ხო-

ლო მარათისა და რობესპიერის სახელები იჩრდილებოდა. ამიტომ, ჩვენი აზრით, ყველაზე უპრიანი იქნება, რომ ეს მონაკვეთი საქართველოში მარათისა და რობესპიერის მოღვაწეობით დაინტერესების წინაისტორიად, შესავალად მოვიაზროთ.

ვფიქრობთ, საფუძვლიანია ვამტკიცოთ, რომ თავდაპირველად ქართული ისტორიოგრაფია მარათის მოღვაწეობის შეფასებისას სწორი მეცნიერული გზით მიდიოდა. სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდა დასახული, სწორ აქცენტებს სვამდა, სწორ არჩევანს აკეთებდა. ცხადია, ეს შემთხვევითი არ ყოფილა და მასში ევროპული, პირველ ყოვლისა კი, რუსული ისტორიოგრაფიის გამოძახილი უნდა დავინახოთ. საფიქრელი იყო, რომ ეს გზა გაგრძელდებოდა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა. უმთავრესად პოლიტიკური ქარტახილების გამო ქართული ისტორიოგრაფია იძულებული იყო, არჩეული გზიდან გადაეხვია და 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, სულ სხვა მიმართულება შეიძინა, რომელსაც ვერ მივიჩნევ თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად.

საქართველოში მარათის მოღვაწეობისადმი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, სულაც არ ატარებდა ისეთ ერთგვაროვან, ერთფეროვან ხასიათს, როგორც ეს საბჭოთა წლებში ეგონათ. მან საინტერესო მეტამორფოზი, ფერისცვალება, განიცადა. ის ასე გამოიყურებოდა: თავდაპირველად აქცენტი კეთდებოდა მარათის მოღვაწეობისადმი მეცნიერულ მიდგომაზე, თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე. 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, მკვეთრად შეიცვალა ვითარება, პრიორიტეტი გახდა მარათის მოღვაწეობის გაშუქება ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის პოზიციებიდან. ეს არ იყო ჭეშმარიტების უკანასკნელი ინსტანცია, როგორც საბჭოთა წლებში ეგონათ, და ბოლოს პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს, გაცილებით განწონასწორებული იყოს მარათის შეფასების დროს.

უნდა ითქვას, რომ გასაბჭოებამდე ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოში მარათის მოღვაწეობის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის საქმეში, რომლის გვერდის ავლა, წაყრუება, როგორც ეს ხდებო-

და საბჭოთა წლებში, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოცემული ახალი ისტორიის პირველი ეროვნულ-სასკოლო სახელმძღვანელოები, რომლებშიც მარათის მოღვაწეობას, ბუნებრივია, სათანადო ყურადღება ეთმობა. მარათისადმი მათი დამოკიდებულება ნეგატიურია, რაც იმით აიხსნება, რომ მისი მოღვაწეობის შეფასებისას ისინი პროგრესულ-ლიბერალურ პოზიციებზე იდგნენ. მარათის საქმიანობა არ შეესატყვისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს. ძალადობა, რომელსაც მარატი ქადაგებდა, მათთვის მიუღებელი იყო. ამგვარ დამოკიდებულებას უეჭველად, ჰქონდა თავისი რეზონი, აზრი და იაკობინთა ბელადობისადმი მათი დამოკიდებულების ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია.

მარათისადმი დამოკიდებულებამ მკვეთრი მეტამორფოზი განიცადა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. ეს იმით გამოიხატა, რომ მარათის მოღვაწეობისადმი გულგრილი მიდგომა ჩაანაცვლა მისადმი უაღრესად კეთილგანწყობილმა დამოკიდებულებამ, მარათის უსაშველო განდიდება. ცხადია, ეს არ იყო შემთხვევითი. მარათის ამგვარი შეფასება ძალზე პოლიტიზებული და იდეოლოგიზებული იყო. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. მარათის განდიდება საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი იაკობინოცენტრისტული განწყობილების გამოძახილი გახლდათ.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს, თავი დააღწიოს საფრანგეთის დიდი რევოლუციის მარქსისტულ-ლენინურ ინტერპრეტაციას. მარათის მოღვაწეობის გადასინჯვა ამის შემადგენელი ერთ-ერთი სერიოზული კომპონენტია. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და პოსტსაბჭოთა პერიოდის ერთ-ერთი პლუსია.

One of the outstanding figures of the Great French Revolution was Jean-Paul Marat (1743-1793). Together with Danton and Robespierre, he established the Triumvirate of the Jacobin Party and made a significant contribution to the history of the French Revolution. Some scholars assess his contribution as positive, while others – negatively. Therefore, it is interesting and topical to study the Georgian scholarly opinions in

this regard. The given paper is the first attempt to analyze the coverage of Jean-Paul Marat's activities in Georgia. This analysis will fill the existing gap in Georgian historiography and help find out what has been explored so far and what is yet to be analyzed. We can say with confidence that the research of the issue under analysis is scarce, hence, much has to be examined and reviewed yet.

The study of Marat's life and activities has an interesting tradition in Georgia. The Soviet attitude to the issue was biased and one-sided, devoid of scientific grounds, wrong from the very start, antinational and devoid of patriotism. The attitude was extremely politicized and ideologized in accordance with the political regime. We have tried to overcome this inappropriateness and shift the analysis of the issue from the political to the academic field. Thus, we have chiefly focused on the attitude to Marat in the Democratic Republic of Georgia (1918-1921). Due to the efforts of the totalitarian Bolshevik regime, there was a completely wrong attitude to the study and periodization of Marat's life and activities.

Conventionally, we can divide the study of Marat's life and activities in Georgia into three periods:

1. The study of Marat's activities in the independent Republic of Georgia in 1918-1921.
2. The study of Marat's activities in the Georgian historiography of the Soviet period.
3. The study of Marat's activities in the Georgian historiography of the post-Soviet period.

The study of Marat's life and activities was not as uniform as we were told in the Soviet epoch. Initially, Georgian historiography adopted a correct and realistic attitude to Marat. The first national school textbooks of modern history published in 1918-1921 clearly prove this fact.

The realistic attitude to Marat was replaced by his glorification in the Soviet years. This attitude was overly political and ideological due to the political will of that period.

Modern Georgian historiography attempts to overcome this discrepancy and restore the realistic approach to Marat.

თამარ ანთაძე

Tamar Antadze

ვარლამ ჩერქეზიშვილი დრეიფუსის საქმეზე
Varlam Cherkezishvili on Dreyfus Affair

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი*

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities



საკვანძო სიტყვები: ვარლამ ჩერქეზიშვილი, საფრანგეთი, ახალი
ისტორია, ალფრედ დრეიფუსი.

Keywords: Varlam Cherkezishvili, France, Georgia, Recent History,
Dreyfus Affair.

ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი ვარლამ ჩერქეზიშვილი თავისი დროის ერთ-ერთი საინტერესო პუბლიცისტი და ჟურნალისტი იყო. მისი საინტერესო წერილები მსოფლიო ისტორიის საკითხებზე იბეჭდებოდა ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე, პირველ ყოვლისა კი, „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელში“. ამ წერილების მეშვეობით ის ქართველ საზოგადოებას საინტერესო ინფორმაციას აწვდიდა საზღვარგარეთის ისტორიაზე. ქართველი საზოგადოება ეცნობოდა ევროპასა და ამერიკაში მიმდინარე მოვლენებს, რომლებიც უშუალოდ მის თვალწინ ხდებოდა, როდესაც ის ემიგრაციაში იმყოფებოდა. ვარლამ ჩერქეზიშვილმა თავისი წვლილი შეიტანა საზღვარგარეთის ქვეყნების ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. ამ კუთხით მისი მოღვაწეობა საინტერესოა და სულ სხვა მხრიდან წარმოაჩენს ვარლამ ჩერქეზიშვილის შემოქმედებას. ეს მისი მოღვაწეობის კიდევ ერთი პატარა, მაგრამ ახალი წახნაგია, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად იყო ცნობილი, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, საგანგებოდ გავვეშუქებინა ვარლამ ჩერქეზიშვილის წვლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამჯერად, როგორც სათაურიდან ჩანს, წამოვწევთ ერთ კონკრეტულ თემას. თუ როგორ უყურებდა ვარლამ ჩერქეზიშვილი XIX საუკუნის მიწურულის საფრანგეთის ახალ ისტორიაში საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს – ალფრედ დრეიფუსის საქმეს. აქედან გამომდინარე, საინტერესოა ვარლამ ჩერქეზიშვილის პოზიცია არსებული საკითხისადმი, რომელსაც ფართო რეზონანსი ჰქონდა და უმაღლესი თანამედროვეების ყურადღება. ერთ-ერთ მათგანად ვარლამ ჩერქეზიშვილი შეგვიძლია მოვიხაზოთ. აქ ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ გარემოებაზე. დრეიფუსის საქმე დღევანდელი გადასახედიდან ახალი ისტორიაა, ხოლო მაშინ ვარლამ ჩერქეზიშვილისთვის ეს იყო უახლესი ისტორია, ამიტომ დრეიფუსის საქმით ვარლამ ჩერქეზიშვილის დაინტერესება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და სავსებით მარტოობიერად მიგვაჩნია.

1814 წლის სექტემბერში საფრანგეთის საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ალფრედ დრეიფუსის საქმე. საფრანგეთის დაზვერვას ხელში ჩაუვარდა პარიზში გერმანიის სამხედრო ატაშეს სახელზე გამოგზავნილი წერილი, რომელმაც ბომბის აფეთქების ეფექტი მოახდინა. აქედან კარგად ჩანდა,

რომ საფრანგეთის გენერალური შტაბის ოფიცერი გერმანელებს აწვდიდა საიდუმლო სამხედრო დოკუმენტებს. საქმე იყო სკანდალური და სახელმწიფოს ღალატთან ასოცირდებოდა. ხელისუფლება, იმის მაგივრად, რომ ობიექტურად გამოეძიებინა ეს საქმე, შეეცადა, სკანდალი აეგორებინა და აქედან პოლიტიკური დივიდენდები მიეღო. დამნაშავის გამორკვევის ნაცვლად, ჯაშუშობაში ბრალი დასდეს გენერალური შტაბის ოფიცერს, კაპიტან ალფრედ დრეიფუსს, რომელიც ებრაელი იყო. პოლიტიკურმა კონფლიქტმა ანტისემიტური ხასიათი შეიძინა. ცრუ მოწმის, კაპიტან ანრის, რომელმაც შემდგომში თავი მოიკლა, ჩვენების საფუძველზე დრეიფუსი დამნაშავედ ცნეს, მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, გადაასახლეს სამხრეთ ამერიკაში, ფრანგულ გვიანასთან მდებარე კუნძულზე, სადაც ის იმყოფებოდა უმძიმეს პირობებში. ასე იძია შური რეაქციულ-რადიკალურმა სამხედრო დაჯგუფებამ, არმიასა და განსაკუთრებით გენერალურ შტაბში „პლებეების“, პირველ ყოვლისა კი, რა თქმა უნდა, ებრაელების აღზევების გამო. ზეიმი ნაადრევი იყო, მალე სიმართლეს ფარდა აეხადა.

1896 წელს საფრანგეთის სამხედრო სამინისტროს მაღალჩინოსან კოლონერ პიკარს ხელში ჩაუვარდა ფრანგული დაზვერვიდან მიღებული წერილობითი წყაროები, რომელთა მიხედვით, მან შეძლო დაედგინა, რომ სინამდვილეში დამნაშავე იყო არა კაპიტანი ალფრედ დრეიფუსი, არამედ საფრანგეთის სამხედრო სამსახურში მყოფი, უნგრელი არისტოკრატი ესტერჰაზი, რომელიც უმაღლესი სამხედრო ეშელონების მფარველობით სარგებლობდა. ისინი შეეცადნენ, რომ არ დაეშვათ ქვეშარიტების დადგენა. ამავე დროს, ალფრედ დრეიფუსის ძმამ, მათიებმა, კერძო წესით ჩაატარა გამოძიება და დაამტკიცა, რომ მისი ძმისთვის გამოტანილი განაჩენი სრულიად უსაფუძვლოა და ქვეშარიტი დამნაშავე ესტერჰაზია, რომელსაც რეაქციული ფრანგული მხედრობიანი ხელს აფარებდა. მათი ძალისხმევით, სასამართლომ ესტერჰაზი გაამართლა. დრეიფუსის საქმეში დიდი როლი შეასრულა ცნობილი ფრანგი მწერლის, ემილ ზოლას, წერილმა „მე ბრალს ვდებ“ დრეიფუსის საქმე სულ უფრო და უფრო პოლიტიკურ ხასიათს იღებდა. პოლიტიკურმა დაპირისპირებამ საფრანგეთი დააყენა სამოქალაქო ომის ზღურბლზე. 1899 წელს სასამართლო წესით დრეიფუსის საქმე გადაისინჯა. 19 სექტემბერს საფრანგეთის პრეზიდენტმა ემილ ლუბემ ჯანმრთელობის მდგომარეობის საბა-

ბით შეიწყალა დრეიფუსი, ხოლო მოგვიანებით მოხდა ალფრედ დრეიფუსის სრული რეაბილიტაცია, დანაშაულის შემადგენლობის უქონლობის გამო დრეიფუსის საქმეს წერტილი დაესვა.

ალფრედ დრეიფუსის სახელმა გაიჟღერა ვარლამ ჩერქეზიშვილის საგაზეთო პუბლიკაციებში, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“ და „ცნობის ფურცელში“. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა, მაგრამ ამ ძუნწი ინფორმაციის შეუფასებლობა მართებული არ იქნებოდა. ჩვენ ვცადეთ, მასში ამოგვეკითხა, რამდენად ინფორმირებული იყო ვარლამ ჩერქეზიშვილი დრეიფუსის საქმესთან და როგორ ესმოდა ეს საკითხი. ასეთი ოპტიმისტური მიდგომა გაცილებით მისაღებია, ვიდრე ნიჰილისტური დამოკიდებულება, და შეძლებისდაგვარად ცდილობს, შეავსოს ის ცარიელი ადგილი, რომელიც ამ მიმართულებით ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობდა და დღესაც არსებობს. ამ საქმეში თავისი მოკრძალებული ნვლილი ვარლამ ჩერქეზიშვილსაც მიუძღვის.

ჩვენი მთავარი ამოცანაა, გავარკვიოთ ორი საკითხი: რამდენად ინფორმირებული იყო ვარლამ ჩერქეზიშვილი დრეიფუსის საქმესთან დაკავშირებით და როგორ აღიქვამდა მას.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძუნწ ინფორმაციას წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა. ვარლამ ჩერქეზიშვილმა ამ მისიას, შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვა თავი. ეს მის წარმატებად შეიძლება მივიჩნიოთ.

საკითხს გააჩნია ორი მხარე: ერთი ემპირული, ფაქტოლოგიური, რამდენად ინფორმირებული იყო ვარლამ ჩერქეზიშვილი დრეიფუსის საქმესთან დაკავშირებით, და მეორე შეფასებითი, როგორ აღიქვამდა ის ამ საკითხს.

გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილი დრეიფუსის საქმესთან დაკავშირებით გაცილებით კარგად უნდა ყოფილიყო ინფორმირებული, ვიდრე ეს მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან შეიძლება ჩანდეს.

ის მწირი ინფორმაცია, რომელსაც ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაწერებში ვხვდებით, საინტერესოა და, პირველ ყოვლისა, წყაროთმცოდნეობითი დატვირთვა აქვს. ის აწვდის ცნობას ქართველ საზოგადოებას დრეიფუსის საქმეზე. ქართველმა საზოგადოებამ ამ თემაზე სხვა წყაროებთან ერთად ინფორმაცია ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაწერებიდან მიიღო. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილი ამ საკითხს საკმაოდ კარ-

გად იცნობს, რაც, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და ემპირული, ფაქტობრივი მასალის ცოდნის შედეგია. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ მისი სიმპათიები მთლიანად უდანაშაულო დრეიფუსის მხარეს მიემართება.

ვფიქრობთ, შემთხვევითი არაა, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაწერებში ალფრედ დრეიფუსის სახელი მხოლოდ დადებითი კონტექსტით მოიხსენიება. ეს არცაა გასაკვირი. ის უდანაშაულო დრეიფუსის მომხრეთა ბანაკს მიეკუთვნება. აი, რა წერია გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ მის სტატიაში „...საზოგადოებრივმა აზრის ძალამ გადასწყვიტა ეს საქმე, ევროპის თანაგრძნობამ შეჰქმნა ჰარიბალდის სარევიოლუციო იტალიის კავშირები, ამავე თანაგრძნობამ გაამხნევა ლინკოლნი და იმისი თანამოღვაწენი. მანვე ჩვენ თვალწინ მხარი დაუჭირა ზოლასა, კლემანსოსა და დრეიფუსის ერთ მუჭა დამცველთ“. ეს წერილი თარიღდება 1900 წლით. მეორე წერილი უკვე გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნდა და დათარიღებულია 1902 წლით. კონტექსტი კვლავ დადებითია. „საკვირველი ის არის, რომ ცხოვრებაში ხელმეორედ ბატონობას იწყებს სარწმუნოებრივი ფანატიკოსობა ცოდნისა და მეცნიერების დევნა. განა ასეთი ამბავი არ მოხდა საფრანგეთში დრეიფუსის საქმის დროს“. ნათქვამს, ჩვენი მხრივ, დავამატებდით ეროვნულ საკითხს, კონკრეტულად კი ანტისემიტობას, რომელიც, დიდი ალბათობით, ვარლამ ჩერქეზიშვილისთვის სრულიად მიუღებელი იქნებოდა. მესამედ დრეიფუსის სახელს გადავანყდებით იმავე „ცნობის ფურცელში“, რომელიც თარიღდება 1903 წლით. კლერიკალები და კონსერვატორები მეტად აგრესიულად იყვნენ განწყობილი და „სამოქალაქო ომის ატეხვას ემუქრებოდნენ დრეიფუსს და მის მომხრეებს, დამცველებს და ხალხს იარაღის ასხმას ურჩევდნენ“. აქ ყურადღებას მივაპყრობთ ორ გარემოებას, რომლებიც ამ თემაზე ვარლამ ჩერქეზიშვილის მსჯელობის დადებით მხარეს წარმოადგენს: პირველი – მისი სიმპათია მთლიანად პროგრესული საწყისისაკენ იხრება და დრეიფუსის მომხრეებს უჭერს მხარს და მეორე – ის საკმაო ცოდნას ამჟრავნებს XIX საუკუნის მიწურულის საფრანგეთის საშინაო პოლიტიკისა და კარგად აცნობიერებს, რომ ამან ქვეყანა სამოქალაქო ომის ზღურბლთან მიიყვანა.

ამრიგად, დრეიფუსის საქმეზე ვარლამ ჩერქეზიშვილის ნააზრევის დადებით მხარედ მიგვაჩნია ის რომ, პუბლიცისტი სილ-

რმისეულად ფლობდა ემპირულ და ფაქტობრივ მასალას. ამ საკითხისადმი მისი მიდგომა პროგრესულია და უდანაშაულო დრეიფუსის მხარეზეა, რის გამოც ის დრეიფუსის მომხრეთა ბანაკს შეიძლება მივაკუთვნოთ. გარდა ამისა, ვარლამ ჩერქეზიშვილმა თავისი წვლილი შეიტანა დრეიფუსის საქმის პოპულარიზაციაში და ქართულ საზოგადოებას სწორი ინფორმაცია მიაწოდა ამ რთულ საკითხზე.

An outstanding Georgian political figure – Varlam Cherkezishvili was an interesting journalist of his time. He wrote interesting articles on the issues of the world history, which were published in the Georgian periodicals, such as “Iveria” and “Tsnobis Purtseli”. He provided the Georgian society with interesting information regarding the events taking place in Europe and the USA. By means of his papers, the Georgian society became aware of the significant events happening abroad. Cherkezishvili was quite knowledgeable in the recent history of foreign countries and had witnessed numerous important events while being an emigrant. He largely contributed to the promotion of the recent history of Europe and America. In this regard, his articles are both interesting and creative. The given paper aims to inform the Georgian public on an interesting aspect of Varlam Cherkezishvili’s activities. In particular, it focuses on the scholar’s opinion regarding Alfred Dreyfus affair.

At the end of the 19th century, Alfred Dreyfus affair became an interesting topic of the recent history of France. The issue was interesting from the viewpoint of the internal policy of France. Therefore, it is important to find out Varlam Cherkezishvili’s position in this regard.

Research has proved that Varlam Cherkezishvili was well aware of Dreyfus affair. His works prove his in-depth knowledge of the empirical and factual material. Cherkezishvili supported the progressive ideas and sympathized with Dreyfus, whom he considered innocent. Thus, Cherkezishvili belongs to the camp of Dreyfus’ supporters. He contributed to the promotion of Dreyfus affair and provided correct information to the Georgian society regarding this complicated issue.

ცირა ბარამიძე
Tsira Baramidze

ლაბილურობის ნანოსინტაქსი ქართულში და
იბერიულ-კავკასიური ენები
**Nano-Syntax of Lability in Georgian and
Iberian-Caucasian Languages**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi state university
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities*



საკვანძო სიტყვები: ლაბილურობა, ნანოსინტაქსი, გრამატიკული
კლასი, ერგატივი, გვარი.

Keywords: Lability, nano-syntax, grammatical class, ergative, voice.

მოხსენებაში გაანალიზებულია ლაბილურობა ქართულსა და დანარჩენ იბერიულ-კავკასიურ ენებში. ქართველურ ენებში ლაბილურობა დღეს უკვე გაუჩინარებული კატეგორიაა. ლაბილურობა იბერიულ-კავკასიური ენების მორფოსინტაქსური ჩარჩო-მოდელის წამყვანი ოდენობაა. ლაბილურობა გვაქვს იქ, სადაც გრამატიკული კლასია და, შესაბამისად – ერგატივი. ლაბილურობის დიქრონიული ანალიზი ქართველურ ენათა ემპირიული მასალის მიხედვით და ენათა სინქრონიული ქრილების გათვალისწინებით, იძლევა შესაძლებლობას, იბერიულ-კავკასიურ ენობრივ ჯგუფებს შორის ქვესისტემათა შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდით აღვადგინოთ ლაბილურობის კატეგორია, როგორც იბერიულ-კავკასიური ენების საკვანძო მორფოსინტაქსური ოდენობა გრამატიკულ კლასსა და ერგატიულობასთან ერთად. ლაბილური კონსტრუქციის ზმნა-შემასმენელი ქმნის აქტანტებისა და ტრანზიტიულობა-ინტრაზიტიულობის ვარიირების შესაძლებლობას:

ალიყვანა მან იგი (აქტივი) – ალიყვანა იგი = ალყვანილ იქნა (პასივი)

მოიკლა მან იგი (აქტივი) – მოიკლა იგი (პასივი)

ხუნძური: ვა^ჰა^ჰ სთაქან **ბ-ექანა** (აქტივი) „ძმამ ჭიქა გატეხა“ – სთაქან **ბ-ექანა** (პასივი) „ჭიქა გატყდა“ (არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე)

ლაბილურობაშია ჩართული აქტივისა და პასივის სემანტიკა გვარის ჩამოყალიბებამდე; ლაბილურობა გვარის გარეშე გამოხატავს აქტივსა და პასივს. ლაბილური კონტრუქციების პრიორიტეტია რეციპიენტის (პირდაპირი ობიექტი) მარკირება ზმნაში ნაცვლად სუბიექტისა და, ასევე, ერგატიული კონსტრუქცია იმ ენებშიც კი, რომლებშიც ბრუნვა ერგატივი არა გვაქვს, რადგან ბრუნება არ ჩამოყალიბებულა (მაგ. აფხაზურში). ერგატიულობა და ლაბილურობა გადაჯაჭვულია ყველაზე ძველ მორფოსინტაქსურ ოდენობასთან – გრამატიკულ კლასთან. იმ ენებში, რომლებშიც გრამატიკული კლასი კარგად არის შემონახული და უღვლილება კლასოვანია, ლაბილურობა-სტაბილურობის კატეგორია სრულად ფუნქციონირებს, შეიცავს ტრანზიტიულობა-ინტრანზიტიულობის სემანტიკას და ფორმობრივადაც ზედმინევნით გამოხატავს აქტივსა და პასივს.

მოხსენებაში ქართული ენის ლაბილური კონსტრუქციების ნანოსინტაქსი შედარებულია დანარჩენ იბერიულ-კავკასიურ ენებთან და მოცემულია დასკვნები.

Lability in the Kartvelian languages is already an extinct . It is a leading phenomenon of the morphosyntactic framework model of the Ibero-Caucasian languages. Lability occurs where there is a grammatical class and therefore an Ergative. Diachronic analysis of lability of the empirical material of the Kartvelian languages and synchronous aspects of the languages enable us to restore the category of lability as a key morphosyntactic phenomenon of the Ibero-Caucasian languages along with the grammatical class and Ergativity by means of inner reconstruction of the subsystems among the Ibero-Caucasian language groups. Verb-predicate of a labile construction creates the possibility for transitivity-intransitivity variation:

Georgian: *აყი ჭივანა მან იგი აღიყვანა მან იგი* – “Sb took sth/sb” (Active) – *აყი ჭივანა იგი აღიყვანა იგი = აყჭივანილ იყნა აღიყვანილ იქნა* “Sb/Sth was taken” (Passive)

Georgian: *მოიჭლა მან იგი მოიკლა მან იგი* “Sb killed oneself” (Active) – *მოიჭლა იგი მოიკლა იგი* “Sb/Sth was killed” (Passive)

Avar: *ვაჭა-აჭა staqan b-eqana* “A brother broke a glass” (Active) – *staqan b-eqana* “A glass was broken” (Passive)

The active and passive semantics are involved in the lability before the formation of the voice. Lability expresses both active and passive nature without voice. The priority of labile constructions is to mark the recipient (direct object) in a verb instead of a subject and even an Ergative construction in the languages which have no Ergative case since case was not developed (e.g. in Apkhazian). Ergativity and lability are intertwined with the oldest morphosyntactic phenomenon – grammatical class. In the languages in which the grammatical class is well preserved and conjugation has class nature, the lability-stability category fully functions, contains transitivity-intransitivity semantics and formally expresses both active and passive nature exactly.

In the report, the nano-syntax of labile constructions of the Georgian language is compared with other Ibero-Caucasian languages and conclusions are given.

ნატალია ბასილაია
Natalia Basilaia

**„გაუგებარი“ პოეტური ნაწარმოებების
დეკოდირების ალგორითმი
(ვ. მაიაკოვსკის ადრეული ლექსების მასალაზე)
Decoding Algorithm of “Unclear” Poetic Works
(on the Material of the
Early Lyrics of V. Mayakovsky)**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities*



საკვანძო სიტყვები: დეკოდირების ალგორითმები, ფუტურისტული
ნაწარმოებები, მაიაკოვსკი.

Keywords: decoding algorithms, futuristic works, Mayakovsky.

მკვლევართა ინტერესს კოდირებული პოეტური ნაწარმოებების აღქმისადმი და მათი გაშიფვრის ალგორითმების ძიებას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს, რაც გაგრძელდა პრალის სტრუქტურალისტთა (მუკარჟევსკი, იაკობსონი), კონსტანცაში გერმანული სამეცნიერო სკოლის წარმომადგენელთა (იზერი, იაუსი, გოტხარდი) და პოეტური ენის თეორიის შემსწავლელი საზოგადოების (ОПОЯЗ) წევრების (ტინიანოვი, ეიხენბაუმი) ნაშრომებში. მკვლევრებმა შემოგვთავაზეს ფუტურისტული ნაწარმოებების გაშიფვრის სხვადასხვა ალგორითმი, მათ შორის ვლადიმერ მაიაკოვსკის (*1893 – †1930) ადრეული ლექსები, რომლებიც 1912-1913 წლებში გამოქვეყნდა. მართლაც, ისინი აღსავსეა რებუსის ან შარადის მსგავსი გაუგებარი სიტყვებითა და უცნაური კომბინაციებით, რომელთა გასაღები ძნელი საპოვნელია, ისინი ლიტერატურის კრიტიკოსების, ენათმეცნიერების, ფსიქოლოგების დიდ ინტერესს იწვევენ, რომ აღარაფერი ვთქვათ ორ ბანაკად გაყოფილ მკითხველზე: ისინი, ვისაც არ ესმის და ამ ტიპის პოეზიას არ იღებს, და ისინი, ვინც სიამოვნებით ჩაეფლო კოდირებულ ტექსტში, ენობრივ თამაშში შევიდა და პოეტური გამოცანის ამოხსნას ცდილობს. თუმცა, ამ დრომდე მკვლევრები ვერ მივიდნენ კონსენსუსამდე, რაც სავსებით მისაღებია, რადგან ნებისმიერი, თუნდაც ერთი შეხედვით გასაგები, ლექსის აღქმა და გაგება სუბიექტური და ორაზროვანია. ბუნებრივია, არც ეს მოხსენება გადაჭრის პრობლემას, მასში მხოლოდ დეკოდირების კიდევ ერთი ალგორითმია შემოთავაზებული.

მოხსენების მიზანია დეკოდირების ალგორითმის მოქმედების დემონსტრირება, რთული და უცნაური მეტაფორული ფრაზების ანალოგიისა და იდენტობის პრინციპებზე დაყრდნობით, მაიაკოვსკის ერთი შეხედვით „გაუგებარი“, „ურბანისტული“ ნაწარმოებების [1912-1913] ანალიზის საფუძველზე.

პოეტური ტექსტები ასახავს მაიაკოვსკის ორიგინალურობას, აერთიანებს **ბგერებსა და საგნებს**: *Пронесят девоньки крохотные шумики. / Ящики гула пронесет грузовоз./ ... Трамвай расплещет перекааты гроз/ [Шумики, шумы и шумищи]; ასევე **გრაფემები და ტაქტილური შეგრძნებები**: */поверилось:/ обрызгло "О" / и гадко покорное "S" [В авто]; გრაფემები და ფერი: скакала крашенная буква [Уличное]; Под флейту золоченой буквы [Вывескам] და ა.შ.**

ასე, ნაწყვეტი ლექსიდან «Утро» (... *А за / решёткой / чёткой / железной мысли проводов – перина. / И на / неё / встающих звёзд / легко опёрлись ноги. / Но ги- / бель фонарей, / царей / в короне газа...*) შეიცავს ძნელად გასაშიფრ მეტაფორულ სიტყვათშეთანხმებებს არათანაბარი კომპონენტებით: სემანტიკურად უცვლელად დარჩენისას მეტაფორული ბინარმის ერთი კომპონენტი გაგების დონეზე ხელს უწყობს მეორე კომპონენტის სემანტიკის ცვლილებას. *Ноги звезд* = 'лучи звезд' (ვარსკვლავების სხივები); *Гибель фонарей* = 'погасшие фонари' (ჩამქრალი ფარნები); *корона газа* = 'свечение газа / газовых фонарей' (გაზის / გაზის ფარნების ნათება). ანთებული გაზის ნათურების ირგვლივ ბზინვარებასთან ასოციაცია წარმოიქმნება მეტაფორული პარაფრაზის «*царей / в короне газа*» აღქმიდან. მეტაფორის «*железной мысли провода*» გასაგებად საჭიროა: 1) გადააწყობთ მასში არსებული სიტყვები: «*железные провода мысли*» და გაშიფროთ, როგორც 'железные телеграфные провода' ('ტელეგრაფის რკინის მავთულები'); 2) სიტყვა *провода* (მავთული) დეფინიციაში – '*металлический проводник, состоящий из одной или нескольких проволок, предназначенный ... для систем сигнализации и связи*' ('ლითონის გამტარი, რომელიც შედგება ერთი ან მეტი მავთულისგან, განკუთვნილი ... სასიგნალო და საკომუნიკაციო სისტემებისთვის') გამოიყოს სემები «*металлический*» (ლითონის) და «*проволака*» (მავთული) და სიტყვა *перина* (ბუმბულის ლეიბი) დეფინიციაში – '*прямоугольный чехол с набитым внутри пухом*' ('ბუმბულით სავსე მართკუთხა ლეიბისპირი') სემა «*прямоугольный*» (მართკუთხა); 3) გარკვეული დონის ალბათობით შემოთავაზებულია შემდეგი ინტერპრეტაცია: 'прямоугольная форма четких решеток крыш опутанного железными проводами города' ('ქალაქის სახურავების მკაფიო ბადეების მართკუთხა ფორმა, რკინის მავთულებით ჩახლართული').

მაიაკოვსკის ადრეული ლექსები, რომლებიც გამოირჩევა ავტორის უნიკალური სტილით, ნათლად მოწმობს ავტორის სტრატეგიის თავისებურებას, დაარღვიოს, მისი აზრით, მოძველებული ლიტერატურული ნორმები. პოეტურ სტრიქონებში მომდევნო სიტყვის გამოჩენის წინასწარმეტყველების პრინციპის დარღვევის მიუხედავად, მოულოდნელი გადატანითი მნიშვნელობებით გაჯერებული სიტყვების გადაწყობა, მათი მიზანმიმართული კოდირება, სრულიად გასაგები და გაუგებარი სტრიქონების არევა, რაც ნაკარნახებია მხო-

ლოდ ახალგაზრდა პოეტის პირადი ასოციაციებით, მაიაკოვსკის ადრეული პოეტური ტექსტები, ისევე როგორც სხვა ავტორების ბევრი „გაუგებარი“ ლექსი, დეკოდირებას ექვემდებარება.

The interest of researchers in the perception of encoded poetic works, the search for algorithms for their decoding has a long tradition, which found, in particular, its continuation in the works of representatives of the Prague structuralists (Mukarzhewsky, Jakobson), the founders of the German scientific school in Constance (Iser, Jauss, Gotthard) and members of the ОРОЯЗ (ОПОЯЗ) – Society for the Study of the Theory of Poetic Language (Tynyanov, Eikhenbaum) about the inconsistency of meaning in poetic texts from the point of view of their perception and interpretation by the reader. Researchers proposed various algorithms for decoding futuristic works, including the early poems by Vladimir Mayakovsky (*1893 – †1930) published in 1912-1913. Indeed, filled with unclear words and their strange combinations, similar to a rebus or a charade, the key to which is difficult to find, they arouse quite a great interest of literary critics, linguists, psychologists, not to mention readers who are sharply divided into two camps: those who do not understand and do not accept poetry of this kind, and those who are happy to plunge into the cipher text, entering into a language game and trying to unravel the poetic riddle. However, until now, researchers have not come to a consensus, which is quite understandable, since the perception and understanding of any, even at first glance clear, poem is subjective and ambiguous. Naturally, this presentation will not solve the problem either; it only proposes one more decoding algorithm.

A purpose of the presentation is to demonstrate the operation of the decoding algorithm for complex and bizarre metaphorical phrases based on the principles of analogy and identity based on the analysis of “unclear” at first glance “urbanistic” works [1912-1913] by Mayakovsky. The poetic texts reflect the originality of Mayakovsky, bringing together **sounds and objects**: *Пронесят девоньки крохотные шумики. / Ящички гула пронесет грузовоз./ ... Трамвай расплещет перекаты гроз/ [Шумики, шумы и шумищи]; as well as **graphemes and tactile sensations**: */поверилось:/ обрюзгло "О" / и гадко покорное "S"* [В авто]; **graphemes and color**: *скакала крашенная буква [Уличное]; Под флейту золоченой буквы [Вывескам], etc.**

So, an excerpt from the poem «Утро» (... **А за / решёткой / чёткой / железной мысли проводов – перина. / И на / неё / встающих звёзд / легко опёрлись ноги. / Но ги- / бель фонарей, / царей / в короне газа...**) contains difficult to decipher metaphorical phrases with unequal components: remaining semantically unchanged, one component of the metaphorical binarm contributes at the level of understanding to a change in the semantics of the second component: **Ноги звезд** = 'лучи звезд' (rays of stars); **Гибель фонарей** = 'погасшие фонари' (gone out lanterns); **'корона газа** = 'свечение газа / газовых фонарей' (glow of gas / gas lanterns). The association with the glow around burning gas lanterns lamps arises from the perception of the metaphorical paraphrase «**царей / в короне газа**». In order to understand the metaphor of the «**Железной мысли провода**», one should: 1) rearrange the words in it: «**железные провода мысли**» and decode it as 'железные телеграфные провода' (telegraph iron wires); 2) in the definition of the word **провода** – '**металлический** проводник, состоящий из одной или нескольких **проволок**, предназначенный ... для систем сигнализации и связи' (a metal conductor, consisting of one or more wires, intended ... for signaling and communication systems) single out semes «**металлический**» и «**проволока**» and in the definition of the word **перина** – '**прямоугольный** чехол с набитым внутрь пухом' ('rectangular case stuffed with down'), seme «**прямоугольный**»; 3) with a certain degree of probability to offer the following interpretation: 'прямоугольная форма четких решеток крыш опутанного железными проводами города' 'rectangular shape of clear grids of roofs of a city entangled with iron wires'.

Mayakovsky's early poems, which are distinguished by a unique author's style, clearly testify to the peculiarities of the author's strategy of violating outdated, in his opinion, literary norms. Nevertheless, despite violations of the principle of predictability of the appearance of the next word in poetic lines, the rearrangement of words endowed with unexpected figurative meanings, the shuffling of completely understandable and incomprehensible lines dictated only by the young poet's personal associations, their deliberate encryption, Mayakovsky's poetic texts are quite amenable to decoding, as and many "incomprehensible" poems by other authors.

ნანა გაფრინდაშვილი
Nana Gaprindashvili

რუსული ენა, როგორც კომუნისტური
ცნობიერების ჩამოყალიბების ინსტრუმენტი
სოცრეალიზმის ეპოქაში
The Russian Language as a Tool for the
Formation of Communist Consciousness
in the Era of Social Realism

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities*



საკვანძო სიტყვები: დეკოდირების ალგორითმები, ფუტურისტული
ნანარმოებები, მაიაკოვსკი.
Keywords: decoding algorithms, futuristic works, Mayakovsky.

ლიტერატურის თავის მარწეხებში მოქცევის, საბჭოთა ადამიანზე ზეწოლის, მისი ახალი ცნობიერების ჩამოყალიბების ერთ-ერთ ქმედით ინსტრუმენტად საბჭოთა ხელისუფლებამ მის მიერვე დომინანტურ მდგომარეობაში ჩაყენებული რუსული ენა აქცია. იგი დაადგინა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მოქცეული ერების ენობრივი კომუნიკაციის საშუალებად.

რუსულმა ენამ მიიღო შუალედური ენის სტატუსი, რომლის საშუალებით უნდა დაემყარებინათ კომუნიკაცია საზღვარგარეთის ქვეყნებთან საბჭოთა რესპუბლიკებს პოლიტიკის, კულტურის, ლიტერატურის და ა.შ. სფეროში.

საბჭოთა კავშირის ენობრივი პოლიტიკა იყო საბჭოთა ოკუპაციის სპეციფიკური ფორმა, ენობრივი ოკუპაცია, ენობრივი აგრესია, თავს მოხვეული რუსული ენა, რომელსაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური და იდეოლოგიური მისია დაეკისრა: მონოპოლიის იდეურ-პოლიტიკური ამოცანებისა და მიზნების ხელშეწყობა. ხელისუფლება კარგად აცნობიერებდა, რომ რუსულ ჰომოგენურ ენობრივ სივრცეში უფრო ადვილი იქნებოდა საბჭოთა იდეოლოგიური მისიის შესრულება: კომუნისტური იდეების გავრცელება და საბჭოთა ცხოვრების წესის პროპაგანდა. რუსული ენის პოზიციების გამყარებით ცდილობდნენ პარტიისა და ხელისუფლების წარმომადგენლები, ხელი შეეწყობთ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ერთობის განმტკიცება-გაძლიერებისათვის.

ასე რომ, რუსული ენა, მისი კონცეფცია საბჭოთა კავშირში მკვეთრად პოლიტიზებული იყო. რუსულ ენას დაუმკვიდრეს რევოლუციისა და რევოლუციური იდეების ენის, დიადი ენის, ლენინის ენის, მსოფლიო ენის სტატუსი, რაც მხატვრულ ლიტერატურაშიც აისახებოდა. საბჭოთა პროპაგანდა ხალხს არწმუნებდა, რომ ცოდნის მიღება და საკაცობრიო გამოცდილებასთან ზიარება რუსული ენის დაუფლების გარეშე შეუძლებელია.

რუსულმა ენამ „უფროსი ძმის“ სტატუსი შეიძინა ზუსტად ისე, როგორც რუსმა ხალხმა შეიძინა უფროსი ძმის სტატუსი სხვა საბჭოთა ხალხებთან მიმართებით. საბჭოთა იდეოლოგიის მოთხოვნა იყო, „ძმებს“ ერთ ენაზე ელაპარაკათ როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით.

საბჭოთა ხელისუფლება არაკეთილსინდისიერად სარგებლობდა იმ გარემოებით, რომ მცირერიცხოვან ქართველ ერს ისევე, როგორც სსრკ-ში შემავალ მრავალ სხვა ერს, არ გააჩნდა იმის

რესურსი, რომ მსოფლიო ლიტერატურის ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაწარმოები ეთარგმნა ქართულად და ქართული ლიტერატურის ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაწარმოები კი – მსოფლიოს ხალხების ენებზე. საბჭოთა ხელისუფლება იყენებდა ეროვნულ ლიტერატურებში შექმნილ ამ ვითარებას და თავის უზარმაზარ ადამიანურ, ფინანსურ და ადმინისტრაციულ რესურსს მიმართავდა, რათა კულტურათაშორისი ურთიერთობების სფეროში წინა დაეყენებდა რუსული ენა. სსრკ რესპუბლიკებში მკითხველები რუსული თარგმანებით ეცნობოდნენ მსოფლიო ლიტერატურის მიღწევებს, რუსულ ენაზე ითარგმნებოდა მსოფლიო ლიტერატურის ბევრად მეტი ნიმუში, ვიდრე სსრკ რესპუბლიკების ენებზე, და მსოფლიო ლიტერატურა ქართველ თუ სხვა ერის მკითხველებამდე მეტწილად უშუალოდ რუსული თარგმანების ან რუსული შუალედური თარგმანით მიდიოდა, შედარებით ცოტა იყო ორიგინალიდან ნათარგმნი ლიტერატურის ხვედრითი წილი. ხოლო, თუ ეროვნულ ლიტერატურას აღმოაჩნდებოდა შესაბამისი რესურსი ამა თუ იმ ნაწარმოების სათარგმნად, მაინც მრავალი დაბრკოლების გადალახვა დასჭირდებოდა (მაგალითად, ცენზურა და მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება). ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნაწარმოები ჯერ რუსულად უნდა თარგმნილიყო და მერე – ეროვნულ ენებზე. ასე რომ, ხშირად რუსული ენის საშუალებით ამყარებდა კავშირ-ურთიერთობებს საქართველო და ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურასთან. ეს მიდგომა, რასაკვირველია, მწერლობის მოთვინიერების ერთ-ერთი საშუალება იყო, აბრკოლებდა ეროვნული ლიტერატურის განვითარებას და ხელს უშლიდა ქართულ ლიტერატურას, თავისი ადგილი დაეკავებინა მსოფლიოს კულტურულ რუკაზე.

საბჭოთა ხელისუფლება აიძულებდა როგორც ქართველ, ისე სხვა ერებს, ერთი მხრივ, რუსული ენის პრიზმიდან დაენახათ მსოფლიო სალიტერატურო სამყარო, მეორე მხრივ, ასევე რუსული ენის პრიზმიდან, ანუ რუსული თარგმანებით, ეჩვენებინათ ქართული თუ სხვა სალიტერატურო სამყარო მსოფლიოსათვის. ისინი აიძულებდნენ საბჭოთა კავშირში შემავალ ერებს, მეტაფორულად რომ ვთქვათ, „რუსული თვალით“ ეცქირათ სამყაროსთვის, რაც ეროვნულ ლიტერატურაზე იდეოლოგიური ზეწოლის გამოვლინებაც იყო.

Soviet authorities used the Russian language, which was given a dominant position, as one of the most potent tools for turning literature into its own devices, putting pressure on the Soviet people, and forming their new consciousness. It was established as a means of communication of the nations that were part of the Soviet Union.

The Russian language was given the status of an intermediate language, through which the Soviet republics had to establish communication with foreign countries in terms of politics, culture, literature, etc.

The language policy of the Soviet Union was a specific form of the Soviet occupation, linguistic occupation, linguistic aggression. The Russian language was assigned an important political and ideological mission: the promotion of the ideological-political tasks and goals of the monopoly. The authorities were well aware that it would be easier to fulfill the Soviet ideological mission in a homogenous Russian language space: spreading communist ideas and propagating the Soviet way of life. By strengthening the positions of the Russian language, the representatives of the party and the government tried to promote the strengthening of the political unity of the Soviet Union.

Thus, the Soviet Union sharply politicized the Russian language and its concept. The Russian language had established itself as the language of the revolution and revolutionary ideas, the language of the great nation, the language of Lenin, and the language of the whole world, which was echoed in the literary literature as well. Soviet propaganda persuaded people that learning Russian was necessary in order to share human experience and gain knowledge.

The Russian language acquired the status of a “Big Brother” just as the Russian people acquired the status of a big brother in relation to other Soviet peoples. Soviet ideology demanded that the “brothers” speak the same language, both literally and figuratively.

The small Georgian nation, along with many other countries in the USSR, did not have the resources to translate all the more or less important works of world literature into Georgian, and all the more or less important works of Georgian literature into other languages of the world, which was unfairly exploited by the Soviet authorities. The Soviet government took advantage of the situation created in national literatures and directed its enormous human, financial and administrative

resources to put the Russian language at the forefront in the field of intercultural relations. Readers in the republics of the USSR were introduced to the achievements of world literature through Russian translations, much more works of world literature were translated into Russian than into any other language of the countries of the USSR, and world literature reached the readers of Georgian or other nations mostly directly through Russian translations or Russian intermediate translations. The specific share of literature translated from the original was relatively small. And, if the national literature found a suitable resource for translating this or that work, it would still have to overcome many obstacles (for example, censorship and meeting its requirements). It should also be taken into account that the work had to be translated first into Russian and then into national languages. So, in many cases, Georgia and Georgian literature established connections with world literature through the Russian language. This approach, of course, was one of the ways to tame writing, hindered the development of national literature and prevented Georgian literature from taking its place on the cultural map of the world.

The Soviet government forced both Georgian and other nations to see the literary world through the prism of the Russian language. Moreover, it was only through the prism of the Russian language and Russian translations, that the world was shown the Georgian or other literary world. They forced the USSR nations, metaphorically speaking, to look at the world through the “Russian lens”, which was also a manifestation of ideological pressure on national literature.

ნანა გელაშვილი
Nana Gelashvili

კულტურათაშორისი დიალოგი იაპონური
ფერწერის ნიმუშზე
Cross-Cultural Dialogue on the
Sample of Japanese Painting

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities



საკვანძო სიტყვები: ჩინეთი, იაპონია, ევროპა, ფერწერა, ბუდიზმი.
Keywords: China, Japan, Europe, painting, Buddhism.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია კულტურათაშორისი დიალოგის ასპექტები იაპონური ხელოვნების ისეთი ნატიფი სფეროს ნიმუშზე, როგორცაა ფერწერა. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ მის ფორმირებაზე ძლიერი ზეგავლენა მოახდინა ჩინეთმა, ასევე გარკვეული დოზით – კორეულმა და ინდურმა სახვითი ხელოვნების ელემენტებმა. ამის მიუხედავად, იაპონური ხელოვნება მუდამ ინარჩუნებდა თვითმყოფადობას და ორიგინალურობას, რამდენადაც უცხოეთიდან გადმოღებული ელემენტები შემოქმედებითად გარდაიქმნებოდა და ადგილობრივ ტრადიციებს ორგანულად ერწყმოდა. იაპონურ ფერწერაზე ზეგავლენა დაკავშირებული იყო VI საუკუნის შუა ხანებში ჩინეთიდან (კორეის გზით) ბუდიზმის შეღწევასთან, რომელსაც კვალდაკვალ მოჰყვა მისი თანმდევი კულტურა. სწორედ ბუდიზმის მეშვეობით ეზიარნენ იაპონელები კონტინენტური სახვითი ხელოვნების დახვეწილ და მაღალმხატვრულ ტექნიკას. შესაბამისად, იაპონური ფერწერა თავდაპირველად ბუდისტური თემატიკით იყო წარმოდგენილი, რომელსაც ბუცუ-გა ეწოდა. ბუდისტური ხელოვნების კვალდაკვალ ჩინეთიდან საერო ხასიათის ფერწერის ნიმუშებიც ვრცელდებოდა, რომელთა მიბაძვით იაპონელი მხატვრები თავიანთ ნამუშევრებს ქმნიდნენ. ფერწერის ამ მიმდინარეობამ იაპონიაში მიიღო სახელწოდება კარა-ე. მათზე გამოსახული იყო ჩინური პეიზაჟები, სასახლეები, ჩინელი იმპერატორები, განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ისეთმა სპეციფიკურმა ჩინურმა თემებმა, როგორებიცაა, „ყვავილები და ჩიტები“, „მთები და წყლები“.

ვითარება რადიკალურად შეიცვალა X საუკუნიდან, როდესაც იაპონელმა მხატვრებმა გარედან შეღწეული და ადგილობრივი სამხატვრო სტილების სინთეზის საფუძველზე, ჩამოაყალიბეს ფერწერის ქეშმარიტად ეროვნული მიმდინარეობა – იამატო-ე (ანუ – იაპონური სურათი). მისთვის დამახასიათებელი იყო რბილი და დინამიკური ხაზები, ფერთა სიუხვე და სიმკვეთრე, ამ ნამუშევრებში აისახა უკვე იაპონური რეალობა და ყოფა, ახლებურად იყო აღქმული ასევე გარემომცველი ბუნება და მასთან ადამიანის განუყოფელი კავშირი.

ჩინურ და იაპონურ სახვით ხელოვნებას შორის დიალოგი XIII საუკუნიდან კვლავ აღდგა, რაც უწინდებურად რელიგიასთან აღმოჩნდა დაკავშირებული, კერძოდ, იაპონიაში ძენ-ბუდიზმის შეღ-

წევასთან. ეს იყო ჩინეთში აღმოცენებული ტუშით ხატვის ხელოვნება – მონოქრომული ფერწერა სუიბოკუ-გა, რომელშიც ჰარმონიულად იყო ერთმანეთთან შეხამებული ძენის მსოფლმხედველობა და ფერწერა. ამ ნატიფი ხელოვნების შესასწავლად იაპონელი მხატვრები სპეციალურად მიემგზავრებოდნენ ჩინეთში და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ძენის მონასტრებში აგრძელებდნენ მოღვაწეობას. მათი ძალისხმევით, მალე მონოქრომულმა ფერწერამ სახეცვლილება განიცადა – შავ-თეთრ ნახატებს მკვეთრი ფერადოვანი გამა და სხვა ინოვაციური მხატვრული საშუალებები ჩაენაცვლა.

მომდევნო გარეშე ზეგავლენა იაპონურ სახვით ხელოვნებაზე უკავშირდება ევროპელების გამოჩენას არქიპელაგზე XVI საუკუნის შუა ხანებში, როდესაც იაპონია დასავლური კულტურის მონაპოვარს გაეცნო. იაპონელმა მხატვრებმა დაიწყეს ფერწერაში დასავლური ტექნიკური საშუალებების გამოყენება, ევროპელი კლასიკოსების ნამუშევრებიდან ასლების გადაღება, მათ ნამუშევრებში გაჩნდა ევროპული ქალაქების ხედები, ევროპელთა პორტრეტები. ასე ჩამოყალიბდა ფერწერის ახალი მიმდინარეობა – იოგა (ანუ – ევროპული სურათი). თუმცა იაპონიის ხელისუფლების მიერ 1639 წელს დაწყებული თვითიზოლაციის პოლიტიკის გამო კონტაქტები დასავლურ სამყაროსთან უკიდურესად შეიზღუდა. 1854 წელს, აშშ-ის ძალისხმევით იაპონიის „გახსნის“ შემდეგ კი, იაპონიასა და დასავლეთს შორის ურთიერთობებმა ინტენსიური ხასიათი მიიღო. იმხანად იაპონური სახვითი ხელოვნების ყველაზე პოპულარულ სახეობას წარმოადგენდა ხეზე გრავირება – უკიო-ე. ხაზგასასმელია, რომ სწორედ მისი მეშვეობით გაეცნო დასავლეთი ნამდვილ იაპონურ სახვით ხელოვნებას. გამოჩენილი ევროპელი მხატვრები, განსაკუთრებით კი იმპრესიონისტები (დეგა, მონე, მანე, ვან გოგი, ლოტრეკი), დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ იაპონური ეგზოტიკური ფერწერის შესწავლას და მათი ასლების გაკეთებას. თავის მხრივ, იაპონელი მხატვრები იმპრესიონიზმის გულმხურვალე თაყვანისმცემლები იყვნენ. აღნიშნული ორმხრივი შემოქმედებითი ინტერესების თანხვედრა და კონტაქტები კულტურათაშორისი დიალოგის თვალსაჩინო ნიმუშს განასახიერებდა.

The presented paper discusses and analyzes the aspects of intercultural dialogue on the example of such a delicate field of Japanese art as painting. It should be noted that its formation was strongly influenced by China, as well as Korean and Indian fine art elements to a certain extent. Despite this, Japanese art has always maintained its individuality and originality, as elements taken from abroad were creatively transformed and organically combined with local traditions. The influence on Japanese painting was associated with the penetration of Buddhism from China (via Korea) in the middle of the 6th century, followed by its accompanying culture. It was through Buddhism that the Japanese were introduced to the refined and highly artistic techniques of continental fine arts. Accordingly, Japanese painting was originally presented with a Buddhist theme, which was called Butsu-ga. In the footsteps of Buddhist art, secular painting samples also spread from China, following which Japanese artists created their works. This trend of painting in Japan received the name Kara-e. Chinese landscapes, palaces, Chinese emperors were depicted on them, and such specific Chinese themes as “flowers and birds”, “mountains and waters” gained special popularity.

The situation changed radically from the 10th century, when Japanese artists, on the basis of the synthesis of foreign and local artistic styles, formed a truly national current of painting – Yamato-e (i. e. – Japanese picture). Soft and dynamic lines, the abundance and sharpness of colors were characteristic of him, Japanese reality and being were already reflected in these works, the surrounding nature and the inseparable connection of man with it were also perceived in a new way.

The dialogue between Chinese and Japanese fine arts has been revived since the 13th century, which was initially connected with religion, in particular, with the penetration of Zen Buddhism in Japan. It was an ink painting art which originated in China – monochrome Suiboku-ga painting, in which the Zen’s worldview and painting were harmoniously combined. To study this delicate art, Japanese artists specially traveled to China and after returning to their homeland, they continued their work in Zen monasteries. Thanks to their efforts, monochrome painting soon underwent a transformation – black and white paintings were replaced by sharp color gamut and other innovative artistic means.

The next major influence on Japanese fine art is connected with the appearance of Europeans on the archipelago in the middle of the 16th century, when Japan got acquainted with the achievements of Western culture. Japanese artists began to use Western technical means in painting, copying the works of European classics, views of European cities, portraits of Europeans appeared in their works. This is how a new style of painting was formed – Yoga (that is – European painting). However, due to the policy of self-isolation initiated by the Japanese government in 1639, contacts with the Western world were extremely limited. After the “opening” of Japan in 1854, with the efforts of the USA, relations between Japan and the West became intense. At that time, the most popular type of Japanese fine art was wood engraving – ukiyo-e. It should be emphasized that it was through it that the West became acquainted with the true Japanese fine arts. Prominent European artists, especially impressionists (Degas, Monet, Manet, Van Gogh, Lautrec) enthusiastically began to study exotic Japanese paintings and make their copies. On the other hand, Japanese artists were ardent admirers of Impressionism. The convergence of the mentioned mutual creative interests and contacts embodied a visible example of intercultural dialogue.

მანანა გელაშვილი
Manana Gelashvili

ლირიკული გმირი ინგლისურ რომანტიზმში
Lyrical Hero in the English Romantic Poetry

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities



საკვანძო სიტყვები: მაძიებელი გმირი, უორდსუორთი, კოლრიჯი, კიტსი, ბაირონი.

Keywords: Quest Hero, Wordsworth, Coleridge, Keats, Byron.

ნაშრომში ინგლისური რომანტიზმის ლირიკული გმირი განხილულია, როგორც ერთ-ერთი უმთავრესი არქეტიპული სახის – მაძიებელი გმირის – ინტერპრეტაცია. გაანალიზებულია იმ ავტორთა ნაწარმოებები (კოლრიჯის „ბალადა მოხუც მეზღვაურზე“, უორდსუორთის ლირიკა და პოემები, შელის „ალასტორი“, „ჰიმნი ინტელექტუალურ მშვენიერებას“ და სხვ.), რომლებშიც მაძიებელი გმირის სახეში ნათლად აისახა ის თვისობრივი საიხლე, რომელიც რომანტიზმმა მოიტანა ლიტერატურის ისტორიაში. რომანტიზმისათვის დამახასიათებელი სუბიექტივიზმი რომანტიკული გმირის ინტერპრეტაციაშიც აისახა და მისი ყარიბობა სულიერ ძიებად იქცა. რომანტიკოსების პოეზიაში აქცენტი კეთდება გმირის შინაგან სამყაროზე, მისი თვალსაწიერის გაფართოებაზე, რაც საშუალებას აძლევს მაძიებელ გმირს, უფრო საინტერესოდ და ყოვლისმომცველად შეიმეცნოს სამყაროს დაფარული ბუნება. რომანტიკოსთა ლირიკული ძიების მიზანი, უპირატესად, უხილავის ხილვა და ამით „ცნობიერების გაფართოებაა“ (ნორტროპ ფრაი).

რომანტიკოსთა მაძიებელი გმირი მეტწილად თავად ავტორს წარმოადგენს, ანუ, როგორც ჰაროლდ ბლუმმა აღნიშნა, „ძიების ჩაშინაგანებას“. ამიტომ მაძიებელი გმირის ბიოგრაფია და სულიერი ყარიბობის ისტორიაც, უპირატესად, ავტობიოგრაფიულია. ამგვარი ძიებების საუკეთესო მაგალითი უილიამ უორდსუორთის შემოქმედებაა, სადაც ნაწარმოებების ლირიკულ გმირს თავად ავტორი წარმოადგენს არა მხოლოდ ლირიკულ ლექსებში („ნარგიზები“, „თინთერნის საბატო“), არამედ ნარატიულ პოემებშიც. ამათგან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პოემა „პრელუდიაა“, რომელსაც უორდსუორთმა ქვესათაურად „პოეტის გონების ზრდა“ წაუძღვარა და ამით მკაფიოდ მიუთითა იმ ცვლილებაზე, რომელიც რომანტიზმის ეპოქამ მოიტანა. კერძოდ, ინტერესის ობიექტმა გარე სამყაროდან ადამიანის შინაგან სამყაროში გადაინაცვლა.

ავტორის იდენტიფიცირება მაძიებელ გმირთან არა მხოლოდ იმ ნაწარმოებებშია, რომლებიც პირველ პირშია დაწერილი, არამედ მაშინაც, როცა ნაწარმოები მესამე პირშია. მაგ. შელის პოემაში „ალასტორი“ მთავარი გმირი ავტორივით ახალგაზრდა პოეტია, მარტოსული და ახლობლებისგან გარიყული, ბუნების მოტრფიალე და ცხოვრების საზრისის მაძიებელი (შელიმ ამ

გმირის ხატვისას თავისი ბიოგრაფიის ისეთი დეტალიც კი არ გამოტოვა, როგორც მისი ვეგეტარიანელობა იყო და პოემის პროტაგონისტსაც იგივე მიაწერა).

ამგვარი მაძიებელი გმირის საინტერესო მაგალითია ბაირონის ჩაილდ ჰაროლდიც, მიუხედავად იმისა, რომ პოემის შესავალში ბაირონი მკითხველს აფრთხილებს, რომ ჩაილდ ჰაროლდი ფიქტიური გმირია, მხოლოდ და მხოლოდ ავტორის წარმოსახვის ნაყოფი, რომელსაც რეალური პროტოტიპი არ ჰყავს და რომლის ფუნქცია ნაწარმოების მთლიანობის უზრუნველყოფაა. თავად ეს გაფრთხილება მეტყველებს იმაზე, რომ ავტორმა კარგად იცის, მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოები გამოგონილ პერსონაჟს ეხება, მის უკან მკითხველი თავად ავტორს დაინახავს. ჩაილდ ჰაროლდის პერსონაჟს მართლაც აქვს ნაწარმოების გამამთლიანებელი ფუნქცია, რადგან ბაირონის ამ ნარატიულ პოემას სიუჟეტი პრაქტიკულად არ გააჩნია და ერთადერთი რამ, რაც ამთლიანებს მის ოთხ ნაწილს, მთავარი გმირია. მაგრამ, ეს სულაც არ უშლის ხელს იმ ფაქტს, რომ იგი ბაირონის ალტერ ეგოდ მივიჩნიოთ. ცნობილია, რომ გმირის მოგზაურობის შთაბეჭდილებები თავად ავტორის ევროპაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს ეფუძნება. ისიც ცნობილია, რომ ბაირონი პირველი ორი კანტოს დასრულების შემდეგ დიდხანს ყოყმანობდა გამოეჭყეყნებინა თუ არა ეს ტექსტი, რადგან ნაწარმოები მეტისმეტად პიროვნულად მიაჩნდა.

ჩაილდ ჰაროლდივით მაძიებელი გმირია ჯონ კიტის ენდიმიონი ამავე სახელწოდების პოემიდან (1818). მიუხედავად იმისა, რომ ჩაილდ ჰაროლდი რეალურ გეოგრაფიულ არეალში მოძრაობს, ენდიმიონი კი ხან ქვესკნელში ჩაეშვება, ხან ზღვის ფსკერზე, ორივე იმ მარადიულ მშვენიერებას ეძიებს, რომელზეც კიტსი ამ პოემის დასაწყისშივე საუბრობს.

გზის, როგორც გამოცდისა და განსაცდელის და, იმავდროულად, ძიებისა და პიროვნული გამოცდილების მიღებისა და ზრდის პარადიგმული ხატის გაგება წარმოდგენილია კოლრიჯის ნაწარმოებში „ბალადა მოხუც მეზღვაურზე“, რომელშიც მაძიებელი გმირის სულიერი ძიებები თვალსაწიერის გაფართოებასა და უხილავის ხილვას ემსახურება.

უნდა აღინიშნოს, რომ ცოდნა, რომელსაც რომანტიკოსები ეძიებენ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მივიჩნიოთ სამყარ-

როს მეცნიერულ შემეცნებად, პირიქით, რომანტიკოსები მეცნიერებას სამყაროს შეზღუდულ ხედვად თვლიან და აღნიშნავენ, რომ მხოლოდ ხელოვნებას შესწევს სამყაროს იდუმალებაში შეღწევის უნარი. ამიტომ ძიების შედეგად მოპოვებული ცოდნა არ არის ლოგიკური, ემპირიული ცოდნა, რომელიც, პირიქით, ხელს უშლის ადამიანს ირაციონალური, დაფარული სამყაროს ხილვაში. ემპირიული ცოდნის ანტითეზად რომანტიკოსები სამყაროს საკრალურ-ინტუიციურ ხედვას მიიჩნევენ.

ლიტერატურა:

Bloom (1970). *The Internalization Of Quest-Romance.* In: *Romanticism and Consciousness: Essays in Criticism*, ed. Harold Bloom. NY: WW Norton.

Frye (2005). *Northrop Frye's Writings on the Eighteenth and Nineteenth Centuries.* Victoria University, University of Toronto, Canada.

Southerly, K. G. (2017). A Romantic Scientist in Percy Shelley's Alastor. In: *Romantic Rapports. New Essays on Romanticism across the Disciplines* edited by Larry H. Peer, Christopher R. Clason, pp. 123-137.

Wordsworth, W. (1978). *The Prelude.* A Parallel Text. Ed by J.C. Maxwell. Penguin Books.

The present article attempts to explore how the lyrical hero's romantic quest is represented in the works of major English Romantic poets. William Wordsworth's works give a good testimony of such a quest, where the poet himself is the lyrical hero in both his lyrical poems ("The Daffodils", "Tintern Abbey") as well as his narrative poems, e.g. "The Prelude or, Growth of a Poet's Mind" in which Wordsworth clearly and precisely stated that the object of his long narrative poem was to explore the formation of a poet's mind. The world outside or the objective reality, which before the Romantic movement was the main subject of literature, for Romantics matters only as a catalyst, as an influence on this growth. In other words, what matters is not the world by itself but as it is perceived through the poet's imagination.

Identification of the quest hero with the author occurs not only in the poems which are written in the first person like Wordsworth's "The Prelude", but also in the third-person narrative poems by Shelley, Byron and Keats. In Shelley's poem "Alastor, or The Spirit of Solitude" (1815) the protagonist shows a lot of likeness with Shelley: he is a yo-

ung poet, wanderer “of high thoughts”, a lover of nature who seeks to find the meaning of life in solitude and loneliness. (Shelley did not omit even such a detail from his personal biography as his vegetarianism and attributed the same quality to his hero). Another third-person narrative is represented in “The Rime of the Ancient Mariner” (1798) by S.T. Coleridge, where the purpose of the journey is to expand consciousness which gives a deeper and a fuller view of the world.

Another example of such a fictitious character who in fact is the poet himself in a thin disguise is Byron’s Childe Harold. Byron’s lengthy comment in the introduction stating that Harold is the child of imagination and “a fictitious character ... introduced for the sake of giving some connection to the piece; which, however, makes no pretension to regularity is itself a testimony that Byron is well-aware that his readers will identify Harold with the author. Byron is right when he stresses the function of the main character as the unifier of the four Cantos, which otherwise would have had very little unity. However, giving unity to the poem is not related to the problem whether Harold is Byron’s alter ego or a fictitious character as he claims. It is acknowledged that “Childe Harold’s Pilgrimage” is largely based on Byron’s own travel experiences. It is also well-known that after completing the first two Cantos, Byron had second thoughts about publishing the poem as he thought it very personal.

John’ Keats’ quest hero – Endymion – is also a wonderer like Childe Harold. However, unlike Childe Harold Endymion’s travels do not cover the real geographical destinations. He ventures into the Underworld and journeys into the bottom of the sea. However, what Childe Harold’s pilgrimage and Endymion’s journeys have in common is a search for eternal Beauty.

Romantics agree that the purpose of the quest is not logical, empiric knowledge. On the contrary, it is radically different and even opposed to the knowledge gained through the quest. Retrospection, individualism and subjectivity characteristic of the Romantic period turns the pilgrimage a form of a spiritual quest. By focusing on the inner world of the hero and his attempt to widen his worldview, or better to say his sensibility, the Romantics present the quest as a means of penetration into the meaning of the world as well as the essence of human existence and creativity through the Romantic imagination.

References

Bloom (1970). The Internalization of Quest-Romance. In: *Romanticism and Consciousness: Essays in Criticism*, ed. Harold Bloom. NY: WW Norton.

Frye (2005). *Northrop Frye's Writings on the Eighteenth and Nineteenth Centuries*. Victoria University, University of Toronto, Canada.

Southerly, K, G. (2017). A Romantic Scientist in Percy Shelley's Alastor. In: *Romantic Rapports. New Essays on Romanticism across the Disciplines* Edited by Larry H. Peer, Christopher R. Clason, pp. 123-137.

Wordsworth, W. (1978). *The Prelude*. A Parallel Text. Ed. by J.C. Maxwell. Penguin Books.

ელენე გოგიაშვილი
Elene Gogiashvili

**ზღაპრის ლიტერატურული და
კინემატოგრაფიული ადაპტაციების როლი
ფოლკლორის სწავლების პროცესში**
**The Role of Literary and Cinematographic
Adaptations in the Process of
Teaching Folklore**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities



საკვანძო სიტყვები: ზღაპარი, მითოლოგია, კინო, მუსიკა,
ინტერმედიალობა.
Keywords: fairy tale, mythology, cinema, music, intermediality.

ზღაპრის ლიტერატურული და ვიზუალური მედიის ადაპტაციები ერთი შეხედვით გვიჩვენებს, რომ ზღაპარი XX-XXI საუკუნეებში მეტწილად დამოკიდებული გახდა მედიის მრავალფეროვნებასა და ინტერმედიალობაზე. უამრავი ზღაპარი სწორედ ვიზუალური და შერეული მედიის მრავალფეროვნებისგან შეიქმნა. ზღაპრის წარმატება ლიტერატურულ და მუსიკალურ ჟანრებში გამონვეულია მისი შესაძლებლობებით – უპასუხოს პუბლიკის გაზრდილ მოთხოვნებსა და მედიის გაფართოებულ ჰორიზონტს.

ტრადიციული ხალხური ზღაპარი სხვადასხვა კულტურაში მარტივ თხრობით სქემებზეა აგებული. შეზღუდული ფორმა და შინაარსი ფართოდ უხსნის კარს ფანტაზიას – მსგავსი სტრუქტურის, მსგავსი პერსონაჟის, მსგავსი მოქმედების, მსგავსი ფრაზეოლოგიის გამოყენებით დაუსრულებლად იქმნება ისტორიები. ზღაპრებში კოდირებულია კულტურული ინფორმაცია, ადამიანთა ტიპები (გმირები, მსხვერპლნი, ანტაგონისტები) და სიკეთე-ბოროტების დაპირისპირება, რაც განაპირობებს გმირების საქციელს. სწორედ ამიტომ ზღაპრის ინტერმედიალური შესწავლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია კულტურის ტრანსნაციონალური და სოციოისტორიული პროცესების შესწავლისათვის.

დღევანდელ საზოგადოებაში ზღაპარი არსებობს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი და ვიზუალური ფორმით, როგორც ფოლკლორული, ლიტერატურული, სასცენო და კინოჟანრი.

ტრადიციული ზღაპრის ტექსტების ანალიზი შესაძლებელია მათი მუსიკალური, სასცენო და კინოადაპტაციების მიხედვით, რამდენადაც კულტურული ანთროპოლოგიის ყურადღების ცენტრში მოექცა ეკონომიკური ბაზარი და მასთან ერთად კულტურის პროდუქტებისა და პრაქტიკის სტანდარტიზაცია. წიგნების, კომიქსებისა და ფილმების მეშვეობით, პოპულარიზებული ზღაპრების გარდა, მეცნიერებმა საკვლევ ობიექტად შემოიტანეს მათი ადაპტაციები, ტრანსფორმაციები და ეკონომიკური და სოციოპოლიტიკური მნიშვნელობა (Bendix 2008, 86-88).

ზღაპრის ინტერმედიალური კვლევა სხვადასხვა ასპექტს მოიცავს, მაგალითად: კულტურულ-ისტორიული საკითხები ზღაპრის ადაპტაციებში; ხალხური და ლიტერატურული ზღაპრის ადაპტაციები სხვადასხვა კინო და სასცენო ჟანრში (ოპერა, ბალეტი, საბავშვო თეატრი, კინო-მუსიკა, კინო-მიუზიკლი და მისთ.); ზღაპრის მუსიკალური რეპრეზენტაცია ინტერმედიალურ სივრცეში;

უცხოური წარმოშობის სიუჟეტთა თავისებურებები ამა თუ იმ ქვეყნის კულტურაში (მაგალითად, ძმები გრიმების, შარლ პეროსა და ანდერსენის ზღაპრების თეატრალური ადაპტაციები საქართველოში) და სხვ.

ზღაპრული სიუჟეტების მოდიფიკაციების შესწავლისთვის დასავლურ მეცნიერებაში სხვადასხვა მიდგომა შემუშავდა: თხრობის სოციოკულტურული კონტექსტი (Dégh 1994), ზღაპრის სოციოისტორიული და კულტურული ანალიზი (Zipes 2006), ხალხური ზღაპრისა და ლიტერატურული ზღაპრის ურთიერთმიმართება (Ziolkowski 2007; Anderson 2000), ზღაპრის ეკრანიზაციები და მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ადაპტაციები (Bacchilega 1997; Greenhill 2010; Bendix 1997).

ზღაპრის ინტერპრეტაციების შესწავლის თეორიული საფუძველია ზღაპრისა და მისი მუსიკალურ-სცენური რეცეფციებისა და ინტერპრეტაციების კრიტიკული შესწავლა, თუ რა როლს ასრულებენ ისინი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ფოლკლორის თხრობითი ჟანრების ინტერდისციპლინური შესწავლა მეტწილად განპირობებულია ამ დისციპლინათა მომიჯნავე საზღვრებით. ინტერდისციპლინური დიალოგი ფოლკლორისტიკაში ალან დანდესის დამსახურებაა, რომელიც ამ სხვადასხვა დარგთა მეთოდებს ფართოდ იყენებდა (Dundes 1965).

ფოლკლორისტიკაში ინტერდისციპლინურ და ინტერმედიალურ კვლევებს ახალი ცოდნა და გამოცდილება მოაქვს როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში. ტრადიციული ფოლკლორული ჟანრების – მითოლოგიის, ეპოსისა და ზღაპრების მათ ეკრანიზებულ თუ სასცენო ადაპტაციებთან ერთად შესწავლის მეთოდის გამოყენება შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამებში როგორც სწავლების მაღალ საფეხურებზე, ისე სკოლებში. ფილმები, ანიმაციები თუ კლასიკური ოპერა ჩართული შეიძლება იყოს როგორც საილუსტრაციო მასალად, ისე ტექსტის ანალიზისთვის. ეს მეთოდი არ ნიშნავს იმას, რომ სტუდენტი ამით შეისწავლის ფოლკლორული ჟანრის წარმოშობას და გავრცელებას, მაგრამ ეს მეთოდი დაარწმუნებს მას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ხალხური ტრადიციული ჟანრების ცოდნა შედარებითი მითოლოგიისა და კულტურულ-ისტორიული პროცესების გასაგებად. მაგალითად, მხედარ ქალთა თემის საერთაშორისო სიუჟეტურ კონტექსტში განხილვა, ქართული ფოლკლორუ-

ლი და კინოგმირების შედარება ამორძალთა მითებთან ან ჰუა მულანის ჩინურ თქმულებებთან ერთ-ერთი საშუალებაა განსხვავებულ კულტურათა შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად.

სწავლების ყველაზე რთული კომპონენტია სტუდენტისთვის რწმენის ჩანერგვა, რომ ის, რასაც სწავლობს, აქტუალური და საჭიროა. ფილმი, ანიმაცია და მუსიკა ამ შემთხვევაში მედიუმია მათთვის. ფილმები და ანიმაციები, რომლებიც ზღაპრულ და მითოლოგიურ მოტივებზე შეიქმნა, ეფექტს ახდენს მოსწავლეზე. მითოლოგიური და ზღაპრული ამბები, რომლებშიც მთავარი გმირი ასაკით მათივე ხნისაა, მოსწავლეს საკუთარი და უცხო კულტურათა გაცნობის ინტერესს აღუძრავს.

ლიტერატურა:

Anderson, G. (2000). *Fairytale in the Ancient World*. London/New York: Routledge, 2000.

Bacchilega, C. (1997). *Postmodern Fairy Tales: Gender and Narrative Strategies*. Philadelphia: University of Pennsylvania Press, 1997.

Bendix, R. (1997). *In Search of Authenticity: The Formation of Folklore Studies*. The University of Wisconsin Press, 1997.

Bendix, R. (2008). "Authenticity." *The Greenwood Encyclopedia of Folktales and Fairy Tales*, Vol. 1-3. Edited by Donald Haase. Greenwood Press, pp. 86-88.

Degh, L. (1994). *American Folklore and the Mass Media*. Bloomington, Indiana: Indiana University Press, 1994.

Dundes, A. (1965). *The Study of Folklore*. Prentice-Hall, Inc., Englewood Cliffs, N.J.

Greenhill, P., Matrix, S. E. (eds.). (2010). *Fairy Tale Films: Visions of Ambiguity*. University Press of Colorado; Utah State University Press, 2010.

Zipes, J. (2006). *Why Fairy Tales Stick: the evolution and relevance of a genre*. New York/London, Routledge.

Ziolkowski, J. (2007). *Fairy Tales from Before Fairy Tales. The Medieval Latin Past of Wonderful Lies*. Michigan, The University of Michigan Press.

As we gather from engagements of fairy tales with literary adaptations and visual media in general, the fairy tale became, particularly in the twentieth and twenty-first centuries, highly dependent upon a great variety of media and intermediality. Many of the fairy tales drew on and were conditioned by a great variety of visual and mixed media. The

success of fairy tales as literary and musical genres was at least partly due to their ability to make use of and respond imaginatively to the interests and daily lives of a growing mass-reading public and the needs of expanding and diversifying media.

The narrative structure of folktales has been the subject of much speculation. Folktales drawn from a single culture, or group of related cultures, seem to be built upon a small set of patterns. Such restriction in form and content is at the very least intriguing; it is especially interesting in light of mankind's ability to tell almost any kind of story with an infinite variation of setting, character, plot, and phrasing. Folktales encode cultural information that includes, for example, the basic types of people (heroes, villains, antagonists), the good and bad things that happen, or what constitutes heroic behaviour and its rewards. Thus, intermedial study of fairy tales is one of the important aspects to examine the transnational and sociohistorical processes in culture.

In modern society, a fairy tale exists in oral, written and visual forms as a genre of folklore, literature and stage.

Traditional fairy tale texts could be analyzed in terms of their musical, scenic and screen adaptations as "Cultural scholarship began to include the market and with it the commoditization of cultural goods and practices as an important facet of local and global life. Rather than condemning folktales, legends, and other genres popularized in books, comics, films, and so forth, scholars began to include the study of adaptations and transformations and their underlying economic and sociopolitical intentions." (Bendix 2008, 86-88).

Intermedial research of fairy tales includes various aspects, for example, cultural-historical aspects in the process of study of musical and scenic adaptations of fairy tales; adaptations of fairy tales, both folktales and literary fairy tales, in various cinematographic and scenic genres (opera, ballet, children's theatre, cinema music, musical, animation); representation of fairy tales in intermedial space; characteristics of the foreign plots and their reception in various cultural spaces (for example, stage adaptations of the fairy tales of Grimm Brothers, Charles Perrault and Hans Christian Andersen).

The study of modifications of the folk narratives is based on the methods which are well experienced and adapted in the different studies of the Western scholars: sociocultural interactions of storytelling

(Dégh 1994), sociohistorical and cultural analysis of fairy tales (Zipes 2006), interconnections between the oral folk tale and the literary fairy tale (Ziolkowski 2007; Anderson 2000), fairy tale films and musical-cho-reographic adaptations (Bacchilega 1997; Greenhill 2010; Bendix 1997). The theoretical background for the study of interpretation of fairy tales is based on the critical study of myths, fairy tales, and their musical recep-tions and interpretations from the perspective of social roles within the ongoing civilizing processes. The study of narrative genres of fol-klоре in interdisciplinary context is shaped in good part by the idea that conventional boundaries between the disciplines are breached. This cross-disciplinary approach has also been encouraged by larger trends within the academy. Interdisciplinary conversations had also been urgently suggested on more than one occasion by Alan Dundes, who correctly maintained that each discipline could learn from the other's methods, (Dundes 1965)

Interdisciplinary and intermedial studies create new fundamental knowledge and bring important novelty to folkloristics.

The method of teaching traditional folklore genres, mythology, epics and fairy tales in the context of their cinematographic or stage versions, can be useful in the education programmes of universities as well as middle schools. Using films, animations or classical opera to energize the study of folklore as well as comparative mythology. The method does not lead students first to study in a detached way how epic or folktale is received through the ages but to recognize that some universal stories have a profound effect on all cultures (for example, the theme of the horsewomen in Georgian folklore and cinema in the context of international stories of warrior women such as Amazons and Hua Mulan). The comparison of similar stories from different cultures can illuminate both national and international sides in ways otherwise impossible.

Often, the most difficult part of teaching traditional folklore involves helping students to believe that what they are studying is worth their attention. Film, animation and music are mediums for students. Films and animations based on mythological or fairy-tale motifs do have effects on young audiences. These stories with their young protagonists take children into the world of myth, legend, and fairy tale, and next to them, they learn some fragments of the cultural history of the world.

References

- Anderson, G. (2000). *Fairytales in the Ancient World*. London/New York: Routledge, 2000.
- Bacchilega, C. (1997). *Postmodern Fairy Tales: Gender and Narrative Strategies*. Philadelphia: University of Pennsylvania Press, 1997.
- Bendix, R. (1997). *In Search of Authenticity: The Formation of Folklore Studies*. The University of Wisconsin Press, 1997.
- Bendix, R. (2008). "Authenticity." *The Greenwood Encyclopedia of Folktales and Fairy Tales*, Vol. 1-3. Edited by Donald Haase. Greenwood Press, pp. 86-88.
- Degh, L. (1994). *American Folklore and the Mass Media*. Bloomington, Indiana: Indiana University Press, 1994.
- Dundes, A. (1965). *The Study of Folklore*. Prentice-Hall, Inc., Englewood Cliffs, N.J.
- Greenhill, P., Matrix, S. E. (eds.). (2010). *Fairy Tale Films: Visions of Ambiguity*. University Press of Colorado; Utah State University Press, 2010.
- Zipes, J. (2006). *Why Fairy Tales Stick: the evolution and relevance of a genre*. New York/London, Routledge.
- Ziolkowski, J. (2007). *Fairy Tales from Before Fairy Tales. The Medieval Latin Past of Wonderful Lies*. Michigan, The University of Michigan Press.

ირინე დემეტრაძე
Irine Demetradze

გარე მოვაჭრეთა დისკურსის
ლინგვისტური თავისებურებები
(ინგლისური და ქართული ენების მასალაზე)
**The Linguistic Peculiarities of the Discourse of
Street Vendors
(On the Material of English and Georgian
Languages)**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities*



საკვანძო სიტყვები: დისკურსი, გარე მოვაჭრე, სამეტყველო აქტები,
ლინგვისტური მახასიათებლები.

Keywords: discourse, street vendors, speech acts, linguistic peculiarities.

ნაშრომის მიზანია გარე მოვაჭრეთა დისკურსის ლინგვისტური მახასიათებლების კვლევა ინგლისურ და ქართულ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით. მოცემული მასალა მოპოვებულია ინტერნეტწყაროებიდან და ცოცხალი მეტყველებიდან. ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს სამეტყველო აქტების თეორია და გრაისის კოოპერაციის პრინციპი. გარე მოვაჭრეთა დისკურსის თავისებურებები განხილულია სოციოლინგვისტიკისა და პრაგმატიკის კუთხით. როგორც კვლევამ აჩვენა, ინგლისურ და ქართულ გარე მოვაჭრეთა შედახილებში მრავალი მსგავსი დისკურსული მახასიათებელია. თუმცა, ცხადია, ამ საანალიზო ენებს შორის გამოვლინდა გარკვეული განსხვავებებიც, რადგან ქუჩის მოვაჭრეთა შედახილებზე კულტურული, ეკონომიკური და ყოფითი განსხვავებები აისახება. გარდა ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისურ ქუჩის მოვაჭრეთა შედახილების ნიმუშები ძირითადად მე-19 საუკუნის მაგალითებია, ხოლო ქართველ გარე მოვაჭრეთა დისკურსის ნიმუშები აღებულია თანამედროვე ყოფიდან. ეს არჩევანი, ბუნებრივია, შესაბამისი ექსტრალინგვისტური ფაქტორებითაა განპირობებული. მიუხედავად ზემოჩამოთვლილი განსხვავებებისა, ორივე საანალიზო ენასთან მიმართებით გამოიკვეთა ქუჩის მოვაჭრეთა დისკურსის შემდეგი საერთო ლინგვისტური მახასიათებლები: პროდუქტის სახელის გამეორება, სპეციფიკური ინტონაცია, ხმოვნების დაგრძელება/გამღერება, კითხვითი ფორმების გამოყენება, პროდუქტის წარმოშობისა და ხარისხის ხაზგასმა, აქცენტის გაკეთება ხელმისაწვდომ ფასზე და მყიდველის ყურადღების მიქცევა შორისდებულების მეშვეობით.

ლიტერატურა:

Austin, J. (1962). *How to Do Things with Words: The William James Lectures delivered at Harvard University in 1955, 1962* (eds. J. O. Urmson and Marina Sbisa), Oxford: Clarendon Press. ISBN 0-674-41152-8

Elgin, S. (1990). *The Gentle Art of Verbal Self-Defense*. Prentice Hall, Business and Professional Division <https://www.sellingpower.com/2010/02/02/-3487/turn-the-power-of-linguistics-into-sales-magic> (ნახვა: 14 მაისი, 2023).

Goksdze L., Mamatsashvili N., Gigineishvili M. (2019). *An Advanced Course in Current English Grammar. Volume I, Revised by Nana Mamatsashvili*. Tbilisi.

Grice H.P (1975). *Logic and Conversation*. pp. 41-58 in *Syntax and Semantics 3: Speech Acts*, edited by P. Cole and J. J. Morgan. New York, NY: Academic Press.

Holleran C. (2012). *Shopping in Ancient Rome*. Oxford University Press.

Rusni (2020). *The Speech Acts of Sellers and Buyers in The Gelumbang Village Market, Gelumbang District, Muara Enim Regency*. Jurnal Pendidikan Bahasa dan Sastra Indonesia, Volume 1 Number 7 April 2020. Page 1-5 p-ISSN: 2477-5924 e-ISSN: 2477-4878. Retrieved from file:///C:/Users/Ira/Desktop/-admin,+pdf.+RUSNI.pdf (17.05.2023).

Searle, J. R. (1969). *Speech acts: An Essay in the Philosophy of Language*. Cambridge: Cambridge University Press.

The aim of the paper is to analyze the linguistic peculiarities of the discourse of street vendors based on the English and Georgian empirical material. The data have been obtained from internet-sources and live speech. The theoretical framework of the paper is speech acts theory and Grice's cooperation principle. The discourse of street vendors is analyzed from the sociolinguistic and pragmatic viewpoints. Research has proved that the cries of street vendors in Georgia and English-speaking countries reveal numerous similarities. Naturally, there are certain differences caused by cultural, social and economic peculiarities. Besides, the English-language street cries analyzed in the paper are mostly examples of the 19th century, whereas the examples of discourse of the Georgian criers are obtained from modern reality. Naturally, this choice is based on corresponding extralinguistic factors. Despite the above-mentioned differences, with regard to the two languages under analysis, research has revealed numerous common linguistic features: repetition of the product's name, specific intonation patterns, lengthening/chanting of the initial or final vowels, the use of interrogative forms, emphasis on the quality, origin and low price of the product and attracting of the buyers' attention by means of specific interjections.

References

Austin, J. (1962). *How to Do Things with Words: The William James Lectures delivered at Harvard University in 1955, 1962* (eds. J. O. Urmson and Marina Sbisa), Oxford: Clarendon Press. ISBN 0-674-41152-8

Elgin, S. (1990). *The Gentle Art of Verbal Self-Defense*. Prentice Hall, Business and Professional Division. Retrieved from <https://www.sellingpower.->

com/2010/02/02/3487/turn-the-power-of-linguistics-into-sales-magic) (seen on May 14, 2023).

Goksdze L., Mamatsashvili N., Gigineishvili M. (2019). *An Advanced Course in Current English Grammar. Volume I, Revised by Nana Mamatsashvili*. Tbilisi.

Grice H.P (1975). *Logic and Conversation*. pp. 41–58 in *Syntax and Semantics 3: Speech Acts*, edited by P. Cole and J. J. Morgan. New York, NY: Academic Press.

Holleran C. (2012). *Shopping in Ancient Rome*. Oxford University Press.

Rusni (2020). *The Speech Acts of Sellers and Buyers in The Gelumbang Village Market, Gelumbang District, Muara Enim Regency*. Jurnal Pendidikan Bahasa dan Sastra Indonesia, Volume 1 Number 7 April 2020. Page 1-5 p-ISSN: 2477-5924 e-ISSN: 2477-4878. Retrieved from file:///C:/Users/Ira/Desktop/-admin,+pdf.+RUSNI.pdf (seen on 17.05.2023).

Searle, J. R. (1969). *Speech acts: An Essay in the Philosophy of Language*. Cambridge: Cambridge University Press.

მამუკა დოლიძე
Mamuka Dolidze

პოსტმოდერნული ჰიპერრეალობა
Postmodern Hyperreality

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities



საკვანძო სიტყვები: პოსტმოდერნული, ჰიპერრეალობა, ჰაიდეგერი.
Keywords: postmodern, hyperreality, Heidegger.

სარეკლამო სიმბოლოთა და ნიშანთა განუსაზღვრელმა გამრავლებამ უსაზრისობა და აბსურდი დაამკვიდრა თანამედროვე სამყაროში ინფორმაციის გადაჭარბებულმა გამრავლებამ ადამიანის აზრი კი არ განავითარა, უაზრობის და უსაზრისობის სიტუაცია შექმნა დაიმსხვრა კლასიკური წესრიგი და სილამაზის ესთეტიკა.

არსებული რეალობა კი არ გაუფერულდა, პირიქით, უფრო მკვეთრი, უფრო საშინელი, უფრო გაზვიადებული და უფრო რეალური გახდა.

პოსტმოდერნული რეალობა იქცა ჰიპერრეალობად, თავისი თვალისმომჩრელი და შემადრწუნებელი ეფექტებით.

გაჩნდა **სიმულაკრი** – უსაგნო, უმისამართო იმიტაციის თავისთავადი ფენომენი.

ამ სიტუაციას ეხმაურება ჰაიდეგერის შეხედულება ხელოვნების ნაწარმოების შესახებ.

დედამიწა და სამყარო ხელოვნების ფენომენის ორი განმსაზღვრელი ძალაა.

მაგრამ ჰაიდეგერის ახალი ონტოლოგიის პერსპექტივით, პოსტმოდერნული რეალობის საბაზრო ეკონომიკა გვისახავს ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ახალ ჰორიზონტს.

პოსტმოდერნული რეალობა ეს ის რეალობაა რომელიც ინფორმაციული საზოგადოების კულტურიდან იძენს თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მასმედიის უახლეს საშუალებათა მოზღვავებამ და კომპიუტერის გაბატონებამ შემოიტანა რეკლამების, სიმბოლოების, იმიჯების, ათასნაირი ნიშნების, იმიტაციების ქაოსი ჩვენს ცხოვრებაში. პარადოქსია, მაგრამ ნაცვლად მონესრიგებისა, სარეკლამო სიმბოლოთა და ნიშანთა განუსაზღვრელმა გამრავლებამ უსაზრისობა და აბსურდი დაამკვიდრა თანამედროვე სამყაროში. ინფორმაციის გადაჭარბებულმა გამრავლებამ ადამიანის აზრი კი არ განავითარა, უაზრობის და უსაზრისობის სიტუაცია შექმნა. ამ სიტუაციას შეეწირა კლასიკური წესრიგი და სილამაზის ესთეტიკა. ამ პროცესის შედეგად, არსებული რეალობა კი არ გაუფერულდა, პირიქით, უფრო მკვეთრი, უფრო საშინელი, უფრო გაზვიადებული და უფრო რეალური გახდა. პოსტმოდერნული რეალობა ფაქტიურად ჰიპერრეალობაა, თავისი თვალისმომჩრელი და შემადრწუნებელი ეფექტებით.

მოხდა კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი. გადასხვაფერდა პლატონის მიმეზისის თეორია, რომლის თანახმად, ჩვენი რეალობა იდეათა სამყაროს მიბაძვას და ანარეკლს წარმოადგენდა. თუკი ოდითგანვე არსებობდა გარკვეული მიმართება ორიგინალსა და მიბაძვას შორის, კომპიუტერულ ჰიპერრეალობაში ორიგინალი საერთოდ დაიკარგა და დარჩა მხოლოდ მიბაძვა. თუმცა ამ შემთხვევაში ძნელი სათქმელია, რისი მიბაძვაა ეს. ჰიპერრეალობა ვედარაფერს პოულობს, როგორც სანიმუშოს და მისაბაძს. ასლებმა, წარმოდგენებმა, უსაზრისო ნიშნებმა და უსაგნო სიმბოლოებმა იმდენად დაიპყრეს ადამიანური სამყარო, რომ ზღვარი დაიკარგა მისაბაძსა და მიმბაძველს შორის. სიცოცხლის თვითშენახვის ინსტიქტი, რაც თავისუფალი იმიტაციის სასწაულს ემყარებოდა, ამჟამად მოისპო. გაუგებარია, რის იმიტაციას შეადგენენ აზრობრივ საფუძველს მოკლებული, ჰაერში მოფარფატე სარეკლამო ნიშნები, რომელთაც დაუკარგავთ საკუთარი არსი და თავიანთ სლოგანურ ძალაუფლებას უკიდურესად გამძაფრებული მანიფესტაციის გზით ამკვიდრებენ. საზღვარი დაკარგულია ცხადსა და სიზმარს, აზრსა და უაზრობას, ყოფნასა და არყოფნას შორის. ამ პოსტმოდერნულ განწყობილებას მარტინ ჰაიდეგერის ახალი ონტოლოგიაც ეხმაურება, რომლის თანახმად ყოფიერება ემყარება არარას, რის გამოც ყოველივე ყოფიერი მოკლებულია არსებობის სიღრმისეულ საფუძველს.

ინდუსტრიულ საზოგადოებაში, ადამიანის გაუცხოების მიუხედავად, ჯერ კიდევ მოქმედებდა სიცოცხლის ინსტინქტი და იმიჯების, წარმოდგენების, სიმბოლოების თამაში არსებული სინამდვილის სიმულაციას შეადგენდა.

კულტურის ინდუსტრიაში ობიექტური სანამდვილე საერთოდ დაიკარგა და სიცოცხლეს მონყვეტილმა, ობლად დარჩენილმა წარმოდგენების სამყარომ თავად განიცადა ობიექტივაცია, გაზვიადებული ჰიპერრეალობის სახით. როგორც ფრანგი სოციოლოგი ბოდრიარი შენიშნავს, ქვეყანა გასართობ „დისნეილენდად“^{*} იქცა, სადაც სანახაობამ, რეკლამამ, პაროდიათ, ფანტასმაგორიამ შეიძინა ნამდვილ (უფრო ზუსტად, სინამდვილეს აღმატებულ) მოვლენათა სტატუსი. (1) სიმულაციის პროცესი წარსულს ჩაჰბარდა და გაჩნდა უარესი – **სიმულაკრი**, რაც უსაგნო, უმისამართო იმიტაციის თავისთავად ფენომენს შეადგენს.

ეს ყოველივე ის უარყოფითი მომენტებია, რომლებიც კულტურის ინდუსტრიის თანმხლებია. სწორედ ამიტომ განიცდის თეოდორ ადორნო პოსტმოდერნულ რეალობას, როგორც ადამიანური სამყაროს დასასრულს. მაგრამ თუ გავიზიარებთ ჰაბერმასის კომუნიკაციური მოქმედების თეორიას, ვფიქრობთ, შეიძლება კვლავ დავუბრუნდეთ პოსტმოდერნული კულტურის პოზიტიურ შეფასებას.

ამ მიზნით შევეხოთ ჰაიდეგერის შეხედულებას ხელოვნების ნაწარმოების შესახებ. (2) ორი რამ განსაზღვრავს ხელოვნების ფენომენს – დედამიწა და სამყარო.

დედამიწის ზემოქმედების გამო ხელოვნების ქმნილების ეგზისტენციალური საფუძველია მისი ნივთობრიობა. კლასიკურ ხელოვნებაში მასალა იყო ისეთი რამ, რაც დაძლეული უნდა ყოფილიყო მხატვრულ ნაწარმოებში. ნივთობრიობა, ანუ მასალა, იყო მხოლოდ გამოსახვის საშუალება და არა შემოქმედების მიზანი. ჰაიდეგერმა, მოდერნული და პოსტმოდერნული ხელოვნების ფილოსოფოსმა, შეცვალა ეს დრომოქმული მოდელი. გამოსახვის საშუალება, მასალა თავად იქცა მიზნად. თანამედროვე მხატვარი ფერით კი არ ხატავს, თვითონ ფერს გამოხატავს; მუსიკოსი ბგერის ჟღერადობას აქცევს კომპოზიციის მიზნად; ცნობიერების ნაკადის მწერალი სიტყვით კი არ ამბობს სათქმელს, თვით სიტყვას ანიჭებს ავტონომიას, თავად მოიტანოს სათქმელი.

რაც შეეხება ხელოვნების მეორე ფაქტორს, სამყაროს, მისი ზემოქმედების ძალით მხატვრულ ქმნილებაში, ნივთობრიობა, ანუ ყოფიერება, ამეტყველებდა ადამიანის შემოქმედებითი ძალისხმევით. შემოქმედის თანდასწრება გვაძლევს მხატვრული მასალის ალაპარაკების საშუალებას. ადამიანი ხელოვნების ნაწარმოებს კი არ ქმნის, არამედ ქმნის იმ სუბიექტურ პირობებს, რომლის საფუძველზე მხატვრული მასალა, როგორც ყოფიერების განსაკუთრებული სახე, თავად იწყებს მეთყველებას და თვითგამოსახვას.

ძალიან წააგავს ჰაიდეგერის ეს ესთეტიკური ონტოლოგია სიტუაციას, რომელიც შეიქმნა კულტურის ინდუსტრიაში. ქაოსი, რომელიც თან ახლავს XXI საუკუნის ჰიპერრეალობას, ამ აზრით, პოზიტიური მოვლენაა. სიმულაკრი ნარმოდგენისა და არსის ინტეგრაციას ნიშნავს. სიმულაკრი არის უფრო რეალური, ვიდრე თავად რეალური მოვლენა, რადგან ის თავის იდეასაც მოიცავს

საკუთარ ფენომენტან ერთიანობაში. მართალია ეს განსხვავებულთა (იდეისა და მოვლენის) ერთიანობაა, მაგრამ სწორედ აქ ვლინდება სიცოცხლის გამოვლენის უზუნაესი პრინციპი, განსხვავებულთა მსგავსებისა და მათი განუყოფელი ინტეგრაციის შესახებ.

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ პოსტმოდერნში სიმულაკრის გზით ხელოვნებისა და კულტურის ახალი ჰორიზონტო იხსნება კაცობრიობის წინაშე. ორიგინალს მოკლებული მიმეზისი და იმიტაცია ხელოვნების და ზოგადად ყოფიერების თვითინტერპრეტაციას ნიშნავს. მიბაძვა, ინტერპრეტაცია თავად იძენს არსობრივ მნიშვნელობას და გვიჩვენებს მიმეზისის წმინდა ფენომენს, როგორც ქაოსიდან სიცოცხლის აღმოცენების იდეალურ საწყისს.

Postmodern reality in which we live represents the hyper-reality thanks to exaggeration role of signs, empty symbols, advertisements, attractions, scare effects of horror films.

The sense and the beauty of classical aesthetics seems to be destroyed by the nonsense and absurdity of contemporary world.

Theodor Adorno treats these dreadful issues of postmodern culture as a punishment of mankind by God for the rejection of religious values.

Adorno speaks about the estrangement of natural “Mimeses”. In the previous social formations the act of imitation implied two points: the original object and the copy of the same one.

In our devastated culture the original object is lost and the aimless imitation begets the “Simulacrum” that means the “copy in itself” without original ground underneath.

These are the negative results of Postmodern hyper-reality basing on the wrong development of enlightenment philosophy versus the eternal values of Christian belief.

ნინო ეჯიბაძე
Nino Ejibadze

არაბული *jinās* جناس
The Arabic *jinās* جناس

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities



საკვანძო სიტყვები: არაბული, მჭევრმეტყველება, პარალელიზმი,
jinās.

Keywords: Arabic, oratory, parallelism, *jinās*.

სიტყვა jinās جاسج თარგმნით ლექსიკონებში განმარტებულია, როგორც „მსგავსება, თანაჟღერადობა; სიტყვათა თამაში, პარონომაზია“. საკუთრივ არაბულ განმარტებით ლექსიკონებში – როგორც „ორი სიტყვის სრული თანხვედრა ბგერათშედგენილობაში მნიშვნელობის სხვაობასთან ერთად“. ეს ორი განმარტება, არაბული და დასავლური (როგორც, სხვათა შორის, გრამატიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ზოგ სხვა საკითხშიც ხდება), ერთმანეთის მიმართ განსხვავებულია. ამიტომ, საინტერესოა, რა არის jinās جاسج და რა ადგილი უკავია მას არაბულ ლიტერატურულ და ლინგვისტურ სივრცეში.

ზოგადად, არაბული თვითგამოხატვის განუყოფელი ნაწილია მჭევრმეტყველება. ამ ფენომენს არაბულში balāḡa بَلَاغَة ეწოდება და იგი ცალკე შესწავლის საგანია. მჭევრმეტყველების ერთი გამოვლინებაა პარალელიზმი, რომელიც არაბულში მთელი დადასტურებული დიქციონარის მანძილზე ძალიან გავრცელებული იყო და გამოვლინების სხვადასხვა სახეები აქვს. ალბათ, მართებული უნდა იყოს jinās جاسج -ის მხატვრული ხერხის მასთან ასოცირება.

ძნელია ამ ტერმინის ცალსახა შესატყვისის მოძებნა სხვა ენაში, რადგანაც jinās جاسج-ი კომპლექსური ფენომენია; მისი სხვადასხვა სახეობა მიესადაგება სხვადასხვა მოვლენას: ომონიმიას, ზმას, სიტყვათა თამაშს, ზოგჯერ ჭირს ზუსტი ადეკვატის მისადაგება; ამასთანავე, jinās جاسج-ის ყველა ვარიაცია, ამა თუ იმ ფორმით, პარალელიზმის ნაირსახეობაა.

მოხსენებაში სათანადო საილუსტრაციო მასალის ბაზაზე განალიზებული იქნება jinās جاسج -ის შემდეგი სახეობები: ა) სრული და ბ) ნაკლოვანი. მათ შორის:

ა) სრულში გამოიყოფა ისეთი ვარიანტი, როდესაც არა მხოლოდ ბგერითი შედგენილობა, არამედ სეგმენტირებაც იდენტურია (ომონიმია) და, ისეთი, რომელიც ერთი ბგერითი შედგენილობის ფარგლებში განსხვავებულ სეგმენტირებაზე აიგება (ზმა).

ბ) ნაკლოვანში გამოიყოფა ისეთი შემთხვევები, რომლებიც გულისხმობენ მინიმალურ განსხვავებას ბგერათშედგენილობაში (მინიმალური წყვილები); ისეთი, სადაც ბგერათა შედგენილობა ერთნაირია, მაგრამ რიგითობაა განსხვავებული; და, ისეთი, სადაც მინიმალურ წყვილებს შორის განსხვავებას ქმნის მიახლოებული საწარმოთქმო ორგანოების მიერ წარმოებული ბგერები.

In translation dictionaries, the word *jinās* جناس is explained as “assonance, pun, paronomasia”; in Arabic explanatory dictionaries— as “complete correspondence of two words in sound composition with a difference in meaning~. These two definitions, Arabic and Western (as, incidentally, it often happens in other issues of grammar and literary theory), differ from each other. Therefore, it is interesting to discuss what *jinās* جناس is and what place it occupies in the Arabic literary and linguistic space.

In general, oratory, eloquence is an integral part of Arabic self-expression. This phenomena is called *balāġa* بلاغة in Arabic and is the subject of a separate study. One of the manifestations of eloquence is parallelism, which is very common in the Arabic language throughout the entire confirmed diachrony and has various forms of manifestation. Perhaps it would be correct to associate the artistic technique of *jinās* جناس with it.

It is difficult to find an exact equivalent of this term in another language because *jinās* جناس is a complex phenomenon; different types of it correspond to different phenomena; at the same time, all types of *jinās* جناس represent some variations of parallelism.

Based on the relevant illustrative material, the paper will analyze the types of Arabic *jinās* جناس.

ანასტასია ზაქარიადე
Anastasia Zakariadze

ექსისტენციალიზმის რეცეფცია ამერიკულ
ფილოსოფიაში
The Reception of Existentialism in American
Philosophy

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities*



საკვანძო სიტყვები: ამერიკული ექსისტენციონალიზმი,
პრაგმატიზმის ფილოსოფია, „სარგებლიანი არჩევანი“.
Keywords: American existentialism, the philosophy of pragmatism, “useful
choice”.

ამერიკულ ფილოსოფიაში ექსისტენციალისტურ ქრილში პრობლემების კვლევა არ წარმოადგენს პრიორიტეტულს. მიუხედავად ამისა, ამერიკული ფილოსოფია ცდილობს, განთავისუფლდეს აკადემიურ სივრცეში დამკვიდრებული შეხედულებისგან, რომ ექსისტენციონალიზმი პოსტმსოფლიო ომისდროინდელი ევროპული სიტუაციის მახასიათებელი ხედვაა, და ცდილობს მის განხილვას ამერიკული რეალიისადმი უმნიშვნელოვანესი გამოწვევის კუთხით.

თანამედროვე ამერიკელი ექსისტენციალისტები, ფილოსოფოსები: ჰეიზელ ბარნესი, უილიამ ბარეტი და სხვ. საინტერესო და ორიგინალურ მიდგომას გვთავაზობენ. ისინი ცდილობენ „კლასიკოს“ ევროპულ ექსისტენციალისტთა მიერ შემუშავებული პლატფორმისგან განსხვავებული, ახლებური ხედვის შემოთავაზებას. ესაა პრაგმატიზმის ფილოსოფიის განწყობების ექსისტენციონალიზმის ტერმინებით გადმოცემის მცდელობა.

ევროპული ექსისტენციონალიზმის რეცეფცია ამერიკულ ფილოსოფიურ ველზე თავს იჩენს „სარგებლიანი არჩევანის“ მოდელის დიზაინის სახით. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ემყარება ადამიანის მიერ თავისუფალი ნებით მიღებულ არჩევანს, რომელიც მისი ინდივიდუალური ბუნებიდან, ინდივიდუალური „მე-დანაა“ მომდინარე და არ არის დამოკიდებული არანაირ ვალდებულებებსა თუ პასუხისმგებლობაზე. იზიარებენ რა ძირითად ექსისტენციალურ პოზიციას, რომ პერმანენტული კრიზისის მდგომარეობაში მყოფი ინდივიდი განიცდის შიშს, შფოთსა და სასოწარკვეთილებას, და რომ ეს გრძნობები ადამიანის არსებობის ნიშანია, ამერიკელი ექსისტენციალისტები მთავარ აქცენტს სვავენ ადამიანის მიერ არჩევანის თავისუფლებაზე, რომელიც კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციებზეა დამოკიდებული. ხოლომორალური არჩევანის ანალიზისას ისინი იზიარებენ გონივრული ეგოიზმის ეთიკის პლატფორმას.

ხოლო ამერიკული მხატვრულ-ესთეტიკური გონი სრულად იღებს ექსისტენციალური კრიზისისა და გაუცხოების ევროპულ გაგებას.

In American philosophy, researching problems from an existential point of view is not a priority. Nevertheless, American philosophy

tries to free itself from the opinion established in the academic space that existentialism is the view characteristic of the postwar European situation and instead seeks it within the history of American philosophy and views it as a rigorous and important challenge to realities of Americans.

Contemporary American existentialists, philosophers: Hazel Barnes, William Barrett and others try to enter existentialism into the vocabulary of American thought and culture. They offer an interesting and original approach, a new vision, different from the platform developed by the "classical" European existentialists. This is an attempt to convey the philosophy of pragmatism with the terms of existentialism.

The reception of European existentialism on the field of American philosophy manifests itself in the design of the "useful choice" model. The latter, in turn, is based on a choice made by a person's free will, which comes from his/her individual nature, individual "self" and does not depend on any obligations or responsibilities. Sharing the basic existential position that an individual in a state of permanent crisis experiences fear, anxiety, and despair, and that these feelings are a sign of human existence, American existentialists emphasize the freedom of human choice that depends on specific life situations. While analyzing moral choice, they share the platform of the ethics of rational egoism.

And the American aesthetical-artistic mind fully accepts the European understanding of existential crisis and alienation.

სარდიონ ზედელაშვილი
Sardion Zedelashvili

კავკასიის ალბანელების გასომხების
პრობლემა შუა საუკუნეებში
The Problem of Armenization of the
Caucasian Albanians in the Middle Ages

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities



საკვანძო სიტყვები: ალბანეთი, სომხური დოკუმენტური წყაროები,
დეეთნიზაცია.

Keywords: Albania, Armenian documentary sources, de-ethnicization.

მოხსენებაში განხილულია ალბანეთი, როგორც კავკასიის უძველესი სახელმწიფო, მდებარე თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, რომლის ეთნიკურ შემადგენლობას (გელებს, ლეგებს, კასპიებს) განიხილავს უძველესი ანტიკური წყაროები. მოხსენებაში განხილულია სომხურ ენაზე შექმნილი უძველესი წყაროები ალბანეთის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის თვალსაზრისით. ახსნილია მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს ალბანელთა დეეთნიზაცია. დეეთნიზაციის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად დასახელებულია დიდი იმპერიების ქმედებანი ალბანელების მიმართ. ეს იმპერიები (სპარსეთი, არაბეთის სახალიფო) ალბანელთა დეეთნიზაციის განსახორციელებლად იყენებდნენ სომხებს, ანიჭებდნენ მათ უპირატესობას კონფესიური ნიშნით. განხილულია ალბანურ ენაზე შექმნილი წყაროების სომხურად ტრანსფორმაციის მიზეზები.

The report discusses Albania as an ancient state of the Caucasus, located on the territory of modern Azerbaijan, whose ethnic composition (Gaels, Legs, Caspians) is discussed in ancient sources. It examines the ancient sources created in the Armenian language from the point of view of the political and socio-economic history of Albania and explains the reasons that led to the de-ethnicization of the Albanians. One of the main reasons for de-ethnicization is the actions of the great empires towards the Albanians. These empires (Persia, Caliphate of Arabia) used Armenians to de-ethnicize the Albanians, favoring them on confessional grounds. The reasons for the transformation of sources created in the Albanian language into Armenian are also discussed.

აპოლონ თაბუაშვილი
Apolon Tabuashvili

ზოგიერთი დეტალი გეორგიევსკის
ტრაქტატთან დაკავშირებით
Some Details Regarding the
Treaty of Georgievsk

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities*



საკვანძო სიტყვები: ტრაქტატი, ერეკლე II, მეფედ კურთხევა,
ტიტულატურა.

Keywords: treaty, Erekle II, coronation, titlature.

მოხსენებაში განხილულია გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებული ორი ნაკლებად შესწავლილი დეტალი. კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია მეფედ კურთხევის საკითხსა და ერეკლე II-ის ტიტულატურაზე.

როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერატორმა ქართლ-კახეთის სამეფოსთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის საბოლოო ვარიანტი 1783 წლის თებერვალში დაამტკიცა, ხოლო იმავე წლის მაისის შუა რიცხვებში ერეკლე II-ს წარუდგინეს. ქართლ-კახეთის მეფემ პროცესი დაახლოებით თვე-ნახევრის განმავლობაში შეაფერხა. საქმე ის იყო, რომ სწორედ იმ პერიოდში გავრცელდა ცნობა ყირიმის სახანოს ლიკვიდაციისა და რუსეთის იმპერიასთან მიერთების შესახებ. როგორც ჩანს, ამ ფაქტმა მეფე ძალიან დააფიქრა და ახალი პირობა წამოაყენა – მან მოითხოვა ხელშეკრულებაში ქართველი მონარქების მეფედ კურთხევის უფლების ასახვა. საარქივო დოკუმენტებით დასტურდება, რომ 1783 წლის ივნისის ბოლოს გაგზავნილი წერილით ერეკლე II სამეფოს მოუშლელი დამატებით გარანტიას ითხოვდა. კავკასიის ხაზის მთავარსარდალ პავლე პოტიომკინს იმპერატორის ნებართვის გარეშე ხელშეკრულებაში მისი შეტანის უფლება არ ჰქონდა. შესაბამისად, მან მხოლოდ სიტყვიერი დაპირება გასცა სამომავლოდ აღნიშნული მუხლის დამატების შესახებ. ამ ფაქტის გამო ერეკლე II აშკარად უკმაყოფილო დარჩა და ქართული დელეგაციის სამშობლოში დაბრუნებისთანავე პეტერბურგში თავისი წარმომადგენელი სულხან თუმანიშვილი გაგზავნა. ამჯერად ერეკლე მეფედ კურთხევის საკითხის ტრაქტატში ასახვას კატეგორიულად ითხოვდა. საბოლოოდ, 1783 წლის სექტემბერში, რუსეთის იმპერატორმა ერეკლე II-ის დაჟინებული მოთხოვნა დააკმაყოფილა. დაინერა დამატებითი მუხლი, რომლის მიხედვით ქართველ მონარქებს მეფედ კურთხევის ნება მიეცათ. აღნიშნული მუხლით ერეკლე II-მ რუსეთის მთავრობისაგან ხელშეკრულების დონეზე თავისი სამეფოს მოუშლელი კიდევ უფრო მყარი გარანტია მიიღო.

მეორე სადავო საკითხი ქართველი მეფის ტერიტორიულ პრეტენზიებს ეხებოდა. ერეკლე II პრეტენზიას აცხადებდა როგორც ოსმალეთის მიერ დაპყრობილ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე, ისე მეზობელ სახანოებზე. თავის მხრივ, რუსეთის იმპერია რეგიონის სახანოების მფარველობაში მიღებას გეგმავდა

და ამ საქმეში ქართველი მეფის დახმარებას იმედოვნებდა. ქართულმა მხარემ ჯერ კიდევ ტრაქტატის გაფორმებამდე წამოაყენა წინადადება, რომ ერეკლე II-ის ტერიტორიული პრეტენზიები მის ტიტულატურაში ასახულიყო, თუმცა რუსეთის წარმომადგენლებმა იმუშავეს ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს. ასეთ პირობებში, ადრიბეჟანში რუსეთის სასარგებლო მოქმედებებისაგან ქართველი მეფეც თავს იკავებდა, რაზეც პავლე პოტიომკინი დაუფარავ საყვედურს გამოთქვამდა. 1784 წლის იანვარში მხარეებს შორის გარკვეული შეთანხმებაც შედგა – ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელში შეიტანეს ერეკლეს ტიტულის ის ვარიანტი, რომელსაც მანამდე ქართული მხარე ითხოვდა. აღნიშნული ტიტულის მიხედვით, რუსეთი ერეკლეს უფლებებს ქართლ-კახეთთან ახლომდებარე ერევნის, განჯის, შაქის და შირვანის სახანოზე აღიარებდა. ამასთანავე მეფე სამცხე-საათაბაგოს მემკვიდრედ ცხადდებოდა. თავის მხრივ, ქართველი მეფე ყარაბაღის, ხოისა და თავრიზის სახანოებში თავის წარმომადგენლებს გზავნიდა და იმპერიის სასარგებლოდ მოქმედების პირობას დებდა.

The report discusses two ignored details related to the treaty of Georgievsk. In particular, attention is focused on the issues of coronation of the king and the titulature of Erekle II.

As we know, the final version of the agreement between the Russian Empire and the Kingdom of Kartli-Kakheti was approved by the Russian Emperor in February 1783, and it was presented to Erekle II in the middle of May of the same year. The king of Kartli-Kakheti delayed the process for about a month and a half. The fact was that it was during this period that the information was spread about the liquidation of the Crimean Khanate and its annexation by the Russian Empire. It seems that this fact made the king think a lot and put forward a new suggestion – he demanded to reflect the right of coronation of Georgian monarchs as kings in the agreement. Archival documents prove that in the letter sent at the end of June 1783, Erekle II requested an additional guarantee for safeguarding his kingdom. Pavel Potemkin, the commander-in-chief of the Caucasus Line, had no right to include it in the treaty without the emperor's permission. Accordingly, he only made a verbal promise to add the above-mentioned article. Due to this fact, Erekle

le II was clearly dissatisfied and sent his representative Sul Khan Tumanishvili to St. Petersburg immediately after the return of the Georgian delegation to his homeland. This time, Erekle categorically demanded to reflect the issue of coronation in the treaty. Finally, in September 1783, the Russian emperor approved the demands of Erekle II. An additional article was written, according to which the Georgian monarchs were allowed to be crowned as king. According to the above-mentioned article, Erekle II received from the Russian government an even stronger guarantee of the protection of his kingdom based on the legitimate treaty.

The second disputed issue was related to the territorial claims of the Georgian king. Erekle II claimed both Southwest Georgia conquered by the Ottomans and the neighboring khanates. On the other hand, the Russian Empire planned to take the khanates of the region under its protection and hoped for the help of the Georgian king in this matter. Even before the signing of the treaty, the Georgian side put forward a proposal that the territorial claims of Erekle II should be reflected in his titlature, although the Russian representatives did not meet this request at the time. In such conditions, even the Georgian king refrained from helping the Russians in Azerbaijan, for which Pavel Potemkin expressed his concerns towards the actions of the Georgians. In January 1784, a certain agreement was reached between the parties – the final version of the treaty included the titlature of Erekle the way it was requested by the Georgian side. According to the above-mentioned titlature, Russia recognized Erekle's rights to the khanates of Yerevan, Ganja, Sheki and Shirvan neighbouring the Kartli-Kakheti Kingdom. At the same time, the king was announced as the heir of Samtskhe-Saatabago. On the other hand, the Georgian king sent his representatives to the khanates of Karabakh, Khoy and Tabriz and promised to act in favor of the empire.

მაია თუხარელი
Maya Tukhareli

შეხედულებების პარალელები ქალთა
ემანსიპაციის საკითხზე. ჟორჟ სანდი და
ივან ს. ტურგენევი
**Parallels in the Views on the Problem of
Women's Emancipation. George Sand and
Ivan S. Turgenev**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities



საკვანძო სიტყვები: ქალთა ემანსიპაციის პრობლემა, ჟორჟ სანდი,
გავლენა რუსულ ლიტერატურაზე, ი. ს. ტურგენევი, მხატვრული
პოლემიკა.

Keywords: problem of women's emancipation, George Sand, influence
on Russian literature, Ivan S. Turgenev, artistic polemic.

რუსულ და უცხოურ ლიტერატურაში უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქალთა ემანსიპაციის პრობლემას.

ერთ-ერთი მწერალი, რომელმაც პირველად მკვეთრად წამოჭრა ქალის სტატუსის საკითხი ევროპულ ლიტერატურაში, იყო ჟორჟ სანდი. მან პირველად დაუკავშირა ქალის პირადი თავისუფლება სოციალური განთავისუფლების ზოგად პრობლემას.

ოჯახის იდეის სრული მომხრე, ჟ. სანდი, ამავე დროს, გმობს მათ, ვინც ქორწინებას აღიქვამს, როგორც უთანასწორო კავშირს.

ჟორჟ სანდის რომანები და პუბლიცისტური ნაწარმოებები ენთუზიაზმით მიიღეს მე-19 საუკუნის რუსეთის მწერლებმა და კრიტიკოსებმა. მწერლის პოპულარობა და მისი გავლენა რუსულ ლიტერატურაზე განსაკუთრებით იგრძნობა „ნატურალური სკოლის“ მწერლებისა და, უპირველეს ყოვლისა, ი. ტურგენევის შემოქმედებაში.

„ნატურალური სკოლა“ დაჟინებით ეძებდა ჩვეულებრივ, ყოველდღიურ, ნამდვილ კოლიზიებსა და მათი გადაწყვეტის გზებს. და აქ უკვე აშკარად შეიმჩნევა ჟორჟ სანდისგან განსხვავებული შეხედულებები ემანსიპაციის პრობლემაზე.

ტურგენევის დამოკიდებულება ჟორჟ სანდზე, რომელიც იგრძნობა გარკვეული კომპოზიციური ტექნიკის სესხებაში, ეჭვს არ იწვევს. ასეთი მიდევნება ხანდახან იგრძნობა გამოსახვის პრინციპებში მთავარ და მეორეხარისხოვან რომანებში „რუდინი“ და „ნაკანუნე“ (წინა დღეს). ამასთან ერთად, აშკარაა კიდევ ერთი, უფრო მნიშვნელოვანი, შედეგი: ტურგენევის შემოქმედებით პრაქტიკაში უკვე აშკარაა მხატვრული პოლემიკა ჟორჟ სანდთან, მისი რომანის ჟანრისა და სახვითი სისტემის ეფექტური, ფართოდ გააზრებული, ღრმად რეალისტური წაკითხვა.

ტურგენევის მოთხოვნებსა და რომანებში ქალის გამოსახულებამ მიიპყრო ყურადღება და აღფრთოვანება გამოიწვია როგორც მისთვის თანამედროვე, ისე შემდგომ კრიტიკაში. ივანე ტურგენევის, როგორც ფსიქოლოგის, ოსტატობა ისაა, რომ ქალის მხატვრული სახის ცოცხალ და უნებლიე განვითარებაში მან სრულად აჩვენა თითოეული პერსონაჟის თავისებური, უნიკალური იდეალობა. მწერალი თავისი ქალი პერსონაჟების წარმოჩენით ხაზს უსვამს მათ ზნეობასა და მომთხოვნელობას, მაღალ კულტურულ მოთხოვნებს, სულიერ სიღრმეს, გაბედულებას – ყველა-

ფერს, რასაც ჩვენ ვდებთ „ტურგენევის გოგონების“ ცნების განსაზღვრაში.

ზოგადად, რუსულ მხატვრულ ლიტერატურასა და კრიტიკაში ქალთა ემანსიპაციის პრობლემების განხილვა ემთხვეოდა საერთო ევროპულ პროცესებს და ითვალისწინებდა მათ გამოცდილებას.

საბოლოოდ, გენდერული კვლევების თანამედროვე დონე განისაზღვრა XIX საუკუნის რუსული და ევროპული ლიტერატურის მიღწევებით.

The problem of women's emancipation holds an extremely important place in Russian and foreign literature.

One of the first female writers to raise the issue of women's status in European literature was George Sand. She was the first to link the personal freedom of women with the general problem of social liberation.

Wholeheartedly supporting the idea of family, George Sand at the same time condemns those who would think of marriage as a union between unequal people.

The novels and journalistic works of George Sand were enthusiastically accepted by Russian writers and critics of the 19th century. This popularity of the writer and her influence on Russian literature is particularly evident in the work of writers of The Natural School movement and mainly of I. S. Turgenev.

Turgenev's notable dependence on George Sand, which manifested itself in the borrowing of certain compositional techniques, is beyond doubt. Yet another, incomparably more important result is also clear: in Turgenev's creative practice, he is already in a visible artistic polemic with George Sand, and an effective, broadly conceived, and profoundly realistic articulation of the genre and the imagery of her romance.

The female characters in Turgenev's novels and stories attracted the attention and admiration of both his contemporary and later critics. Turgenev's skill as a psychologist lies in the fact that in the lively and involuntary development of the female character, he shows to the full extent the distinctive and individual uniqueness of each of his heroines. The writer underlines morality and insistence, high cultural de-

mands, spiritual depth, determination in the image of his female characters – all the things that we currently put in the concept of typical “Turgenev’s maiden”.

In general, the discussion of women’s emancipation in Russian fiction and criticism followed the common European processes and reflected their experience.

Finally, the contemporary level of gender studies was influenced by the achievements of Russian and European literature of the 19th century.

ქეთევან კაკიტელაშვილი
Ketevan Kakitelashvili

**„სოციალისტური უბანი“ „ებრაელთა გეტოს“
წინააღმდეგ: ქართველ ებრაელთა საბჭოთა
იდენტობის კონსტრუირება
1920-1930-იან წლებში**

**“Socialist Neighborhood” against “Jewish
Ghetto”: Constructing the Soviet Georgian
Jewish Identity in the 1920s-1930s**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities*



საკვანძო სიტყვები: ქართველი ებრაელები, იდენტობა, საბჭოთა
ტრანსფორმაცია.

Keywords: Georgian Jews, identity, Soviet transformation.

1921 წელს, საქართველოში საბჭოთა მმართველობის დამყარების შემდეგ, ქვეყანაში ახალი, მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიაზე დამყარებული პოლიტიკური და სოციალური სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო. 1920-1930-იანი წლები აღინიშნა წინააღმდეგობრივი ეროვნული და ეკონომიკური პოლიტიკით. საბჭოთა ეროვნული ექსპერიმენტის ერთ-ერთი მიზანი საბჭოთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ხალხების, მათ შორის, ებრაელთა იდენტობის ახალი კონცეფციის შემუშავება და მისი განხორციელება იყო.

გასაბჭოებამდე ქართველ ებრაელთა იდენტობა მჭიდროდ უკავშირდებოდა რელიგიას; თემის ძირითადი ნაწილის ცხოვრება სინაგოგის გარშემო იყო კონცენტრირებული. რაც შეეხება მათ ეკონომიკურ და სამართლებრივ მდგომარეობას, ებრაელთა უდიდესი უმრავლესობა ჩართული იყო სავაჭრო საქმიანობაში; 1918-1921 წლებში მათი სრულუფლებიანი სამოქალაქო სტატუსი უზრუნველყოფილი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობით. გასაბჭოების შემდეგ მათი იდენტობის არსებითად განსხვავებული მოდელი შემუშავდა. ებრაელთა 90 პროცენტზე მეტს, როგორც „ჩარჩებს, ვაჭრებსა და ექსპლუატატორებს“, ანუ „არამშრომელ ელემენტებს“, ჩამოერთვათ ხმისა და დასაქმების უფლება. ებრაელების „ახალი ცხოვრების აღმშენებლობაში“ ჩასართავად შემუშავდა საგანგებო გეგმა, შეიქმნა კომიტეტი და საზოგადოებები.

ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის (ღარებკომი, მოქმედებდა 1928-1936 წლებში) მუშაობა. ღარებკომი დაარსდა, როგორც ებრაელთა სათემო ცხოვრებაში სინაგოგის სოციალური ფუნქციის მქონე ალტერნატივა. მის მიერ წარმართული ანტირელიგიური პროპაგანდა, ისევე როგორც სოციალური და კულტურული პოლიტიკა, მიზნად ისახავდა ქართველ ებრაელთა საბჭოთა იდენტობის ფორმირებას. მექანიზმები, რომლებსაც ეს კომიტეტი იყენებდა მიზნის მისაღწევად, მიმართული იყო ქართველ ებრაელთა ცხოვრების ტრადიციული წესის რღვევისა და „ებრაელთა მასებში“ საბჭოთა პროლეტარული კულტურის დამკვიდრებისაკენ.

In 1921, after the establishment of the Soviet rule in Georgia, the formation of a new political and social system based on Marxist-Leninist ideology began in the country. The 1920s-1930s were marked by contradictory nationality and economic policies. One of the goals of the Soviet nationality experiment was to develop and implement a new concept of identity of the Soviet peoples, including the Jews.

Before Sovietization, Georgian Jewish identity was closely linked to religion; the Jewish communal life was concentrated around the synagogue. As for the economic activity and legal status, the vast majority of Jews were involved in trade; in 1918-1921, their full-fledged civil rights were ensured by the legislation of the Democratic Republic of Georgia. After Sovietization, a fundamentally different model of the Jewish identity was developed. More than 90 percent of Jews labeled as “peddlers, traders, and exploiters,” or “non-working elements,” were denied the electoral and labor rights. In order to involve them in the “building of a new life,” a special committee and societies were established and work plans were developed.

The paper analyzes the work of the Georgian Committee to Assist the Jewish Poor (Evkombed, operated in 1928-1936). Evkombed was founded as an organization which should have replaced the synagogue’s social function in Jewish communal life. Its anti-religious propaganda, as well as social and cultural policies, aimed at shaping the Soviet identity of Georgian Jews. The strategies used by this committee were aimed at breaking the traditional way of life of Georgian Jews and establishing Soviet proletarian culture among the “Jewish masses”.

დალი კანდელაკი
Dali Kandelaki

პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის
ექსპედიციები კავკასიაში: გერმანელი
მეცნიერების კვლევები
Expeditions of Petersburg Academy of
Sciences in the Caucasus:
Studies of German Scientists

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities



საკვანძო სიტყვები: კავკასია, პეტერბურგის მეცნიერებათა
აკადემია, სამეცნიერო ექსპედიციები, გიულდენშტედტი, კლაპროტი.
Keywords: Caucasus, Petersburg Academy of Sciences, scientific
expeditions, Güldenstädt, Klaproth.

1725 წელს, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის დაარსების შემდეგ, რუსეთის იმპერიის შესწავლის პროცესში ეს დანახებულებაც ჩაერთო. აკადემიის ისტორიაში მრავალი საინტერესო ფურცელი ჩაინერა 1768-1774 წლებში მოწყობილი ექსპედიციების შედეგად. ეკატერინე II-ის მმართველობისას რუსეთს პრეტენზია ჰქონდა, აქტიურად ჩართულიყო ევროპულ პოლიტიკაში, გაეფართოებინა საზღვრები, მოეპოვებინა გასასვლელი შავ ზღვაზე. შესაბამისად, იმპერიის ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა ქვეყნის შესახებ მრავალფეროვანი მასალის შეგროვებას. კვლევის არეალში მოხვდა კავკასიაც. XIX საუკუნის დასაწყისიდან, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთთან შეერთების შემდეგ, რეგიონის კვლევა ბევრად მასშტაბური გახდა – იმპერიის წარგზავნილები ამზადებდნენ ფინანსურ, სტატისტიკურ და ეკონომიკურ აღწერილობებს; იმავდროულად, სამუშაოები მიმდინარეობდა სამხედრო-ტოპოგრაფიული მიმართულებით. საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ინტერესდებოდნენ კავკასიაში არსებული პოლიტიკური ვითარებით.

მნიშვნელოვანია XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის პირველ ათწლეულში კავკასიაში მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოგზავნილი ექსპედიციის წევრების ვინაობის, მათთვის მიცემული რეალური დავალებების და მათ მიერ წარმოებული კვლევის შედეგების შესწავლა. აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ექსპედიციის წევრები უმეტესად გერმანული წარმოშობის მეცნიერები იყვნენ. ზოგი რუსეთში იყო დაბადებული, ზოგიც მიიწვიეს. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ექსპედიციას, მათი შემადგენლობის მიუხედავად, ჰქონდა მკაფიო სამხედრო-სტრატეგიული მიზნები. ექსპედიციის წევრების მიერ შეკრებილი ინფორმაცია მათ ნაშრომებსა და ანგარიშებში აისახა.

პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში 1768 წელს ახალგაზრდა მეცნიერი, 23 წლის **იოჰან ანტონ გიულდენშტედი**, მიიწვიეს, რათა მონაწილეობა მიეღო აკადემიის მიერ რუსეთის სხვადასხვა ტერიტორიის, მათ შორის, ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოში დაგეგმილ ექსპედიციაში. სწორედ ამ წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი, რომელმაც 1774 წლამდე გასტანა. რთული იყო ომის გამო მოგზაურობისას დაბრკოლებების გათვლა, თუმცა აკადემიამ ბედის ანაბარად არ მიატოვა მეცნიერები, რომლებიც რეგულარულად გზავნიდნენ ანგარიშებს გავლილი

გზის შესახებ, შეგროვებულ კოლექციებს და პეტერბურგიდანაც იღებდნენ შესაბამის ნებართვებს დაგეგმილ მარშრუტებზე. ახალგაზრდა მეცნიერი აკადემიაში მოღვაწეობდა 14 წლის განმავლობაში, საიდანაც შვიდი წელი ექსპედიციაში მოგზაურობას მიუძღვნა. ი. ა. გიულდენშტედტს შეკრებილი ფასდაუდებელი მასალის გამო კავკასიოლოგიის ფუძემდებლადაც კი მიიჩნევენ. ექსპედიციის მიერ შეგროვებული მასალა დიდი ხნის განმავლობაში მნიშვნელოვან ინფორმაციის წყაროს წარმოადგენდა მათთვის, ვინც სწავლობდა კავკასიას და იქ მცხოვრებ ხალხს. სამოგზაურო ჩანაწერებისაგან შედგენილი ორტომიანი ნაშრომი 1787-1791 წლებში, მისი სიკვდილის შემდეგ, პ. ს. პალასმა გამოსცა.

რუსეთის კოლონიური პოლიტიკის სრულფასოვნად გატარებისათვის და კავკასიაში მყარად დასამკვიდრებლად მნიშვნელოვანი იყო კავკასიის ხალხთა ისტორიისა და ენების მეცნიერული შესწავლა. მეცნიერებათა აკადემია ამ მიზნით კვლავ იწვევდა მეცნიერებს უცხოეთიდან. ერთ-ერთი იყო ცნობილი გერმანელი ლინგვისტი-ორიენტალისტი **ჰაინრიხ იულიუს ფონ კლაპროტი**, რომელიც 1804 წელს მიიწვიეს. 1807 წელს კლაპროტი მიავლინეს კავკასიაში ფილოლოგიური, ეთნოგრაფიული და ისტორიული კვლევების ჩასატარებლად. მას დაევალა, კრიტიკულად შეემოწმებინა და შეეფასა მისი წინამორბედი კავკასიის მცოდნეთა შრომები. აქ ის დარჩა მთელი 1808 წლის განმავლობაში. კლაპროტის მოგზაურობა კავკასიაში აისახა რამდენიმე ნაშრომში. წიგნის „მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში 1807 და 1808 წლებში“ შესავალში აღნიშნულია, რომ რუსეთმა დაინახა კავკასიის უკეთესად შესწავლის აუცილებლობა არა მხოლოდ გეოგრაფიული, არამედ მისი მოსახლეობის წეს-ჩვეულებებისა და სხვა თვალსაზრისითაც. ამ მიზნით, 1767 წლიდან, ეკატერინე II-ის მითითებით, სამეცნიერო აკადემიის წევრები მონაწილეობდნენ ექსპედიციებში, რომლებიც მთელი იმპერიის მასშტაბით ეწყობოდა. ის აღნიშნავს იოჰან ანტონ გიულდენშტედტის, იაკობ რაინეგსის, გრაფ იან პოტოცკის დამსახურებას კავკასიის კვლევის საქმეში. ასევე, უცხოელ მკითხველს მოუთხრობს XVIII საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ; მის თვალწინ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აცოცხლებს ისტორიულ მოვლენებს. შეიძლება ითქვას, რომ კლაპროტი გიულდენშტედტის შემდეგ თავისი ცოდნითა და ცნობების სიუხვე-სანდოობით ერთ-

ერთი პირველია სწავლულ მოგზაურთა შორის. 21 წლის გერმანელ მეცნიერთან დაწყებული თანამშრომლობა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიასთან კონფლიქტით დამთავრდა, თუმცა კავკასიით დაინტერესებული საზოგადოებისთვის მისი არაერთი ნაშრომი გახდა ცნობილი.

After the establishment of St. Petersburg Academy of Sciences in 1725, the institution was also involved in researching and studying of the Russian Empire. Many interesting pages were recorded as a result of the expeditions organized in 1768-1774. During the reign of Catherine II, Russia had serious claims to be actively involved in European politics, to expand its borders and to gain access to the Black Sea. Therefore, the imperial authorities tried in every possible way to collect a variety of materials about the country. The Caucasus was included in the research area. From the beginning of the 19th century, after the abolition of the Kingdom of Kartli-Kakheti and its annexation to Russia, the interest and research of the region became more intense – the envoys of the empire prepared financial, statistical and economic descriptions; meanwhile, the works were carried out in the military-topographical direction as well. The employees of the Ministry of Foreign Affairs became interested in the political situation in the Caucasus.

It is important to study the identity of the members of the expedition sent by the Academy of Sciences to the Caucasus in the second half of the 18th century and the first decade of the 19th century, in order to identify the real tasks carried out by them and the results of their research. It should be noted that the members of the scientific expeditions were mostly scientists of German origin – some born in Russia and some invited from other countries. All expeditions, regardless of their composition, had clear military-strategic goals. The information gathered by the members of the expedition was reflected in their papers and reports.

In 1768, the young scientist, 23-year-old Johann Anton GÜldenstädt, was invited to St. Petersburg Academy of Sciences to participate in an expedition planned by the Academy to various regions of Russia, including the North Caucasus and Georgia. Exactly that year the Russo-Turkish war began, lasting until 1774. It was difficult to predict the obstacles of the journey due to the war, however, the Academy did not le-

ave the scientists unattended. They regularly sent reports on the route taken, gathered collections, and received appropriate permits from St. Petersburg for the planned routes. The young scientist worked at the academy for 14 years, seven of which he devoted to expeditions. Gldenstdt, due to the collected invaluable material, is even considered the founder of Caucasiology. The material collected by the expedition was for a long time an important source of information for those who studied the Caucasus and the people living there. A two-volume work compiled from travel notes in 1787-1791 was published by P. S. Pallas after his death.

Scientific research of the history and learning languages of the peoples of the Caucasus was important for the full implementation of Russia's colonial policy and for its firm establishment in the Caucasus. The Academy of Sciences invited scientists from abroad for this purpose. One of them was the famous German linguist-orientalist Heinrich Julius von Klaproth, who was invited in 1804. In 1807, Klaprot was sent to the Caucasus to conduct philological, ethnographic and historical research. He was assigned to critically examine and supplement the works of his predecessors, scholars who studied the Caucasus. He remained there throughout the whole year of 1808. Klaproth's journey to the Caucasus was reflected in his several works. In the introduction to the book – "Travels in the Caucasus and Georgia: Performed in the Years 1807 and 1808, by Command of the Russian Government" – he notes that Russia saw the need to better study the Caucasus not only from a geographical point of view, but also the customs of its population, etc. For this purpose, since 1767, based on the instructions of Catherine II, members of the Academy of Sciences took part in expeditions that were organized throughout the empire. Klaproth points out the merits of Johann Anton Gldenstedt, Jakob Reineggs, Count Jan Potocki in the study of the Caucasus. He also tells foreign readers about the relations between Russia and Georgia in the 18th century and relives historical events in chronological order. It can be said that after Gldenstdt, Klaproth ranks first among travelers with his knowledge and abundance of information. The partnership with the 21-year-old German scientist ended in a conflict with St. Petersburg Academy of Sciences, although many of his works became known to the society interested in the Caucasus.

ნაპო კვარაცხელია
Napo Kvaratskhelia

აზროვნების პოლიფონიურობა და
პლურალიზმი
(პლატონი და პოპერი)
**Polyphonic Character and Pluralism of Thinking
(Plato and Popper)**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities



საკვანძო სიტყვები: პოლიფონიურობა, პლურალიზმი, პლატონი,
პოპერი.

Keywords: Polyphonic Character, Pluralism of Thinking, Plato, Popper.

1) ჩვენი სტატიის თემაა მე-20 საუკუნის ცნობილი ფილოსოფოსის, კარლ პოპერის, წიგნის სათაური „ღია საზოგადოება და მისი მტრები“, რომელშიც გადმოცემულია მისი მოძღვრება ღია საზოგადოებისა და პლურალიზმის შესახებ. წიგნის სათაური შეიცავს აშკარა წინააღმდეგობას მასში გატარებულ კონცეფციასთან. ავტორი, ერთი მხრივ, აღიარებს პლურალისტური საზოგადოების ძირითად პრინციპს, რომლის მიხედვითაც ყველა თვალსაზრისს აქვს არსებობის თანაბარი უფლება, ხოლო, მეორე მხრივ, პლატონს ტოტალიტარიზმის მამამთავრად აცხადებს და მას ღია საზოგადოების მტრად მიიჩნევს. აქ სიტყვა „მტერი“ აშკარად სტალინური რიტორიკის ჟურნალიდან აღებული ტერმინია. ცნობილია, რომ სტალინი კლასთა ბრძოლის მარქსისტულ თეორიაზე დაყრდნობით სწორედ ჰერაკლიტესავით მტრობას მიიჩნევდა სამყაროსა და საზოგადოების მამოძრავებელ ძალად და სუბსტანციად. იგი აცხადებდა, მტერი კიდევაც რომ არ არსებობდეს, ჩვენ უნდა გამოვიგონოთო და თვითონ იყო მტრების გამოგონების უბადლო ოსტატი.

2) შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად სტალინური ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ დაწერილ ნაშრომში, როგორც ჩანს, პოპერმა, ნებისთ თუ უნებლიეთ, თავად განიცადა მისი გავლენა. არადა, პლატონი არათუ ტოტალიტარიზმის მამა და პლურალისტული აზროვნების მტერია, არამედ თანამედროვე დასავლური პლურალიზმის სათავესთან დგას და მისი თეორიული საფუძვლების შემქმნელია. იგი ფილოსოფიაში დიალოგური (დიალექტიკური) აზროვნების პირველი გამომგონებელი და შემქმნელია. ამის დასტურია მისი დიალოგები.

3) რუსმა მეცნიერმა მ. ბახტინმა ამ ვითრების აღსანიშნავად გამოიყენა ტერმინი „აზროვნების პოლიფონიურობა“ თეოდორ დოსტოევსკის შემოქმედების მიმართ, მაგრამ მის საფუძველსა და სათავეს პლატონის დიალოგებში, როგორც აზროვნების დიალოგური ფორმის განხორციელებაში, ხედავდა. პლატონის დიალოგები ხომ არსებითად ფილოსოფიური დრამებია (ახალგაზრდობაში თურმე მხატვრულ დრამებსაც წერდა), რომლის პერსონაჟები გარკვეული აზრები და თვალსაზრისებია. უცილობლად შეიძლება ითქვას, რომ პლატონი ფილოსოფიური დრამატურგიისა და მთელი დასავლური აზროვნების პლურალისტური მიმდინარეობის შემქმნელია. მეტიც, გარკვეული აზრით შეიძლება ვილა-

პარაკოთ „პლატონის თეატრზე“ (სრულად შესაძლებელი ჩანს დიალოგ „ნადიმის“ ინსცენირება).

4) სავლელ წერეთლის სწორი შენიშვნით, პლატონის ყოველი დიალოგი აზრების ნამდვილი დრამა და ჭიდილია, რომელიც რაიმე დოგმატური რეზულტატის გარეშე მთავრდება. აქ არცერთი მოსაუბრის თვალსაზრისს არ ენიჭება უპირატესობა და თანაბარუფლებიანია, თვით სოკრატეს თვალსაზრისის ჩათვლით. დიალოგ „ნადიმში“ სოკრატე თავის მოსაზრებას ვიდაც გამოგონილ და მისტიკურ ქალბატონს, დიოტიმას, უზიარებს, რათა გავლენა არ მოახდინოს სხვათა თვალსაზრისებზე. ასე რომ, სრულად არის დაცული მოსაუბრეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი.

5) დასავლური აზროვნება თავისი ბუნებით დიალოგური (დიალექტიკური), პოლიფონიური, პლურალისტურია და მის სათავესთან პლატონის ფილოსოფია უნდა ვიგულოთ. ამის საპირისპიროდ აღმოსავლური აზროვნება მონოლოგურია, მედიტაციურია, კარლ იუნგის შენიშვნით, ინტრავერტულია. მან არ იცის დიალოგი, ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, აზრის ნამდვილი აღებ-მიცემობა „უპანიშადებში“ მასწავლებლისა და მოსწავლის საუბარი და დამოკიდებულება კრიტიკულ აზროვნებასა და დიალოგს კი არ ემყარება, არამედ დამოძღვრითია და აზრის დოგმატურ გადაცემას გულისხმობს. ამიტომ ინდური აზროვნება ვედების ავტორიტეტს ვერ გასცდა და იგი რელიგიური დოგმატიკის არტახებში ჩაიკეტა. ფილოსოფია თავისი წარმოშობით ბერძნულია და დასავლური კულტურის ორგანული კუთვნილება. აქ თვით მონოლოგიც დიალოგურია, რაც სულის თავის თავთან საუბარს გულისხმობს და სწორედ ამას უწოდა პლატონმა ფილოსოფია. თვით ისეთი კლასიკური მონოლოგი, როგორიცაა შექსპირის ჰამლეტის მონოლოგი, თავის თავთან კამათს გულისხმობს. ჰამლეტი არაფერს ამტკიცებს, ის მხოლოდ ორჭოფობს – ყოფნა სჯობს თუ არყოფნა.

გასული საუკუნის 20-იან წლებში შალვა ნუცუბიძე მოგვიწოდებდა, რომ დასავლეთისადმი ინტელექტუალურ დამონებას ბოლო უნდა მოეღოს. ცხადია, ის გულისხმობდა ქართული ფილოსოფიური აზროვნების ჩართვას დასავლურ აზროვნებაში და მასთან ნაყოფიერ დიალოგს.

1. The subject of our article is suggested by the title of the book by the 20th century outstanding philosopher Karl Popper "The Open Society and its Enemies" in which his doctrine of the open society and pluralism is formulated. There is an obvious contradiction between the title and the conception given in it. The author, on the one hand, admits the main principle of the pluralistic society that all opinions have the equal right to exist; but, on the other hand, he declares Plato the father of totalitarianism and an enemy of the open society. It seems that the word "enemy" is a term borrowed from a magazine of Stalinist rhetoric. It is known that Stalin, just like Heraclitus, on the basis of Marx's theory of the class struggle, thought that enmity was the force and the essence moving the world and society. He said that even if there were no enemies, it was necessary to invent them and he himself was an unequalled master of inventing enemies.

2. It can be said that in the work which was written against Stalinist totalitarianism, Popper himself, intentionally or not, seems to have fallen under its influence. However, Plato by no means is the father of totalitarianism and the enemy of pluralistic thinking, but he was at the origins of contemporary Western pluralism and created its theoretical foundations. He was the first inventor and creator of dialogical (dialectical) thinking in philosophy. His dialogues are a proof of it.

3. A Russian scientist, M. Bakhtin used the term "polyphonic thinking" to characterize Fyodor Dostoevsky's works, though he saw its foundation and the sources in Plato's dialogues, which he considered the realization of the dialogical form of thinking. Plato's dialogues in their essence are philosophical dramas (it is said that he used to write dramatic plays in his youth) the characters of which are certain ideas and opinions. We can certainly state that Plato is the creator of philosophical dramaturgy and the pluralistic direction of the whole Western thinking. Even more, it is possible in a sense to speak about "Plato's theatre" (it seems quite possible to stage his dialogue "The Symposium").

4. As Savle Tsereteli justly noted, Plato's every dialogue is a real drama and struggle of ideas, which ends without any dogmatic result. The preference is not given to any opinion of any interlocutor and all opinions have equal rights including even Socrates's opinion. In the dialogue "The Symposium" Socrates, in order not to influence others'

opinions, addresses a devised and mystical lady Diotima. In this way, the principle of equal rights of the participants is protected.

5. Western thinking is dialogical (dialectical), polyphonic, and pluralistic by nature, and we should consider Plato's philosophy as its source. In contrast to it, Oriental thinking is monologic, meditating, and introvertive as Carl Jung says. Dialogue, to use Ilia Chavchavadze's words, or real interchanging of ideas is alien to it. In "Upanishads" conversation and relation between the teacher and the pupil is not built on critical thinking and dialogue but is didactic and implies dogmatic transferring of ideas. That is why Indian thinking failed to go beyond the authority of the Vedas and was locked within the dogmatics of religious limits. Philosophy by its origin is Western and thus naturally belongs to Western culture. Even a monologue is dialogical here and means a conversation of the soul with itself and it is just what according to Plato is called philosophy. Even such a classical monologue as Shakespeare's Hamlet monologue implies debating with himself. Hamlet asserts nothing, he is simply uncertain – which is better – to be or not to be.

In the 20s of the last century, Shalva Nutsubidze called for putting an end to the intellectual veneration of the West. He, of course, meant the introduction of Georgian philosophical thinking into the space of Western thinking and a fruitful dialogue with it.

თამარ კახეთელიძე
Tamar Kakhelidze

ლიტერატურისა და ფილმის დიალოგისათვის
(ინტერმედიალური ასპექტები)
The Dialogue between Literature and Film
(Intermedial Aspects)

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities*



საკვანძო სიტყვები: ინტერმედიალობა, ლიტერატურის
ეკრანიზაცია, მედიათაშორისი მიმართებები.
Keywords: intermediality, adaptation (literary adaptation), intermedial
relations.

ინტერმედიალობა მნიშვნელოვან თეორიულ კონცეფციად იქცა ლიტერატურის, კულტურის, კინომცოდნეობისა და ენათმეცნიერების კვლევებში. ინტერმედიალობის ცნების საფუძველშივე დევს სიტყვა მედიუმი, რაც იმთავითვე გულისხმობს, რომ მედიათა ურთიერთმიმართების პროცესში საკომუნიკაციო/საშუამავლო ფუნქციები ვლინდება. საკვლევო თემიდან გამომდინარე, ინტერმედიალობა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც მედიალური ტრანსფორმაციის შედეგი, რომელიც საანალიზო ნაწარმოებების შინაარსობრივ მხარესა და ფორმალურ სტრუქტურას აკავშირებს ისე, რომ ფორმირების პროცესში ფორმის ცვლა ადვილად შესამჩნევი არაა. ამის დასტურია ლიტერატურისა და ფილმის ურთიერთმიმართება, რომელიც მხოლოდ მედიათა – ფილმისა და ლიტერატურის ინტერაქციად არ აღიქმება, არამედ აქ მოიაზრება ლიტერატურული და ფილმისათვის დამახასიათებელი თხრობის შედარება, მსგავსებისა და განსხვავებების გამოკვეთა, როგორც შინაარსობრივ, ისე ვერბალურ, არავერბალურ დონეებზე.

თანამედროვე სამყაროში, კინოხელოვნების ჟანრების განვითარების ეპოქაში, პოპულარული გახდა ლიტერატურის ეკრანიზაცია/ადაპტაცია. ლიტერატურული ტექსტისგან განსხვავებით, ფილმი ამბავს გვიყვება ვიზუალურად, განსხვავებული სცენური ხერხების საშუალებით (მონტაჟის ტექნიკა, ხმა, მუსიკა, კოსტიუმები, გაფორმება). აღსანიშნავია ისიც, რომ ლიტერატურული ტექსტის ნარატივის ფილმში გარდაქმნის პროცესში დრო და მოქმედების ადგილი, მოქმედებათა თანამიმდევრობა, შინაარსობრივი, ენობრივი სტრუქტურა იცვლება, რადგან ორი ურთიერთგანსხვავებული მედიის მიმართება ამ ცვლილებას თავისთავად გულისხმობს. ფილმისა და ლიტერატურული ტექსტის სემიოტიკური სისტემა მკვეთრად გამიჯნულია ერთმანეთისაგან და მათი ურთიერთმიმართება ერთგვარ ვარიაციულ პროცესს ქმნის – ლიტერატურული ტექსტის ნიშნები ფილმის ენასა და ნიშანთა სისტემაში აისახება განსხვავებული საშუალებებით, რაც განაპირობებს არა მხოლოდ ტექსტის შინაარსობრივი ასპექტის ცვლილებას ფილმის მოძრავ კადრში, არამედ რიგ შემთხვევაში, მედიათა სპეციფიკიდან გამომდინარე, კონცეპტუალური დეტალების გადააზრებას.

მოხსენებაში განვიხილავთ მნიშვნელოვანი ავტორების – ირინა რაიევსკის, ვერნერ ვოლფის, იოახიმ ჰეხისა და სხვათა მო-

საზრებებს ინტერმედიალობის ცნებისა და მასთან დაკავშირებული კვლევების შესახებ.

Intermediality has become an important theoretical concept in the studies of literature, culture, film, and linguistics. At the base of the concept of intermediality lies the word medium, which implies that communication/mediating functions are revealed in the process of relation between media. Depending on the research topic, we can imagine intermediality as the result of media transformation, which connects the content and the formal structure of the analyzed works, so that the change of form in the process of formation is not easily noticeable. The proof of this is the relation between literature and film, which is not only perceived as the interaction of media – film and literature, but also the comparison of literary and film narration, highlighting similarities and differences between verbal and non-verbal levels.

In the modern world, in the era of the development of film art genres, adaptation of literature has become popular. Unlike the literary text, the film tells the story visually, through different scenic techniques (editing techniques, sound, music, costumes, decoration). It is also worth noting that in the process of transforming the narrative of a literary text into a film, the time and place of action, sequence of actions, content, language structure undergoes a change, since the relationship between two mutually different media implies this change in itself. The semiotic system of the film and the literary text are sharply separated from each other, and their relationship creates a kind of variation process – the signs of the literary text are reflected in the language and sign system of the film by different means, which leads not only to the change of the content aspect of the text in the moving frame of the film, but also the rethinking of conceptual details based on the specificity of the media.

In the report we discuss the opinions of important authors Irina O. Rajewsky, Werner Wolf, Joachim Paech and others about the concept of intermediality and related studies.

ზვიად კვიციანი
Zviad Kvitsiani

უშბის ხეობა პრეისტორიულ და ანტიკურ ხანში
Ushba Ravine in Prehistoric and
Ancient Times

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities



საკვანძო სიტყვები: კავკასია, სვანეთი, ბიზანტია.
Keywords: Caucasus, Svaneti, Byzantium.

უშბის ხეობა – ბეჩო, უძველესი სვანური თემი მაღალ მთებში. საქართველოს უკანასკნელი დასახლებული პუნქტი უკიდურეს ჩრდილოეთში, სვანეთისა და ბალყარეთის გამყოფი ქედების ზღურბლზე, უშბის ძირში. სახელწოდება ბეჩუ-ბეჩო – სვ. ბეჩვი ნაწარმოებია კავკასიონის მწვერვალების – მაზერისა და უშბის ძირში მდებარე მთის ბეჩრის სახელიდან. სულხან-საბა ორბელიანის სიტყვა ბეჩი-ბეჩრი (სვან. ბეჩვი) განმარტებულია, როგორც გასაშტერებელი (გაშტერებული, გაოცებული) და მართლაც გასაოცარი და გასაშტერებელია ეს ადგილი. სავსებით ბუნებრივია, თუ ქართველმა კაცმა ოდესღაც აქ, მთის არწივის ამ საბუდარში, იპოვა არა მარტო მყუდრო სადგომი, არამედ ძველთაძველი სულიერი კულტურის ხელთუქმნელ ძეგლთა საიმედო სავანეც.

წერილობითი წყაროების მიხედვით, უშბისხეობა-ბეჩოს თემის სახელი მე-15 საუკუნიდან დაერქვა. მთავარი წერილობითი წყარო სვანეთის ისტორიისათვის „სვანეთის სულთა მათიანე“ პირველი, რომელიც ეხება მე-13-14 საუკუნეებს უშბისხეობაში ასახელებს სოფლებს: ებუთი, დოლი, ბეჩუ (დღევანდელი უშხვანარი). სამწუხაროდ, ამის შემდგომი ოთხი გვერდი დაკარგულია, სავარაუდოდ, ეს არის მაზერი მთლიანად მდ. ხელდურის ხიდიდან ზემოთ, ან ცალდცალკე სოფლები: ნაშთქოლი, თეთნაში, ჭოხულდი, ბავგდანარი, გული, მაზერი, ტვებიში. შემდეგი გვერდები გრძელდება ცხომარით (ცხუმარი).

რაც შეეხება ამ ხეობის ძველი დასახლების ისტორიას, ამ ეტაპზე არსებული არქეოლოგიური მონაცემებით დადასტურებულია, რომ ყველაზე ძველი დასახლებული პუნქტებია დოლასვიფი და ქართვეანი, ანუ ამ ადგილებში დადასტურებულია ადრებრინჯაოსა და შუაბრინჯაოს ხანის ფენები, კერძოდ, 1946 წელს მესტიის რ-ნის ბეჩოს თემის სოფ. დოლასვიფში, ზუგდიდი-მესტიის საავტომობილო გზიდან ჩრდილოეთით 100 მეტრის დაშორებით, ადგილობრივი მაცხოვრებელის, ვახტანგ კვიციანის, სახლის მშენებლობისას გაკეთებულ ე. წ. საკირე ორმოს ამოთხრის დროს აღმოჩენილა ბრინჯაოს ყუამილიანი ცული. ამ ნივთთან ერთად ყოფილა ბრინჯაოს შუბისპირი, კერამიკული მასალა და სხვა არტეფაქტები. თვითმხილველთა მონათხრობით, სავარაუდოდ, ყორღანია დაზიანებულია. შემდგომში ეს ნივთები მუშებს ერთმანეთში გადაუნაწილებიათ და არტეფაქტები გაფანტულა. შემორჩა

მხოლოდ ბრინჯაოს ყუამილიანი ცული, რომელიც ამჟამად დაცულია კერძო პირთან. არტეფაქტი სრულადაა შემონახული (სურ. 1).

ადრებრინჯაოს ხანის ფინალურ ეტაპს განეკუთვნება, ანუ ძვ. წ. III ათასწლეული.

მეორე ძეგლი, რომელიც შუაბრინჯაოს ხანას განეკუთვნება, ქართვანია. მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე წამომართულ პლატოზე, მესტია-ზუგდიდის გზატკეცილთან, 1983 წელს ადგილობრივმა მცხოვრებმა ქ. გაბულდანმა სახლის ასაშენებელი მოედნის მოწყობის მიზნით ჩამოქრა ფერდობი 3 მ. სიღრმეზე. იგი წაანყდა ბრინჯაოს ნივთებს, რომლებიც მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს გადასცა (ეს ნივთები ამჟამად გამოფენილია აღნიშნული მუზეუმის ექსპოზიციაზე). საკონტროლო გათხრების შედეგად დადგინდა, რომ აქ დანგრეულ იქნა სამარხი. არქეოლოგიური ნივთების ჩამონათვლი ასეთია: 1) ბრინჯაოს სატევარი, 2) ბრინჯაოს შუბისპირი; 3) ქვის პირამიდისებური თუ ბორბლისებური კვირისტავი, 4) ბრინჯაოს ქინძისთავები; 5) ბრინჯაოს მძივსაკიდები; 6) ბრინჯაოს სპირალური ხვიები; 7) ბრინჯაოს სასაფეთქლე საკიდები; 8) ბრინჯაოს სამაჯურის ფრაგმენტები; 9) ბრინჯაოს მძივები; 10) ბრინჯაოს ხარისთავი; 11) წყვილი ვერძის სკულპტურული გამოსახულება (გულსაკიდი). მასალა საკმაოდ მრავალფეროვანია და ორიგინალურიც (სურ. 2, 3, 4). ზოგიერთი ნივთისა და ცალკეული დეტალისთვის შესაძარებელი მასალები მოიპოვება კავკასიონის ორივე ფერდზე აღმოჩენილი შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებში, ანუ ძვ. წ. II ათასწლეული. ქართვანის სამარხეულმა მასალებმა კიდევ უფრო ძლიერად გამოკვეთა კოლხეთის მთიანეთისა და ჩრდ. კავკასიის არქეოლოგიური ძეგლების სიახლოვე ბრინჯაოს ხანაში. მკვლევართა ნაწილის ვარაუდით, აღმოჩენილი მასალა სამარხეული ინვენტარია და წარმოადგენს ბრინჯაოს ხანას. ნაწილი მკვლევრებისა ფიქრობს, რომ აღნიშნული სამარხი რიგი ელემენტებით უკავშირდება გვიანიბრინჯაოს ხანის კოლხეთის სამაროვანს ქართვანის სამარხს, ბოგრეშის ნამოსახლარის, ლარილარის და ბრილის (ღების) სამაროვნებთან ერთად მკვლევარები შესაბამისი ეპოქის ბარისა და ჩრდ. კავკასიის რეგიონებს შორის დამაკავშირებელ რგოლად მიიჩნევენ. აღნიშნული ტერიტორია, ჩვენი აზრით, ძალიან საინტერესოა, რადგან ქართვანის სამარხი, მდ. ენგურის ნაპირზე გამოვლენილი მალარო და მდ. ენგურში ნაპოვნი საიუველირო ნივთები, ერთ

ზოლზეა და, სავარაუდოდ, ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ქართვეანის სამარხიდან 1 კმ. მანძილზე, აღმოსავლეთით, მდ. ენგურის სანაპიროზე, ადგილ ბენიერში.

თსუ არქეოლოგიურ ექსპედიციას (ხელმძღვანელი, პროფ. ზვიად კვიციანი) 2013 და გასულ წელსაც ჰქონდა დაზვერვითი სავლე სამუშაოები. ეს ტერიტორია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რამეთუ ამ მიდამოებში, კერძოდ, ფერდობის დაბლა მდ. ენგურში გასულ წლებში ნაპოვნი იქნა საიუველირო ნივთები (სურ. 5). ჩვენი აზრით, ბეჩოს კოლექცია საიუველირო-(საოქრომჭედლო) დანიშნულების უნდა იყოს, შესაძლოა, ოქრომჭედლის-ხელოსნის სამარხიდან მომდინარე. ეს პირველი შემთხვევაა ქართულ არქეოლოგიაში. ამ მიდამოებში ვვარაუდობთ სწორედ ანტიკური ზარაფხანის ნაშთებს. ამავე ტერიტორიაზე, ადგილ ბენიერში 300 მეტრით დაშორებით, ჩრდილოეთით, მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროზე, კლდის ფერდზე, მდ. ენგურიდან 30 მ. სიმაღლეზე, ჩვენ დავაფიქსირეთ მადნის მოსაპოვებელი მაღარო (სურ. 6). ზომები 150X250. საყოველთაოდ ცნობილია, რომ კოლხეთის მთიან ზოლში გამოვლენილი ძველები ადგილობრივი მეტალურგების შექმნილია. არქეოლოგიური მასალების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური და მხატვრული ანალიზის გარდა, ეს დასკვნა დაფუძნებულია ძველი სამთამადნო გამონამუშევრების აღმოჩენის ფაქტებზე. სვანეთში არსებობდა სპილენძისა და რკინის მოპოვებისა და დამუშავებისათვის საჭირო ყველა აუცილებელი წინაპირობა: ბუნებრივი რესურსების სიუხვე და მრავალფეროვნება, რამაც ისტორიულად ხელსაყრელი პირობები შექმნა ამ ტერიტორიაზე ბინადარი ცხოვრებისა და მეურნეობის ძირითადი დარგების – მეტალურგიის, მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების ჩასახვა-განვითარებისათვის. აღნიშნული მაღარო დავზვერეთ. ექსპედიციის ორი წევრი შევიდა მაღაროში დაახლოებით 15 მეტრის სიღრმეზე, მოვახდინეთ მისი ფოტოფიქსაცია, ავიღეთ ანალიზისთვის სინჯები. მაღარო, რომელიც ღრმად შედის და აქვს თავისი განშტოებები, შესაბამისი ტექნიკის საშუალებებითაა შესასწავლი. შესაძლოა, 2012 წელს გამოვლენილ ტირბიშის მაღაროში ოქროს შემცველ რესურსებსაც მოიპოვებდნენ. ძველად ოქრო მოიპოვებოდა როგორც მდინარეული ნალექებიდან

უმცირესი ნაწილაკების სახით (ოქროს ქვიშა), ისე სამთო გამონამუშევრებიდან.

იქ, სადაც საიუველირო (საოქრომჭდლო) იარაღები იქნა ნაპოვნი, ზუსტად იმავე ადგილას, მდ. ენგურის ნაპირას, აღმოჩნდა შემდეგი ნივთები: ბრინჯაოს საკინძი მგლის თავის გამოსახულებით; ისრისპირები; ბრინჯაოს ფირფიტების ფრაგმენტები; ბრინჯაოსა და სპილენძის ზოდები – ნახევარფაბრიკატები; ადამიანის ხელისგამოსახულებიანი ბრინჯაოს ნივთი; ბრინჯაოს საკინძი ფრინველის(?) (სურ. 7) გამოსახულებით; სპილენძის გულსაკიდი სამი მტრედის გამოსახულებით და სხვა მასალის გარკვეული ნაწილის ახსნა ალბათ გაძნელებდა, ვიდრე არ განხორცილდება შემთხვევითი მონაპოვარების კვალდაკვალ უკვე მონიშნული ძეგლების გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრები.

The Ushba Valley-Becho, an ancient Svan community in the high mountains. The last settlement of Georgia is in the extreme north, at the foot of Ushba, on the threshold of the ridges separating Svaneti and Balkareti. The name Bechu-Becho – St. Bechvi is derived from the name of Bechri, a mountain located at the foot of Mazer and Ushba peaks of the Caucasus. Sul Khan-Saba Orbelian's word Bechi-Bechri (Svan Bechvi) is interpreted as stunning (astounded, amazed) and this place is really amazing and stunning. It is quite natural that a Georgian man once found here, in the place where mountain eagles nest, not only a cozy place, but also a safe haven for incredible monuments of ancient spiritual culture

According to written sources, Ushba Valley-Becho community was given this name in the 15th century. The main written source for the history of Svaneti is the “Chronicle of the Souls of Svaneti”, the first one, which refers to the 13th-14th centuries, names the following villages in Ushba Valley: Ebuti, Doli, Bechu (present-day Ushkhvanari)... Unfortunately, the following four pages are lost, probably it is Mazeri entirely from the Khelduri River bridge upwards, or separate villages: Nashtkoli, Tetnashi, Chokhuldi, Bagvdanari, Guli, Mazeri, Tvebishi. The following pages continue with Tskhomari (Tskhumari).

As for the history of the ancient settlement of this valley, it is confirmed by the archaeological data available at this stage that the ol-

dest settlements are Dolasvipi and Kartvani, that is, the Early Bronze and Middle Bronze Age layers have been confirmed in these places; namely, in 1946 in the village of Becho community of Mestia district, 100 meters north of the Zugdidi-Mestia highway, in Dolasvipi, during the construction of the house of the local resident Vakhtang Kvitsiani while excavating the burial pit, a bronze axe was found. Along with this item was a bronze spearhead, ceramic material and other artifacts. According to eyewitness accounts, the barrow was presumably damaged. Later, these items were distributed among the workers and the artifacts were scattered. Only a bronze axe has survived, which is currently kept by a private person. The artifact is fully preserved (Fig. 1).

It belongs to the final stage of the Early Bronze Age, i.e. III millennium BC.

The second monument which belongs to the Middle Bronze Age is Kartvani. On the plateau on the right bank of the river Enguri, near the Mestia-Zugdidi highway, in 1983, a local resident K. Gabuldani cut a 3m-deep slope in order to prepare a site for building a house. He came across bronze items, which he donated to the historical-ethnographic museum of Mestia. As a result of the control excavations, it was established that the tomb was destroyed here. The list of archaeological items is as follows: 1) a bronze dagger, 2) a bronze spearhead; 3) a stone pyramid-shaped or wheel-shaped crucible, 4) bronze pins; 5) bronze beads; 6) bronze spiral coils; 7) bronze blasting hangers; 8) fragments of a bronze bracelet; 9) bronze beads; 10) a bronze bull head; 11) a sculptural image of a pair of rams (pendant). The material is quite diverse and original (Fig. 2, 3, 4). For some items and individual details, comparable materials can be found in the monuments of the Middle Ages found on both slopes of the Caucasus, i.e. II millennium BC.

The burial materials of Kartvani highlighted even more strongly the proximity of archaeological monuments of mountainous Kolkheti and the North Caucasus in the Bronze Age. According to some researchers, the discovered material is a burial inventory and represents the Bronze Age. Some scholars think that the said tomb is connected with a number of elements to the Kolkheti tomb of the Late Bronze Age, the Kartvani tomb, the Bogreshi settlement, together with Larilari and Brili (Ghebi) tombs. It is considered to be a link between the plains and the regions of the North Caucasus.

In our opinion, the mentioned area is very interesting, as the Kartvani tomb, the mine discovered on the bank of Enguri River, and the jewelry found in the river Enguri are on a single band and should probably be linked together.

One km from Kartvani cemetery, to the east, on the bank of the river Enguri, in Benieri, TSU archaeological expedition (head, Prof. Zviad Kvitsiani) conducted exploratory field work in 2013 and last year as well. This area is especially important because in this locality, in particular, down the slope, in the river Enguri jewelry items were found in the past years (Fig. 5). In our opinion, the Becho collection should be of jewelry (goldsmithing) purpose, possibly coming from the tomb of a goldsmith-craftsman. This is the first case in Georgian archaeology. In these surroundings we assume the remains of the ancient mint. In the same area, 300 meters north of Benieri, to the north, on the right bank of the river Enguri, on the slope of the cliff, At the height of 30 m from the Enguri River we noticed an ore mining mine (Fig. 6). Dimensions 150X250. It is widely known that the monuments found in the mountainous area of Kolkheti were created by local metallurgists.



1



2



3



4



5



6



7



ვენერა კოჭლამაზაშვილი
Venera Kotchlamazashvili

ბალამანდის მონასტრის
არაბული ხელნაწერი □94
Balamand Monastery
Arabic Manuscript □94

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State university
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities



საკვანძო სიტყვები: ქრისტიანული არაბული ხელნაწერი; ტიპიკონი;
მელქიტები.

Keywords: Christian Arabic manuscript, Typicon, Melkites.

არაბული ხელნაწერი №94 ლიბანური წარმოშობისაა. იგი ინახება ბალამანდის მონასტერში, იოანე დამასკელის სახელობის ხელნაწერთა ცენტრში.

ხელნაწერი №94 დაწერილია ქაღალდზე, მუყაოს ყდით. ავტორის ვინაობა და თარგმანის თარიღი ცნობილია. იგი მოიცავს 209 გვერდს, ზოგი მათგანი დაზიანებული და დაჩვრეტილია. ამ ხელნაწერიდან სამონასტრო ტიპიკონი შედგება 169 გვერდისგან. ხელნაწერი დაწერილია არაბულ ენაზე, ნასხის ტიპის ხელწერით. გამოყენებულია შავი და წითელი მელანი. ამ უკანასკნელს ავტორი იყენებს ისეთ ადგილებში, სადაც სურს, ხაზი გაუსვას ამა თუ იმ წინადადებას ან სიტყვას. ზოგ ადგილას გვხვდება ოთხი წერტილით ჯვრის ფორმის რომბისებური სიმბოლო. ასევე ავტორი იყენებს წითელ მელანს ორთოგრაფიული ნიშნის – „მიძიმის“ აღსანიშნავად. თითოეულ გვერდზე ტექსტი წარმოდგენილია ორ სვეტად. თითოეული თავი გამოყოფილია მოზრდილი ასოებით.

ბუნებრივია, ტიპიკონის კვლევისას შინაარსი საინტერესოა. იგი იწყება მინაწერით, რომელშიც ავტორის (მთარგმნელის) ვინაობა და თარგმანის თარიღი ჩანს, რაც დასტურდება შემდეგი მინაწერით:



ილუსტრაცია №1 – ხელნაწერი 94, ბალამანდის მონასტერი, ლიბანი. ფოტო გადაღებულია ტაკი ლუკას მიერ.

„ტიპიკონის წიგნი – ლოცვის რიგი და წესი, მოქმედი ბერძნულ ეკლესიებში, რომელიც 1612 წელს დიდი შრომის შედეგად ბიზანტიურიდან (ბერძნულიდან) ალექსო მიტროპოლიტმა, მელეთიოს მდაბალმა თარგმნა, სადიდებლად (უფლისა)“.

რაც შეეხება ტიპიკონის შინაარსს, მინაწერის შემდეგ იწყება შესავალი ნაწილი, რომელიც შედგება 3 ფურცლისგან, სადაც ავტორი აღწერს არსებულ ვითარებას და რა იყო მთავარი მიზეზი, რამაც ამ ტიპიკონის თარგმანისკენ უბიძგა.

მელეთიოს ქარმა მთავარ მიზეზად ასახელებს არაბულ ენაზე ამ ტიპიკონის არქონას და განსხვავებას საეკლესიო წესებსა და რიტუალებში. მისი მთავარი მიზანი იყო, დაენერგა ერთიანი სამონასტრო წესები არაბულენოვან მართლმადიდებელ საზოგადოებაში და აემაღლებინა განათლების დონე ღვთისმსახურთა შორის.

ამონარიდი შესავალი ნაწილიდან:

„მე, როდესაც დავინახე ქრისტიანულ ეკლესიებში წესის, რიტუალისა და წესრიგის განსხვავება და თუ რა აკლია მის ხალხს (მრევლს) ღვთისმსახურებაში, მეტანიებსა და მარხვაში და რამაც გააბათილა ნამდვილი, სწორი, ჭეშმარიტი წიგნები, და რაც წინა პერიოდში ერეტიკოსთა წესები მიიღეს დამრღვევებმა ლოცვისა და მარხვის შეცვლით, მას შემდეგ, ვაგრძელებ დამრღვევთა წესის დარღვევის ძირის ძიებას საფუძვლიანად, ვეძებე მათი დარღვევების მიზეზები, რათა მეპოვა ამ შეცდომისა და დარღვევის საფუძველი არაბთა ეკლესიებში, რომელიც იწვევს სიძულვილს და სიბრაზეს, ამის საბაბი, საფუძველი და მიზეზი არის ბიზანტიის ძველი ტიპიკონის არქონა“...

შესავალ ნაწილში ასევე მოცემულია ტიპიკონის, როგორც წმინდა წიგნის, მნიშვნელობა. ავტორი აღწერს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ტიპიკონს სამონასტრო ცხოვრებაში და მიმართავს მართლმადიდებელ საზოგადოებას, რომ ზედმინევით დაიცვან ტიპიკონის წესები, ხოლო აფრთხილებს იმას, ვინც დაარღვევს წესებს, რომ განდევნილ იქნება ეკლესიიდან.

ამონარიდი შესავალი ნაწილიდან:

„ბარაქა მიეცეს იმას, ვინც სარგებელს მიიღებს მისგან, და ეკლესიიდან კატეგორიულად განიდევნოს ის, ვინც ამოაკლებს რამეს ან ჩაამატებს. იცოდე, ღმერთი მოგცემს კეთილდღეობას,

ეს წიგნი არის ძველი, წმინდა კრებების ეპოქიდან და ის არის ეკლესიის შთამავონებელი ნაწილი და რწმენის მწვერვალზეა“...

შესავალ ნაწილში მოცემულია ასევე 57 თავის მოკლე შინაარსი და შემდეგ იწყება ტიპიკონის ძირითადი ნაწილი, რომელშიც უშუალოდ წარმოდგენილია სამონასტრო განრიგი, წესები და რიტუალები.

ამონარიდი ძირითადი ნაწილიდან:

„...ქვემოთ ჯოჯოხეთი დაინგრა, როცა შენ შეგხვდა. ჯოჯოხეთი დაინგრა, რადგან შენ გარდაიცვალე, დაიქცა, რადგან განადგურებულია. განადგურდა, რადგან დასცინიან. მიიღო სხეული და ირწმუნა ღმერთი, მიიღო მინა და ზეცას წააწყდა, მიიღო ხილული და უხილავიდან გადმოვარდა, სად არის შენი სიძლიერე, სად არის შენი გამარჯვება, ჯოჯოხეთო? ქრისტე აღდგა და შენ ქვემოთ დაეცი. ქრისტე აღდგა და დემონები დაეცნენ, ქრისტე აღდგა და ანგელოზებმა გაიხარეს, ქრისტე აღდგა და ცხოვრება გამოჩნდა, ქრისტე აღდგა და არ არის სიკვდილი საფლავში, ქრისტე აღდგა მკვდრეთით და სიკვდილი ნაადრევი გახდა. დიდება მას სამარადისოდ, ამინ. შემდეგ ლიტანია და აღსარება; უნდა იცოდე, რომ დღეიდან, ვგულისხმობ წმინდა პასექის კვირას, მომდევნო შაბათამდე, მწუხრის ლოცვებსა და საათებს ასე ვგალობთ“...

„...შემდეგ კითხულობს მათეს სახარების განმარტებას, თავს ჯვარცმის შესახებ, შემდეგ – კურთხეულ იყოს უფალი ღმერთი, წმიდაო ღმერთო და შემდეგ, რაც მოჰყვება, კონდაკი; მოდით, ყველამ ვადიდოთ ჯვარცმული. ორმოც ხმადაც – უფალო შეგვიწყალებნ. ვინც მარადიულია, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ქერუბიმზე უფრო კეთილშობილია. ღმერთო, შეგვიწყალებ და დაგვლოცე, ღვთიურო მუეფეო; ლოცვა ექვს საათზე – წმინდაო ღმერთო და, რაც მას მოჰყვება. თორმეტ ხმაში – უფალო შეგვიწყალებ, სამჯერ; შევასრულოთ მეტანია, ორმოცდამეცამეტე ფსალმუნი, ღმერთო, სახელითა შენითა მაცხოვრე მე და ასოცდამეცხრამეტე ფსალმუნი – მიხსენ მე უფალო ბოროტი კაცისგან. და ოთხმოცდამეათე ფსალმუნი – რომელი დამკვიდრებულ არს შეწევნითა მალღისაითა, ტროპარი, ალილუია სამჯერ, ტროპარი მეორე ხმაში“...

მოხსენებაში გაანალიზებული იქნება საბას ლავრის ტიპიკონის ეს და ზოგიერთი სხვა დეტალი.

Arabic manuscript №94 is of Lebanese origin. It is located in Balamand Monastery, John of Damascus Manuscript Center.

As for the manuscript No 94, it is written on paper, it comprises 209 pages, some of which are damaged and have holes. From this manuscript the research material is the monastic Typicon, which consists of 169 pages. The manuscript is written in Arabic. It consists of 57 chapters, each chapter is of different size and is separated from the rest. The sentences are separated by four dots, rhomb-like symbols with the form of a cross. There occur words or sentences, separated with red ink. On each page the text is presented in two columns.

The translation of the Typicon is dated to 1612, which is proved by the following colophon:

“The Book of Typicon – the sequence and rule of prayer valid in Byzantine churches, which was translated from Greek by the Metropolitan of Aleppo, the humble Melethios to glorify the Lord”.

As for the content itself, the Typicon consists of an introduction and 57 pages.

The introductory part contains 3 pages, where the author describes the current situation and the main reason which made him translate the present Typicon. As the main reason he names the absence of the Typicon in Arabic, which caused the existence of many variants for all the rules and rituals. He draws attention to the necessity of following the rules thoroughly. His purpose was to introduce unified monastic rules in the Arabic-speaking Greek Orthodox community and to raise the level of education among the clergy.

Part of the content:

“When I saw the difference of rule, ritual and order in Christian Churches, and what their people (parish) lack in divine service, metanoia (prostration) and fasting, what has abolished true, correct, genuine books, and what rules of heretics the breakers have adopted recently by changing prayers and fasting, I continue thoroughly investigating the roots of breaking rules. I have looked for the reasons of their deviations, so that I could find the basis for the error and violations in the Churches of the Arabs that causes hatred and anger. The reason, the basis and motif of this is the absence of old Byzantine Typicon...”

In the introductory part the importance of the Typicon as a holy book is also underlined. The author describes the importance of the

Typicon in monastic life and appeals to the Greek Orthodox community to follow the rules of the Typicon very carefully; on the other hand, he warns those who break the rules that they will be excommunicated from the church.

Part of the content:

“Let blessings be given to those who will benefit from it and let categorically be excluded from the church those who will remove or insert something; be aware that God will give you well being, this is an old book from the epoch of the Holy Councils, it is the fascinating part of the church and is on the highest point of faith...”.

In the introductory part is given a summary of 57 chapters and then comes the main part of the Typicon. After the introduction, starts the main part of the Typicon, where the monastery schedule, rules and rituals are given.

An excerpt from the main part of the manuscript:

“...then he reads the explanation of the Gospel of Matthew, the chapter about the crucifixion, then blessed be our God, Oh, Holy God, and then what follows, Kontakion, let us all praise the crucified one. Forty voices – Lord, have mercy on me...”

The paper will discuss the above-mentioned issues and some other aspects of the Typicon.

ვახტანგ ლიჩელი
Vakhtang Licheli

კულტი და წარმოება გრაკლიან გორაზე,
საქართველო (ძვ.წ.აღ. I ს.)
Cult and Production on Grakliani Gora,
Georgia (1st mill. BC)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities




საკვანძო სიტყვები: კულტი, წარმოება, გრაკლიანი გორა.
Keywords: cult, production, Grakliani Gora.

გრაკლიანი გორის მესამე ტერასაზე სხვადასხვა დანიშნულების შენობებია გათხრილი, რომლებიც განეკუთვნებიან ადრერკინისა და აქემენიდურ/პოსტაქემენიდურ ხანას. ფუნქციურად ისინი წარმოადგენენ სამლოცველოებს, საცხოვრებლებსა და საწარმოებს. მათ შორის გამორჩეულია №3-1 შენობის (ძვ. წ. V-IV საუკუნეები) მშენებლობის დროს დანგრეული წარწერებიანი ტაძარი (ძვ. წ. X საუკუნე).

სამლოცველოები ერთმანეთისაგან განსხვავებულია როგორც ქრონოლოგიურად და სტრუქტურულად, ისე კონკრეტული დანიშნულებით. მაგალითად, წარწერებიანი ტაძარი ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი და შეწირულ ინვენტარში მხოლოდ ფეტვით სავსე ჭურჭელი გვხვდება. ამ დანიშნულების სიმბოლოდ კი ცენტრალური საკურთხევლის პოსტამენტის აღმოსავლეთ კუთხეში აღმართული საინფორმაციო სტელა გვევლინება. იგი დაგვირგვინებულია ვერძის თავის სკულპტურული გამოსახულებით, რომელიც ნაყოფიერების სიმბოლოს წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვერძის კულტი გრაკლიან გორაზე ხანგრძლივი პერიოდის – 500 წლის განმავლობაში შემოინახა, რადგან სწორედ ვერძის თავების სკულპტურული გამოსახულებებით იყო დამშვენებული №3-1 შენობის „C“ სათავსოს ჩრდილო კედელი. ამავე პერიოდის №6 შენობა კი წარმოადგენს მეტალურგიისა და მჭედლობის მფარველი ღვთაებისადმი მიძღვნილ სამლოცველოს. ამ შენობის საკუჭნაოს დასავლეთ კედელზე მიდგმული თაროებიდან ჩამოცვნილ ნივთებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია რკინის სამჭედლო ნივთებს (ჩაქუჩი, ორი გრდემლი, სოლისებური იარაღი და სხვა). უნდა აღინიშნოს, რომ ლითონის ნივთების შეწირვა ყოველთვის არ ნიშნავს სამლოცველოს მეტალურგიის ღვთაებისადმი მიძღვნას, თუმცა, ეს ძღვენი სიმდიდრისა და კეთილდღეობის ნიშნად მიიჩნევა. ამისი ნათელი დასტურია სიცილიაზე, ბითალემის დემეტრა თესმოფოროსის ტაძარში შეწირული სხვადასხვა დანიშნულების მქონე ბრინჯაოსა და რკინის მრავალრიცხოვანი ნივთი, რომელთა შორის ნაწილი ფრაგმენტების სახით არის შეწირული (ბითელემის შეწირულობები სიცილიაზე მოცულობით მესამეა Mendolito di Adrano-სა და Santa Anna at Agrigento-ს შემდეგ).

სამლოცველოების პარალელურად, გრაკლიანი გორის მესამე ტერასაზე რკინის ნივთების დასამზადებელი სამჭედლო და

სპილენძის სადნობი ქურა (ძვ. წ. XI საუკუნე) აღმოჩნდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ მეორე და მეოთხე ტერასებზე კერამიკის გამოსაწვავი ქურები (ძვ. წ. VI საუკუნე და ძვ. წ. XI საუკუნე), ხოლო მეორე ტერასაზე ქვის ხელსაფქვავეების დაუმთავრებელი ნაწილებია მოპოვებული, აგრეთვე მეოთხე ტერასაზე მიკვლეულ ტყავის სახელოსნოსა (ძვ. წ. IV საუკუნის მიწურული) და მესამე ტერასაზე აღმოჩენილ ყალიბს (ცენტრალურ ამიერკავკასიური ბრინჯაოს ცულის დასამზადებელი. ძვ. წ. IX-VIII საუკუნეები), მაშინ ცხადი ხდება, რომ გრაკლიან გორაზე დროის სხვადასხვა მონაკვეთში პრიორიტეტი ხან წარმოებას და ხანაც რელიგიურ აქტივობას ენიჭებოდა. თუმცა, რიგ შემთხვევაში, რელიგიური და საწარმოო აქტივობები სრულიად ჰარმონიულად ვითარდებოდა (მაგალითად, ძვ. წ. XI-X საუკუნეები და ძვ. წ. IV საუკუნე).





გრაკლიანი გორა. სპილენძის სადნობი ქურა, ძვ. წ. XI- X საუკუნეები
(მ. ახალაიას ნახაზი)
გრაკლიანი გორა. წარწერა. ძვ. წ. X საუკუნე

A diverse array of buildings has been unearthed on the 3rd and 4th terraces of Grakliani Gora (Hill), spanning the EIA and Achaemenid-/post-Achaemenid eras. These structures served a multitude of purposes, encompassing shrines, residences, enterprises, and storage rooms. Among them, a truly remarkable find is the shrine with inscriptions dating back to the 10th century BC (A), which unfortunately suffered destruction during the construction of building N 3-1 in the 6th -5th centuries BC (B).

The shrines discovered on the terraces exhibit distinct variations in terms of chronology, architectural design, and specific function. Notably, the inscribed shrine with inscriptions is dedicated to a fertility deity, with the sole inventory comprising a millet-filled vessel.

The remarkable structure of Achaemenid period is building N 6, which serves as a shrine devoted to the patron deity of metallurgy and blacksmithing (C). Within the storeroom on the west wall of this building, amidst the objects that tumbled from the shelves, lie iron forging tools (including a hammer, two awls, a wedge weapon).

In addition to the shrines on Grakliani Hill, evidence suggests the existence of:

1. remnants of unfinished stone hand grinders on the second terrace;
2. discoveries on the second and fourth terraces include kilns for ceramic firing (dating to the 6th and 11th centuries BC);
3. a forge for crafting iron objects on the third terrace;
4. a mold on the third terrace used for fashioning a Central Transcaucasian bronze ax from the 9th-8th centuries BC;
5. copper smelting furnace (11th c BC) on the third terrace;
6. a leather workshop from the late 4th century BC on the fourth terrace.

These findings collectively affirm that in different periods of time, production was a priority on the south slope of Grakliani Hill and sometimes it was used for the religious activity. Notably, religious activities and industrial pursuits in most cases coexisted harmoniously, exemplified by the fruitful synergy observed during the 11th-10th centuries BC and the 4th century BC.

Plates:

Grakliani Gora (Hill). Copper smelting furnace (11th c. BC) on the third terrace.

Grakliani Gora (Hill). Inscription "A". 10th c. BC.

დავით მაზიაშვილი
David Maziashvili

12 პაემანი, როგორც ნუგეში
12 Visits as the Consolation

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities*



საკვანძო სიტყვები: ალექსიძე, ბოეთიუსი, ბიბლია, მედეა, ფედრა,
თანამედროვე ბალეტი.

Keywords: Aleksidze, Boethius, Bible, Medea, Phaedra, contemporary
ballet.

მარიამ ალექსიძის მულტიმედიური თანამედროვე ბალეტი „12 პაემანი“ ორთაჭალის ყოფილ ციხეში 2021 წელს დაიდგა. სპექტაკლი რენტგენის ეფექტით ციხის შიდა სამყაროს, პატიმრისა და მისი ოჯახის სულიერი მდგომარეობის შესახებ მოგვითხრობს, რასაც დამდგმელი ქორეოგრაფი მაღალმხატვრული გამომსახველობითი ფორმებით მრავალმხრივ და საინტერესოდ წარმოგვიდგენს. სპექტაკლი ერთ კონკრეტულ ამბავს ან/და სიუჟეტს არ ეფუძნება, არამედ, პირიქით, ქორეოგრაფიული დრამატურგიის, პლასტიკის, ადგილის, მუსიკისა და ვიდეოპროექციის სინთეზით მხატვრული, ალეგორიული, ალუზიური, ემოციური ველი იქმნება, რომელშიც მყურებელი თავად ხდება ციხის რეალობის ნაწილი. პატიმართან პაემანზე მისული 12 სხვადასხვა ასაკის ქალის (დედის, ბებულის, ქალიშვილის, ცოლის) უსიტყვოდ, სხეულის ემოციით მოყოლილი შეხვედრა, ფიქრები, ტკივილი, განცდები და ტანჯვა, როგორც საბჭოთა წარსულს, 1937 წელს დაპატიმრებულთა, გადასახლებულთა თუ დახვრეტილთა ოჯახებს, ისე პოსტსაბჭოურ და უახლეს ქართულ წარსულს მოგვაგონებს. თუმცა მძიმე ისტორიის მქონე ადგილის პარალელურად, თანამედროვე ქორეოგრაფიული მხატვრული ხერხებით გამოთქმული აზრები უფრო ღრმა ფილოსოფიურ, რელიგიურ თუ კინემატოგრაფიულ-ლიტერატურულ პლასტებს ატარებს, რომლებსაც ამავე თანმიმდევრობით განვიხილავ:

1. ბოეთიუსის „ფილოსოფიის ნუგეში“;
2. ბიბლიური ალუზიები;
3. კინემატოგრაფიული ალუზიები;
4. სამაია – მედეა, ფედრა, კარმენი.

*Let any one of you who is without sin be
the first to throw a stone at her.*

John 8:7

Mariam Aleksidze is one of the first Georgian professional female choreographers of Contemporary Ballet. Since 2016, Mariam Aleksidze has been staging original ballets for Tbilisi Contemporary Ballet company, creating its original repertoire. Mariam Aleksidze's ballets feature musical genres from Baroque to electronic music. The creation of contemporary ballets based on literary works and texts is a strong suit of her work; she often cooperates with writers and academics. Staging the musicality of words and poetry is a signature style of Mariam Aleksidze. In her choreography, Mariam often uses mythology, basic concepts of Georgian folklore and Georgian music, touches on universal human as well as topical issues in her ballets.

The goal of the paper is to find out common characteristics between the work of Roman philosopher and thinker Boethius and Aleksidze's one of the latest performances *12 Visits* (Premier held on October, 2021 in Georgia, at the former Prison). Research shows that Boethius's "The Consolation of Philosophy" had a great influence on Aleksidze's performance, where action is set in prison. Such an influence is expressed in metaphors and symbols apparent not only in the performance theoretical stratum but also in video projection. Aleksidze uses projection to show brutal reality of the prison and prisoners from the inside out.

Aleksidze's *12 Visits* is also a good example of intertextuality and meta-cinematography technique. Creative mixture of the historical truth, contemporary reality and the work of Boethius artistically expressed in the production. Thus, it is very important to analyze Aleksidze's interpretation of the texts, because according to the performance, it represents not only actual reality or nearest past of Georgia (Soviet and Post-Soviet reality), but fictional, biblical (New Testament) and cinematographic reality as well.

Considering this, I would like to discuss several issues:

1. "The Consolation of Philosophy" by Boethius;
2. Biblic alusions (New Testament);
3. Cinematographic alusions;
4. Samaia (trio) – Medea, Phaedra, Carmen.

ხვთისო მამისიმედიშვილი
Khvtiso Mamisimedishvili

კავკასიური ომებისა და მუჰაჯირობის ასახვა
აბუზარ აიდამიროვის რომანში
„გრძელი ღამეები“
**Reflection of Caucasian Wars and Muhajirism
in the Novel of Abuzar Aidamirov
“Long Nights”**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities*



საკვანძო სიტყვები: ჩეჩნური რომანი, კავკასიური ომები,
მუჰაჯირობა.

Keywords: Chechen novel, Caucasian Wars, Muhajirism.

ჩეჩნური ლიტერატურის განვითარებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის აბუზარ აიდამიროვს (1933 – 2005), გამოჩენილ ჩეჩენ რომანისტს, პოეტს, პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს. აბუზარ აიდამიროვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები არის რომანი „გრძელი ღამეები“ (ჩეჩნ. *Еха быӀсанаа*), რომელმაც მწერალს საყოველთაო აღიარება და პოპულარობა მოუპოვა.

აბუზარ აიდამიროვმა რომანზე მუშაობა ჯერ კიდევ დეპორტაციის წლებში, ყაზახეთში ცხოვრების დროს, დაიწყო. მწერალს ეკრძალებოდა ჩეჩენი ხალხის თავზე საბჭოთა პერიოდში დატეხილი უბედურების შესახებ რაიმე პუბლიკაციის დაწერა და გამოქვეყნება. ამიტომ მან შექმნა რომანი „გრძელი ღამეები“, რომლის სიუჟეტიც ასახავს ისტორიულ წარსულს, ცარიზმის სასტიკ კოლონიალურ პოლიტიკას ჩეჩენი ხალხის წინააღმდეგ, თუმცა ნაწარმოების გამოქვეყნება ჩეჩნურ ენაზე მხოლოდ 1972 წელს გახდა შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ რომანში მოქმედება ხდება XIX საუკუნის შუა წლებსა და II ნახევარში და მას თითქოს არანაირი კავშირი არ ჰქონდა საბჭოთა სინამდვილესთან, მთავრობამ „გრძელი ღამეები“ მალევე აკრძალა. საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმისთვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა აბუზარ აიდამიროვის რომანი, რომელიც რუსეთ-კავკასიის ომებისა და ჩეჩენთა მუჰაჯირობის ობიექტური მიზეზების შესახებ მოგვითხრობდა. რუსულ ენაზე ის პირველად მხოლოდ 1996 წელს დაიბეჭდა.

ოფიციალური საბჭოთა ისტორიოგრაფია კავკასიის მთიელთა ბრძოლას თავისუფლებისთვის განიხილავდა, როგორც რელიგიური ფანატიკოსების მიერ ქრისტიანული რუსეთის წინააღმდეგ მოწყობილ ჯიჰადს, რომელიც ინსპირირებული იყო ოსმალეთის იმპერიისა და დიდი ბრიტანეთის მიერ. ა. აიდამიროვმა რომანში ასახა რუსეთ-კავკასიის ომების დამპყრობლური ხასიათი, ომში ჩაბმული ჩეჩენი ხალხის სოციალური ყოფა, ომის შედეგად გამოწვეული ჰუმანიტარული კატასტროფა.

აბუზარ აიდამიროვის „გრძელი ღამეების“ სიუჟეტი მოიცავს ვრცელ გეოგრაფიულ არეალს. ნაწარმოებში მოქმედება ხდება ჩეჩენეთის მაღალმთიან აულებში, კაზაკთა სტანიცებში, ვლადიკავკაზში, თბილისში, კონსტანტინოპოლში, ლონდონსა და მსოფლიოს სხვა ქალაქებში. რომანში, მართალია, არ არის მთავარი გმირი და თანმიმდევრული სიუჟეტი, მაგრამ ეს გარემოება არა-

ფერს აკლებს ნაწარმოებს. რომანის პერსონაჟები ძირითადად ისტორიული პირები არიან: იმამი შამილი, ბაისანგურ ბენოელი, რუსი გენერლები, კავკასიის მეფისნაცვალის და სხვ. მწერალი მოგვითხრობს, თუ როგორ წყდებოდა ჩეჩენი ხალხის ბედი რუსეთის იმპერატორის, კავკასიის მეფისნაცვლისა და ოსმალეთის სულთნის სასახლეებში. ჩეჩენი ხალხის ოსმალეთის იმპერიაში გადასახლებასთან დაკავშირებით რომანი წარმოგვიდგენს უაღრესად დაძაბულ დიალოგებს თერგის ოლქის უფროს მიხეილ ლორის-მელიქოვსა და ოს გენერალ მუსა კუნდუხოვს შორის, ასევე რუსეთის ელჩ იგნატიევსა და ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ალი ფაშას შორის. მწერალმა რომანში გამოკვეთა მუსა კუნდუხოვის განსაკუთრებული როლი მუჰაჯირობის მთელ პროცესში. აბუზარ აიდამიროვმა შექმნა უაღრესად დახვეწილი მხატვრული სახე ამ ცბიერი გენერლისა, რომელმაც შეძლო ჩეჩენი ხალხის ერთი ნაწილის მოტყუება და მათი ოსმალეთის იმპერიაში გადასახლება, რათა ცარიულ ხელისუფლებას გაადვილებოდა დაპყრობილი ტერიტორიის მართვა.

აბუზარ აიდამიროვის რომანში დიდი ინტერესით იკითხება ისეთი დეტალები, რომლებიც ეხება ჩეჩენი ხალხის ტრადიციულ ყოფას, სტუმარმასპინძლობის წესებს, მოზარდების მეომრებად აღზრდის პრაქტიკას, ქუთ-ჰაჯის მოძრაობას, შალის აჯანყებას – ე. წ. „ხანჯლებით ბრძოლას“, ჰაზავათის კრიტიკას, ჩეჩნებისა და კაზაკების ურთიერთობას, XIX საუკუნის ტფილისის აღწერას და სხვ.

სამწუხაროდ, რომანი „გრძელი ღამეები“ ქართულ ენაზე თარგმნილი არ არის. მნიშვნელოვანია აბუზარ აიდამიროვის ნაწარმოების ქართულ ენაზე თარგმნა და მისი ქართული მკითხველისთვის გაცნობა.

ლიტერატურა:

Айдамиров, А. А. (1996). Долгие ночи, роман (пер. с. чеченского), Москва: изд. „Арграф“.

Джамбеков, О. А. Джамбекова, Т. Б. (2009). Историзм и фольклорные истоки трилогии Абузара Айдамирова «Долгие ночи», Вестник Адигейского государственного университета, №4. <https://cyberleninka.ru/article/n/istorizm-i-folklornye-istoki-trilogii-abuzara-aydamirova-dolgie-nochi/viewer>

Abuzar Aidamirov (1933 – 2005), a prominent Chechen novelist, poet, publicist and public figure, made a great contribution to the development of Chechen literature. The most important work of Abuzar Aidamirov is the novel “Long Nights” (Chechen: *Еха буйсанаш*), which won the writer universal recognition and popularity.

Abuzar Aidamirov started working on the novel during the years of deportation, while living in Kazakhstan. The writer was forbidden to write and publish any publication about the misfortunes of the Chechen people during the Soviet period. Therefore, he created the novel “Long Nights”, the plot of which reflects the historical past, the cruel colonial policy of tsarism against the Chechen people, although it became possible to publish the novel in the Chechen language only in 1972. Abuzar Aidamirov’s novel, which told us about the objective reasons of the Russian-Caucasian Wars and the Muhajirism of Chechens, turned out to be completely unacceptable to the Soviet totalitarian regime.

Official Soviet historiography viewed the Caucasian Highlanders’ struggle for freedom as a jihad, organized by religious fanatics against Christian Russia, inspired by the Ottoman Empire and Great Britain. A. Aidamirov depicted in the novel the conquering character of the Russian-Caucasian Wars, the social life of the Chechen people involved in the war, and the humanitarian catastrophe caused by the war.

The story of Abuzar Aidamirov’s “Long Nights” covers a wide geographical area. The action takes place in the highland villages of Chechnya, Cossack Stanitsas, Vladikavkaz, Tiflis, Constantinople, London and other cities/towns of the world. The characters of the novel are mainly historical persons: Imam Shamil, Baysangur Benoel, Russian generals, the Viceroy of the Caucasus, etc. The writer tells, how the fate of the Chechen people was decided in the palaces of the Russian emperor, the viceroy of the Caucasus and the Ottoman sultan. Abuzar Aidamirov created a highly refined artistic face of the Ossetian general Musa Kundukhov, who was able to deceive a part of the Chechen people and immigrate them to the Ottoman Empire in order to make it easier for the tsarist authorities to manage the conquered territory.

In Abuzar Aidamirov’s novel, one reads with great interest the details related to the traditional existence of the Chechen people, the rules of hospitality, the practice of raising teenagers to be warriors, criti-

cism of Hazavat, the relationship between Chechens and Cossacks, the description of Tiflis in the 19th century, etc.

References

Aidamirov, A.A. (1996). *Dolgie Nochi*, (per. c. chechenckogo), Moskva: izd. "Argraf". [Long Nights, a novel (translated from Chechen language)]. Moscow: Publishing House "Argraph".

Dzhambekov, O.A. Dzhambekova, T.B. (2009). Istorizm i folklornie istoki trilogii Abyzara Aidamirova "Dolgie nochi". Vestnik Adigeiskogo gosydarstvennogo yniversiteta, №4. [Historicism and folklore origins of Abuzar Aidamirov's trilogy "Long Nights"]. Bulletin of the Adigey State University, No. 4 <https://cyberleninka.ru/article/n/istorizm-i-folklornye-istoki-trilogii-abuzara-aydamirova-dolgie-nochi/viewer>

ლადო მინაშვილი
Lado Minashvili

კიტა აბაშიძის, როგორც კრიტიკოსის
პორტრეტისათვის
For the Portrait of
Kita Abashidze as a Critic

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities



საკვანძო სიტყვები: ქართული ლიტერატურა, ქართული კრიტიკა,
კიტა აბაშიძე.

Keywords: Georgian literature, Georgian criticism, Kita Abashidze.

ნიჭიერი, ერუდირებული, ფაქიზი გემოვნების კრიტიკოსისა და ლიტერატურის ისტორიკოსის კიტა აბაშიძის მთავარი ნაშრომი, როგორც ცნობილია, არის „ეთიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“. ეს ნაშრომი იწერებოდა წლების განმავლობაში და მისი ნაწილები იბეჭდებოდა ქართულ პერიოდიკაში, ხოლო საბოლოოდ გამოქვეყნდა ორ წიგნად 1911-1912 წლებში ქუთაისში. ეს იყო ფაქტობრივად პირველი ნაშრომი, რომელიც ითვალისწინებდა XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში ლიტერატურულ მიმართულებათა ჩასახვა-განვითარების ისტორიას და ამ მიმართულებათა მთავარი წარმომადგენლების დახასიათებას. მიუხედავად იმისა, რომ ნაკლოვანებათა გარკვეული სიმწვავით მითითება-ჩვენება უცხო არ იყო გარკვეული მწერლების ცხოვრებისა და შემოქმედების განხილვისას (მაგალითად, გრიგოლ ორბელიანის სამოქალაქო ცხოვრებისა და პოეზიის ურთიერთშეუსაბამობა, პოემა „სადღეგრძელოს“ მხატვრული მხარე, ალექსანდრე ყაზბეგის პროზის, ენისა და საზოგადოდ სტილის გაუმართაობა და ა. შ.) მკვლევრებმა ამ მხრივ მაინც გამოარჩიეს ეტიუდი გიორგი წერეთლის შესახებ. ლიტერატურის ისტორიკოსების ყველაზე მეტი კრიტიკა სწორედ გიორგი წერეთლის კიტა აბაშიძისეულმა შეფასებამ დაიმსახურა. ჩაითვალა, რომ კიტა აბაშიძე პირდაპირ ბრალმდებლის როლს კისრულობდა გიორგი წერეთლის, როგორც მწერლის შეფასებისას, ერთი სიტყვით, ეტიუდის წერილსა კრიტიკოსი ობიექტურობას ვერ იცავდა, იყო თურმე ცალმხრივი, სუბიექტური, რაც ძირითადად ორი მიზეზით იყო განპირობებული: გ. წერეთლის „შედარებით სუსტი ბელეტრისტული ნიჭით“ და, რაც მთავარია, „ცუდი დამოკიდებულებით კრიტიკოსსა და მწერალს შორის“ (დავით გამეზარდაშვილი). კიტა აბაშიძის ეტიუდის კრიტიკული პათოსის ამგვარი ახსნა ჯერ ერთი მარტივი ახსნა და მეორედ, რაც მთავარია, ასეთი ახსნა-კრიტიკოსსა და მწერალს ცუდი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთან – ნებისთ თუ უნებლიეთ ჩრდილს აყენებს კიტა აბაშიძის, როგორც კრიტიკოსის, მკვლევრის სახელს. კიტა აბაშიძის ეტიუდის კრიტიკული პათოსის ახსნა კრიტიკოსის „ცუდი დამოკიდებულებით“ მწერლისადმი გულუბრყვილო ახსნა იქნება. აბაშიძის „ეთიუდების“ შესაფასებლად აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ის ლიტერატურულ-კულტურული და პოლიტიკური ატმოსფერო, რომელშიაც იქმნებოდა კიტა აბაშიძის ნარკვევი გიორგი წერეთელ-

ზე. 90-იანი წლებიდან, როგორც ცნობილია, თანდათანობით ილია ჭავჭავაძისა და მისი „ივერიასთან“ დაპირისპირების ჟინი გამოამჟღავნეს ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატებმა. ილია ჭავჭავაძე დაუნდობელი იყო ასეთთა მიმართ, ხოლო მისი ასეთი უკომპრომისობა კიდევ უფრო აღიზიანებდა სოციალ-დემოკრატებს და შურისძიების სურვილს უღვიძებდა. მარქსისტი პუბლიცისტები და კრიტიკოსები ხელოვნურად უპირისპირებდნენ ილიას, დიდი მწერლის სახელს, გიორგი წერეთელს და ამ უკანასკნელის უპირატესობას აღიარებდნენ, მას განადიდებდნენ ილიას სახელის დაკნინების ხარჯზე. გიორგი წერეთელი თავადაც აცხადებდა პრეტენზიას, რომ სინამდვილეში ილია კი არა, არამედ იგი იყო პირველი რეალისტი ქართულ ლიტერატურაში. სწორედ ასეთ ლიტერატურულ-კულტურულ და პოლიტიკურ ატმოსფეროში იწერებოდა და საბოლოოდ გამოსაცემად გამზადდა კიტა აბაშიძის „ეტიუდები“. წიგნში ავტორმა მალალ დონეზე გაიაზრა ილია ჭავჭავაძის, ყველაზე დიდი რეალისტის, შემოქმედება, საგანგებოდ წარმოაჩინა მისი მალალი ოსტატობა. ეტიუდში გიორგი წერეთელზე, ბუნებრივია, კიტა აბაშიძე დაუპირისპირდა მომეტებულად მარქსისტი კრიტიკოსების შეხედულებებს, რომლებშიაც დაუსაბუთებლად განცხადებების სახით განდიდებული იყო მისი პროზა, ჩათვლილი იყო იგი ყველაზე დიდ რეალისტად ქართულ სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ილიას დაჩრდილვის მიზნით. ამ შემთხვევაში კ. აბაშიძეს პირადი წყენა, სუბიექტური დამოკიდებულება კი არ ამოძრავებდა, კარგა ხნის წინ გარდაცვლილი მწერლის მიმართ, არამედ ის, რომ თავის ეტიუდებში გიორგი წერეთლისათვის მიეჩინა მისი ნამდვილი კუთვნილი ადგილი ჩვენი ლიტერატურის მსვლელობაში. კიტა აბაშიძემ თვალნათლივ უჩვენა, რომ გ. წერეთელი, როგორც პროზაიკოსი კი არ აღემატება თავის დიდ თანამედროვეებსა და თანამებრძოლებს, ილიასა და აკაკის, არამედ თავისი მწერლური ტალანტით დიდად ჩამოუვარდება მათ; გიორგი წერეთელი სინამდვილეში ილია ჭავჭავაძის რეალისტური სკოლის ერთი პირველი წარმომადგენელი იყო, რომელსაც, უნდოდა თუ არა ამის აღიარება, მწერლური პოზიციით, ხედვით პერსონაჟების განსახიერების, დეტალიზაციის მხატვრულ საშუალებათა მომარჯვების თვალსაზრისით ილიას დიდ ზემოქმედებას განიცდიდა.

The main work of Kita Abashidze, a talented, erudite, fastidious taste critic and literary historian, is, "Etudes on Georgian literature of the 19th century". This work was written for years and its parts were printed in Georgian periodicals; and, finally, it was published in two books in 1911-1912 in Kutaisi. It was actually the first work that took into account the history of development of literary movements in the Georgian fiction of the 19th century. Despite the fact that pointing out shortcomings with a certain severity was not alien when discussing the life and work of certain writers (for example, the incompatibility of Grigol Orbeliani's civil life and poetry, the artistic side of the poem "Toast", the failure of Alexander Kazbegi's prose, language and general style, etc.) Researchers singled out the etude about Giorgi Tsereteli in this regard. Giorgi Tsereteli's assessment of Kita Abashidze deserved the most criticism from literary historians. It was considered that Kita Abashidze played the role of a direct accuser when evaluating Giorgi Tsereteli as a writer, in a word, the critic could not maintain objectivity while writing the study, it turned out to be one-sided, subjective, which was mainly due to two reasons: G. Tsereteli's "relatively weak fiction talent" and, most importantly, "bad relationship between the critic and the writer" (Davit Gamezardashvili). Such an explanation of the critical pathos of Kita Abashidze's essay is firstly a simple explanation; and, secondly, and most importantly, such an explanation – the critic and the writer had a bad relationship with each other – intentionally or unintentionally casts a serious shadow on the name of Kita Abashidze as a critic and researcher. Explaining the critical pathos of Kita Abashidze's etude with the critic's "bad attitude" towards the writer would be a naive explanation. To evaluate Abashidze's "Etudes", it is necessary to take into account the literary-cultural and political atmosphere in which Kita Abashidze's essay on Giorgi Tsereteli was created. Since the 90s, as is known, the young social democrats had gradually shown their desire to confront Ilia Chavchavadze and his "Iveria". Ilia Chavchavadze was ruthless towards such people, and his uncompromising nature irritated the social democrats even more and awakened the desire for revenge. Marxist publicists and critics artificially contrasted Ilia, the name of the great writer Giorgi Tsereteli, and recognized the superiority of the latter, glorifying him at the expense of diminishing the name of Ilia. Giorgi Tsereteli himself claimed that he was not actually

Ilia, but he was the first realist in Georgian literature. It was in such a literary-cultural and political atmosphere that Kita Abashidze's "Etudes" were written and finally prepared for publication. In the book, the author understood the work of Ilia Chavchavadze, the greatest realist, at a high level, and especially showed his high skill. In the study on Giorgi Tsereteli, Kita Abashidze naturally opposed the views of Marxist critics, in which his prose was glorified in the form of unjustified statements, he was considered the greatest realist in Georgian reality, of course, in order to overshadow Ilia. In this case Kita Abashidze was not driven by his personal grudge, his subjective attitude towards the writer who died a long time ago, but rather by the fact that in his etudes Giorgi Tsereteli had his rightful place in the course of Georgian literature. Kita Abashidze clearly showed that G. Tsereteli, as a prose writer, is not superior to his great contemporaries and comrades, Ilia and Akaki, but he is much inferior to them in terms of his writing talent; Giorgi Tsereteli was actually one of the first representatives of the realist school of Ilia Chavchavadze, who, whether he wanted to admit it or not, was greatly influenced by Ilia in terms of his writing position, his vision of the embodiment of characters, and the artistic means of detailing.

მარიამ მირესაშვილი
Mariam Miresashvili

ლიტერატურული იმაგოლოგია:
ევროპისა და ევროპელების აღქმა
პოსტკოლონიურ ქართულ ლიტერატურაში
**Literary Imagology: Perception of Europe and
Europeans in Postcolonial Georgian Literature**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Sokhumi State University



საკვანძო სიტყვები: პოსტკოლონიური ქართული ლიტერატურა, სამოგზაურო ჟანრი, ნაციონალური სტერეოტიპები, გაუცხოების პრობლემა.

Keywords: postcolonial Georgian literature, genre of travelling, national stereotypes, problem of the alienation.

დისკურსული ბუნებიდან გამომდინარე, ნაციონალური სტერეოტიპი დამკვიდრებისა და გავრცელებისთვის ყველაზე ნოყიერ ნიადაგს მხატვრულ ლიტერატურაში პოულობს. სწორედ მხატვრულ ლიტერატურაში ფიქსირდება ამა თუ იმ ერის იმაგოლოგიური შეხედულებები, მისი ნაციონალური შეგნებისთვის დამახასიათებელი ეთნოსტერეოტიპები, ანუ შემფასებლური ხასიათის წარმოდგენები სხვა ხალხებსა და კულტურებზე. ზემოაღნიშნული მოსაზრების საილუსტრაციოდ შევარჩიეთ თანამედროვე ქართველი მწერლის – ლაშა ბუღაძის რომანი „ლიტერატურული ექსპრესი“ (2009) რომელიც პირობითად *სამოგზაუხო ჟანრის* ლიტერატურას მიემატება. ნაწარმოების შერჩევისას დავყვდებით იმ მოსაზრებას, რომ მოგზაურობისას, უცხო კულტურასთან, ადამიანებთან კონტაქტისას, ყალიბდება მათდამი დამოკიდებულების თავისებურებანი. სწორედ აღნიშნულ რომანზე დაყრდნობით წარმოვაჩინოთ ევროპისა და ევროპელების აღქმის მწერლისეულ ინტერპრეტაციას.

ავტორისეული კონცეფციით, სხვადასხვა ქვეყნის მწერლებთან *Literatur-express*-ში გატარებულ ერთ თვეს უქმად არ ჩაუვლია; ყველაზე მთავარი, რაც რომანის გმირმა აღმოაჩინა, არის ის, რომ სხვადასხვა ეროვნების ას მწერალს, განსხვავებაზე უფრო მეტი, *საერთო* აქვთ; უპირველეს ყოვლისა ის, რომ გმირის დასავლელ კოლეგებს იგივე კომპლექსი აწუხებთ, რაც ქართველ მწერლებს; ყველა ავტორს ეშინია, რომ მის მიერ დაწერილი წიგნები დაბადებისთანავე სასიკვდილოდ არის განწირული; რომ მის მიერ მოყოლილი ამბები ვერ გასცდება ლოკალურ წრეს, გარკვეულ საზღვრებს; რომ მისი პრობლემები, განცდები, ფიქრები არ დააინტერესებს უცხოელ მკითხველს, ვერ პოვებს მათ სულში გამოძახილს.

ცხადია, მხატვრულ ლიტერატურაში უცხოელი პერსონაჟის სახის შემქმნელად ავტორი გვევლინება, რომელსაც საკუთარი კონცეფცია, მსოფლმხედველობა გააჩნია. მწერლის მიერ ამა თუ იმ ერის ეთნოსტერეოტიპის შეფასებისას მისი პირადი აზრი დომინირებს, რაც შესაძლოა, გადმოიცეს ნარატორის, უცხოელი პერსონაჟების ან სხვა პერსონაჟების მიერ გამოთქმული მოსაზრებების სახით. ზემოთ განხილულ ნაწარმოებში ქართველი მწერლის მიერ დაფიქსირებული იმაგოლოგიური ხედვა, ცხადია, სუბიექტურია; მაგრამ თუ მასზე დაყრდნობით ვიმსჯელებთ, ქარ-

თველი ავტორი (და მათი პერსონაჟები) არ გრძნობენ თავს გაუცხოებულად ევროპულ სინამდვილეში; რომანში – „ლიტერატურული ექსპრესი“ – წარმოჩენილია ის პრობლემები, რომლებიც საერთოა კოლეგა-მწერლებისთვის (ეროვნული ნიშნის მიუხედავად); იგი პიროვნული „მე“-დან მომდინარეობს და არა განსხვავებული ეროვნული კუთვნილებიდან. ამდენად, საზოგადოებასთან გაუცხოების პრობლემა რომანის გმირის სულიერ კრიზისს, ძიების პროცესს უკავშირდება და არა ევროპელებთან მენტალურ შუთავსებლობას.

On the basis of its discursive nature, a national stereotype finds “the richest soil” of establishment in literature. Literature depicts imagological viewpoints of different nations. It is worth mentioning that people usually tend to attribute particular characteristic features (perfidy, aggressiveness, frankness, stupidity, etc.) to different ethnic groups. This fact creates the basis for the formation of an ethno-cultural stereotype, which comprises an expanded scale of assessment – extremely positive or negative. For a better illustration of the above mentioned, we chose the work of a modern Georgian author Lasha Bugadze “The Literary Express” (2009), which conditionally belongs to *the genre of travelling*. Making such a choice was stipulated by the fact that the attitude towards people is formed while travelling and contacting. We will make an attempt to highlight contemporary Georgian writers’ comprehension of Europe and Europeans.

According to the author’s conception, the month spent in “Lit-express” with the writers of different countries was not vain. The main character of the novel found out that 100 writers of different nationalities had more common characteristic features than the differential ones. Firstly, the western colleagues of the character had the same complex – all the authors were afraid of the fact that: their books were destined to “death” after “birth”; the told stories were not able to cross the local circle or particular borders; their problems, feelings and thoughts were not attracting the foreign readers or were not reflected in foreigners’ souls.

It is obvious that in literary works an image of a foreign character is usually created by an author who has his/her own conception and

worldview. The author's viewpoint becomes dominant even during the assessment of the ethno-stereotypes of different nations. This fact is depicted in the opinions of a narrator, a foreign character or other characters. It is also worth mentioning that in the afore-mentioned novel the Georgian writers' imagological view is subjective. However, the author does not feel himself alienated in the European reality. In the novel – "The Literary Express" – we come across the problems, which are common for the colleague-writers (despite their nationality). This type of alienation does not depend on the nationality; it originates from the personal "ego". And, finally, it can be mentioned that the problem of alienation from society is connected to the characters' spiritual crisis and the process of searching. It has nothing in common with the mental incompatibility with the Europeans.

თინათინი მოსეშვილი
Tinatini Moseshvili

ავტორი თავისივე ტექსტში. გივი
მარგველაშვილი, როგორც
პერსონაჟი და მკითხველი
The Author in his Own Text.
Givi Margvelashvili as a
Character and Reader

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities*



საკვანძო სიტყვები: გივი მარგველაშვილი, მკითხველის
ნაკლებობა, გვიანდელი შემოქმედება.
Keywords: Givi Margvelashvili, lack of readers, later works.

გერმანულენოვანი ქართველი ემიგრანტი ავტორის, გივი მარგველაშვილის, მხატვრულ სამყაროში პერსონაჟების ცხოვრება მკითხველის წარმოსახვაზე დამოკიდებული. როცა პერსონაჟებს მკითხველი არ ჰყავთ, ისინი „წაუკითხველობის სენით“ (გერმ. Leserschwinducht) ავადდებიან, სასიცოცხლო ენერჯია ეცლებათ და ტექსტობრივ არსებობას წყვეტენ. ამის თავიდან ასაცილებლად ავტორი თავის გვიანდელ შემოქმედებაში სხვადასხვა ხერხს მიმართავს, ხან „ხელოვნურ მკითხველს“ ავალებს თავისი ნაწარმოებების წაკითხვას, ხან კიდევ მკითხველად გარდასახული თავადვე კითხულობს თავის ტექსტებს. მკითხველის გარეშე დარჩენილი გივი მარგველაშვილი ავტოინტერტექსტობრივი და ავტორეფლექსიური კომენტარებით, ავტობიოგრაფიული რომანების ციკლის „კაპიტანი ვაკუში“ რეცეფციასა და ინტერპრეტაციას თავის გვიანდელ შემოქმედებაში თავადვე ახდენს. გივი მარგველაშვილის ალტერ ეგო – პერსონაჟი ვაკუში მსჯელობს თავის ადრეულ ნაწარმოებებზე, რომელთაც რატომღაც მკითხველი არ ჰყავთ და ვარაუდებსაც კი გამოთქვამს იმის შესახებ, თუ რას შეიძლება გამოეწვია მკითხველის გულგრილობა მისი ამბის მიმართ. ამრიგად, მოხსენება ეძღვნება გივი მარგველაშვილის შემოქმედებას, რომელიც მკითხველის ნაკლებობას განიცდის. ნაშრომის მიზანია, გივი მარგველაშვილის კომპლექსური ნაწარმოებები ფართო წრისთვის გახდეს ცნობილი და გაცილებით მეტი მკვლევარი და, რაც მთავარია, მკითხველი შეიძინოს.

In the work of the German-speaking Georgian immigrant author Givi Margvelashvili, the lives of the characters depend on the reader's imagination. When the characters do not have a reader, they suffer from "reading sickness" (German: Leserschwinducht), they lose their vital energy, and cease to exist textually. To avoid this, the author uses various methods in his later works; sometimes he instructs an "artificial reader" to read his works, and sometimes he himself, disguised as a reader, reads his texts. Givi Margvelashvili, left without a reader, carries out the reception and interpretation of his cycle of autobiographical novels "Captain Vakush" by himself in his later work with auto-inter-textual and auto-reflexive comments. Givi Margvelashvili's alter ego,

the character Vakush, talks about his early works, which for some reason have no readers, and even speculates about what might have caused the reader's indifference to his story. Therefore, the paper is devoted to the work of Givi Margvelashvili, which suffers from a lack of readers. The aim of the paper is to make the work of Givi Margvelashvili known to a wide circle and to attract many more researchers and, above all, readers.

მარია მშვილდაძე
Marika Mshvildadze

მზის კულტის გავრცელების საკითხისათვის
გვიან ანტიკური პერიოდის იბერია-კოლხეთში
For the Issue of the Spread of the Cult of the
Sun in Late Antiquity Period in Iberia-Kolkheti

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities



საკვანძო სიტყვები: რელიგია, ისტორია, პოლიტიკა, გლიპტიკა.
Keywords: religion, history, politics, engraved gems.

ბერძნულ-რომაულ ღვთაებათა პანთეონში მზის კულტთან დაკავშირებულია ჰელიოსი, სოლი და აპოლონი, რომელთა შემოსვლა იბერიასა და კოლხეთში ადრეანტიკური ხანიდან იწყება. გვიანანტიკურ ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნულ ღვთაებებს ემატება ელინისტური პერიოდიდან აღმოსავლეთიდან რომის იმპერიაში შესული მზის კულტთან დაკავშირებული ღმერთები: არიული მითრა, სირიული ბაალი, ელაგაბალუსი, მცირეაზიული მენი, ფრიგიული იუპიტერ დოლიხენუსი, თრაკიულ-ფრიგიური საბადიოსი...

მზის ღვთაებებთან დაკავშირებული არტეფაქტები დაფიქსირებულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. მაგრამ არც თუ დიდი რაოდენობით, რომელთა შორისაც აღსანიშნავია 1874 წელს აფსაროსის ციხესთან, ახლომდებარე მთაზე, გზის გაყვანისას ოქრომჭედლობის სხვა შესანიშნავ ნიმუშებთან ერთად გონიოს განძში (ახ. წ. II-III სს.) აღმოჩენილი ჰელიოსისგამოსახულებიანი ოქროს მედალიონი (გულსაკიდი). ჰელიოსის (სოლი) გამოსახულებები ძირითადად დაფიქსირებულია იბერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ გლიპტიკურ ძეგლებზე: მცხეთაში, სამთავროს სამაროვნის ტერიტორიაზე, 1939 წელს სამთავროს ტერიტორიის სამხრეთ მონაკვეთზე დაზიანებულ ქვაყუთში A დაფიქსირებულ ვერცხლის ბეჭედში ჩასმულ ოვალური ფორმის ამობურცულ სარდიონის ინტალიოზე ახ. წ. III ს.; ტოპაზის ინტალიოზე, რომელიც ოქროს მედალიონს ამკობს, სოფელ უსახელოდან...; ღვთაება აპოლონის გამოსახულებები აღმოჩენილია ურბნისის სამაროვანზე 1958 წელს გათხრილ №51 სამარხში დაფიქსირებულ თეთრი გამჭვირვალე მინის ოვალური ფორმის ბრტყელ ინტალიოზე, ბრინჯაოს ბეჭედში (ახ. წ. II ს.) ... მზის კულტთან დაკავშირებული ღვთაებების შემოსვლა ჩვენში იბერია-კოლხეთსა და ანტიკურ სამყაროს შორის არსებულ კულტურულ-პოლიტიკური კავშირის შედეგად უნდა მვიჩინოთ.

საკითხის შესწავლის თვალსაზრისით ჩვენს ყურადღებას იპყრობს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მხედრისგამოსახულებიანი 11 გემა, რომელთა შორის 4 – მცხეთაში, 5 – ურბნისში, 1 – ქუთაისში და 1 – ჟინვალშია აღმოჩენილი. გემები ბერლინისა და ბონის მუზეუმებიდან. არტეფაქტების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ახ.წ. I საუკუნიდან გავრცელებას იწყებს ადგილობრივ ნიადაგზე წარმოქმნილი მხედრის კულტი – ცხენზე ამხედრებული მხედრის გამოსახულება. რომელიც დროთა გან-

მავლობაში სინკრეტიზაციას განიცდის ასტრალურ კულტებთან (მზე-მხედრის სხივებიანი თავსაბურავი) და იქმნება ადგილობრივ ნიადაგზე წარმოქმნილი სინკრეტული ღვთაება.

In the Greco-Roman pantheon of deities, Helios, Sol and Apollo are connected with the cult of the sun, whose arrival in Iberia and Colchis begins in the Early Antiquity period. In the Late Antiquity, the gods related to the sun cult that entered the Roman Empire from the Hellenistic period were added to the mentioned deities on the territory of Georgia: Aryan Mithras, Syrian Baal, Elagabalus, Asia Minor Men, Phrygian Jupiter Dolichenus, Thracian-Phrygian Sabazios...

Artifacts related to solar deities have been recorded both on the territory of eastern and western Georgia, though not in large numbers. Among them was the golden medallion (pendant) with the image of Helios found in the Gonio hoard (2nd-3rd centuries AD) in 1974 during the construction of a road near Apsaros Castle, on a nearby mountain, along with other excellent examples of goldsmithing. The images of Helios (Sol) are mainly recorded on the glyptic monuments found on the territory of Iberia: in Mtskheta, on the territory of the Principality cemetery in 1939, in the southern section of the territory of the Principality, in the damaged stone box A, on the intaglio of an oval-shaped bulging Carnelian inserted in a silver ring (3rd century AD); on the intaglio of Topaz, which adorns a gold medallion from Usakhelo Village...; the images of the god Apollo were found in a bronze ring (2nd century AD) on a flat intaglio of white transparent glass in tomb No. 51 excavated in 1958 at the cemetery of Urbnisi... The entry of deities related to the cult of the sun into our culture between Iberia-Kolkheti and the ancient world should be considered to be a result of political union.

From the point of view of the study of the issue, our attention is drawn to 11 gems with the image of a rider found on the territory of Georgia. Among which 4 were found in Mtskheta, 5 in Urbnisi, 1 in Kutaisi and 1 in Zhinvali, as well as the gemas from the Berlin and Bonn museums. As a result of the study of the artifacts, it became clear that from the 1st century onwards, the cult of the horseman – the image of a horseman on a horse – began to spread, which over time undergoes syncretization with astral cults (Sun – the rider's headwear with the rays) and a syncretic deity formed on the local soil is created.

ივანე მჭედელაძე
Ivane Mchedeladze

მოდერნიზმის კულტურა უკრაინაში:
ოქციდენტალიზმსა და ორიენტალიზმის
ეგზოტიზაციას შორის
**The Culture of Modernism in Ukraine:
between Occidentalism and the
Exoticization of Orientalism**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities*



საკვანძო სიტყვები: მოდერნიზმის კულტურა უკრაინაში,
ოქციდენტალიზმი, ორიენტალიზმი ეგზოტიზაცია.
Keywords: culture of modernism in Ukraine, Occidentalism, Exoticization,
Orientalism.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს უკრაინისა და მისი ევროპასთან ინტეგრაციის საკითხი. ცხადია, ევროპული სამყაროს ლეგიტიმური წევრობისა და თანასწორობისათვის კულტურული ფაქტორიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

უკრაინული მოდერნიზმი, ანუ ოქციდენტალიზმი, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულიდან იღებს გამოკვეთილ სახეს, როდესაც სამწერლობო ასპარეზს იკავებენ ახალი თაობის ინტელექტუალები – ივან ფრანკო, ლესია უკრაინკა, მოგვიანებით აგათანგელ კრიმსკი. აღსანიშნავია, რომ ლესია უკრაინკასა და ივან ფრანკოს ცხოვრებაში ევროპას განსაკუთრებული ადგილი უკავია. ფრანკომ ვენაში დაიცვა დისერტაცია „ვახდაამისა და იოასაფის“ ლიტერატურული ისტორიის შესახებ, ლესია უკრაინკა ვენაში ცხოვრობდა და მკურნალობდა. როგორც მისი ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ სულ ბოლო, უახლეს ნაშრომშია აღნიშნული, ევროპაში ცხოვრების გამოცდილებამ ლესია უკრაინკა მოდერნისტ მწერლად ჩამოაყალიბა, რამაც, ცხადია, უფრო გაუმძაფრა ანტიიმიპერიული/ანტიკოლონიური განწყობილებები. მის შემოქმედებაში თავს იჩენს «*fin de siècle*» ეპოქისათვის დამახასიათებელი მოდური თემატიკა – ისტერია, ნევრასტენია, სიმბოლიზმის ელემენტები და ა. შ. როგორც თ. ჰუნდოროვა აღნიშნავს, ლესია უკრაინკა ქმნის ახალ კულტურულ ენას, რომლითაც უკრაინულ ლიტერატურას რთავს ევროპულ ლიტერატურულსა და კულტურულ პროცესებში.

როგორც თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეები (თ. ჰუნდოროვა, ს. პავლიჩკო) სამართლიანად აღნიშნავენ, მოდერნისტული კულტურული ცნობიერება უკრაინაში მიმართული იყო „უცხო“/ სხვის, ანუ დასავლეთევროპული ლიტერატურისა და ზოგადად კულტურის, გათავისებისკენ.

ევროპულ მოდერნიზმთან ტიპოლოგიურად მჭიდროდ დაკავშირებული უკრაინული მოდერნიზმიც განსაკუთრებულ ინტერესს ავლენს აღმოსავლური სამყაროსადმი. ეს გამოიხატა მხატვრულ ლიტერატურასა და მთარგმნელობით პროცესში, ასევე ლიტერატურათმცოდნეობაშიც. აღმოსავლეთის, ანუ უცხო, ეგზოტიზაცია განსაკუთრებულად ლესია უკრაინკასა და აგათანგელ კრიმსკისთან გვხვდება. ამას აქვს თავისი ობიექტური მიზეზები, თუ როგორ აისახა აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობა და ცხოვრე-

ბა ლესია უკრაინკასა და აგათანგელ კრიმსკის შემოქმედებაში, როგორია აღმოსავლეთის ეგზოტიკა თუ ანტიეგზოტიკა.

მოხსნებაში ამავე კონტექსტით პირველად გაანალიზდება ქართული სამყაროს ორიენტალიზაციის/ეგზოტიზაციის ლიტერატურული და კულტუროლოგიური პრობლემები ლესია უკრაინკასა და აგათანგელ კრიმსკის შემოქმედებაში.

Recently, in connection with the current situation, the issue of Ukraine and its integration with Europe has become particularly relevant. It is clear that for legitimate complicity and equality with the European world, the cultural factor plays an important role.

Modernism, i.e. Ukrainian Occidentalism takes on a distinct shape from the end of the 19th century, when the literary arena was occupied by the new generation of intellectuals – Ivan Franko, Lesya Ukrainka, and later Ahatanhel Krymsky. It should be noted that Europe occupies a special place in the life of Lesya Ukrainka and Ivan Franko: Franko defended his dissertation on the literary history of *“Barlaam and Joasaph”* in Vienna, Lesya Ukrainka lived and was treated in Vienna. As noted in the latest scientific work on her life and creativity, the experience of being in Europe shaped Lesya Ukrainka as a modernist writer, which obviously strengthened her anti-imperial/anti-colonial sentiments. Fashionable themes, characteristic of the “fin de siècle” era, appear in her literary works – hysteria, neurasthenia, elements of symbolism, etc. According to T. Hundorova, Lesya Ukrainka creates a new cultural language that integrates Ukrainian literature into European literary and cultural processes.

As modern literary critics (T. Hundorova, S. Pavlichko) rightly point out, modernist cultural consciousness in Ukraine was aimed at assimilation of the “foreign”/other, i.e. Western European literature and culture in general.

Ukrainian modernism, typologically close to European modernism, shows a special interest in the Eastern world. This is expressed in fiction, and in the translation process, and in literary criticism. Exoticization of the East/ foreign in particular can be found in Lesya Ukrainka’s and Ahatanhel Krymsky’s literary works. There are biographical reasons for this: how travel and life in Eastern countries were reflected in the

creativity of Lesya Ukrainka and Ahatanhel Krymsky, which is perceived by the exotic or anti-exotic of the East.

In the same context, the report will for the first time analyze the literary and cultural problems of orientalizing/exoticizing of the Georgian world in the literary works of Lesya Ukrainka and Ahatanhel Krymsky.

მამუკა მჭედლიძე
Mamuka Mchedlidze

უკრაინის ომი და რუსეთის
გეოპოლიტიკური პრიორიტეტები
The War in Ukraine and Russia's
Geopolitical Priorities

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities



საკვანძო სიტყვები: რუსეთის გეოპოლიტიკა, უკრაინა, პოსტსაბჭოური სივრცე, რეგიონული უსაფრთხოება, გლობალური უსაფრთხოება, ლოკალური ომი, ძალოვანი დიპლომატია, ჰიბრიდული ომი.

Keywords: Russian geopolitics, Ukraine, post-Soviet space, regional security, global security, power diplomacy, hybrid war.

2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში დაწყებული ომი წარმოადგენს რუსეთის პოლიტიკური ელიტის გეგმის შემადგენელ ნაწილს, რომლის მიზანია რუსეთის გეოპოლიტიკური სიძლიერისა და ზესახელმწიფოს სტატუსის აღდგენა. რუსეთის ხელისუფლების მიერ მიმდინარე ომი განიხილება აუცილებელ პირობად რეგიონულ (აღმოსავლეთ ევროპის) და გლობალურ (ევრაზიის) მასშტაბით რუსეთისათვის სასურველი ახალი გეოსტრატეგიული რეალობის ჩამოყალიბებისათვის

„უკრაინის საკითხის“ სამხედრო გზით გადაჭრის აუცილებლობა რუსეთის პოლიტიკურ წრეებში ჩამოყალიბებულ იქნა ჯერ კიდევ 2014 წელს, კიევში გამართული „მაიდანის“ და ქვეყნის სათავეში დასავლეთზე ორიენტირებული მთავრობის მოსვლის შემდეგ. ამ ძალოვანი სტრატეგიის პირდაპირი გამოვლინება გახდა დონბასში გამართული რეგიონული ომი, რომელმაც გამოიწვია მისი დე-ფაქტო გამოყოფა უკრაინის შემადგენლობიდან და კვაზისახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბება „დონეცკის სახალხო რესპუბლიკისა“ და „ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის“ სახით. ამასთანავე, ჩატარებული იქნა ჰიბრიდული ოპერაცია „ყირიმის გაზაფხული“ სამხედრო, პოლიტიკური, იდეოლოგიური და ეკონომიკური რესურსების გამოყენებით, რომლის შედეგად ყირიმის ნახევარკუნძული დე-ფაქტო აღმოჩნდა რუსეთის შემადგენლობაში.

აღნიშნული ჰიბრიდული ოპერაციების შედეგად რუსეთმა შეიძინა მისთვის სასარგებლო პოზიციები ევროპასა და შავი ზღვის რეგიონში თავისი გავლენის შესანარჩუნებლად. 2014 წლიდან მოყოლებული რუსეთი მიზანმიმართულად და გეგმაზომიერად აძლიერებდა ძალისხმევას ყირიმისა და დონბასის ინტეგრაციის მიზნით. ამ რეგიონების სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის გამოიყო მნიშვნელოვანი ინვესტიციები, რათა ადგილობრივი მოსახლეობისათვის რუსეთის შემადგენლობაში შესვლა მიმზიდველი გამხდარიყო. ამასთანავე, მიმდინარეობდა ყირიმისა და დონბასის გაძლიერება სამხედრო ძალით, რის შედეგად ამ რეგიონებში ჩამოყალიბდა ძლიერი სამხედრო დაჯგუფებები ხმელეთსა და ზღვაზე.

დიდი ყურადღება ეთმობოდა ადგილობრივ მოსახლეობას შორის იდეოლოგიურ მუშაობას, რისთვისაც აქტიურად გამოიყენებოდა როგორც სახელმწიფო მასმედიის საშუალებები, ისე კერ-

ძო საინფორმაციო სტრუქტურები, სოციალური ქსელები და ბლოგოსფერა. მთავარი იდეოლოგიური ნარატივი ეყრდნობოდა რუსეთის ისტორიულ წარსულს, რომელშიც უკრაინა რუსული სამყაროს განუყოფელ ნაწილად განიხილებოდა. სწორედ ეს საკვანძო ნარატივი წარმოადგენს მიმდინარე ომის მთავარ იდეოლოგიურ საყრდენს და უზრუნველყოფს რუსი მოსახლეობის მიერ ხელისუფლების მასობრივ მხარდაჭერას. ომისადმი გამოხატული ნებისმიერი უკმაყოფილება რუსულ საზოგადოებაში იწვევს უკიდურესად ნეგატიურ რეაქციას და კონკრეტული პიროვნების ან ჯგუფის გარიყვას.

რუსეთის ხელისუფლების გეგმაში „უკრაინის საკითხის“ გადაჭრა დაგეგმილი იყო მეტად მოკლე ვადებში, 10 – 15 დღეში. ამ პერიოდის განმავლობაში იგეგმებოდა:

- უკრაინის საკვანძო რეგიონებისა და ქალაქების დაკავება (კიევის ჩათვლით);

- პროდასავლური მთავრობის ჩანაცვლება პრორუსული ხელისუფლებით;

- კონტროლის დამყარება საფინანსო-ეკონომიკურ აქტივებზე, სახელმწიფო აპარატსა და მასმედიაზე;

- უკრაინის ძალოვანი სტრუქტურების წინააღმდეგობის ჩახშობა;

- რუსეთის შემადგენლობაში უკრაინის ინტეგრაციის დასაწყისი.

ომის გაჭიანურების მთავარი მიზეზი გახდა სამხედრო-პოლიტიკური დაგეგმვის პროცესში დაშვებული სერიოზული შეცდომები, მათ შორის:

- უკრაინის შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების არასწორი შეფასება;

- ევროკავშირისა და ნატო-ს მიერ უკრაინისადმი მხარდაჭერის სიმტკიცისა და მასშტაბების არასწორი შეფასება;

- უკრაინული საზოგადოების კონსოლიდაციის არასწორი შეფასება;

- მოკლევადიან სამხედრო კამპანიაზე გათვლილი საკუთარი სამხედრო რესურსების არასწორი შეფასება.

აღმოჩნდა რა სრულმასშტაბიანი და ხანგრძლივი ომის ფაქტის წინაშე, რუსეთი შეუდგა საბრძოლო მოქმედებების საშუალებებისა და მეთოდების ძირფესვიანად გადაფორმატებას. კონვენ-

ციური სამხედრო მოქმედებების ინტენსიფიკაციასთან ერთად რუსეთმა აამოქმედა ჰიბრიდული ომის შემდეგი რესურსები:

- შეთავსებული სამხედრო დარტყმების მიტანა როგორც სამხედრო მიზნებზე, ისე საკვანძო ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და სამრეწველო ინფრასტრუქტურაზე;

- დაკავებული რეგიონების ინტენსიური და სრულმასშტაბიანი ინტეგრაცია რუსეთის შემადგენლობაში შიდა პოლიტიკური და ინფორმაციული სივრცის სრული განმედიით;

- აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარება გლობალური ძალის ცენტრებისაგან (ჩინეთი, ინდოეთი) მხარდაჭერის მისაღებად და მსოფლიოს საკვანძო რეგიონებში (ახლო აღმოსავლეთში, აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში საკუთარი პოზიციების განმტკიცებისათვის. ამ მიზნით აქტიურად გამოიყენება უკვე არსებული ისეთი საერთაშორისო სტრუქტურები, როგორებიცაა ბრიკს-ი და შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია (შოს).

ომის დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში რუსეთმა მოახერხა სტრატეგიული შეიარაღებების სერიული გამოშვების პროცესის ამოქმედება. ამ შეიარაღებაში შედის ყველა ტიპის საბრძოლო ავიაცია და რაკეტები (ჰიპერბგერითის ჩათვლით); რადიოელექტრონული ბრძოლის სისტემები; ტანკები და თვითმავალი საარტილერიო ქვემეხები; მსხვილკალიბრიანი საარტილერიო ქურვები. მიმდინარეობს უკვე არსებული შეიარაღებისა და სამხედრო აღჭურვილობის ინტენსიური მოდერნიზაცია. ყოველივე ამის შედეგად რუსეთის ხელისუფლებამ შეძლო ერთი წლის თავზე ხანგრძლივი ომისათვის საჭირო რესურსების უზრუნველყოფა. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ რუსეთის ხელისუფლების მზადყოფნა, გამოიყენოს ბირთვული იარაღი, რაც პირდაპირაა განერილი მის სამხედრო დოქტრინაში.

მიმდინარე ომში რუსეთის გეოპოლიტიკურ პრიორიტეტებს წარმოადგენს:

- მთავარ მოწინააღმდეგედ განიხილება არა უკრაინა არამედ ევროკავშირი და ნატო, შესაბამისად, მთავარი მიზანია სტრატეგიული გამარჯვების მოპოვება დასავლეთზე;

- საგარეო მოწინააღმდეგესთან ბრძოლის ფარგლებში საკუთარი გეოპოლიტიკური პოტენციალის მაქსიმალური მობილიზაცია და გაძლიერება;

- გეოსტრატეგიული გავლენის შენარჩუნება შავი და ხმელთაშუა ზღვების რეგიონებში;
 - გეოსტრატეგიული გავლენის შენარჩუნება კავკასიაში, ახლო აღმოსავლეთსა და შუა აზიაში;
 - თანამშრომლობის გაღრმავება ძალის გლობალურ ცენტრებთან – ჩინეთსა და ინდოეთთან;
 - გლობალურ საფინანსო, ეკონომიკურ, სატრანსპორტო, საინფორმაციო და დემოგრაფიულ პროცესებში პოზიციების შენარჩუნება და გაძლიერება.
- რუსეთი ღიად აცხადებს რომ უკრაინა წარმოადგენს ბრძოლის ველს მასსა და დასავლეთს შორის. ორივე მხარეს გააჩნია მტკიცე იდეოლოგიური პლატფორმა და მნიშვნელოვანი სამხედრო-ეკონომიკური რესურსები, რაც გამორიცხავს ომის სამშვიდობო გზით დასრულებას შემდეგი პირობების შექმნის გარეშე:
- ერთ-ერთი ან ორივე მხარის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის გამოფიტვა;
 - ერთ-ერთი ან ორივე მხარის შიდაპოლიტიკური სტაბილურობისა და მდგრადობის მოშლა;
 - უკრაინის წინააღმდეგობის რესურსების გამოფიტვა, რის შედეგად რუსეთი და ნატო აღმოჩნდებიან პირდაპირი სამხედრო შეჯახებისა და ბირთვული ომის პერსპექტივის წინაშე;
 - მესამე ქვეყნების შუამდგომლობა და სამხედრო კონფლიქტის გაყინვა არსებული ფრონტის ხაზის ფარგლებში ან ცალკე შეთანხმებული გეოგრაფიული საზღვრებისა და პოლიტიკური პირობების საფუძველზე
- აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ომი გასტანს კიდევ რამდენიმე წელიწადს და არსებობს მისი ინტენსივობის გაზრდის და გეოგრაფიული არეალის გაფართოების შესაძლებლობა.

The war that started in Ukraine on February 24, 2022 is part of the plan of the Russian political elite, whose goal is to restore Russia's geopolitical strength and superpower status. The ongoing war is considered by the Russian authorities as necessary condition for the formation of a new geostrategic reality desired by Russia on a regional (Eastern Europe) and global (Eurasia) scale.

The need to resolve the “Ukraine issue” by military means was established in Russian political circles as early as 2014, after the “Maidan” held in Kyiv and the coming of a Western-oriented government at the head of the country. The direct manifestation of this force strategy was the regional war in Donbas, which led to its de-facto separation from Ukraine and the formation of quasi-state structures in the form of “Donetsk People’s Republic” and “Luhansk People’s Republic”. At the same time, the hybrid operation “Crimean Spring” was conducted using military, political, ideological and economic resources, as a result of which the Crimean peninsula was de facto part of Russia.

As a result of the mentioned hybrid operations, Russia has acquired useful positions for maintaining its influence in Europe and the Black Sea region. Since 2014, Russia has purposefully and systematically intensified its efforts to integrate Crimea and Donbass. Significant investments were allocated for the social and economic development of these regions in order to make joining Russia attractive for the local population. At the same time, Crimea and Donbas were being strengthened by military force, as a result of which strong military groups were formed in these regions on land and sea.

Much attention was paid to the ideological work among the local population, for which the state mass media, as well as private information structures, social networks and the blogosphere were actively used. The main ideological narrative was based on Russia’s historical past, in which Ukraine was considered an integral part of the Russian world. This key narrative is the main ideological pillar of the current war and ensures mass support for the government by the Russian population. Any dissatisfaction with the war expressed in the Russian society leads to an extremely negative reaction and exclusion of a particular person or group.

In the plan of the Russian government, it was planned to solve the “Ukraine issue” in a very short period of time, within 10-15 days. During this period it was planned to:

- Occupation of key regions and cities of Ukraine (including Kyiv);
- Replacement of pro-Western government with pro-Russian government;
- Establishing control over financial and economic assets, state structures and mass media;

- Suppression of the resistance of the Ukrainian military forces;
- The beginning of Ukraine's integration into Russia.

The main reason for the prolongation of the war was the serious mistakes made in the process of military-political planning, including:

- Incorrect assessment of the capabilities of the Armed Forces of Ukraine;
- Incorrect assessment of the strength and extent of support to Ukraine by the European Union and NATO;
- Wrong assessment of the consolidation of the Ukrainian society;
- Incorrect assessment of their own military resources for a long-term military campaign.

Faced with the fact of a full-scale and long-term war, Russia began to fundamentally reform the means and methods of combat operations. Along with the intensification of conventional military operations, Russia has launched the following resources of hybrid warfare:

- Combined military strikes on military targets as well as on key energy, transport and industrial infrastructure;
- Intensive and full-scale integration of the occupied regions into Russia with complete cleaning of the internal political and informational space;
- Pursuing an active foreign policy in order to receive support from global power centers (China, India) and to strengthen one's own positions in key regions of the world (in the Middle East, Asia, Africa and Latin America. For this purpose are being used already existing international structures such as BRICS and the Shanghai Organization of Cooperation are actively used Organization (SOC).

Within a year of the start of the war, Russia managed to launch the process of serial production of strategic weapons. This armament includes all types of combat aircraft and missiles (including hypersonic); radio electronic warfare systems; tanks and self-propelled artillery guns; large-caliber artillery shells. Intensive modernization of already existing weapons and military equipment is underway. As a result of all this, the Russian government was able to provide the necessary resources for a long war over a year. We must take into account the readiness of the Russian government to use nuclear weapons, which is directly stated in its military doctrine.

Russia's geopolitical priorities in the current war are:

- The main opponent is considered not Ukraine, but the European Union and NATO, therefore, the main goal is to gain a strategic victory over the West;

- Maximum mobilization and strengthening of their own geopolitical potential within the framework of the fight against foreign aggression;

- Maintenance of geostrategic influence in the regions of the Black and Mediterranean seas;

- Maintenance of geostrategic influence in the Caucasus, the Middle East and Central Asia;

- Deepening of cooperation with global power centers – China and India;

- Maintaining and strengthening positions in global financial, economic, transport, information and demographic processes.

Russia openly declares that Ukraine is a battlefield between it and the West. Both sides have a strong ideological platform and significant military-economic resources, which precludes ending the war peacefully without creating the following conditions:

- Exhausting the military-economic potential of one or both parties;

- Disrupting the internal political stability and stability of one or both parties;

- Depleting the resources of the Ukrainian resistance, as a result of which Russia and NATO will face the prospect of direct military confrontation and nuclear war;

- Petition of third countries and freezing of military conflict within the existing front line or on the basis of separately agreed geographical boundaries and political conditions

Based on all this, we can conclude that the war will last for several more years and there is a possibility of increasing its intensity and expanding the geographical area.

მარიამ ნანობაშვილი
Mariam Nanobashvili

ყურანის მე-18 სურისა და ადრეული
ჰაგიოგრაფიული თხზულების სიუჟეტი
ისლამურ მინიატიურაში
The Plot of the 18th Sura of the Quran
and an Early Hagiographical
Work in the Islamic Miniature

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities*



საკვანძო სიტყვები: ყურანი, ჰაგიოგრაფია, სპარსული მინიატურა.
Keywords: the Quran, hagiography, Persian miniature.

ქრისტიანულ სამყაროში უადრესად პოპულარული იყო ჰაგიოგრაფიული თხზულება შვიდი ეფესელი წმინდანის (მე-5 ს.) შესახებ. ეს ტექსტი თავდაპირველად ჩაიწერა ბერძნულად ან სირიულად. ბერძნულიდან ითარგმნა ქართულად, სომხურად, კოპტურად, ეთიოპურად, არაბულად, ასევე – ლათინურად, მოგვიანებით – ევროპულ ენებზე.

რაც შეეხება ისლამს, ყურანის მე-18 სურის მთავარი სიუჟეტი სწორედ ჰაგიოგრაფიული ძეგლის იდენტურია, ოღონდ საგრძნობლად შეკვეცილი და ბევრად ლაკონიურად გადმოცემული. საყოველთაოდაა აღიარებული, რომ არაბთა შორის შვიდი ეფესელი წმინდანის მოტივი კარგად იყო ცნობილი სირიული წრებიდან, რაც ყურანის კომენტატორთა შრომებშიც სათანადოდ აისახა.

მართალია, ისლამში წმინდანთა კულტი არ არსებობს, მაგრამ მუსლიმები განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ ზოგიერთ მათგანს, უპირველეს ყოვლისა, წმინდა გიორგისა და შვიდ ეფესელ ყრმას. ამ წმინდანთა სახელზე აგებულ ეკლესიებში ლოცულობენ არა მხოლოდ ქრისტიანები, არამედ – მუსლიმებიც. გარდა ამისა, შვიდი ყრმის საოცარი მიძინებისა და აღდგომის ადგილას, გამოქვებულში, რომელიც ისტორიულ ეფესოში (ამჟამად თურქეთში) მდებარეობს, საპილიგრიმოდ დადიან ორივე რელიგიის წარმომადგენელი.

სხენებული ჰაგიოგრაფიული თხზულების სიუჟეტი უკავშირდება მიცვალებულთა ხორციელ აღდგომას. ქრისტიანები ეფესელ ყრმებს „შვიდ ლაზარედაც“ კი მოიხსენიებდნენ. ყურანის მე-18 სურასაც ძირითადად ესქატოლოგიური, თანაც დიდად მაღალმხატვრული მოტივები ამშვენებს. შემთხვევითი არ არის, რომ ლუი მასინიონი ყურანის ამ სურას „ისლამის აპოკალიფსს“ უწოდებს. ყოველივე ეს კარგად ხსნის, თუ რატომ იყო შვიდი ეფესელი ყრმის კულტი ესოდენ პოპულარული ისლამურ სამყაროში.

როგორც ცნობილია, ისლამი კრძალავს არა თუ ხატების თაყვანისცემას, არამედ, საერთოდ, ადამიანისა და ცოცხალი არსებების გამოსახვას. ეს დიდ ცოდვადაა მიჩნეული, რადგან „ქმნა,“ „გამოსახვა“ რაიმე ცოცხალი არსებისა მხოლოდ ღმერთს შეუძლია, რომელიც მათ სულსაც შთაბერავს, მხატვრებსა და მოქანდაკეებს კი ეს არ შეუძლიათ. ხატების თაყვანისცემა კერპთაყვანისმცემლობასთანაა გაიგივებული. ამ საკითხზე ქრისტიანთა და მუსლიმთა შორის დიდი დისპუტი მიმდინარეობდა შუა საუკუნე-

ებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია თეოდორე აბუ კურას ტრაქტატი ხატმებრძოლთა განსაქიქებლად. ავტორი ძირითადად მიმართავს არა ბიზანტიის ხატმებრძოლ მოსახლეობას, არამედ – სახალიფოს მუსლიმ მოქალაქეებს, რომელთაც ქრისტიანობის საჯარო სიმბოლოთა განადგურების საქმეში ებრაელებიც გვერდში ამოუდგნენ.

ადამიანის გამოსახვისადმი ასეთი უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, ვერ ვიტყვით, რომ ამ აკრძალვას ისლამურ სამყაროში აბსოლუტური ხასიათი ჰქონდა, რასაც კარგად მოწმობს სპარსული მინიატურები. წინამდებარე ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებთ შვიდი ეფესელი ყრმის ამსახველ მინიატურებზე, რომლებიც სწორედ ირანული წარმოშობისაა.

არაბეთის ნახევარკუნძულის წარმართული მოსახლეობისაგან განსხვავებით, ირანის მკვიდრთა შორის სახვითი ხელოვნების უძველესი და უდიდესი ტრადიციები არსებობდა, როგორც უშუალოდ სპარსული, ისე ჯერ აქემენიანთა და შემდგომ სასანიანთა უზარმაზარ იმპერიებში შემავალ ვრცელ ტერიტორიებზე მცხოვრებ ხალხთა შემოქმედებაზე დაფუძნებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ირანში გავრცელდა შიიტური ისლამი, რომელშიც, რა თქმა უნდა, პირდაპირი გაგებით არ არსებობს ქრისტიან მონამეთა თაყვანისცემის მსგავსი კულტი, მაგრამ მისთვის უცხო არ არის ქეშმარიტი მორწმუნის მონამებრივი აღსასრულის განსაკუთრებული გააზრება, გამომდინარე ალისა და ჰუსეინის ტრაგიკული სიკვდილიდან. სეფიანთა ირანში ისლამის შიიტური მიმართულება ოფიციალურ რელიგიად აღიარეს. ამავე პერიოდში ვხედავთ სახვითი ხელოვნების განვითარების ახალ, მძლავრ ნაკადს, რაც აღნიშნული ეპოქის მინიატურულ მხატვრობაშიც აისახა. მე-16 საუკუნის სპარსული მინიატურები, მართლაც, შედეგრებულია. ისინი ამკობენ მხატვრული ლიტერატურის შემცველ ხელნაწერებს, მაგრამ საკმაოდ ხშირია რელიგიურ მოტივებზე შექმნილი მინიატურებიც, თვით მუჰამედ წინასწარმეტყველის გამოსახვა (მაგალითად, მიწრაჯი, მისი სასწაულებრივი ზეციური მოგზაურობა მექიდან იერუსალიმში და შეხვედრა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებთან).

სწორედ აღნიშნულ ეპოქაში ირანში შეიქმნა შვიდი ეფესელი ყრმის რამდენიმე მინიატურა.



შვიდი ყრმის სპარსული მინიატურა (შირაზი, მე-16 ს.)
 ბენ კაიმების პირადი კოლექცია, ლოს ანჯელესი

მუსლიმი მხატვრები, როგორც ჩანს, კარგად იცნობდნენ არა მხოლოდ ყურანის მე-18 სურას, არამედ – ჰაგიოგრაფიული ძეგლის შინაარსსაც, რადგან მათ საგანგებოდ ჰყავთ გამოსახული ბიზანტიის იმპერატორი თეოდოსი მცირე ამალითურთ, თუმცა ისინი არც არაქრისტიანული, წმინდა ისლამური ტრადიციის წითურ მცველ ძალს ტოვებენ უყურადღებოდ. გარდა ამისა, განსა-

კუთრებით გამოყოფენ ჩაკეტილ სივრცეში (გამოქვაბულში ქუშმარიტების გამოცხადების სიმბოლიკა) ლოდინის მოტივს. ლამაზი, მკაფიო ფერებით შესრულებულ მინიატურებში ჩანს, როგორ სძინავთ ახალგაზრდა ქრისტიანებს მცველი ძაღლის თანხლებით გამოქვაბულში. ისინი ემბრიონის მდგომარეობაში არიან, გამოქვაბული კი თვით ფორმითაც მოგვაგონებს დედის წიაღს. ეფესელი წმინდანნი, მსგავსად აბრაამისა, იონასი და იობისა, ექვემდებარებიან სიმბოლური სიკვდილისა და ხელმეორედ დაბადების პროცესს, რაც მითითებაა მომავალ აღდგომაზე. გამოქვაბული მხოლოდ დედის წიაღის სიმბოლო კი არ არის, არამედ – საფლავისაც (გავიხსენოთ ქრისტეშობის ხატი, სადაც ხატმწერნი ახალდაბადებული, გადახვეული ყრმის მოსასვენებელ ბაგას ისე გამოხატავენ, რომ ის კუბოსაც მოგვაგონებს, რაც ასევე მითითებაა მომავალ აღდგომაზე, სიკვდილის დამარცხებაზე).

სპარსულ მინიატურებში უმეტესწილად ვხვდებით იმ ძველადღებულ და ქრისტიანულ სიუჟეტებს, რომლებიც სუფიურ ტრადიციაში დამკვიდრდა. მუსლიმ მისტიკოსთა ნააზრევმა ამ ისტორიებს განსაკუთრებული ელფერი შესძინა, რაც მხატვრობაშიც აისახა და რასაც, სხვა მაგალითთა გვერდით, შესანიშნავად ადასტურებს შვიდი ეფესელი წმინდანის ამსახველი სპარსული მინიატურები. მოხსენებაში სუფიურ ტრადიციებსა და აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროსთან მათ განსაკუთრებულ კავშირზეც იქნება გამახვილებული ყურადღება.

Hagiographic writings about the Seven Saints of Ephesus (the 5th century) were very popular in the Christian world. This text was originally written in Greek or Syriac. It was translated from Greek into Georgian, Armenian, Coptic, Ethiopian, Arabic, and also into Latin, and later into European languages.

As for Islam, the main plot of the 18th sura of the Qur'an is exactly the same as that of the hagiographic monument, but significantly shortened and conveyed much more concisely. It is well known that among the Arabs the motif of the Seven Saints of Ephesus was well known from Syrian circles, which was duly reflected in the writings of the commentators of the Qur'an.

True, there is no cult of saints in Islam, but Muslims treat some of them with special reverence, primarily St. George and the Seven Youths of Ephesus. In the temples built in the name of these saints, not only Christians, but also Muslims pray. In addition, the place of the miraculous dormition and resurrection of the Seven Youths, located in historical Ephesus (now Turkey), is visited by representatives of both religions.

The plot of the mentioned hagiographic work is connected with the bodily resurrection of the dead. Christians even called the Youths of Ephesus “the Seven Lazaruses”. The 18th sura of the Qur’an is also verbally embellished mainly with eschatological and highly eloquent motifs. It is no coincidence that Louis Massignon calls this sura of the Qur’an the “Apocalypse of Islam”. All this well explains why the cult of the Seven Ephesians was so popular in the Islamic world.

As is known, Islam forbids not only the worship of icons, but also the painting of people and living beings in general. This is considered a great sin, because only God can “create”, “depict” any living being, who also spiritualizes them, and artists and sculptors cannot do this. The worship of icons is equated with idolatry. In the Middle Ages, a great dispute arose between Christians and Muslims on this issue. The treatise of Theodore Abu Qurra, who refutes the iconoclasts, deserves special attention. Basically, the author refers not to the iconoclastic population of Byzantium, but to the Muslim citizens of the Caliphate, who were supported by the Jews in the destruction of the public symbols of Christianity.

Despite such a negative attitude towards the depiction of a person, it cannot be said that this prohibition was absolute in the Islamic world, which is well evidenced by the Persian miniatures. In this work, we will focus on miniatures depicting the Seven Youths of Ephesus, the artistic pieces which are of Iranian origin.

Unlike the pagan population of the Arabian Peninsula, the inhabitants of Iran had the oldest and greatest traditions of fine art, both directly Persian and based on the work of the peoples who inhabited the vast territories that were part of the huge empires of the Achaemenians and later the Sassanians. It is also worth noting that Shiite Islam spread in Iran, in which, of course, there is no cult similar to the veneration of Christian martyrs in the literal sense, but it is not alien to a

special understanding of the martyrdom of a true believer, based on the tragic death of Ali and Hussein. In Safavid Iran, the Shiite branch of Islam was recognized as the official religion. In the same period, we see a new, powerful stream of development of fine arts, which is reflected in the miniature painting of this era. Persian miniatures of the 16th century are truly masterpieces. Among them are manuscripts containing fiction, but miniatures with religious motifs even depicting the Prophet Muhammad himself are quite common (for example, Mi'raj, his wonderful heavenly journey from Mecca to Jerusalem and meeting with the prophets of the Old Testament).

It was during this period that several miniatures of the Seven Youths of Ephesus were created in Iran.

Muslim artists, apparently, were well acquainted not only with the 18th sura of the Qur'an, but also with the content of the hagiographic monument, since they especially depict the Byzantine emperor Theodosius the Minor with his retinue, although they do not neglect the red dog of the non-Christian, pure Islamic tradition either. In addition, the motif of waiting in a closed space (a symbol of the revelation of truth in a cave) stands out. Beautiful, brightly colored miniatures depict young Christians sleeping in a cave, accompanied by a guard dog. They are in the state of embryo, and the very shape of the cave reminds us of the mother's womb. The Ephesian Saints, like Abraham, Jonah, and Job, are subject to a process of symbolic death and rebirth that points to the coming resurrection. The cave is not only a symbol of the mother's womb, but also of the grave (recall the icon of the Nativity, where icon painters express the cradle, actually the manger of a newborn, swaddled infant in such a way that it reminds us of a coffin, which is also an indication of the coming resurrection, the victory over death).

In Persian miniatures, we mainly find Old Testament and Christian motifs that have penetrated into the Sufi tradition. The thinking of Muslim mystics gave these stories a special flavor, which was also reflected in painting and which, among other examples, is perfectly confirmed by Persian miniatures depicting the Seven Ephesian Saints. The paper will also focus on Sufi traditions and their special connection with Eastern Christendom.



Persian miniature of the Seven Sleepers (Shiraz, the 16th c.)
Ben Qaym family private collection, Los Angeles

მანანა პაიჭაძე
Manana Paitschadse

ართურ შნიცლერის ნოველა „კაზანოვას
დაბრუნება“ და მისი კინოდაპტაცია
„Le Retour de Casanova“ (1992) –
კომპარატივისტული ანალიზი
Arthur Schnitzler’s Novella “Casanova’s
Homecoming” (1918) and its Movie Adaptation
„Le Retour de Casanova“ (1992)
– a Comparative Study

*საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტი*

The Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი

The Art Sciences, Media and Management Faculty

დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

Dimitri Janelidze Scientific-Research Institution



საკვანძო სიტყვები: ა. შნიცლერი, ჯ. კაზანოვა, ე. ნირმანსი,
ა. დელონი, ფ. ლუკინი.

Keywords: A. Schnitzler, G. Casanova, E. Niermans, A. Delon, F. Luchini.

მოხსენებაში განხილულია ავსტრიული მოდერნის (ახალგაზრდა ვენის) ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის, არტურ შნიცლერის (1862-1931), ნოველა „კაზანოვას დაბრუნება“ (1918) – მისი შექმნის ისტორია, მისი ნარატივის არქიტექტონიკა, სემანტიკური შრეები, მეტაფორები, ფიქციონალური და ისტორიული ფაქტების შეჯერება. საგანგებო ყურადღება ეთმობა ჯაკომო კაზანოვას, როგორც ისტორიული პიროვნებისა და შნიცლერის ტექსტის პერსონაჟის წინააღმდეგობრივ თვისებებს და თავისებურებებს – კაზანოვას ფსიქოლოგიურ პორტრეტს. ტექსტში ჩაქსოვილი ერთგვარი შინაგანი მონოლოგის ფორმით არის გადმოცემული მთავარი მოქმედი გმირის ქმედებების ინტენცია. ჯაკომო კაზანოვა (1725-1798) სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ვენეციელი იურისტი, მწერალი, ბიბლიოთეკარი, პოეტი, მთარგმნელი, ქიმიკოსი, ალქიმიკოსი, მათემატიკოსი, ისტორიკოსი, მასონი და დიპლომატია, რომელიც არანაკლებ ცნობილი გახდა თავისი სასიყვარულო თავგადასავლებით. როდესაც ა. შნიცლერმა 1918 წელს კაზანოვაზე გადაწყვიტა ნოველის დაწერა, მას თავისი იმჟამინდელი ასაკი მისცა – 52 წელი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ შნიცლერი ასაკს და ეროსს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა. მისი კაზანოვა ეგზისტენციალური და ფიზიოლოგიური კრიზისის ფაზაშია. ამას გარდა, ის დემორალიზებულია, რადგან სამშობლოდან 27 წლის განმავლობაში დევნილი ვენეციის რესპუბლიკის ათთა საბჭოს დამამცირებელ პირობებს თანხმდება. შნიცლერი, ერთი მხრივ, ადასტურებს კაზანოვაზე არსებულ ლეგენდებს და მითებს, მეორე მხრივ კი, ახდენს კაზანოვას მითის დესტრუქციას – დემითოლოგიზაციას.

შნიცლერის ნაწარმოებების მიხედვით არაერთი კინოფილმია გადაღებული. მაგრამ, რაც შეეხება მის ნოველას „კაზანოვას დაბრუნება“, არსებობს მისი მხოლოდ ერთი კინოადაპტაცია – 1992 წელს რეჟისორ ედუარდ ნირმანსის მიერ გადაღებული ფრანგული ფილმი ამავე სახელწოდებით „Le Retour de Casanova“, რომელშიც კაზანოვას როლს ასრულებს დიდი ფრანგი მსახიობი ალენ დელონი.

რეჟისორმა ედუარდ ნირმანსმა სწორად და საინტერესოდ წაიკითხა შნიცლერის ტექსტი – მან შექმნა ფილმი, რომელშიც კაზანოვა უფრო ადამიანური კუთხითაა წარმოჩენილი. ფილმის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხატვრული მიგნება და ხერხი არის, რომ

კაზანოვას ჰყავს მსახური – კამილი – რომელსაც ლეპორელოს როლი დაეკისრა (ამ როლს არაჩვეულებრივად ასრულებს ცნობილი ფრანგი მსახიობი ფაბრის ლუკინი). და ასევე რეჟისორმა ჩინებულად გამოიყენა შებრუნებული სარკის პრინციპი – რაც შნიცლერის ტექსტში ერთ-ერთ კულმინაციურ მომენტს წარმოადგენს. საუბარია კაზანოვასა და ლეიტენანტ ლორენცის პაექრობასა და დუელზე. არაჩვეულებრივად გამოკვეთილია ამალიას სახე (დელია ბოკარდოს შესრულებით). ფილმი ცდილობს კაზანოვას ერთგვარ რეაბილიტაციას – რეჟისორმა ამალიას უფროსი გოგონა, ტერეზინა, კაზანოვას ქალიშვილად გამოიყვანა. ფილმის არაჩვეულებრივი მუსიკალური გაფორმება და ტემპო-რიტმი მას განუმეორებელ ხიბლს სძენს. სამწუხაროა, რომ ეს ფილმი ჯეროვანად არ შეფასდა კინოკრიტიკოსების მიერ.

The article examines the genesis, the architectonics of the narrative, semantic layers, metaphors, juxtaposition of fictional and historical facts in Arthur Schnitzler's novella "Casanovas Heimfahrt"/"Casanova's Homecoming". In his novella, Arthur Schnitzler (1862-1931) – one of the most important representatives of Viennese modernism – presents the figure of the historical figure of Casanova and Casanova as a human being with all his contradictory characteristics. The writer draws his psychological portrait. In the text, passages interwoven in the form of inner monologues portray the intention of the main hero's actions. Giacomo Casanova (1725-1798) was already a legendary person during his lifetime – Venetian, lawyer, writer, librarian, poet, translator, chemist, alchemist, mathematician, historian, diplomat, gambler, secret agent, freemason and adventurer, also known as a great womaniser. When A. Schnitzler began writing this novella, he himself was 52 years old. He gave his Casanova the same age. It must be underlined that A. Schnitzler attached a particularly great role to age, ageing and Eros, eroticism, in his life and work. His Casanova is in the phase of existential and physiological crisis. He is also demoralised – banished from his home town of Venice for 27 years, he is forced to agree to the humiliating conditions of the Council of Ten of the Republic of Venice in order to return home and fight for a relatively secure existence.

Many feature films have been made based on the works of A. Schnitzler. However, the novella "Casanova's Journey Home" has only been filmed once – in 1992, the French director Édouard Niermans made the film with the same title – "Le Retour de Casanova" / "The Return of Casanova", starring the great French actor Alain Delon. The director Édouard Niermans interpreted the text by A. Schnitzler appropriately and originally – he created a film in which predominantly positive human traits of the figure of Casanova are brought to the fore. One of the most successful artistic strengths of the film is the invention of Casanova's servant – Camille – to whom the duties of Leporello were imposed. This role was superbly played by the well-known French actor Fabrice Luchini. The director also successfully used the principle of the reversed mirror effect, which is a climax in the text by A. Schnitzler (we are talking about the rivalry and duel between Casanova and the lieutenant Lorenzi). The character of Amalia is also quite prominent (played by the Italian actress Delia Boccardo). The film tries to justify Casanova – that is why the director has made Amalia's eldest daughter Casanova's biological daughter. The masterful musical framing of the film and its unique tempo-rhythm form its unique charm. I find it simply unfair and a pity that this film adaptation has not found due appreciation among film critics.

ნინო პოპიაშვილი
Nino Popiashvili

ევროპული განმანათლებლობა:
ევოქა, მიმდინარეობა და საქართველო
European Enlightenment: Era,
Movement and Georgia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities



საკვანძო სიტყვები: განმანათლებლობა, მიმდინარეობა, ქართული
ლიტერატურა.

Keywords: Enlightenment, movement, Georgian literature.

„განმანათლებლობა არის ევროპული კულტურისა და ისტორიის დასაწყისი და მისი საფუძველი“ – ეს სიტყვები წარუძღვარა ერნსტ ტრელჩმა 1897 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომს განმანათლებლობის შესახებ. მისი აზრით, განმანათლებლობა იყო არა უბრალოდ მოძრაობა, არამედ საზოგადოების განვითარების პროცესი, რომელიც ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავდა, მოითხოვდა ცვლილებებს, მოჰქონდა ახალი ღირებულებები, შეხედულებები, განსხვავებული მსოფლმხედველობა, რაც კაცობრიობის პოზიტიურ ცვლილებებს მოასწავებდა.

განმანათლებლობა, როგორც მიმდინარეობა ლიტერატურა-სა და ხელოვნებაში მეჩვიდმეტე საუკუნის ევროპაში ჩაისახა. განმანათლებლობის ეპოქა განსაზღვრულია 1650-1800 წლებით. განმანათლებლობის იდეები ინგლისიდან გავრცელდა გერმანიაში და საფრანგეთში, ასევე, ჩრდილოეთ ამერიკაში, მოგვიანებით კი, მთელ მსოფლიოში, მათ შორის, არაბულენოვან სამყაროში, სპარსეთში და ა. შ. განმანათლებლური იდეები ეხებოდა რამდენიმე ფუნდამენტურად მნიშვნელოვან საკითხს, როგორებიცაა: ადამიანის თავისუფლების საკითხი; თავისუფლებისა და თანასწორობის პრობლემა; ტოლერანტობა და შემწყნარებლობა, ახალი ადამიანის აღზრდის საკითხი და აღზრდის პრობლემები. ცოდნის საყოველთაო გავრცელების საკითხი.

ქართული ლიტერატურა, რომელიც დაახლოებით მეხუთე საუკუნიდან იღებს სათავეს, გამოირჩევა როგორც ჟანრული მრავალფეროვნებით, ისე ეპოქალური ლიტერატურული ტენდენციებისა და მიმდინარეობების აქტუალობით. ადრეული ქრისტიანული ჟანრების (ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია და სხვ.) ორიგინალური ქართული ლიტერატურული თხზულებების შემდეგ, ქართულ ლიტერატურაში იქმნება რენესანსული მსოფლმხედველობითი ნაწარმოები, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც სამართლიანად ითვლება ქართული და მსოფლიო ლიტერატურის შედეგად. „ვეფხისტყაოსნის“ შემდგომი ქართული ლიტერატურა კი გამოირჩევა ლიტერატურული პროგრამულობით, კრიტიკით, რაც ახალი დროისა და განმანათლებლობის იდეებისა და ღირებულებების ტენდენციების მატარებელია. სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილისა და სხვა ქართველ ავტორთა თხზულებებში არსებული ვითარების კრიტიკის ფონზე იკვეთება ახალი აქცენტები, განსხვავებული ღირებულებების წარმოჩენის მისწრაფებები, პირველ ყოვლისა კი, აღზრდისა და განათლების გზით.

მოხსენებაში ვისაუბრებთ განმანათლებლობის არსზე და ქართულ პერსპექტივაზე: იყო თუ არა განმანათლებლობა, როგორც მიმდინარეობა, საქართველოში.

“The Enlightenment is the beginning and foundation of European culture and history” – These words were introduced by Ernst Troeltsch to his work on Enlightenment published in 1897. According to him, the Enlightenment was not just a movement, but a process of social development, which included all areas of life, required changes, brought new values, views, a different worldview, which would lead to positive changes in humanity.

Enlightenment as a trend in literature and art was reflected in seventeenth century Europe. The Age of Enlightenment is defined as 1650-1800. Enlightenment ideas spread from England to Germany and France, as well as North America, and later throughout the world, including the Arabic-speaking world, Persia, etc. Enlightenment ideas touched on several fundamentally important issues, such as: the issue of human freedom; the problem of freedom and equality; tolerance, the issue of raising a new person and the problems of upbringing; the issue of universal distribution of knowledge.

Georgian literature, the beginning of which dates back to about the fifth century, is distinguished both by genre diversity and by the relevance of epochal literary trends and currents. After the original Georgian literary works of early Christian genres (hagiography, hymnography, etc.), a Renaissance worldview work was created in Georgian literature, Shota Rustaveli's "The Knight in the Panther's Skin", which is rightfully considered a masterpiece of Georgian and world literature. The Georgian literature after "The Knight in the Panther's Skin" is distinguished by its literary programming, criticism, which is the bearer of the ideas and values of the new time and enlightenment. In the writings of Sulikhan-Saba Orbeliani, Davit Guramishvili and other Georgian authors, new accents and aspirations to present different values emerge, first of all, through upbringing and education.

In the report, we will talk about the meaning of the Enlightenment and the Georgian perspective: was the Enlightenment as a trend in Georgia or not.

ვალერიან რამიშვილი
Valerian Ramishvili

იმედის მეტაფიზიკა
Metaphysics of the Hope

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities



საკვანძო სიტყვები: იმედი, იმედის ფენომენი, მეტაფიზიკა.
Keywords: Hope, the phenomenon of hope, Metaphysics.

თანამედროვე ადამიანის ყოფიერებაში დარჩა თუ არა იმედის ადგილი? იმედი ადამიანის ყოფიერების განსაკუთრებული ფენომენია, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ექსისტენციალი. იმედი ახასიათებს ადამიანს, როგორც სამყაროში მყოფ ყოფიერებას. იმედი ყოველთვის რაღაცის ან ვიღაცის იმედია, იმედი ადამიანის ცნობიერების თანშობილი ელემენტია, თვითონ ადამიანის მოგონილია თუ იგი მიეცა ადამიანს, მაშინ უნდა დადგინდეს, რატომ და რის სანაცვლოდ მიეცა იმედი ადამიანს.

იმედი არის საკუთარი ცხოვრების (მომავალში) ცვლილების შესაძლებლობის იმედი. ეს ეფუძნება სამ ონტოლოგიურ დებულებას: სამყაროს არსებობის წესია შესაძლებლობა, ჩემს გარეთ არსებობს რაღაც, რომელსაც შეუძლია, ჩემთვის სასიკეთოდ შეცვალოს რეალობა. ადამიანისთვის იმედის ქონის საფუძველია ადამიანის ყოფიერების ბუნება, იგი, როგორც დროითი, ექსტატური ყოფიერება, წარსული-ანმყო-მომავლის სახით დაყოფილ დროში ცხოვრობს, იგი თავის თავის, „აქ და ახლა“ მყოფობის გარეთ გადის, რადგან მისთვის მთავარია მომავალი, რომელიც მისთვის ყოველთვის უცნობი, განუსაზღვრელი და სახიფათოა.

ეს ნიშნავს, ადამიანის არსებობა არის დაუსრულებელი ყოფნა, რადგან „არსებობა წინ უსწრებს არსებას“, მისი ცხოვრების გამოცანაც მომავალში ცხადდება. ადამიანის ყოფიერების არსია შესაძლებლობა. ადამიანის ყოფიერების ცვლილების შესაძლებლობა მოცემულია მომავალში, ამიტომ ადამიანისთვის იმედი, როგორც მომავალთან მიმართების ფორმა, ხდება მისი ყოფიერების ერთ-ერთი ფუნდამენტური განმსაზღვრელი ნიშანი. ადამიანი ცდილობს, განსაზღვროს იმედის ფენომენის არსი და ადგილი მის ამქვეყნიურ ცხოვრებაში. იგი ამქვეყნიურობის ფენომენია და, იმავე დროს, მიუთითებს რაღაცაზე, რაც ამქვეყნიურობის, აქ და ახლას გარეთაა. ჩვენ არ გვაინტერესებს იმედის სახეები, სტრუქტურა და იმედის ფუნქცია ადამიანის თუ საზოგადოების ცხოვრებაში, არამედ იმედი, როგორც ექსისტენციალი, როგორც ჩემი ცნობიერებისა და მუნყოფნის მიღმა სინამდვილესთან მიმართების ფორმა.

უნდა განვასხვაოთ იმედი, როგორც ონტიური ფენომენი, რაც გულისხმობს იმედის როლის დადგენას ადამიანის ყოველდღიურობაში. რისი იმედი შეიძლება მქონდეს, რატომ აქვს ადამიანს

იმედი და რა არის „იმედი“. როდესაც ადამიანი ამბობს: იმედი მაქვს, ამას მოვასწრებ, ჩემი თავის იმედი მაქვს, ან იმედი მაქვს, ხვალ დრო მექნება და ამას გავაკეთებ. იგი ახასიათებს ადამიანს, რომლის არსებობის წესია თანაყოფნა სხვასთან. „იმედი მომცა“, „მეგობრის იმედი მაქვს“ მიანიშნებს, რომ ადამიანი სოციალური არსებაა და მეორე ადამიანთან თანაცხოვრებისას მას აქვს ურთიერთდახმარების იმედი და ხშირად მეორე ადამიანის, გვერდით მდგომის დახმარების იმედაა.

იმედი, როგორც ონტოლოგიურ-მეტაფიზიკური ფენომენი, გულისხმობს „უკანასკნელ იმედს,“ რომელიც „ბოლო კვდება“ და რომლის „იმედითაც ცოცხლობს ადამიანი.“ მეტაფიზიკამ ადამიანს უნდა მისცეს იმედი. ადამიანისთვის დამახასიათებელი მეტაფიზიკისკენ ბუნებრივი მიდრეკილების ერთ-ერთი ფორმაა იმედის ფენომენი. მეტაფიზიკამ არა მარტო უნდა ახსნას, რა არის იმედი, საიდან, რატომ აქვს იმედი, არამედ მან და უნდა ონტოლოგიურად დააფუძნოს იმედის ფენომენის შესაძლებლობა და აჩვენოს, რანაირი უნდა იყოს სამყარო, რომ მასში შესაძლებელი იყოს იმედის არსებობა.

მეტაფიზიკის ამოცანაა ასეთი იმედის და მისი შესაძლებლობის ახსნა, სამყაროს ონტოლოგიურ-მეტაფიზიკური აგებულება იძლევა თუ არა იმედის არსებობის შესაძლებლობას. არსებობს თუ არა რაიმე ძალა სამყაროში, რომლის იმედი შეიძლება მქონდეს: ეს არის ღმერთის, სიკეთის, სამართლიანობის, გონივრულობის (კოსმიური გონება) იმედი, თუ სამყაროს არსებობის კანონზომიერება, თუ აუცილებლობა, რაც სინამდვილეს მართავს, როგორც სინამდვილის არსებობის ონტოლოგიური პრინციპი. ბრძოლა მეტაფიზიკასთან არის ბრძოლა იმედთან. არა მარტო იმედის ფენომენის დაფუძნებაა მეტაფიზიკის დანიშნულება, არამედ თვითონ იმედის ფენომენია მეტაფიზიკური ფენომენი. ეს არის ადამიანის მეტაფიზიკური მარტოობის საკითხი, აქვს თუ არა ადამიანს ვინმეს იმედი ამქვეყნად თუ იგი მარტოდმარტოა ამ სამყაროში? პლატონის თანახმად, სამყაროს მართავს სიკეთე ეს არის ordo agathon-ის წესრიგი და თუ ამქვეყნად – არა, იმქვეყნად მანც მოგებლევა (პლატონი, სახელმწიფო).

ჰესიოდე, „სამუშაონი და დღენი“ (ძვ. წ. VIII-VII საუკუნე) მოგვითხრობს იმედის ფენომენზე პანდორას მითში. მაშინვე გაცნობიერებული იქნა იმედის ბუნება და ორაზროვნება, როგორც ნამ-

დვილი იმედი და როგორც მაცთური, ამო მოლოდინი. (სულელი) იგი თან მოცემულია და თან არ აქვს ადამიანს, რალაცნაირად ორ სამყაროს შუა არის. ეს ნიშნავს, რომ იმედი ამქვეყნად არ არსებობს, მაგრამ იმედი მხოლოდ მიღმურ, ღმერთების სამყაროშიც არ დარჩენილა. გაურკვეველია, რისი იმედი იყო ის, რაც ყუთში დარჩა. ადამიანს შეეძლო თავისი სიცოცხლის წინასწარ ხედვა, მაგრამ პრომეთეს მიერ ადამიანებისთვის ცეცხლის მოპარვის შემდეგ ადამიანს ეს უნარი წაართვეს, მომავლის ცოდნის სანაცვლოდ, დაუტოვეს მომავლის იმედი, ისევე როგორც ადამს სამოთხიდან გამოძევების შემდეგ, ღმერთის ცოდნის ნაცვლად, მიეცა სხვა ნიჭი – ღმერთის რწმენა. იმედი და რწმენა არის ადამიანის სასჯელის გამოხატულება. რწმენა და იმედი ძალიან პირადი ფენომენია, რომლის სხვისთვის ახსნა ან გადაცემა, თუ როგორ გნამს ან როგორ გაქვს იმედი, შეუძლებელია.

ამიტომ კანტი მრავალი საუკუნის შემდეგ კითხულობს: „რისი იმედი შეიძლება მქონდეს“. კანტი თავისი კითხვით ეძებს იმას, რისი იმედიც შეიძლება ჰქონდეს ადამიანს, რომელიც დღესაც გაურკვეველია.

ნიცშე პირდაპირ აცხადებს, რომ იმედის ფენომენი ყალბია და სურდა ამ ყალბი იმედისგან გათავისუფლება. ცოცხალი ადამიანისთვის მეტაფიზიკა არის ავადმყოფობა, რადგან ელოდები იმედს, რომელიც ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, ელოდები სხვა ცხოვრებას, რომელიც ილუზიაა და ამქვეყნიურ ცხოვრებას სწირავ ამ ილუზორულ იმედს. ნიცშე იბრძვის მეტაფიზიკის წინააღმდეგ, რადგან მეტაფიზიკაში ხედავდა სწორედ ყალბ იმედს, რომელიც ადამიანს უფრო დიდ ტკივილს აყენებდა. მას სურდა ამ ყალბი იმედისგან გათავისუფლება, ნიცშეს „ღმერთი მოკვდა“ იყო სწორედ ამ იმედის სიკვდილი. მისი აზრით, ეს ყალბი იმედი შექმნეს სოკრატემ და პლატონმა და ის წარმოადგენდა გონების ჰარმონიაზე დაფუძნებულ მარადიულ აპოლონიურ სამყაროს, რომელის სანაცვლოდ ნიცშე გვთავაზობდა ყოველგვარ იმედს მოკლებულ, ძალაუფლებისადმი ნებით წარმართულ ბრძოლის დიონისიურ სამყაროს.

კამიუს ფილოსოფიის ერთ-ერთი მთავარი თემაა იმედის ფენომენი. მისი აზრით, იმედი არის მეტაფიზიკის უკანასკნელი ნაშთი. მეამბოხე და აბსურდის ადამიანები იმედს მოკლებულ არიან არა იმიტომ, რომ მათ არ სურთ იმედი, არამედ ფხიზელი გონე-

ბით იმედის ნახტომის განხორციელება შეუძლებლად მიაჩნიათ. მიუხედავად ამისა, ადამიანს ახასიათებს ბუნებრივი მიდრეკილება იმედის აღიარებისა. სიზიფეს რისი იმედი შეიძლება ჰქონდეს. საკუთარი თავის იმედი, იგი იბრძვის იმედის მოპოვებისთვის. იგი უარს ამბობს, წინასწარ მიიღოს ხსნის იმედი, იმედი ხილული და დასაბუთებული უნდა იყოს. ყოველგვარ სიცხადეს მოკლებული ნახტომი ადამიანში აღვიძებს უსაფუძვლო იმედს, რაც სახიფათოა.

Is there a place for hope left in the existence of modern man? Hope is a special phenomenon of human existence, which can be considered as existential. Hope characterizes man as a being who exists in the world. Hope is always a hope for something or someone, hope is an innate element of human consciousness, it is invented by man, if it is given to a person, then it should be determined why and in exchange for what Hope was given to a human.

Hope is a hope for the possibility of change in one's life (in the future). It is based on three ontological propositions: the ontological form of the being of the world is possibility, there is something outside of me that can change reality for my good. The basis for a human to have hope is the nature of human existence; as a temporary, ecstatic existence, it lives in a divided time in the form of past-present-future, it goes outside its "here and now" existence, because the most important thing for it is the future, which is always unknown, undefined and dangerous for it.

This means that human existence is an unending existence, because "existence precedes essence" and the riddle of his life will be revealed in the future. The essence of the human existence is possibility. The possibility of change of human existence is given in the future, therefore hope for a person, as a form of relation to the future, becomes one of the fundamental defining signs of his existence. Man tries to determine the essence and place of the phenomenon of hope in his worldly life. It is a phenomenon of the mundane and at the same time points to something that is beyond the mundane, the here and now. We are not interested in the types of hope, the structure and function of hope in the life of human or society, but we are interested in hope as exis-

tential, as a form of relation to the reality beyond my consciousness and presence.

We need to distinguish hope as an ontic phenomenon, which means determining the role of hope in the everyday life of the human. What can I hope for, why does the human have hope, and what is “hope”? When a human says: I hope I can do it, I hope for myself, or I hope I will have time tomorrow and do it. It characterizes a human whose rule of existence is co-existence with others. “He gave me hope”, “I hope for my friend” indicate that a human is a social being and when living with another human, he hopes for mutual help and often hopes for the help of the other person standing next to him.

Hope, as an ontological-metaphysical phenomenon, implies the “last hope”, which “dies last” and by which kind of “hope man lives”. Metaphysics must give hope to a Human. The phenomenon of hope is one of the forms of the natural tendency towards metaphysics characteristic of man. Metaphysics should not only explain what hope is, where it comes from, why he has hope, but it should also ontologically establish the possibility of the phenomenon of hope and show what the world should be like to make it possible for hope to exist in it.

The task of metaphysics is to explain such hope and its possibility, whether the ontological-metaphysical structure of the world allows for the existence of hope. Is there any force in the world that I can hope for: is it the hope of God, goodness, justice, mind (cosmic mind), or the regularity of the Being of the world, or the necessity that governs reality, as the ontological principle of the existence of reality. The struggle with metaphysics is the struggle with hope. Not only the foundation of the phenomenon of hope is the purpose of metaphysics, but the phenomenon of hope itself is a metaphysical phenomenon. It is a question of metaphysical loneliness of the human. Does man have any hope in this world or is he alone in this world? According to Plato, the world is ruled by goodness, this is the “*ordo agathon*”, and if not in this world, then at least it will reward in the other world (Plato, *The Republic*).

Hesiod, in his “*Works and Days*” (8th-7th cc. BC) tells us about the phenomenon of hope in the myth of Pandora. Immediately, the nature and ambiguity of hope was realized, both as true hope and as gullible hope, vain expectation. This means that there is no the hope in this world, but hope is not left only in the other world, the world of Gods. It

is unclear what kind of hope was left in the box. A Human could foresee his life, but after Prometheus stole fire for people, this ability was taken away from human, he was given the hope of the future instead of the knowledge of the future, just as Adam was given another gift instead of the knowledge of the God – faith in the God. Hope and faith are forms of human punishment. Belief and hope are very personal phenomena, which cannot be explained or conveyed to others as it is impossible to convey to others how you believe or how you hope.

So Kant, many centuries later, asks: “What can I hope for?” With his question, Kant searches for what a person can hope for, which is still unclear today.

Nietzsche directly states that the phenomenon of hope is false and he wanted to get rid of this false hope. For a living human, metaphysics is a sickness, because you wait for a hope that is devoid of any foundation, you wait for another life that is an illusion, and you sacrifice this worldly life for this illusory hope. Nietzsche fights against metaphysics, because he saw in metaphysics precisely the false hope that caused greater pain to man. He wanted to get rid of this false hope, Nietzsche’s “God is dead” was the death of this hope. According to him, this false hope was created by Socrates and Plato, who represented the eternal Apollonian world based on the harmony of the mind, instead of which Nietzsche offered us a Dionysian world of a will-to-power struggle devoid of all hope.

One of the main themes of Camus’s philosophy is the phenomenon of hope. According to him, hope is the last vestige of metaphysics. The rebel and the absurd person lack hope, not because they do not want to hope, but because they find it impossible to take the leap of hope with a sober mind. Nevertheless, a human is characterized by a natural tendency to accept hope. What can Sisyphus hope for? Hope for himself, he struggles to find hope. He refuses to accept the hope of salvation in advance, hope must be seen and substantiated. A jump devoid of any clarity awakens groundless hope in a person, which is dangerous.

ქეთევან რამიშვილი
Ketevan Ramishvili

ფონ კრესი და საქართველო
Von Kress and Georgia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities



საკვანძო სიტყვები: ფონ კრესი, „ჩემი მისია საქართველოში“,
საქართველო.

Keywords: Von Kress, “Meine Mission im Kaukasus”, Georgia.

ღვანლმოსილი ქართველი მეცნიერის, გერმანისტის, მთარგმნელის, პედაგოგის, ნოდარ კაკაბაძის, დაბადების 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საკონფერენციო მოხსენება – ფონ კრესი და საქართველო – მიმოიხილავს I მსოფლიო ომის მსვლელობის დროს მიმდინარე გეოპოლიტიკური ხასიათის ცვლილებების ფონზე კავკასიაში კაიზერული გერმანიის მიერ წარმოებული სამხედრო-დიპლომატიური მისიის, ე. წ. კავკასიის ექსპედიციის ხელმძღვანელის, გენერალ ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინის, მოგონებებსა და შთაბეჭდილებებს საქართველოსა და ზოგადად კავკასიაზე.

საქართველოში მოღვაწეობის შედეგებისა და შთაბეჭდილებების წერილობითი ანგარიში – „ჩემი მისია კავკასიაში“, რომელიც არ იყო განკუთვნილი გამოსაქვეყნებლად, კრესმა მიუნხენის სამხედრო არქივს გადასცა 1943 წელს. ის მოიძია და თარგმნა ქართულ ენაზე ნოდარ მუშკუდიანმა და 2002 წელს წიგნადაც გამოიცა.

ფონ კრესის მიერ აღწერილი და გაანალიზებული მოვლენები ნიშანდობლივი და დამახასიათებელია დღევანდელი საზოგადოებისთვისაც. გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწის მემუარული ხასიათის ანგარიში ყურადღებას იპყრობს იმით, რომ მასში აღწერილი პროცესები და ფაქტები შეეხება გერმანულ-ქართულ ეკონომიკურ და პოლიტიკური საკვანძო ხასიათის ურთიერთობებს, მიმოიხილავს საქართველოს იმდროინდელი მთავრობის საქმიანობას, კავკასიელი ხალხებისა და ქვეყნების ურთიერთობას, შეეხება ქვეყნის წინაშე არსებულ პრობლემებსა და სიძნელეებს, ობიექტურად ასახავს პოლიტიკური პარტიების, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის პრიორიტეტებსა და საქმიანობას. კრესი გამოთქვამს მოსაზრებებს ქართველ საზოგადო პირთა მოღვაწეობის, ზოგადად ქართველი ხალხის, საქართველოს კულტურისა და ტრადიციების შესახებ.

„ჩემი მისია კავკასიაში“ მნიშვნელოვანია ასევე იმით, რომ აღწერილი მოვლენები შეეხება კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს – დამოუკიდებლობის აღდგენასა და საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის მცდელობას. როგორც ცნობილია, საქართველო I მსოფლიო ომის დასაწყისში რუსეთის იმპერიის გუბერნიების სახით იყო წარმოდგენილი, ომის დასასრულისთვის კი მისი პოლიტიკური სტატუსი უკვე შეცვლილი

იყო. ამავე დროს გაჩნდა და გამოჩნდა საფრთხეები, რომლებსაც საქართველო დამოუკიდებლად უნდა გამკლავებოდა.

ბრესტის ზავის გაფორმების შემდეგ არსებული პოლიტიკური ვაკუუმი რუსეთის ყოფილ იმპერიაში შემავალ ქვეყნებში სხვადასხვა გზით, საქართველოს შემთხვევაში, დიდი ალბათობით, ოსმალეთის იმპერიის ექსპანსიონისტური ინტერესებით უნდა შევსებულიყო. ამ კრიტიკულ მომენტში მომავალი უსაფრთხოებისა და საერთაშორისო აღიარების გარანტიის სახით გერმანიის მხარდაჭერის მიღება და მასთან სამხედრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება საქართველოსათვის ერთ-ერთი თუ არა, ერთადერთი წინააღმდეგმული და წარმატებული ნაბიჯი უნდა ყოფილიყო.

გასათვალისწინებელია, რა თქმა უნდა, ის მთავარი ფაქტორიც, რომ გერმანულ პოლიტიკოსებს საკუთარი მიზნები ამოძრავებდათ. გერმანიის იმპერიისათვის ახლოაღმოსავლური, მათ შორის, კავკასიური პოლიტიკის აქტუალურობა და სტრატეგიულ-ეკონომიკური მნიშვნელობა I მსოფლიო ომის დროს გაიზარდა. გერმანიის ინტერესები კავკასიაში არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ნედლეულზე წვდომის უფლებით, კავკასია უნდა გამხდარიყო პლაცდარმი თურქეთსა და ინდოეთში ინგლისის წინააღმდეგ ომის დროს.

მოხსენებაში – ფონ კრესი და საქართველო – გამოყენებულია ლიტერატურა: ბარონ ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინის – ჩემი მისია კავკასიაში, ნ. მუშკუდიანის – გენერალი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი და მისი მოგონებანი; მ. ბალახაძის – საქართველო გერმანიის ურთიერთობები; ლ. ბაქრაძის – გერმანულ-ქართული ურთიერთობები I მსოფლიო ომის დროს, ო. ჯანელიძის – საქართველო 1918-1921 წლებში.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს მნიშვნელობა პოლიტიკური კატაკლიზმებით აღსავსე ეპოქაში, XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით გერმანიის ერთ-ერთი წარჩინებული სამხედრო და დიპლომატიური სკოლის წარმომადგენლის და მისიის ხელმძღვანელის მოსაზრებების და ობიექტური შეხედულებებისა კავკასიაზე, საქართველოსა და ქართველებზე, ქართულ პოლიტიკასა და პოლიტიკოსებზე, საკითხებზე, რომლებსაც აქტუალობა არ დაუკარგავთ არც დღევანდელ საქართველოში.

The conference report dedicated to the 100th anniversary of the birth of the outstanding Georgian scientist, Germanist, translator, teacher Nodar Kakabadze – Von Kress and Georgia – reviews the memories and impressions of Georgia and the Caucasus in general by General Friedrich Kress von Kressenstein, the head of the Caucasus Expedition, the military-diplomatic mission conducted by Kaiser Germany in the Caucasus, against the background of the geopolitical changes that took place during the First World War.

A written account of the results of his work in Georgia and others – “My Mission in the Caucasus”, which was not for publication, he gave to the Munich military archives in 1943, which was found and translated by Nodar Mushkudiani and published as a book in 2002.

The events described and analyzed by von Kress are significant and typical for today’s society as well. The account of the memoir nature of the German military-political figure attracts attention by the fact that the processes and facts described in it concern the key German-Georgian economic and political relations, it reviews the activities of the Georgian government at that time, the relationship between the Caucasian peoples and countries, and concerns the problems and difficulties faced by the country; it objectively reflects the priorities and activities of political parties, the Independence Committee of Georgia. Kress expresses his opinions about the activities of Georgian public figures, Georgian people in general, Georgian culture and traditions.

“My Mission in the Caucasus” is also important as the described events touch one of the important stages of the Caucasus and Georgia – the attempt to restore independence and enter the international arena. As is known, at the beginning of the First World War, Georgia was represented as a gubernia of the Russian Empire, and by the end of the war, its political status had already changed. At the same time, threats appeared that Georgia had to deal with independently.

After the signing of the Treaty of Brest, the political vacuum in the countries included in the former Russian Empire had to be filled in various ways, in the case of Georgia, most likely, by the expansionist interests of the Ottoman Empire. At this critical moment, receiving Germany’s support as a guarantee of future security and international recognition for Georgia and establishing military-economic relations with

it should have been one, if not the only, advanced and successful step for Georgia.

Of course, the main factor that German politicians were driven by their own goals should be taken into account. For the German Empire, the Middle Eastern policy, including the Caucasus, increased in relevance and strategic-economic importance during the First World War. German interests in the Caucasus were not limited to the right of access to raw materials, the Caucasus was to become a springboard in Turkey and India during the war against England.

The report – Von Kress and Georgia – uses the literature of Baron Friedrich Kress von Kressenstein – My Mission in the Caucasus, N. of Mushkudiani – General Friedrich Kress von Kressenstein and his memory; M. Balakhadze – Georgia-Germany relations; L. Bakradze – German-Georgian relations during World War I, O. Janelidze – Georgia in 1918-1921.

Once again should be noted the importance of the mission of the representative of one of the distinguished military and diplomatic schools of Germany and the opinions and objective views of the head of this mission on the Caucasus, Georgia and Georgians, Georgian politics and politicians, issues that have not lost their relevance even in today's Georgia.

მანანა რუსიეშვილი, რუსუდან დოლიძე
Manana Rusieshvili, Rusudan Dolidze

კიდევ ერთხელ ეკფრაზის შესახებ
Ekphrasis Revisited

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities*



საკვანძო სიტყვები: ეკფრაზისი, ინტერსემიოტიკა, ეკფრაზისტული
აღწერა, ალუზია და სიმილი.

Keywords: ekphrasis, inter-semiotics, multimodality, ekphrastic
description, allusion and simile.

ტერმინი „ეკფრაზისი“ (*ekphrasis*), განიმარტება, როგორც ვიზუალური ხელოვნების არსებული თუ წარმოსახვითი ნიმუშის ვერბალური აღწერა მხოლოდ ლიტერატურულ ნაწარმოებში (Pop, 2010).

შემდგომმა კვლევებმა გვაჩვენეს, რომ ეკფრაზისი არ შემოიხსნება მხოლოდ ვიზუალურის ვერბალური რეპრეზენტაციით, არამედ გაცილებით რთული ფენომენია და შეიძლება მისი თვისებები არა მარტო ვერბალურ, მონომოდალურ, არამედ მულტიმოდალურ სიბრტყეზე განვიხილოთ.

კერძოდ, ეს საინტერესო სტილისტიკურ-ნარატიული ფენომენი შეიძლება გამოვლინდეს ხელოვნების სხვადასხვა დარგსა თუ სემიოტიკურ სისტემაში (მხატვრობა, ფილმოგრაფია, ფოტოგრაფია, მუსიკა, ა. შ).

ჩვენი მოხსენება ეკფრაზისის კვლევისთვის მნიშვნელოვან რამდენიმე მიზანს მიმოიხილავს. უპირველეს ყოვლისა, დაზუსტებულია ამ ტერმინის განმარტება და მოცულობა, რომელიც ჯერ კიდევ 2015 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომშია შემოთავაზებული (Rusieshvili-Cartledge & Dolidze, 2015). ამ თვალსაზრისით გამოყოფილია ეკფრაზისის შემდეგი სახეები: ეკფრაზისტული აღწერა, ეკფრაზისტული ალუზია და ეკფრაზისტული სიმბოლე.

გარდა ამისა, მოხსენებაში განხილულია წყარო ტექსტიდან სამიზნე ტექსტში ეკფრაზისტული მნიშვნელობის გადატანის ტიპები. ამ მხრივ, ყურადღება ეთმობა მნიშვნელობის ინტერსემიოტიკურ ტრანსპოზიციას და ამ პროცესისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

ლიტერატურა:

Pop, Doru. (2010). "The Iconoclasm of the New Romanian Cinematography. In *Ekphrasis: Images, cinema, theatre, media* 4(2).

Rusieshvili-Cartledge, M & Dolidze, R. (2015). "Ekphrasis and its Multifaceted Nature: Ways of its Usage in Literature and Cinematography." In *The International Journal of Literary Humanities*,13(3), 1-8.

The term "ekphrasis" was usually defined as a verbal description of an existing or imaginary sample of visual art in a literary work (Pop, 2010).

However, further studies have shown that ekphrasis as a stylistic and narrative phenomenon is not limited only to the verbal, monomodal representation of the visual, but is much more complex and can be considered on multimodal and inter-semiotic levels. In particular, ekphrasis can be manifested in various fields of art and semiotic systems (painting, filmography, photography, etc.).

This paper describes several issues important for ekphrastic research. First of all, it clarifies the definition of this term, which was already proposed by the authors in a paper published in 2015 (Rusieshvili--Cartledge & Dolidze, 2015). From this point of view, the following types of ekphrasis are distinguished: ekphrastic description, ekphrastic allusion and ekphrastic simile.

In addition, this paper discusses the types of transfer of ekphrastic meaning from the source to the target text. In this regard, particular attention is paid to the inter-semiotic transfer of meaning and the features and peculiarities characteristic of this process.

References

Pop, Doru. (2010). "The Iconoclasm of the New Romanian Cinematography. In Ekphrasis: Images, cinema, theatre, media 4(2).

Rusieshvili-Cartledge, M & Dolidze, R (2015). "Ekphrasis and its Multifaceted Nature: Ways of its Usage in Literature and Cinematography." In The International Journal of Literary Humanities,13(3), 1–8.

ქეთევან სიხარულიძე
Ketevan Sikharulidze

ლიტერატურული ბალადების
ხალხური საწყისები
Folk Origins of Literary Ballads

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities*



საკვანძო სიტყვები: ფოლკლორი, ბალადა, ლიტერატურული
ბალადა.

Keywords: folklore, ballad, literary ballad.

ხალხურ პოეზიაში ბალადა ფორმითა და შინაარსით ყველაზე მრავალფეროვანი ჟანრია. ლიტერატურის ისტორიაში ეს ჟანრი განუწყვეტელი მეტამორფოზების გასაოცარი მაგალითია. ხალხური შემოქმედების ჟანრიდან იგი თანდათან ჩამოყალიბდა ლიტერატურულ ჟანრად, ხოლო რომანტიზმის წიაღში განსაკუთრებით გაიზარდა მასზე მოთხოვნა. თემატიკის სიმდიდრემ, ეპიკურისა და ლირიზმის ერთობლიობამ, დრამატიზმმა და მოქნილმა ფორმამ ადრევე გახადა ფოლკლორული ბალადა პოპულარული და ხელი შეუწყო მის ლიტერატურულ ჟანრად ჩამოყალიბებას.

ევროპაში ბალადა შუა საუკუნეებში ჩნდება და ამავე პერიოდში იწყება ლიტერატურული ბალადის ისტორია. ლიტერატურულ ბალადას ხალხური ბალადები დაედო საფუძვლად. ამ პროცესის პირველი მონაწილეები იყვნენ სახალხო მომღერლები, რომლებიც დამკვიდრდნენ ფეოდალთა სასახლეებში, სადაც იმართებოდა პოეტური შეჯიბრებები. მომღერლები ცვლიდნენ ძველი სიმღერების პოეტურ წყობასა და გამომსახველობით საშუალებებს და უკვე ლიტერატურულად გადაამუშავებულ, მყარი სალექსო ფორმის ლექსებს ქმნიდნენ. ამგვარად დაკანონებული ფორმებითაა შექმნილი მე-15 საუკუნეში ფრანსუა ვიიონის ბალადები.

საპირისპირო მოვლენა გვხვდება სკანდინავიის ქვეყნებში. აქ ლიტერატურული ნაწარმოებები გახდა ზოგიერთი საგმირო ბალადის წარმოშობის წყარო. სკანდინავიაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა საგმირო საგები. ამ საგების გამორჩეული ეპიზოდები გამოიყენეს ბალადების ავტორებმა თავიანთი სიმღერების თემებად. ეს ბალადები განსაკუთრებით შთამბეჭდავია შინაარსითა და პოეტური გამომსახველობით. საგმირო საგების საფუძველზე შექმნილი ლიტერატურული ბალადები ხალხში გავრცელდა და მათ მიიღეს ფოლკლორული ნაწარმოების ყველა ნიშანი.

ევროპაში მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, რომანტიზმის აყვავების ეპოქაში, ბალადა, როგორც ლიტერატურული ჟანრი, კვლავ აღორძინდა და წამყვანი ადგილი დაიკავა პოეზიაში. ხალხური ბალადის დრამატულობა გახდა ლიტერატურული ბალადის ფორმირების საფუძველი. ბალადისათვის დამახასიათებელი მითოლოგიური და სასწაულებრივი ელემენტები შეესაბამებოდა რომანტიკოსთა მისწრაფებას არაჩვეულებრივისა და მისტიკურობისკენ.

ევროპაში ბალადის ლიტერატურული ჟანრის ჩამოყალიბება, ფაქტობრივად, იწყება ბალადების პირველი კრებულების შედგე-

ნით. ალან რემსი, შემდეგ კი ტომას პერსი აქვეყნებდნენ მათ მიერ შეკრებილ ბალადებს, მაგრამ ხალხურ ტექსტებს ზუსტად კი არ ბეჭდავდნენ, არამედ „ასწორებდნენ“ მათ: ავსებდნენ ნაკლებულ ადგილებს ან, პირიქით, აკლებდნენ იმას, რაც ზედმეტად მიაჩნდათ, ცვლიდნენ გარკვეულ მონაკვეთებს თავიანთი გემოვნების შესაბამისად. შემდეგი დროის გამომცემლები ცდილობდნენ, მაქსიმალური სიზუსტით დაეფიქსირებინათ ხალხური ტექსტები, მაგრამ პერსის კრებული ერთგვარი ჰიტი გახდა და არსებითად შექმნა ბალადის მოდა ინგლისურსა და შოტლანდიურ პოეზიაში. ხალხური ბალადების შემგროვებელი და გამომცემელი იყო უოლტერ სკოტიც, რომელსაც ასევე შეჰქონდა შესწორებები ხალხურ ტექსტებში. ამავ პერიოდში გაჩნდა ლიტერატურული მისტიფიკაციები, ანუ ხალხურად გასაღებელი ლიტერატურული ნაწარმოებები.

ლიტერატურულ ბალადებში ხალხური ბალადების სიუჟეტები და მოტივები განსხვავებულადაა გააზრებული. მას ემატება ლირიკული სანყისი, რომელიც თანდათან ძლიერდება და იწვევს ხალხური ბალადის სპეციფიკური ნიშნების ტრანსფორმაციას. ამასთან, მკვეთრად ვლინდება ავტორის ინდივიდუალიზმი. ევროპაში ლიტერატურული ბალადის ჩამოყალიბება სამ ეტაპს მოიცავს: ბალადების შეკრება და ჩაწერა; მათ საფუძველზე საკუთარი პოეტური ვარიანტების შექმნა და ავტორის მიერ ახალი ლიტერატურული ბალადების შექმნა.

ტერმინი „ბალადა“ ქართულ ფოლკლორისტიკაში გვიან დამკვიდრდა, ასევე გვიანდელია ტექსტების ჩანაწერები და ამიტომ ქართული ბალადების სანყისებსა და განვითარების გზებზე ძნელია საუბარი. მათი უმრავლესობა საგმირო ხასიათის მაღალპოეტური ქმნილებაა, რომელთაგან ბევრი რეალურად მომხდარ ამბავს ემყარება. ქართული ხალხური ბალადებიდან აღსანიშნავია „მოყმისა და ვეფხვის ამბავი“ და „მირანგულა“, რომელთა საფუძველზე შეიქმნა ლიტერატურული ვერსიები.

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ქართველი პოეტების შემოქმედებაში გვხვდება ბალადები, რომელთა დიდი ნაწილი ფოლკლორული მოტივების საფუძველზეა შექმნილი, მაგრამ სალექსო ფორმების თვალსაზრისით ისინი არ არიან ქართული ხალხური ბალადის მემკვიდრეები. ამ პოეტთა და ცისფერყანწელთა პოე-

ზიაში შესამჩნევია ფრანგული ბალადისა და, ზოგადად, ევროპული სალექსო ფორმების ძიება.

ლიტერატურა:

ბარბაქაძე თ. (2018). ევროპული და აღმოსავლური მყარი სალექსო ფორმები ქართულ პოეზიაში, ნაწილი I, თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“

Гуревич А. (1972). История и сага. Москва: Издательство «Наука».

მახაური ტ. (2003). ქართული ხალხური საგმირო ბალადა. თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“

Mitchell S. (1991). Heroic Sagas and Ballads. New York: Cornell University Press.

In folk poetry, the ballad is the most diverse genre in terms of form and content. In the history of literature, this genre is an amazing example of continuous metamorphosis. From the genre of folk creativity, it gradually developed into a literary genre, and the demand for it especially increased in the period of Romanticism. The richness of the theme, the combination of epic and lyrical, dramatic and flexible form made the folk ballad popular early and contributed to its formation as a literary genre.

In Europe, the ballad appears in the Middle Ages, and the history of the literary ballad begins in the same period. Literary ballads were based on folk ballads. The first participants of this process were folk singers who settled in feudal palaces, where poetic competitions were held. The singers made changes in the poetic structure and expressive means of the old songs and created poems that were already literary processed, in a solid verse form.

The opposite phenomenon occurs in the Scandinavian countries, where literary works became the source of origin of some heroic ballads. Heroic sagas were very popular in Scandinavia. Significant episodes of these sagas were used by ballad writers as themes for their songs. These ballads are particularly impressive in their content and poetic expression. Literary ballads created on the basis of heroic sagas spread among the people and received all the signs of a folk work.

In Europe, in the second half of the 18th century, during the era of Romanticism, the ballad as a literary genre revived and took a leading place in poetry. The drama of the folk ballad became the basis for the formation of the literary ballad.

The formation of the literary genre of the ballad in Europe, in fact, begins with the compilation of the first collections of ballads. Allan Ramsey, and then Thomas Percy, published the ballads they collected; However, they did not print the folk texts exactly, but “corrected” them.

In literary ballads, the plots and motifs of folk ballads are presented differently. Lyricism is added to it, which gradually becomes stronger and leads to the transformation of the specific features of the folk ballad. At the same time, the individualism of the author is clearly revealed. The formation of a literary ballad in Europe includes three stages: collection and recording of ballads; creating their own poetic options based on them; Creation of new literary ballads by the author.

The term “ballad” was established late in Georgian folklore, the records of the texts are also late, and therefore it is difficult to talk about the beginning and ways of development of Georgian folk ballads. Most of them are highly poetic creations of a heroic nature, many of which are based on true stories. Among the Georgian folk ballads, “The Story of the Young Man and the Tiger” and “Mirangula”, on the basis of which literary versions were created, are worth mentioning.

In the works of Georgian poets in the 30s of the 20th century, there are ballads most of which are based on folk motifs, but in terms of lyrical forms, they are not the heirs of the Georgian folk ballad. In the poetry of these poets and symbolists, the search for the French ballad and European verse forms, in general, is noticeable.

References

Barbakadze T. (2018). *Evropuli da agmosavluri mkari saleqso formebi qartul poeziashi*. [European and Eastern solid verse forms in Georgian poetry]. Tbilisi: “Meridiani” Publishing.

Gurevich A. (1972). *Istoria i saga*. [History and saga]. Moscow: Publishing House “Nauka”.

Makhauri T. (2003). *Kartuli xalxuri sagmiro balada*. [Georgian folk heroic ballad]. Tbilisi: Publishing House “Lomisi”.

Mitchell S. (1991). *Heroic Sagas and Ballads*. New York: Cornell University Press.

ნესტან სულავა, ნანა გონჯილაშვილი
Nestan Sulava, Nana Gonjilashvili

დედოფლების სულიერი მისია ქართლის
გაქრისტიანებაში „მოქცევაჲ ქართლისაჲს“
მიხედვით

The Spiritual Mission of the Kings in the
Christianization of Kartli after the
“Conversion of Kartli”

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities*



საკვანძო სიტყვები: დედოფალი, სალომე უჰარმელი, პეროჟავრ
სივნიელი, ელენე დედოფალი, ნმ. ნინო, ქართლი, გაქრისტიანება.
Keywords: queen, Salome of Uzharma, Perozhjavr of Sivnia, Queen Helen,
St. Nino, Kartli, Christianity.

რელიგიური, კულტურულ-ისტორიული ღირებულებით, სიუჟეტითა და მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანესი თხზულება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ქართულ სააზროვნო სივრცეში გამოირჩევა ქალის სულიერი მისიის ჩვენებით, რაც მამაკაცი პერსონაჟების მისიას აღემატება. ამ მოსაზრების საფუძველი რამდენიმე გარემოებაა: 1. საქართველო ყოვლადნმიდა ღვთისმშობლის წილხვედრილი ქვეყანაა; 2. IV საუკუნეში ქრისტიანობა იქადაგა წმ. ნინომ და მისი სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადების საფუძველჩამყრელი და მონაწილეა; 3. წმ. ნინოსთან დაკავშირებულნი არიან მართლმორწმუნე დედები და დედოფლები, რომელთაგან გამოირჩევიან რომის იმპერიის დედოფალი ელენე, დედოფლები ნანა, სალომე და პეროჟავრ სივნიელი (სოჯი).

მოსხენებაში წარმოვადგენთ დედოფლების სულიერი მისიის შესახებ ჩვენს თვალსაზრისს, რადგან მათ უდიდესი წვლილი მიუძღვით, ერთი მხრივ, ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებაში საქართველოში და მის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადებაში, მეორე მხრივ, ქრისტიანობის მქადაგებლის, წმ. ნინოს, ცხოვრებისა და ღვანლის აღწერაში. ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ნანა დედოფლის სახესა და დამსახურებას, რომელიც პირველი მოქცეულია სამეფო ოჯახის წევრთაგან და რომელმაც მირიან მეფესთან ერთად ქართლის მოქცევას შეუწყო ხელი.

ქართლის მოქცევის ისტორიაში, როგორც ცნობილია, დაუსწრებლად, მაგრამ აქტიურადაა ჩართული კონსტანტინე იმპერატორის დედა – ელენე დედოფალი. „წმ. ნინოს ცხოვრების“ რედაქციები ხაზგასმით აღნიშნავს ელენე დედოფლისა და წმ. ნინოს სულიერ მეგობრობასა და ქრისტესმიერ სიყვარულს, რაც მათი წერილობითი ურთიერთობითაა წარმოჩენილი. ელენე დედოფალი წარმოდგება წმ. ნინოს თანამდგომად, თანამზრახველად, წმ. ნინოს ღვანლის დიდ დამფასებლად. მისთვის წმ. ნინო დედოფალი და მოციქულთა სწორია. ელენე დედოფალი და კონსტანტინე იმპერატორი შორიდან ადევენებენ თვალს ქართლის მოქცევის ამბებს, ქართლში წმ. ნინოს ძალისხმევითა და უფლის მადლით აღსრულებული სასწაულების შესახებ სრულად არიან ინფორმირებულნი და თანადგომა-თანაზიარობას, დიდ სიხარულს გამოხატავენ ქართლის გაქრისტიანებასთან დაკავშირებუ-

ლი ამბების თაობაზე. როგორც ცნობილია, ეს კავშირი დაგვირგვინდა იმით, რომ საეკლესიო ცხოვრების დასაწესებლად სწორედ კონსტანტინეპოლიდან მოიწვიეს სასულიერო პირები და მათი ლოცვა-კურთხევით საეკლესიო ცხოვრებას ოფიციალურად ჩაეყარა საფუძველი.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ დედოფლებს, სალომე უჟარმელსა და პეროჟავრ სივნიელს, რომელთა უდიდესი დამსახურება წმ. ნინოს ნაამბობის ჩაწერით წარმოჩნდება.

ჩვენს ხელთ არსებული „წმ. ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია სალომე უჟარმელისეულია, არ გვაქვს პეროჟავრ სივნიელის ტექსტი. სალომე, როგორც საქართველოს განმანათლებელთან ახლო მყოფი პირი, წმ. ნინოსთან მისი სიცოცხლის მიმწეხრს უნდა ყოფილიყო, როგორც ჩანს, ეს მას ევალებოდა კიდეც, რადგან საქართველოს პირველი ქრისტიანი მეფის ოჯახის წევრია, ხოლო პირველი ქრისტიანი მეფე-დედოფალი ქართლში წმ. ნინოს მეშვეობით გაქრისტიანდნენ. იგი ქართლის გაქრისტიანების ინიციატორის, ქვეყნის მმართველი სამეფო ოჯახის, წარმომადგენელია, რომელმაც ჩაიწერა განმანათლებლის საუბარი, რომელიც, ფაქტობრივად, ქართველთა წინაშე ხმამაღლა წარმოთქმული აღსარებაა. შესაძლოა, წმ. ნინოს თხრობას ისიც განაპირობებდა, რომ სალომესა და პეროჟავრ სივნიელს, როგორც ქალებს, უყვებოდა თავის თავგადასავალს, რაც იმასაც მიუთითებს, რომ სალომე და პეროჟავრი, როგორც ქალები, წმ. ნინოსთან, სავარაუდოდ, მამაკაც პოლიტიკოსებზე მეტად დაახლოებულნიც უნდა ყოფილიყვნენ.

ქართველთა განმანათლებლის, წმ. ნინოს, მოგონების ერთდერთ ჩამწერად მიჩნეულია პეროჟავრ სივნიელი, თუმცა თხზულებით ეს არ დასტურდება. იგი, მ. ჩხარტიშვილის კვლევით, ქართლის პირველი პიტიახშის – ფეროზის დედა და ქართლის მეზობელი პოლიტიკური ერთეულის, სივნიეთის სამთავროს, მმართველი სახლის წარმომადგენელია. მკვლევარმა სოჯი დედოფალი და პეროჟავრ სივნიელი გააიგივა (ჩხარტიშვილი, 2018:248-265). თხზულებაში პეროჟავრ სივნიელი სულ რამდენიმეჯერაა მოხსენიებული: 1. იხსენიება მაშინ, როდესაც წმ. ნინოს სალომე უჟარმელთან ერთად კითხვა დაუსვა; 2. მაშინ, როდესაც წმ. ნინოს ნაამბობის ჩამწერად არის მოხსენიებული. 3. მესამე ეპიზოდშიც სოჯი დედოფლის მონათვლის და მცხეთაში მისი მისვლის ამბა-

ვია ასახული. თხზულებაში აღწერილია მცხეთაში დიდი პატივით მისი მიღება. პეროჟავრ სივნიელი პოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პიროვნება ჩანს, რადგან იგი მირიან მეფისა და ნანა დედოფლის გვერდით უდიდეს საქმეს წარმართავს, რაც სამხრეთ კავკასიაში ერთიანი ქრისტიანული სივრცის შექმნას გულისხმობდა, ეს იყო ქართლის სამეფო, მისი მეზობელი ალბანეთი და სომხეთი თავისი შემადგენელი ნაწილებით. ცხადია, „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ ყოველივე ეს გაცხადებულად არაა ნათქვამი, მაგრამ წმ. ნინოს სამოღვაწეო გეოგრაფიულ სივრცეს სწორედ ამ მოსაზრებამდე მივყავართ.

ყოველივე ამის საფუძველზე ქალის როლი ქართველთა კულტურულ-ისტორიულ ყოფაში განსაკუთრებულად იკვეთება, რაც ქართლის გაქრისტიანებაში ქალის წამყვან როლს ცხადყოფს და მიუთითებს, რომ ქართლის მოქცევა ქალთა მხრებზე დგას. „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ წარმოსახულ დედოფალთა ღვანლი კი მოწმობს, რომ შთამომავლობისათვის ამ ამბის შენახვის მისიაც უმეტესად ქალებს დაეკისრათ. ეს ფაქტები იმასაც ადასტურებს, რომ თხზულება საქართველოში ქალის კულტის ოდითგანვე არსებობის ტრადიციის გამგრძელებელია.

ლიტერატურა:

მოქცევაჲ ქართლისაჲ (შატბერდულ-ჭელიშური რედაქცია)/ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I. (1963). ილია აბულაძის საერთო რედაქციით, თბილისი.

სირაძე, რ. (1997). „წმინდა ნინოს ცხოვრება“ და დასაწყისი ქართული აგიოგრაფიისა, თბილისი.

ჩხარტიშვილი, მ. (2018). ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ისტორიის უცნობი დეტალები. პეროჟავრ სივნიელი// ქართული წყაროთმცოდნეობა, XIX-XX, თბილისი.

From the point of view of religious, cultural-historical value, plot and artistic-aesthetic points of view, the most important work of Georgian writing “The Conversion of Kartli” stands out in the space of Georgian thought by showing the spiritual mission of women, who surpass the mission of male characters. This opinion is based on several circumstances: 1. Georgia is a land blessed by the Most Holy Theotokos; 2.

In the 4th century, Christianity was preached by St. Nino, the founder and participant of its proclamation as the state religion; 3. Orthodox mothers and queens are associated with St. Nino, among whom are Empress Elena of the Roman Empire, queens - Nana, Salome of Uzharma and Perozhavr (Soj) of Sivnia.

In the report, we present our point of view on the spiritual mission of the queens, since they made the greatest contribution, on the one hand, to the spread of the Christian faith in Georgia and its proclamation as the state religion, on the other. They also contributed greatly to describing the life and achievements of the preacher of Christianity St. Nino. From this point of view, we will consider the image and merits of Queen Nana, who was the first convert among the members of the royal family and who, together with King Mirian, played a significant part in the conversion of Kartli.

In the history of the conversion of Kartli, as is known, is absent, but the mother of Emperor Constantine, Queen Elena, actively participates. The editions of *The Life of St. Nino* emphasize the spiritual friendship between the Empress Helena and St. Nino, which is manifested in their written communication. Queen Elena is presented as an accomplice of St. Nino, as a great connoisseur of Nino's achievements. For her, St. Nino is a queen and equal to the apostles.

Queen Helena and Emperor Constantine watch the news of the conversion of Kartli from afar. They are fully aware of the miracles of Kartli performed by the efforts of Nino and the grace of the Lord, and express their support and cooperation, great joy over the news related to the Christianization of Kartli. As is known, this union was crowned by the fact that the clergy were invited from Constantinople to establish church life, and with their blessing the church life was officially founded.

A special place is occupied by queens Salome of Uzharma and Perozhavr of Sivnia, whose greatest merit is the recording of the story of St. Nino. The extensive edition of *"The Life of St. Nino"* belongs to Salome of Uzharma, but we do not have the text of Perozhavr of Sivnia. Salome, as a person close to the enlightener of Georgia, St. Nino, must have been with Saint Nino at the time of her death. It seems that she was obliged, because she was a member of the family of the first Christian king of Georgia, and the first Christian king and queen of Kartli we-

re converted by St. Nino. She was the representative of the initiator of the Christianization of Kartli, the ruling royal family, who recorded the speech of the educator, which, in fact, is a confession spoken aloud to the Georgians. Perhaps the narration of St. Nino was also determined by the fact that she told Salome and Perozhavr of Sivnia, as women, about her adventures, which also indicates that Salome and Perozhavr were closer to St. Nino than male politicians.

One of the dependents of the memoirs of the Enlightener of Georgia, St. Nino, is considered Perozhavr of Sivnia, though it is not confirmed by written sources. According to the research of M. Chkhartishvili, she is the mother of Peroz, the first Pitiakhsh of Kartli, and a representative of the ruling house of the neighboring political unit, Sivnia, the Principality of Kartli. The researcher identified Queen Soj and Perozhavr of Sivnia (Chkhartishvili, 2018: 248-265). Perozhavr of Sivnia is mentioned in the work several times: 1. When she and Salome of Uzharma asked St. Nino a question; 2. When she is mentioned as the recorder of St. Nino's story; 3. The third episode depicts the story of the baptism of Queen Soj and her arrival in Mtskheta. The essay describes her reception with great honor in Mtskheta. Perozhavr of Sivnia seems to be an important figure from a political point of view, since she led the greatest work with King Mirian and Queen Nana, which meant the creation of a single Christian space in the South Caucasus, which was the Kingdom of Kartli, neighboring Albania and Armenia, with their constituent parts. Obviously, in "The Life of St. Nino" all this is not stated directly, but the geographic space of St. Nino's activity makes us think so.

Based on all this, the role of women in the cultural and historical life of Georgians is especially obvious, which indicates the leading role of women in the Christianization of Kartli and indicates that the conversion of Kartli falls on the shoulders of women. While the great deeds of the queens described in "The Life of St. Nino" indicate that the task of preserving this story for posterity was assigned mostly to women. These facts also confirm that the work is a continuation of the tradition of the existence of the cult of a woman in Georgia from time immemorial.

References

The Conversion of Kartli (Shatberdo-Chelish edition), Monuments of ancient Georgian hagiographic literature. I. (1963). edited by Ilya Abuladze, Tbilisi.

Siradze, R. (1997). "The Life of St. Nino" and the beginning of Georgian hagiography, Tbilisi.

Chkhartishvili, M. (2018). Unknown details of the history of the declaration of Christianity as the state religion in Kartli. Perozhavr of Sivnia// Georgian Source Studies, XIX-XX, Tbilisi.

მამია სურმავა
Mamia Surmava

თავისუფლებისა და სამართლიანობის
მიმართების პრობლემა ჟან პოლ სარტრისა
და თეოდორ ადორნოს
პოლიტიკის ფილოსოფიაში
The Problem of the Relationship between
Freedom and Justice in the Political Philosophy
of Jean-Paul Sartre and Theodor Adorno

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities



საკვანძო სიტყვები: ინდივიდი, თავისუფლება, სამართლიანობა,
სარტრი, ადორნო.

Keywords: individual, freedom, justice, Sartre, Adorno.

თანამედროვე პოლიტიკის ფილოსოფიაში ორი მიდგომა დომინირებს – რესპუბლიკანიზმი და ლიბერალიზმი. მათ შორის რეალურად არსებული განსხვავებების მიუხედავად, ისინი ტიპოლოგიურად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან – აგრძელებენ ახალი დროის პოლიტიკის ფილოსოფიის სულისკვეთებას, ანუ შესაძლებლად თვლიან ინდივიდისა და საზოგადოების, შესაბამისად, ინდივიდუალური სიკეთის და სამართლიანობის (ე. ი. სხვისი სიკეთის) მორიგებას. როგორც ამ დახასიათებიდანაც ნათელია, პოლიტიკის ფილოსოფიის ამ ორივე მიმდინარეობას ინდივიდისა და სოციუმის დამაბალანსებელი პოლიტიკური საზოგადოება არათუ ნორმატიული მოდელის რანგში აჰყავს, არამედ რეალურად შესაძლებლადაც თვლის.

რესპუბლიკანიზმსა და ლიბერალიზმზე სტატიის ბოლო ნაწილში ჩვენ ჯერ კიდევ ვისაუბრებთ. მაგრამ, თუ ახლა მათ, პოლიტიკურ საზოგადოებაში საკუთარი სიკეთისა და სხვისი სიკეთის შეთანადების შესაძლებლობის აღიარებიდან გამომდინარე, ოპტიმისტური პოლიტიკის ფილოსოფიურ მიდგომებს ვუნოდებთ, მაშინ აუცილებელია, ხაზი გავუსვათ, რომ ამ ტიპის მიდგომები არ ამოწურავს პოლიტიკის ფილოსოფიაში არსებულ თვალსაზრისებს. მათ გარდა არსებობს ნაკლებად ოპტიმისტური, ზოგ შემთხვევაში კი პესიმისტური პოლიტიკის ფილოსოფიური პოზიციებიც, რომელნიც აქტიური განხილვისა და ანალიზის საგნად ქცევას საჭიროებენ. ვფიქრობთ, ბოლო წლებში საერთაშორისო ურთიერთობების დონეზეც და სხვადასხვა ქვეყნის საშინაო პოლიტიკურ ცხოვრებაშიც განვითარებული ტურბულენტური სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები, ისევე როგორც ე. წ. „კაპიტალისტური დემოკრატიის“ გახშირებული და გამწვავებული კრიტიკა, სწორედ ამაზე მიუთითებს. ქვემოთ აღნიშნული ტიპის მიდგომების პრეზენტირებას ჩვენ ჟან-პოლ სარტრისა და თეოდორ ადორნოს თვალსაზრისების გაანალიზებით მოვახდენთ.

ჟან-პოლ სარტრის პოლიტიკის ფილოსოფიური თვალსაზრისი, რომ ვთქვათ, მთელ მის ფილოსოფიაზეა დაფუძნებული, რის გამოც ადეკვატური გაგებისათვის ფრანგი ექსისტენციალისტის ონტოლოგიური, ანთროპოლოგიური და სხვა ხასიათის შეხედულებების გათვალისწინებას საჭიროებს. სწორედ მათ კონტექსტში შეიძლება გახედეს ნათელი სარტრის აზრი ინდივიდუალური სიკეთისა და საზოგადოებრივი სიკეთის კონფლიქტის შესახებ,

რაც ფრანგ ფილოსოფოსს ინდივიდის ნეგატიური თავისუფლების პრინციპის დაფუძნებისაკენ უბიძგებს.

აღნიშნული კონტექსტის გამოსაკვეთად ყურადღება უნინარესად სარტრის იმ დებულებაზე უნდა გავამახვილოთ, რომლის მიხედვითაც ცნობიერება ყოფიერება არ არის. ის ბზარია ყოფიერებაში, არარაა მასში. ჩვენ მუდმივად განვეყოფით ყოფიერებას და ეს ადამიანის უსაკუთრივესი ბუნებაა. ყოფიერებისაგან განსხვავებით, რომელიც ჩაკეტილია, გაფორმებულია, სტრუქტურირებულია, ცნობიერება ღიაა, გაუფორმებელი და არასტრუქტურირებული, რადგან ადამიანი თავისუფლებაა. სხვა სიტყვებით, ადამიანის ყოფიერების საზრისი თავისუფლებაა, რის გამოც ჩვენ „გული გვერევა ყოფიერებისაგან“, რომელიც უპირისპირდება ჩვენს თავისუფლებას.

მაგრამ ადამიანისაგან თავისუფლების გაუცხოება ასევე იმიტომ ხდება, რომ ინდივიდი სხვის ხედვაში ყალიბდება, სხვის მზერაზე, სხვის შეფასებაზე რეაგირებს ანუ მის ქცევას სიმბოლური ხასიათი აქვს. აქედან მომდინარეობს სარტრის თეზისი: სხვები ჯოჯოხეთია, რაც იმას ნიშნავს, რომ ინდივიდი და სხვები, ინდივიდი და სოციალური ერთმანეთთან კონფლიქტში იმყოფება. მათი სიკეთეები, გარკვეულწილად მაინც, ერთმანეთთან შეუთავსებელია.

აქედან გამომდინარე, ყოფიერების სიმძიმესთან, სხვებთან გასამკლავებლად, ადამიანისათვის აუცილებელია პროექტების შექმნა. პროექტი შეიძლება იყოს მხატვრული, კულტურული, სოციალური და სხვ. ნებისმიერი მათგანი ამბოხთან უნდა იყოს დაკავშირებული. ინდივიდი უნდა აუჯანყდეს ყოფიერებას, რადგან ამბოხი თავისუფლების ქეშმარიტი განზომილებაა. მისი მეშვეობით ინდივიდი თავისუფლდება ყოფიერებისაგან, სხვებისაგან. ამასთან, სარტრის აზრით, სხვების, სოციალურის არსებობის პირობებში ამგვარი ნეგატიური თავისუფლება ინდივიდისათვის თავისუფლების ერთადერთი შესაძლებელი ფორმაა. სხვაგვარად, განთავისუფლება არ ნიშნავს რევოლუციას, ახალი სოციალური სისტემის დაფუძნებას, არამედ ინდივიდის ანარქიულ თავისუფლებას, რაც არაკანონიკური პროექტების შექმნით და რეალიზებით მიიღწევა. ყოველი ახალი სისტემა კი ყოველთვის კონფლიქტში მოვა ინდივიდის სიკეთესთან, უნინარესად, თავისუფლებასთან.

თ. ადორნოსთვისაც ადამიანი უპირისპირდება ყოფიერებას (ბუნებას), რომელიც დისჰარმონიაა, მრავალი ურთიერთდაპირისპირებული ძალის მოქმედების ასპარეზი. მას სურს ბუნებისაგან, ბუნების ძალადობისაგან დამოუკიდებელი სუბიექტი გახდეს. ბუნების მიღმა გასვლა განმანათლებლობით ხორციელდება, რომელიც მრავალის ერთზე დაყვანის გზით ბუნების განჭადოებას გულისხმობს. მითოლოგიაში ასეთი ერთის როლს სახეეები ასრულებს, ფილოსოფიაში – ცნებები, ხოლო მეცნიერებაში – ფორმულები და რიცხვები. აღნიშნული რედუქციით ადამიანი გადის ბუნების ბატონობის მიღმა. ამასთან, ბუნებაში ადამიანის შინაგანი ბუნებაც (არაცნობიერი) იგულისხმება.

მაგრამ მრავალის ერთზე რედუქციის მექანიზმი საყოველთაო ეკვივალენციის, ანუ არაიგივეობრივების იგივეობრივზე დაყვანის, ფაქტობრივად, ძალადობრივი პრინციპია, რომელიც ფუნდამენტურია აზროვნებისათვის და მსჭვალავს ადამიანის ყოფიერებას. ადორნოს თანახმად კი, რეალობის შემეცნებისათვის ადეკვატური ნეგატიური, ანტიისისტემური აზროვნებაა, რომელიც უარს ამბობს ეკვივალენციის მეთოდზე.

მისივე აზრით, აზროვნებისათვის არაიგივეობრივების გაიგივების პრინციპის ფუნდამენტურობის პირობებში ძალადობა (ევროპული) სოციალური, პოლიტიკური და კულტურული სინამდვილის კონსტიტუციური ელემენტია. სისტემა ყველა ელემენტს ეკვივალენციის წესრიგში აქცევს და კრძალავს მასთან დაპირისპირების ყველა გამოვლენას. შესაბამისად, პოლიტიკური საზოგადოება, რომელიც სისტემაა, იქვემდებარებს და უპირისპირდება ინდივიდის თავისუფლებას.

ამ ვითარების გადალახვის გზას ადორნო არაეკვივალენციის პრინციპში ხედავს. მასზე დაფუძნებული აზროვნება თავის ნებისმიერ ძალისხმევაში ისეთი მთელის შექმნას გულისხმობს, რომელიც ერთი ნაწილის როგორც ცენტრის გარშემო სხვა ნაწილების ორგანიზებას გამორიცხავს. მაგრამ რამდენად შესაძლებელია ადამიანის ყოფიერების ყველა სფეროში ეკვივალენციის პრინციპის დომინირების სიტუაციაში მის მიღმა გასვლა? რამდენად რეალურია ეკონომიკის, პოლიტიკის სფეროებში ვენის სკოლის ახალი მუსიკის ანალოგიური არაეკვივალენციური სტრუქტურების შექმნა, რაც ინდივიდისა და სოციუმის, თავისუფლებისა და სამართლიანობის დაპირისპირებას გადალახავდა? ადორნოს

აზრით, ინტელექტუალური აქტივობის თეორიის სფეროდან არა-ეკვივალენციის პრინციპის პრაქტიკის სფეროში ექსტრაპოლაცია შეუძლებელია. სისტემა არაეკვივალენციურ სტრუქტურებს, მაგალითად, არააფირმატულ ხელოვნებას სოციალურ ფუნქციას უჩენს, რაც ზრდის სისტემის სიცოცხლისუნარიანობას. საგულისხმოა, რომ ამ აზრს ასევე ავითარებენ ერნესტო ლაკლო, შანტალ მუფი, სლავოი ჟიჟეკი, ნიკლას ლუმანი და სხვ.

თანამედროვე რესპუბლიკანიზმი და ლიბერალიზმი, რომლებსაც ეკვივალენციური პოლიტიკური სისტემა ნორმატიული სისტემის რანგში აპყავთ, ფაქტობრივად, იზიარებენ თავისუფლებისა და სამართლიანობის დაპირისპირების სიტუაციის პრაქტიკულად შეცვლის შეუძლებლობის შესახებ ადორნოს თვალსაზრისს. ასეთ ვითარებაში მიზანშეწონილად პრობლემის არისტოტელეს პრაქტიკული ფილოსოფიის პრინციპების საფუძველზე გააზრება წარმოგვიდგება.

Two approaches dominate in contemporary political philosophy – republicanism and liberalism. Despite the real differences between them, typologically they do not differ from each other – they continue the spirit of the political philosophy of the modernity, that is, they consider it possible to reconcile the individual and society, respectively, individual welfare and justice (i.e. the benefit of others). As can be seen from this description, a political society that balances the individual and society does not accept these two currents of political philosophy as a normative model, but considers them to be actually possible.

We will talk about republicanism and liberalism in the last part of the article. But if now we call them optimistic political philosophical approaches based on the recognition of the possibility of reconciling one's own good and the good of others in a political society, then it must be emphasized that these types of approaches do not exhaust the points of view in political philosophy. In addition to them, there are less optimistic, and in some cases even pessimistic political and philosophical positions that need active discussion and analysis. We think that the turbulent socio-political events that have unfolded in recent years both at the level of international relations and in the domestic political life of different countries, as well as the frequent and

intensified criticism of the so-called “capitalist democracy”, indicate to it. Below we will present the above mentioned types of approaches by analyzing the views of Jean-Paul Sartre and Theodor Adorno.

The philosophical point of view of Jean-Paul Sartre on politics is in principle based on his entire philosophy, therefore, for an adequate understanding, it is necessary to take into account the ontological, anthropological and other views of the French existentialist. It is in their context that Sartre’s opinion about the conflict between the individual good and the public good can become understandable, which leads the French philosopher to establish the principle of negative freedom of the individual.

In order to single out this context, one should first of all dwell on Sartre’s statement, according to which consciousness is not existence. It is a crack in being, nothingness is in it. We are constantly sharing existence, and that is the very nature of man. Unlike existence, which is closed, ordered, structured, consciousness is open, disordered and unstructured, because man is freedom. In other words, the meaning of human existence is freedom, so we are “troubled by existence” that is opposed to our freedom.

But the alienation of freedom from a person also occurs because the individual is formed in the vision of others, reacts to someone else’s opinion, to the assessment of others, that is, his behavior is symbolic. Hence Sartre’s thesis: others are hell, which means that the individual and others, the individual and society, are in conflict with each other. Their products are at least somewhat incompatible with each other.

Therefore, in order to overcome the burden of existence and others, a person needs to create projects. The project can be artistic, cultural, social, etc. Any of them must be associated with a riot. The individual must rebel against existence, because rebellion is the true dimension of freedom. Through it, the individual is freed from existence, from others. However, according to Sartre, such negative freedom is the only possible form of individual freedom in the presence of others, society. Otherwise, Liberation does not mean a revolution, the establishment of a new social system, but anarchic freedom of the individual, which is achieved by the creation and implementation of non-cano-

nical projects. And each new system will always come into conflict with the good of the individual, above all, with freedom.

And for Theodor Adorno, humankind opposes Being (nature), which is disharmony, the arena of action of many opposing forces. He wants to become an independent subject from nature, from the violence of nature. The transcendence of nature is accomplished through enlightenment, which involves the disenchantment of nature by reducing the many to one. The role of such in mythology is played by image, in philosophy by concepts, and in the science by formulas and numbers. Through this reduction, man transcends the dominion of nature. Furthermore, nature is also understood as the inner nature (unconscious) of a person.

But the mechanism of reducing many to one is in fact a violent principle of universal equivalence, that is, the reduction of non-identical elements to one and the same element, which is fundamental to thought and permeates human existence. According to Adorno, an adequate tool for cognition of reality is negative, anti-systemic thinking, which rejects the method of equivalence.

In his opinion, when the principle of identifying non-identical elements with each other is fundamental to thinking, violence is a constitutional element of (European) social, political and cultural reality. The system puts all elements in the order of equivalence and prohibits any manifestations of opposition to it. Consequently, the political society, which is a system, subordinates the freedom of the individual and opposes it.

Adorno sees the way out of this situation in the principle of non-equivalence. Thinking on the basis of this principle, by any of its efforts, presupposes the creation of a whole, excluding the organization of other parts around one part as a center. But how far is it possible to go beyond the situation of domination of the principle of equivalence in all spheres of human existence? How realistic is the creation of non-equivalent structures, like the new music of the Vienna School in the field of economics and politics, which would overcome the conflict between the individual and society, freedom and justice? According to Adorno, it is impossible to extrapolate the principle of non-equivalence from the field of intellectual activity, theory into the field of practice. The system gives non-equivalent structures, such as non-affirmati-

ve art, a social function, which increases the viability of the system. It is significant that this idea is also developed by Ernesto Lacló, Chantal Mouffe, Slavoj Žižek, Niklas Luhmann and others.

Contemporary republicanism and liberalism, which elevate a political system based on the principle of equivalence to the rank of a normative system, actually share Adorno's point of view about the impossibility of practically changing the situation of opposing freedom and justice. In such a situation, it is advisable to consider the problem in the light of the principles of Aristotle's practical philosophy.

მარიამ ფილინა
Mariam Filina

ვლადისლავ სტშელნიცკი – დევნილი
პოლონელი პოეტი და მთარგმნელი
Władysław Stshelnitsky –
Exiled Polish Poet and Translator

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities*



საკვანძო სიტყვები: დევნილი პოლონელი პოეტი, ვლადისლავ სტშელნიცკი, „მგზავრის ჩანაწერები“, პოლონელები და ქართული ლიტერატურა და კულტურა.

Keywords: exiled Polish poet, Vladislav Stshelnitsky, “Notes of a traveler”, Poles and Georgian literature and culture.

თბილისში, როგორც ამიერკავკასიის კულტურული ცხოვრების ცენტრში, 1830-იანი და 1850-იანი წლების ბოლოს ფუნქციონირებდა პოლონური ლიტერატურის ერთგვარი მცირე ფილიალი – კავკასიური განდევნილობის ლიტერატურისა. კავკასიელი ლიტერატორების ჯგუფში თავისი როლითაც და, შესაძლოა, პოეტური ნიჭითაც, მნიშვნელოვანი ადგილი ვლადისლავ სტშელნიცკის ეკუთვნის. იგი „კავკასიელებს“ შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო.

დაიბადა 1820 წელს პოდოლში, თავად-აზნაურთა ოჯახში. 1836 წელს კიევის უნივერსიტეტის სიტყვიერების განყოფილებაზე ჩააბარა საკუთარი ხარჯით. იგი ორიგინალური პოეტური აზროვნებით გამოირჩეოდა. სტშელნიცკიმ ბრწყინვალედ იცოდა ლიტერატურის ისტორია და თანამედროვე მწერლობა. კიევის უნივერსიტეტის თვრამეტი წლის სტუდენტი შიმონ კონარსკის ორგანიზაციის კიევის განყოფილებაში შევიდა. შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ, 1838 წელს, დააპატიმრეს და რიგითად გადაასახლეს კავკასიაში მოხალისის უფლებით, თუმცა 10 წლის განმავლობაში მსახურობის ვალდებულებით, მას შემდეგ, რაც ოფიცრის ჩინს მიიღებდა. 1839 წლის მარტში ოცდახუთ უნივერსიტეტულ ამხანაგთან ერთად გააგზავნეს იმ ადგილას, სადაც უნდა ემსახურა. მსახურობდა არტილერიაში და ოფიცრის ჩინამდეც მიაღწია.

სტშელნიცკი ძალიან დაკვირვებული იყო და სხვებისთვის დამალულ ბევრ დეტალს ამჩნევდა. აღნიშნავდა, რომ „ნანგრევები განძია მოგზაურთათვის“.

საკმაოდ ბევრს „მოგზაურობდა“ თავის პოლკთან ერთად და დაინტერესებული იყო არქიტექტურით, ხალხთა ცხოვრებითა და ტრადიციებით. ამან ასახვა ჰპოვა მის „მგზავრის ჩანაწერებში“. 1839-41 წლებში დაწერილი ნაწარმოებების ქვეშ არის მინაწერები: შუშა, ასკერანი, შემახი, ბაქო, კურდამირი, ყარაბაღი, ყაბარდო, ჩეჩნეთი. დაბოლოს, როგორც იქნა, თბილისშიც აღმოჩნდა – ყველა პოლონელისათვის აღთქმულ ადგილას. მალევე დაუახლოვდა ზაბლოცკის, იანიშევსკის, პოტოცკისა და საყოველთაო სიყვარული მოიპოვა. მისი „მოგზაურის“ მცდელობანი კალმის მოსინჯვად შეიძლება ჩაითვალოს. გაჩაღებული ლიტერატურული სამუშაოებიდან რამდენიმე წელში სტშელნიცკიმ გამოაქვეყნა ორი მოთხრობა – „ორი აღვირი“ («Два узденя») («Кавказ», 1846, №№ 18-21) და „მაჰმუდეკი“ («Махмудек») (გამოჩნდა «Кавказ»-ში

უკვე მწერლის სიკვდილის შემდეგ, 1848, №№ 28-37), ასევე, ლექსები პოლონურ ალმანახებში. სტშელნიცკი, ისევე, როგორც ზაბლოცკი და იანიშევსკი, ფლობდა რუსულ ენას და მოთხრობებს, სავარაუდოდ, თავად თარგმნიდა. თბილისში ყოფნის წლებში დაიწყო ქართული და სხვა კავკასიური ენების შესწავლა.

სტშელნიცკი 26 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა დიზენტერიისგან. ახალგაზრდა პოეტის სიკვდილი მძიმედ გადაიტანეს მეგობრებმა. 1846 წლის 19 ოქტომბერს გაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა (გაზეთი სწორედ ამ დროს ამზადებდა გამოსაქვეყნებლად მის „მაჰმუდეკსა“ და „ნარკვევებს“) ნეკროლოგი.

ვ. სტშელნიცკის ნაწარმოებებმა მთლიან გამოცემად დღის სინათლე 1860 წელს იხილეს. ისინი ოთხ პატარა ტომად ჟიტომირში გამოაქვეყნა მწერლის ძმამ, იუზეფმა, რომელსაც ზაბლოცკის სიკვდილის შემდეგ (რასაც წინასიტყაობიდან ვიგებთ) ხელნაწერები კსავერი პეტრაშკევიჩმა გადასცა.

იქვე ვკითხულობთ: „განსვენებულის ნება იყო, გამოცემიდან მიღებული თანხა თბილისში გადასცემოდა კოსტიოლს სასულიერო ლიტერატურის შესაძენად, რამდენადაც თავად ავტორი და მისი მეგობრები მათ ნაკლებობას განიცდიდნენ“.

ვლადისლავ სტშელნიცკის ღირსებების შესახებ მოცემული ფაქტი კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, თუ რაოდენ სიღრმისეულად იყვნენ დაკავშირებულნი პოლონელები თბილისის კულტურულ ცხოვრებასთან.

In Tbilisi, as the center of Transcaucasian cultural life, in the late 1830s and 1850s, a kind of small branch of Polish literature – the literature of the Caucasian exile – functioned. In the group of Caucasian writers, an important place belongs to Władysław Stshelnitsky, both with his role and, perhaps, with his poetic talent. He was the youngest among “Caucasians”.

He was born in 1820 in Podol, in a noble family. In 1836, he enrolled at the Department of Rhetoric at the University of Kiev at his own expense. He was distinguished by his original poetic thinking. Stshelnitsky knew the history of literature and modern writing brilliantly. Eighteen-year-old student of Kyiv University entered the Kyiv branch of Shimon Konarsky's organization. In 1838, he was arrested and exiled as

a soldier to the Caucasus with the right of a volunteer, but with the obligation to serve for 10 years, after receiving the rank of an officer.

Stshelnitsky was very observant and noticed many details hidden to others.

He “traveled” quite a lot with his regiment and was interested in architecture, people’s life and traditions. This was reflected in his “traveler’s notes”. Under the works written in 1839-41 there are inscriptions: Shusha, Askeran, Shemakh, Baku, Kurdamir, Karabakh, Kabarda, Chechnya. Finally, as it turned out, he found himself in Tbilisi – in the promised place for all Poles. Soon he got close to Zablotsky, Yanishevsky, Pototsky and gained their love.

Within a few years of his active literary work, Stshelnitsky published two short stories – “Dva uzdenya” (“Два узденя”) (“Кавказ”, 1846, No 18-21) and “Mahmudek” (“Махмудек”) (appeared in “Кавказ”- already after the writer’s death, 1848, No. 28-37), as well as poems in Polish almanacs. Stshelnitsky, like Zablotsky and Yanishevsky, knew the Russian language, probably translated the stories himself. During his stay in Tbilisi, he started studying Georgian and other Caucasian languages.

Stshelnitsky died suddenly of dysentery at the age of 26. The death of the young poet was hard to bear for his friends. On October 19, 1846, an obituary was printed in “Kavkaz” newspaper (the newspaper was preparing his “Mahmudek” and “Essays” for publication).

V. Stshelnitsky’s works saw the light of day in 1860 as a complete publication. They were published in Zhytomyr in four small volumes by the writer’s brother, Yusef, who was given the manuscripts by Ksaveri Petrashkevich after Zablotsky’s death.

There we read: “It was the will of the deceased to give the money received from the publication to Kostiol Tbilisi for the purchase of religious literature, as the author himself and his friends were suffering from their lack.”

The given fact about the merits of Wgadysgaw Stshelnitsky is another proof of how deeply the Poles were connected with the cultural life of Tbilisi.

მანანა ქაჯაია
Manana Kajaia

პოემა-ზღაპარი „ლომ-კაცი“
და მისი შემფასებელი
Poem-tale “Lion-man” and its Appraisers

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University



საკვანძო სიტყვები: ჟურნალი „ნობათი“, მაღალმხატვრული,
კრიტიკოსი, ავტორი.

Keywords: "Nobati" magazine, highly artistic, critic, author.

წინამდებარე პუბლიკაცია ეძღვნება დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, გიორგი წერეთლის პოემა-ზღაპარ „ლომ-კაცს“, რომელიც 1884 წლის დასაწყისში ჟურნალ „ნობათის“ №1 დაიბეჭდა და კრიტიკოსთა გარკვეული ყურადღება დაიმსახურა.

„ივერიამ“ 1884 წლის პირველივე ნომერში განიხილა „ნობათში“ დაბეჭდილი სხვადასხვა მასალა და უნდა ითქვას, რომ რეალური შეფასება მისცა გიორგი წერეთლის პოემას. ავტორ სტ. ჭრელაშვილის აზრით, თავად ზღაპრის შინაარსი, მართლაც, მშვენიერი და დახვეწილია, მაგრამ, რაც შეეხება პოეტურ მხარეს, იგი საკმაოდ სუსტია. როგორც სტ. ჭრელაშვილი აღნიშნავს, „გ. წერეთელს ნამდვილად შეეძლო უფრო მაღალმხატვრული ნაწარმოების შექმნა“.

„ლომ-კაცის“ გამოქვეყნებას გამოეხმაურა „დროებაც“ (1884, №7). კრიტიკოსი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ზღაპრების წერა და ისიც ლექსად ძალიან ძნელია, სწორედ ამიტომ ამბობს ავტორი, რომ თვით პუშკინის მიერ ლექსად დაწერილმა ზღაპრებმაც კი კრიტიკოსთა საყვედური დაიმსახურა. წერილის ავტორი თავს იკავებს გ. წერეთლის ზღაპრის შეფასებისაგან, რადგან იმხანად ნაწარმოები მთლიანად არ იყო დაბეჭდილი (სამწუხაროდ, სტატია ხელმოუწერელია).

„დროების“ 1884 წლის №41, რუბრიკაში „ბიბლიოგრაფია“ ისევ ლაპარაკია გ. წერეთლის „ლომ-კაცზე“. როგორც წერილიდან ირკვევა, იგიც „დროების“ №7-ში გამოქვეყნებული წერილის ავტორის მიერაა დაწერილი, რადგან აღნიშნულია, რომ ზღაპარი „ლომ-კაცი“ ისევ არ არის მთლიანად დაბეჭდილი. ამასთან, „დროების“ № 41-ში დაბეჭდილი წერილი ხელმოწერილია ფსევდონიმით ი. გ. (იაკობ გოგებაშვილი – მ. ქ.). ზემოთთქმულის გათვალისწინებით, თავს უფლებას ვაძლევთ „დროების“ 1884 წლის №7-ში დაბეჭდილი წერილის ავტორადაც ი. გოგებაშვილი მივიჩნიოთ.

1884 წლის №4-ში „ივერიის“ ფურცლებზე დაიბეჭდა მ ნასიძის („მე გახლავართ“ – მ. ქ.) „პედაგოგიური მოსაზრებანი“. სტატიაში იგი გაკვრით ეხება გ. წერეთლის „ლომ-კაცს“ და წერს, რომ „მიუხედავად გ. წერეთლის მწერლური დამსახურებისა, პოემა ძალიან გაჭიანურებულია და პროვინციალიზმებით (კუთხური გამონათქვამებით – მ. ქ.) არის სავსე“.

აღსანიშნავია, რომ ამ პოემა-ზღაპარს მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს იმდროინდელი კრიტიკის ისტორიაში.

The present publication is dedicated to the poem-tale “Lion-man” by the great Georgian writer and public figure, Giorgi Tsereteli, which was published in *Nobati* magazine No. 1 in early 1884 and received some attention from critics.

In the very first issue of 1884, “*Iveria*” discussed various materials published in “*Nobati*”, and it must be said that it gave a real assessment to Giorgi Tsereteli’s poem. According to the author St. Chrelashvili, the content of the fairy tale itself is indeed beautiful and sophisticated, but, as for the poetic side, it is quite weak. As St. Chrelashvili notes, “G. Tsereteli could really create a higher artistic work.”

“*Droeba*” also responded to the publication of “*Lion-man*” (1884, No. 7). The critic emphasized that it is very difficult to write fairy tales and in the form of poems, it is even more difficult, that is why the author says that even Pushkin’s fairy tales written as poems received criticism from critics. The author of the letter refrains from the assessment of G. Tsereteli’s tale, because at that time the work was not completely published (unfortunately, the article is unsigned).

No. 41 of 1884 of “*Droeba*”, in the “*Bibliography*” section, G. Tsereteli’s “*Lion-man*” is mentioned again. As it is clear from the letter, it is also written by the author of the letter published in “*Droeba*” No. 7, because it is mentioned that the fairy tale “*Lion-man*” is not completely published yet. In addition, the letter published in “*Droeba*” No. 41 is signed by the pseudonym I. G. (Iakob Gogebashvili – M. K.). Based on the above, we consider I. Gogebashvili to be the author of the letter published in “*Droeba*” No. 7 of 1884.

In No. 4 of 1884, “*Pedagogical Opinions*” of M. Nasidze (“*It is me*” – M. K.) was published on the pages of “*Iveria*”. In the article the author refers to G. Tsereteli’s “*Lion-man*” and writes that “despite G. Tsereteli’s literary merit, the poem is very long and full of provincialisms (provincial expressions – M. K.)”.

It should be noted that this poem-tale still has a great importance in the history of criticism of that time.

ლალი ქეცბა-ხუნდაძე
Lali Ketsba-Khundadze

ტექსტი, როგორც დისკურსის რეპრეზენტანტი
Text as a Representative of Discourse

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili State University
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of humanities



საკვანძო სიტყვები: ტექსტი, დისკურსი, რეპრეზენტანტი.
Keywords: text, representative, discourse.

დისკურსი მრავალმხრივი და ჰეტეროგენული ცნებაა, რომელიც სხვადასხვა მეცნიერულ დისციპლინაში სხვადასხვაგვარად გამოიყენება და რომლის შექმნის გადამწყვეტი ფაქტორია, როგორც ცნობილია, ენის („Das Hin und Her“) „აქეთ-იქით,“ ფუნქციონირება, მისი გამოყენება, რაც ვლინდება სხვადასხვა ინსტიტუციაში, ეკონომიკურ თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში, საზოგადოების პოზიციებში, ნორმების სისტემებში, კლასიფიკაციის ტიპებსა და სხვა, ამა თუ იმ სფეროსთვის დამახასიათებელ ტიპურ ნიშნებში. ამ მიმართებების რეალიზაცია, მ. ფუკოს გამოთქმით, „დისკურსის კიდეზე“ ხდება, რომელიც ენის ბირთვის სცილდება და ყოველთვის არ იღებს ექსპლიციტურ ფორმას, არამედ „დისკურსულ პრაქტიკებში“ ხორციელდება (Foucault 1991). ამგვარი პრაქტიკების ბაზისს ენობრივ კოლექტივებში დისკურსების ორი სახე ქმნის: ერთი მხრივ, დისკურსები, რომლებიც, ფუკოს სიტყვებით, „ყოველდღიურობის გამომხატველია, წარმოქმნის აქტთან ერთად იქმნება და იქვე უკვალოდ ქრება,“ მეორე მხრივ კი, დისკურსები „სხვაგვარი სამეტყველო აქტებისა და ტექსტების ინიციაციას რომ წარმოადგენენ, რომელთა სათავეშიც ისინი დგანან, მაგრამ რეალიზაციის შემდეგ გამონათქვამებისა და, რაც მთავარია, ტექსტების ფორმით კულტურულ მესხიერებაში სამუდამოდ ინახებიან და მომავალშიც ხორციელდებიან“. (Foucault 2000). ამ მეორე სახის დისკურსები თავისებურ ინტერტექსტუალურ მიმართებებს ეფუძნებიან, რომლებიც ცალკეულ საკომუნიკაციო აქტების საზღვრებს სცდებიან, უპირატესად წერილობით ტექსტებში რეალიზდებიან და ამით განსკუთრებულ დისკურსულ სამყაროდ გარდაიქმნებიან.

არც ერთი ტექსტი არ იქმნება, როგორც მხოლოდ ენობრივ სისტემაზე ორიენტირებული კრეატიული აქტი, რომელიც სხვა ტექსტისგან ან ტექსტებისგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი იქნება, არამედ ტექსტი არსებობს წარსული და მომდევნო ან მომავალი ტექსტების უნივერსუმში. დისკურსები, გერმანელი (დიუსელდორფის დისკურსის სკოლის) განმარტებით, ლინგვისტურ, ლიტერატურათმცოდნეობით, ფილოსოფიურ, იურიდიულ და სხვ. მეცნიერებებსა და დისციპლინებზე დაფუძნებულ კონსტრუქტებს წარმოადგენენ. ემპირიული კვლევის პოზიციიდან დისკურსები, „ტექსტების ვირტუალურ კორპუსებს წარმოადგენენ, რომლებიც თავისთავად ინტერტექსტუალურ მთლიანობას ქმნიან. ამგვარი

ინტერტექსტუალური „სუპერტექსტი“ მეთოდურად, კონკრეტული ანალიზის მეშვეობით, გარკვეული ტექსტის სიდიდემდე უნდა დაიყვანებოდეს, „რედუცირდეს“, რათა ის, როგორც კონკრეტული გაგებისა და ინტერპრეტაციის ობიექტი, ხელმისაწვდომი გახდეს“ (Busse D.1944).

ასე იქცევა ტექსტი დისკურსის რეპრეზენტანტად და, ამავე დროს, ინსცენირებისა და ინტერპრეტაციის ობიექტად (Vgl: Fix, U. 2008; Hermanns 2007).

მოხსენებაში განხილული იქნება „შინ დაბრუნების“ დისკურსი პოსტმოდერნისტი მწერლების – იორგ შუბიგერის *Das Ausland* და აკა მორჩილადის „სანტა ესპერანსას“ შემადგენელი ერთ-ერთი მცირე მოთხრობის ანალიზის საფუძველზე.

Discourse is a multifaceted and heterogeneous concept which is interpreted in different ways across various scientific disciplines. Its creation is influenced by the dynamic and interactive nature of language, known as the “back and forth” functioning (“Das Hin und Her”). This functionality is expressed through the utilization of language in different contexts such as institutional settings, economic or public political processes, societal positions, norm systems, classification types, and other defining characteristics of specific fields. According to M. Foucault, these relationships are established “at the edge of discourse”, extending beyond the core of language and often assuming implicit forms. They are actualized through “discursive practices” (Foucault 1991). These practices are based on two types of discourses within linguistic communities. On the one hand, there are discourses that, as described by Foucault, “reflect the everyday, emerge alongside the act of generation, and then disappear without a trace.” On the other hand, there are discourses that “represent the initiation of other speech acts and texts, positioned at the forefront. After their realization, these discourses are permanently preserved in cultural memory, primarily in the form of expressions and, more importantly, texts. They continue to influence and shape future contexts.” (Foucault 2000:36 ff). Discourses of the latter kind rely on distinctive intertextual relationships that surpass individual instances of communication. They are predominantly realized in written texts and thereby transform into a discursive realm.

No text is created solely as a creative act within the confines of a linguistic system, completely detached from other texts. Instead, a text exists within a larger universe of preceding and subsequent texts. Discourses, as defined by the Dxseldorf Discourse School in Germany, encompass linguistic, literary, philosophical, legal, and other fields. They represent constructed frameworks rooted in various sciences and disciplines. From empirical research viewpoint “discourses can be seen as virtual collections of texts, forming an intertextual entirety. This intertextual “super-text” should be systematically analyzed and reduced, through specific examination, to the scale of a particular text, in order to make it accessible as an object for specific comprehension and interpretation.” (Busse D. 1944)

This is how the text becomes both a representative of discourse and an object for staging and interpretation. (cf. Fix, U. 2008; Hermanns 2007)

In this report, we will discuss the discourse of “returning home” based on the analysis of one of the short stories of the postmodernist writers Jörg Schubiger’s *Das Ausland* and Aka Morchiladze’s “Santa Esperanza”.

მაია ქვრივიშვილი
Maia Kvrivishvili

საბჭოთა სისტემა და ქართული
საბჭოთა კულტურის ფორმირება
The Soviet System and the
Formation of Georgian Soviet Culture

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhsishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities



საკვანძო სიტყვები: საბჭოთა სისტემა, ქართული კულტურა,
იდენტობა, კულტურის პოლიტიკა.
Keywords: Soviet system, Georgian culture, identity, culture policy.

საბჭოთა სისტემა, თავისი პოლიტიური, სოციალური, ეკონომიკური სფეროებით კარგადაა შესწავლილი. მისი სახელწოდება სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად გვხვდება: საბჭოთა იმპერია, საბჭოთა კავშირი, საბჭოთა სისტემა და ა. შ., რომლებიც აღნიშნვენ სოციალიზმის ხანას კაცობრიობის ერთი მეექვსედის ისტორიაში, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში იშვიათად თუ შევხვდებით მსჯელობას საბჭოთა კულტურის შესახებ. ამის მიზეზი ბევრი რამ შეიძლება იყოს, მათ შორის, ვუნოდოთ საბჭოთა კულტურას კულტურა, ამ უკანასკნელის მრავალრიცხოვანი დეფინიციიდან რომელიმე მნიშვნელობით. იგი, თავისი არსით, კვაზიკულტურაა.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში საბჭოთა სახელმწიფომ დაიწყო პოლიტიკის გატარება კულტურის სფეროში ე. წ. „კულტურული რევოლუციის“ სახით. თუმცა, აქ საუბარი არ გვაქვს კულტურის პოლიტიკაზე, როგორც ასეთზე. საერთოდ, კულტურის პოლიტიკა აყალიბებს მთელ ცხოვრებისეულ სივრცეს, რომელშიც ცხოვრობს, მოქმედებს, მოღვაწეობს და ქმნის ადამიანი – საზოგადოება. კულტურის პოლიტიკა წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლების ერთგვარ სამოქმედო გეგმას, იგი იყო ოფიციალური პოლიტიკის გამომხატველი და რომლის საბოლოო მიზანს ერთიანი საბჭოთა იდენტობის ჩამოყალიბება წარმოადგენდა.

საბჭოთა იდეოლოგიები წერდნენ, რომ „სოციალისტურმა რევოლუციამ კულტურის დაკნინება კი არ განაპირობა, არამედ ააყვავა იგი, უდიდესი მასშტაბისა და მნიშვნელობის კულტურული რევოლუცია გამოიწვია. საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნა წარმოუდგენელია ისე, თუ არ მოხდა ღრმა გარდაქმნები კულტურის დარგში, რასაც სამართლიანად უწოდებენ კულტურულ რევოლუციას. ამ გარდაქმნათა ამოცანაა ახალი, სოციალისტური კულტურის შექმნა. მაგრამ კულტურული რევოლუცია არ უნდა გავიგოთ ვულგარულად, როგორც წარსულის მთელი კულტურის უარყოფა. სოციალისტური კულტურა ცარიელ ადგილზე არ წარმოიშობა. იგი კანონიერი მემკვიდრეა ყველაფერი კარგისა, რაც კი ექსპლუატატორული საზოგადოების პირობებში იყო შექმნილი“.

წარსულის კულტურული მემკვიდრეობებისგან უნდა აეღოთ მხოლოდ ის, რაც არ ეწინააღმდეგებოდა სოციალისტური საზოგადოების ბუნებას, და მით უფრო, რაც მავნებელი და რეაქციული იყო, მათ შორის ეროვნული ღირებულებები. აი, ეს იყო კულტურუ-

ლი რევოლუციის ერთ-ერთი კონკრეტული ამოცანა. ამგვარ საფუძველზე უნდა განვითარებულიყო ქვეშაშობად სოციალისტური კულტურა – ფორმით ნაციონალისტური და სოციალისტური თავისი შინაარსით, ე.ი. ახალი საზოგადოების ცხოვრებისა და იდეალების გამომსახველი.

საბჭოთა კულტურას, წართმეული ჰქონდა შინაარსი. მ. ეპ-შტეინის სიტყვებით რომ ვთქვათ, საბჭოთა კულტურა უზურპირებულია მისი ერთ-ერთი კომპონენტის – პოლიტიკის მიერ.

საბჭოთა საზოგადოების „კრიტიკის და თვითკრიტიკის“ მოსპობა-აკრძალვამ, საბჭოთა კულტურის დეპერსონალიზაციამ და პოლიტიკურმა იდეოლოგიებამ გამოიწვია საზოგადო დონის დაცემა. ქართული საბჭოთა კულტურა ერთიანი „მონოსტილისტური“ (ლ. იონინი ასეთად მიიჩნევს მთელ საზოგადოებაზე გავრცელებულ ცხოვრების ნებისმიერ ფორმას, ნებისმიერ კულტურულ სტილს, რომლებიც გაიგებიათ, როგორც რეპრზენტაციული ჯგუფის კულტურა) საბჭოთა კულტურის შემადგენელი ნაწილი გახდა, რომლის ძირითად მახასიათებლად და განმსაზღვრელად იქცა კულტურის შემქმნელთა სპეციალური ჯგუფები, ანდა კულტურის ექსპერტები, რომლებიც მაღალ სოციალურ იერარქიულ საფეხურზე იდგნენ, როგორიც იყო პარტიული ნომენკლატურა. იგი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით აგვარებდა და რეგლამენტაციას უწევდა საზოგადოების კულტურულ ცხოვრებას; მეორე სპეციფიკურ მახასიათებლად შეიძლება მივიჩნიოთ იმავე ნომენკლატურის მიერ დომინირებადი მსოფლალქმის მიხედვით მკაცრად განსაზღვრული კულტურული მოვლენების სივრცესა და დროში რეალიზაცია, ოფიციალურად განსაზღვრული იყო ახალი საბჭოური დღესასწაულების გამართვის დრო, ადგილი (მაგ.: კულტსახლები, ქოხ-სამკითხველოები, ქუჩები, ბიბლიოთეკები და ა. შ.); მესამე – კულტურული მოღვაწეობის დარგებისა და სტილების კანონიზაცია (მაგ.: აკრძალული და მისაღები თემები). საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა დროისა და სივრცის ჯერ დესაკრალიზაცია შემდეგ ხელახალი საკრალიზაცია. სივრცისა და დროის კატეგორიები მიეკუთვნებიან კულტურის ფუნდამენტურ კატეგორიათა რიცხვს და კაცობრიობის აზროვნებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორების მოქმედების შედეგად ქართველი ხალხის მიერ გამომუშავებული სამყაროს საკუთარი მოდელის ოპტი-

მალური სისტემა, რომლითაც და რომელშიც მას გააზრებული ჰქონდა თავისი ადგილი სამყაროში, თავისი მიზანი, დამოკიდებულება სხვებთან (იგულისხმება როგორც ცალკეული ინდივიდი, ისე სოციალური თუ ეთნიკურ ჯგუფები), დაინგრა. ბოლშევიკებმა შეასრულეს უმნიშვნელოვანესი აქტი – ახალი კოსმოსის შექმნა, რომელიც ხელოვნური იყო და მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა დიდი მრავალფეროვნებით, რომელშიც უნდა ეცხოვრათ სხვადასხვა ტრადიციისა და მსოფლშეგრძნების ხალხებს.

The Soviet system, with its political, social and economic spheres, has been well studied. Its name appears in scientific literature in various ways: Soviet Empire, Soviet Union, Soviet System, etc., which mark the age of socialism in one-sixth of human history, but in scientific literature we rarely meet discussions about Soviet culture. There could be many reasons for this, including calling Soviet culture a culture in any of the many definitions of the latter. It is, in its essence, a quasi-culture.

In the 20s and 30s of the 20th century, the Soviet state began to implement the so-called cultural policy in the form of “cultural revolution”. However, we are not talking about cultural policy as such. In general, cultural policy forms the entire life space in which a person lives, acts, works and creates society. The cultural policy was a kind of action plan of the Soviet government, it was an expression of the official policy and the final goal of which was the formation of a unified Soviet identity.

The ideologues of Sabchats wrote that “the socialist revolution did not bring about the decline of culture, but it flourished, it caused a cultural revolution of the greatest scale and importance. The socialist transformation of society is impossible without deep transformations in the field of culture, which is rightly called the cultural revolution. The task of these transformations is to create a new, socialist culture. But the cultural revolution should not be understood vulgarly as the rejection of the entire culture of the past. Socialist culture does not arise in an empty place. It is the legal heir of everything good that was created under the conditions of exploitative society.”

From the cultural attachments of the past, only that which did not contradict the nature of the socialist society, and even more that which was harmful and reactionary, among them national values, should be taken. This was one of the specific tasks of the cultural revolution. On such a basis, a truly socialist culture had to be developed – nationalist in form and socialist in its content, i.e. reflecting the life and ideals of the new society.

Soviet culture was deprived of its content. In M. Epstein's words, Soviet culture has been usurped by one of its components, politics.

Eradication-prohibition of "criticism and self-criticism" of Soviet society, depersonalization of Soviet culture and political ideologisation led to the decline of the public level. Georgian Soviet culture became a single "monostylistic" (L. Ionin considers any form of life spread over the whole society, any cultural style, which can be understood as the culture of a representative group) as a constituent part of Soviet culture, the main characteristic and defining feature of which were special groups of culture creators, or culture Experts who stood on a high social hierarchical level, such as the party nomenclature. It regulated and regulated the cultural life of society through state and public organizations; The second specific feature can be considered the realization of cultural events in space and time strictly defined according to the worldview dominated by the same nomenclature, the time and place of holding new Soviet holidays were officially defined (eg: cult houses, hut-reading rooms, streets, libraries, etc.); third – canonization of fields and styles of cultural activity (eg: prohibited and acceptable topics). The Soviet authorities first desacralized time and space and then re-sacralized them. The categories of space and time belong to the number of fundamental categories of culture and play an important role in the thinking of mankind. As a result of the action of various external and internal factors, the optimal system of their own model of the world developed by the Georgian people, by which and in which they understood their place in the world, their purpose, relationship with others (meaning both individuals and social or ethnic groups), collapsed. The Bolsheviks performed the most important act – the creation of a new cosmos, which was artificial and still not characterized by great diversity, in which people of different traditions and worldviews had to live.

რამაზ ქურდაძე
Ramaz Kurdadze

სურვილის გამომხატველ ჰიპოტაქსურ
კონსტრუქციათა ანალიზი ინგლისურენოვან
სტუდენტთათვის ქართულის,
როგორც მეორე ან უცხო ენის,
სწავლების დროს

The Analysis of Hypotactic Constructions
Expressing *Wish* with the Aim of Teaching
Georgian as a Second or Foreign Language to
English-Speaking Students

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities



საკვანძო სიტყვები: ჰიპოტაქსური კონსტრუქცია, მთავარი
წინადადება, დამოკიდებული წინადადება, კავშირებითი კილო,
ქართული როგორც მეორე ან უცხო ენა.

Keywords: hypotactic construction, main clause, subordinate clause,
subjunctive mood, Georgian as a second or foreign language.

ქართულის, როგორც მეორე ან უცხო ენის, სწავლებისას ინგლისურენოვან სტუდენტებთან მრავალი სირთულე იჩენს თავს. ერთ-ერთია **მინდა / მსუხს** ზმნათა შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების სწავლება.

სირთულეს განაპირობებს ის გარემოება, რომ ქართულსა და ინგლისურში ამგვარ კონსტრუქციებში სხვადასხვა ზმნური ფორმის მიმართება და განსხვავებული წარმოება გვქვს.

განიჩევთ რამდენიმე შემთხვევა, კერძოდ, ქართულში:

(1) მთავარი წინადადების შემასმენელი ანმყოშია, დამოკიდებული წინადადებისა კი - ანმყოს კავშირებითში:

მინდა / მსუხს, რომ ჩემი ძმა კახგად ხატავდეს;

(2) მთავარი წინადადების შემასმენელი ანმყოშია, დამოკიდებული წინადადებისა - მეორე კავშირებითში:

მინდა / მსუხს, რომ ჩემმა ძმამ კახგად დახატოს;

(3) მთავარი წინადადების შემასმენელი ნამყოშია, დამოკიდებული წინადადებისა - მეორე თურმეობითში, რომელსაც კავშირებითის ფუნქცია აქვს:

მინდოდა / მსუხდა, რომ ჩემს ძმას კახგად დაეხატა.

ამ წინადადებათა შესაბამის ინგლისურ ვარიანტებში სხვაგვარი დროული მიმართება და სინთეზურ-ანალიზური წარმოება გვაქვს:

(1ა) პირველ წინადადებას სინთეზური წარმოება შეესაბამება; **მსუხს** ზმნა ანმყოშია, რომელსაც მოსდევს დამოკიდებული წინადადება ნამყო დროის ზმნის ფორმით:

I wish (that) my brother painted well;

(2ა) მეორე წინადადებას ანალიზური წარმოება შეესაბამება, **მსუხს** ზმნა კვლავ ანმყოშია, რომელსაც მოსდევს დამოკიდებული წინადადება მეშველი ზმნით would + მარტივი ინფინიტივი:

I wish (that) my brother would paint well;

(3ა) მესამე წინადადება იყენებს **მსუხს** ზმნას ნამყოში და მომდევნო დამოკიდებული წინადადების ზმნას - ნამყო სრულში:

I wished (that) my brother had painted well.

ამრიგად, ეს წინადადებები ქართულშიც და ინგლისურშიც **ნდომას, სუხვიდს** გადმოგვცემენ, მათ კავშირებითი კილოს გაგება აქვთ. ქართულში ამას დამოკიდებულ წინადადებაში გამოყენებული კავშირებითის მწკრივებიც ადასტურებენ. ინგლისურში, მართალია, დამოკიდებულ წინადადებებში წარსული დროის ფორმე-

ბია გამოყენებული, მაგრამ კავშირებითობაზე მიგვივითებს მთლიანი წინადადების კონსტრუქცია, რომელიც *მსუხს* ზმნით იწყება.

ამგვარი შეპირისპირებითი ანალიზი და მის საფუძველზე შექმნილი სავარჯიშოები ეფექტურს ხდის ქართულის სწავლებას ინგლისურენოვანი სტუდენტებისათვის.

ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ და დაფინანსებული პროექტის: „ინფრომაციული სტრუქტურა და ქართველურ ენათა ჰიპო-ტაქსური მოდელები“, FR-21-352 ფარგლებში

Teaching Georgian as a second or foreign language to English-speaking students is related to numerous difficulties. One of them is the teaching of complex sentences with the verbs **მინდა** *minda* “want” / **მსურს** *msurs* “wish”.

The complexity is due to the fact that Georgian and English patterns of this type apply different verb forms and different constructions.

Georgian:

(1) **მინდა** / **მსუხს**, *ჰომ ჩემი ძმა კახგად ხატავდეს.*

minda / msurs, rom chemi dzma k'argad khat'avdes.

The predicate of the main clause is in the Present Tense, whereas the predicate of the subordinate clause is in the Present Subjunctive;

(2) **მინდა** / **მსუხს**, *ჰომ ჩემმა ძმამ კახგად დახაგოს.*

minda / msurs, rom chemma dzmam k'argad dakhat'os.

The predicate of the main clause is in the Present Tense, whereas the predicate of the subordinate clause is in the Second Subjunctive;

(3) **მინდოდა** / **მსუხდა**, *ჰომ ჩემს ძმას კახგად დაეხატა.*

mindoda / msurda, rom chems dzmas k'argad daekhat'a.

The predicate of the main clause is in the Past Tense, whereas the predicate of the subordinate clause is in Evidential II, which performs the function of the subjunctive.

cf.:

English correlates of the sentences mentioned above are as follows:

(1a) *I wish (that) my brother **painted** well.*

The correlate of the first sentence is formed synthetically; the verb *wish* is in the Present Tense. It is followed by the subordinate clause where the verb is given in the Simple Past Tense;

(2a) *I wish (that) my brother **would paint** well.*

The correlate of the second sentence is formed analytically. The verb *wish* is in the present tense. The following subordinate clause contains a modal verb *would* + simple infinitive;

(3a) *I **wished** (that) my brother **had painted** well.*

In the correlate of the third sentence, the verb *wish* is in the Simple Past tense, and the verb of the subordinate clause is in the Past Perfect.

Thus, both in Georgian and English, the above-mentioned sentences express *wish, desire*, hence, they express the subjunctive mood. This fact is also proved in Georgian by the subjunctive screeves in the subordinate clause. In English, the Past Tense forms are given in the subordinate clause, and the Subjunctive Mood is expressed by the entire construction which starts with the verb *wish*.

Such contrastive analysis and exercises compiled on the basis of this analysis will facilitate the process of teaching of Georgian to English-speaking students.

The paper has been implemented within the framework of a project "Information Structure and the Hypotactic Patterns of Kartvelian Languages", FR-21-352, financed by Shota Rustaveli National Science Foundation.

ფატი შეყლაშვილი
Pati Sheklashvili

გერმანიის საგარეო პოლიტიკის ბალკანური
ვექტორი XX ს-ის 90-იან წლებში
Balkan Direction of German
Foreign Policy in the 90s of XX Century

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities



საკვანძო სიტყვები: გერმანია, ბალკანეთი, ნატო, ევროკავშირი,
კრიზისული კერები.

Keywords: Germany, the Balkans, crisis centers, NATO, European Union.

XX ს. 80-90-იანი წლების მიჯნაზე მსოფლიო პოლიტიკაში მომხდარმა მთელმა რიგმა რევოლუციურმა ცვლილებებმა გერმანიის გაერთიანებამ, იუგოსლავიის დაშლის პროცესებმა, კრიზისული ზონების წარმოქმნამ ბალკანეთზე და სხვ. შეცვალა ძალთა თანაფარდობა ევროპაში, გავლენა მოახდინა დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური კურსის ტრანსფორმაციაზე და გარკვეულწილად მათი პოლიტიკის მოდერნიზაციის აქტიურ ფაქტორადაც იქცა.

ახლად გაერთიანებული გერმანიის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გახდა ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის და ამ ქვეყნებში ანტიგერმანული ტენდენციის ნეიტრალიზაციის საკითხი.

ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე დაწყებული კრიზისი გერმანიის საგარეო პოლიტიკისთვის ერთგვარ გამოწვევად იქცა, შესაბამისად, 90-იანი წლების დასაწყისისთვის გერმანიის პოლიტიკური კურსი ბალკანეთზე გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიფრთხილით. ბევრი მკვლევარის აზრით, გერმანია ითვალისწინებდა ნატო-ს და ევროკავშირის ინტერესებს, რათა შეენარჩუნებინა ევროპული და ტრანსატლანტიკური ინსტიტუტების ნდობა, მაგრამ, უწინარესად ეყრდნობოდა საკუთარ ინტერესებს და ყოველთვის არ სარგებლობდა ადეკვატური მეთოდებით.

გასათვალისწინებელია, რომ 1990 წ. მოსკოვის შეთანხმების პირობებით, გამარჯვებული ქვეყნები ინარჩუნებდნენ გერმანიის სუვერენიტეტის ნაწილობრივი შეზღუდვის რეჟიმს, რაც აბრკოლებდა გერმანიის შესაძლებლობას, სრულფასოვნად დაბრუნებოდა „დიდ სახელმწიფოებს“.

გერმანიის ორმაგი როლი გამოიკვეთა 1990-იანი წლების ბალკანეთის კონფლიქტებში, გერმანია გამოვიდა იუგოსლავიის დაშლის მომხრედ და არ ჰქონდა რა ამ პროცესებში დამოუკიდებლად ჩარევის შესაძლებლობა, მკვლევართა ნაწილის შეფასებით, შეეცადა, კრიზისისთვის შეეძინა საერთაშორისო ხასიათი, რომელიც მისცემდა საშუალებას, გადაეღაბა კონსტიტუციური აკრძალვები და, ამასთან, დაეშოშმინებინა ორად გაყოფილი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი – ბუნდესვერის მონაწილეობაზე გაეროსა და ნატოს სამშვიდობო მისიებში.

1995 წ. დეიტონის ხელშეკრულებამ გაამყარა გერმანიის პოზიციები ბალკანეთზე, თუმცა სერბეთ-ხორვატიისა და ბოსნიის კრიზისებისას ვერ მოხერხდა მოსკოვის შეთანხმების სრული რევიზია.

ჰ. კოლის ხელისუფლების საგარეო კურსის ახალი სქემის აპრობაცია იქცა კოსოვოს კრიზისი. ამ ეტაპზე გერმანია ორიენტირებულია, დიპლომატიის გზით დაარეგულიროს ვითარება.

1998 წ. გერმანიაში ხელისუფლებასთან ერთად იცვლება საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები. კოსოვოს კონფლიქტის განვითარების პარალელურად გერმანია გამოდის შეიარაღებული ძალების საზღვარგარეთ მოქმედებების ომის შემდგომი შეზღუდვებიდან და უშვებს ბუნდესვერის მონაწილეობას ბალკანეთის ოპერაციებში.

1999 წ. ი. ფიშერის ინიციატივა („ი. ფიშერის გეგმა“) უშიშროების საბჭოს რეზოლუციის გადამუშავებაში მონაწილეობაზე, რომლითაც შეიქმნა საჰაერო თავდასხმების შეწყვეტის შესაძლებლობა, მიუთითებს გერმანიის პოზიციის ცვლილებაზე ბალკანეთზე შექმნილი ვითარების მოგვარების საკითხში. გერმანიის ფედერალური ხელისუფლების დიპლომატიის („სამხ-აღმ. ევროპის სტაბილურობის პაქტი“) ძალისხმევა ბალკანეთზე სტაბილურობისთვის გამართულ პოლიტიკურ პროცესებში ღიად გამოიკვეთა.

At the turn of the 1980s and 1990s, a number of revolutionary changes that occurred in the World policy – the unification of Germany, the the processes that followed the collapse of Yugoslavia, the creation of crisis zones in the Balkans and others – changed the balance of power in Europe, influenced the transformation of the foreign policy course of great states and, to some extent, even became an active factor of their policy modernization.

The issue of relations with the central, eastern and south-eastern European states, as well as neutralization of the anti-German tendency in these countries, became one of the most important priorities of the foreign policy of newly-united Germany.

The crisis which began on the territory of former Yugoslavia became a kind of a challenge for the foreign policy of Germany; accordingly, at the beginning of the 90s, German policy in the Balkans was distingu-

ished by extreme caution. According to many researchers, Germany took into account the interests of the NATO and European Union in order to preserve the trust of the European and transatlantic institutions; but, first of all, it was based on their own interests and was not always achieved by adequate methods. It should be taken into consideration that under the conditions of the Moscow agreement of 1990, the winner countries retained the partial restriction regime of the sovereignty of Germany, which made it difficult for Germany to fully return to the “eat states”.

Germany's dual role emerged in the 1990s Balkan conflicts, Germany favored the dissolution of Yugoslavia, and as it was not able to interfere in these processes independently, by the estimation of some researchers, tried to give the crisis an international character, which would enable it to overcome constitutional prohibitions and, at the same time, to calm down the world public opinion, which was equally divided, regarding the Bundeswehr's participation in the UN and in NATO peacekeeping missions.

1995 Dayton Agreement strengthened the position of Germany in the Balkans, but during Serbia-Croatia and Bosnia crises the complete revision of the Moscow Agreement could not be conducted. The Kosovo Crisis became an approbation of H. Kohl's new scheme of foreign policy. At this point Germany is focused to settle the situation by means of diplomacy.

In 1998, together with the government, change foreign policy priorities in Germany. In parallel with the development of the Kosovo conflict, Germany overcomes the post-war restrictions on the operations of the armed forces abroad and allows the Bundeswehr to take part in the operations of the Balkans.

In 1999, I. Fisher's Initiative (“I. Fischer Plan”) to participate in the modification of the Security Council resolution, which created the possibility to terminate air attacks, indicates the change of Germany's position on the issue of settling the situation in the Balkans. The efforts of diplomacy of the German federal government (“South-Eastern European Stability Pact”) for stability in the Balkans were openly outlined in the political processes.

ნინო ჩიქოვანი
Nino Chikovani

როგორ მუშაობს რეზონანსი: 1989 წლის
9 აპრილის მესხიერება საქართველოში
*Resonance at Work: Memory of April 9,
1989 in Georgia*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities*



საკვანძო სიტყვები: რეზონანსი, მესხიერება, 9 აპრილი,
საქართველო.

Keywords: resonance, memory, April 9, Georgia.

საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო და დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველოში განვითარებულმა პროცესებმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ქვეყნის ისტორიაში და განსაზღვრა მისი მომავალი განვითარება. ამ პროცესების ანალიზი კულტურის კვლევათა პერსპექტივიდან წარმოგვიდგენს *წახსუდის ხოდს აწმყოში* და მკაფიოდ აჩვენებს, „როგორ განსაზღვრავს კოლექტიური იდენტობის კონსტრუირებას მეხსიერება, ნოსტალგია, ინდივიდუალური და საერთო წარსულის სურათი“.

ნაშრომში განხილულია საქართველოს *წახსუდი აწმყოში*, კერძოდ, 1989 წლის 9 აპრილის განგრძობადი *ხეზონანსი*, როგორც მოვლენისა, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა კოლექტიურ მეხსიერებაში; გაანალიზებულია, როგორ იქცა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია ათვლის წერტილად როგორც წარსულის, ისე მომავალი ისტორიისა და მეხსიერებისათვის. კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს კოლექტიური მეხსიერებისა და კულტურული ტრავმის თეორიები. აღეიდა ასმანის შემოთავაზებული *კუდგუხუდი ნიმუშისა* და *ხეზონანსის* ცნებები გამოყენებულია მეხსიერების (ტრანს)ფორმაციისა და ამ პროცესში წარსულის და აწმყოს ურთიერთქმედების ანალიზისათვის.

საბჭოთა კავშირის დაშლას, დამოუკიდებლობის აღდგენას და სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის რადიკალურ ტრანსფორმაციას მოულოდნელად მტკივნეული პერიოდი მოჰყვა, რომელიც სრულად შეესაბამება „გამარჯვების ტრავმის“ ცნების შინაარსს: იგი გულისხმობს ცვლილებებს, რომლებიც „საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც სასარგებლო, პროგრესული, მათ ენთუზიაზმით ხვდებიან, მაგრამ ისინი იწვევენ ტრავმას, კომუნისტურ საზოგადოებათა ნაწილში მაინც“.

კოლექტიურ დონეზე, ზოგიერთმა ტრაგიკულმა და მსხვერპლიანმა მოვლენამ ერთდროულად ტკივილისა და თავგანწირვის ფასად მიღწეული ტრიუმფის განცდა წარმოშვა, ზოგმა სხვა ფაქტმა – სირცხვილისა და დანაშულის გრძნობა და, შესაბამისად – მათი დავიწყების სურვილი. ზოგ ამბავს მკაფიო მნიშვნელობა მიენიჭა, რომელიც გაზიარებულ იქნა საზოგადოების მიერ; მათ შესაბამისი ადგილი დაიკავეს წარსულში და მყარად დამკვიდრდნენ კოლექტიურ მეხსიერებაში. სხვა შემთხვევებში, მოვლენისათვის მნიშვნელობის მისანიჭებლად საჭირო კულტურული ნიმუში ვერ მოიძებნა, შედეგად, ისინი იქცა სხვადასხვა ჯგუფის

კონფლიქტური მეხსიერების საფუძვლად და დღემდე რჩება მათი დაყოფისა და დაპირისპირების წყაროდ.

კვლევამ ცხადყო, რომ 1989 წლის 9 აპრილი ჩამოყალიბდა საქართველოს უახლესი ისტორიის პარადიგმულ მოვლენად და ეროვნული მეხსიერების საკვანძო მომენტად. მან, რეზონანსის სახით, არა მარტო გამოიხმო თითქმის წაშლილი მეხსიერებიდან მე-20 საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი და მტკივნეული მოვლენები (1956 წლის 9 მარტის ტრაგედია; ბრძოლა წითელი არმიის წინააღმდეგ თბილისის მისადგომებთან 1921 წლის თებერვალში და დაღუპული მეომრების დაკრძალვა იმ ადგილას, სადაც მოგვიანებით მთავრობის სასახლე აშენდა), არამედ ასევე იქცა ათვლის წერტილად მომდევნო 35 წლის მანძილზე განვითარებულ მოვლენათა აღქმისათვის (1991 წლის 9 აპრილი; თბილისის ომი 1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვარში; ვარდების რევოლუცია 2003 წელს; სამთავრობო და არასამთავრობო გამოსვლები; რუსული ოკუპაციის საწინააღმდეგო მიტინგი 2008 წლის აგვისტოში; „გავრილოვის ღამე“, უკრაინის მხარდამჭერი დემონსტრაციები 2022 წელს, პროტესტი „რუსული კანონის“ წინააღმდეგ 2023 წლის მარტში). 9 აპრილმა შექმნა ერთგვარი ჩარჩო ამ მოვლენათა გააზრებისათვის და რუსთაველის გამზირის მონაკვეთი პარლამენტის შენობის წინ აქცია პარადიგმულ სივრცედ, სადაც უკანასკნელი ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში იწერება საქართველოს ისტორია.

The processes which developed in Georgia in the late Soviet period and the first years of independence played a key role in the history of the country and determined its future development. The analysis of these processes from the perspective of Cultural Studies uncovers the role of the *past in the present* and clearly demonstrates “how memories, nostalgia, and accounts of the individual and collective past contribute to the construction of collective identities.”

The paper discusses the Georgian case of the *past in the present*, namely, the continuing *resonance* of April 9, 1989, which left a significant trace in the collective memory; it analyzes how the collective trauma of April 9, 1989 has become the reference point for the past as well as future history and memory. Theories of collective memory and cultural trauma form the methodological framework of the research. The

concepts of *cultural pattern* and *resonance* offered by Aleida Assmann are applied for analyzing the (trans)formation of memory and interplay of the past and present in this process.

The collapse of the Soviet Union, restoration of independence and radical transformation of the social, economic, and political systems marked a painful period of unexpected developments in Georgia. This period fits exactly into the meaning of the “trauma of victory” – the change which is “almost universally judged as beneficial, progressive, often welcome with enthusiasm, and yet, it has turned out to produce trauma, at least for some segments of post-communist societies.” On the collective level, some tragic facts that resulted in casualties gave rise to both – pain and triumph – gained through sacrifice. Some other events aroused feeling of shame and crime, and a desire to forget them. In some cases, clear meanings were ascribed to the facts and events, they were accepted and shared by the Georgian society, found their proper place in the past and were firmly fixed in the collective memory. In other cases, no cultural patterns were found to define their meaning, as a result, they formed grounds for the conflicting memories of different groups, and still remain a source of their division and contradiction.

The study reveals that April 9, 1989 was formed as a paradigmatic event in the modern history of Georgia – a key moment in the national memory. As a *resonance*, it not only summoned back the most important and painful events of the 20th century from the repressed and nearly erased memory (the tragedy of March 9, 1956; struggle against the Red Army on the outskirts of Tbilisi in February, 1921 and the burial of the killed fighters at the same site where the Palace of Government would be built later) but also became a point of reference for the perception of the events of the following 35 years (April 9, 1991; Tbilisi War of December-January 1991-1992; Rose Revolution of 2003; pro- and anti-government rallies; protest against the Russian occupation in August 2008; “Gavrilov Night”; demonstrations to support Ukraine in 2022 and to protest against the “Russian Law” in March 2023). April 9 created the framework for the comprehension of these events and (trans)formed the section of Rustaveli avenue in front of the Parliament building into the paradigmatic space where the history of Georgia has been written for more than thirty years.

მერაბ ჩუხუა
Merab Chukhua

ჰეშკილ და ოშკი ტოპონიმებისათვის
For the Toponyms *Heshkil* and *Oshki*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities



საკვანძო სიტყვები: ჰეშკილი, ოშკი, ტოპონიმი.
Keywords: Heshkil, Oshki, toponym.

საქართველოში ბოლო დროს ტურიზმის თვალსაზრისით ცნობილი სოფელი **ჰეშკილ**-ი მდებარეობს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის მესტიის მუნიციპალიტეტში, ლენჯერის თემში. ეს უკანასკნელი აერთიანებს სოფლებს: კაერი, ლაშთხვერი, ლემსია, ნესგუნი, სოლი, ქაშვეთი, ჰეშკილი). **ჰეშკილ**-ი სვანეთის კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზეა შემოფენილი. დემოგრაფიულად სოფელი გადაშენების პირასაა; 2014 წლის აღწერის მონაცემებით, სოფელში მხოლოდ 7 ადამიანი ცხოვრობს.

ამჯერად ჩვენთვის საინტერესო სვან. **ჰეშკილ** ფორმის წარმომავლობა დაკავშირებული უნდა იყოს მცენარე *ასკილის* სახელთან, რომლის კანონზომიერი შესატყვისიც, **ჰეშკილ**-ის სახით მხოლოდ სვანურ ტოპონიმში უნდა იყოს შემონახული, შდრ. ქართ. **ასკილ** - : სვან. **ჰეშკილ**. აქ წარმოდგენილი ახსნის მნიშვნელობა იზრდება სახელდების მხრივაც, რადგან იგი მხარს უჭერს ადრე ჩვენ მიერ წამოყენებულ თვალსაზრისის ისტორიული **ოშკ**-ის ლაზური წარმომავლობის შესახებ.

სავარაუდოა ბოლოკიდურა -**ილ** სეგმენტის სუფიქსურობა, რასაც თითქოსდა ეხმიანება გურიაში დამოწმებული ტოპონიმი **ასკ**-ანა, რომელშიც გაუფორმებელი **ასკ**- ძირი ამოსავალი ჩანს როგორც **ასკ**-ილ-ისთვის, ისე **ასკ**-ანა-სთვის.

გაუფორმებელი ფიტონიმის დასახლებული პუნქტის სახელად ქცევის პრაქტიკა ინტენსიურია ქართველურ ენობრივ არეალში, შდრ.: **წნორ**-ი, **ცაცხვ**-ი, **ბია**, **ძეგვ**-ი., **ჭყონ**-ი, **ბულ**-ეფ-ი, **ანტამა**, **უშქურ**-ლალ-ი., **უსგვირ**, **ლენჯერ** და სხვ.

ამასთან, საერთოქართველურ ***ასკ**- არქეტიპს კანონზომიერი შესატყვისები ეძებნება მონათესავე დალესტნურ (ალბანურ) ენებშიც, შდრ. თაბას. **შკი**, ლეზგიური **შიკი** / **ჟიკი** „ასკილი“...

The village of **Heshkil**, famous for tourism in Georgia, is located in Mestia Municipality of Samegrelo-Zemo Svaneti Region, Lenjeri community. The latter unites the villages: Kaer, Lashtkhver, Lemsia, Nesgun, Sol, Kashvet, Heshkil). Heshkil is located on the southern slope of the main watershed ridge of Svaneti Caucasus. Demographically, the village is on the verge of extinction; according to the 2014 census, only 7 people live in the village.

This time we are interested in the origin of the **Heshkil** form, it must be related to the name of the plant **Askil**- “Roza Canina”, which, as the regular correspondence, should be preserved only in the Svan toponym Heshkil, cf. Geo. Askil- : Swan. Heshkil. The importance of the explanation presented here increases as well, since it supports the point of view we put forward earlier about the Laz origin of the historical toponym **Oshk**-i in Turkey.

The suffixation of the -il segment seems to be echoed by the attested toponym Ask-ana in Guria, in which the unformed ask- root appears to be the origin for both Ask-il and Ask-ana.

The practice of using an unformed phytonym as the name of a settlement is intensive in the Kartvelian language area, cf. Usgvir, Lenjer and others.

In addition, regular correspondences to the common Georgian ***ask**- archetype are also sought in related Dagestani (Albanian) languages, cf. Tabass. shki, Lezghian shiki / zhiki “Roza Canina”...

ირაკლი ჩხაიძე
Irakli Chkhaidze

**„ნამდვილი დემოკრატიის“ ძიებაში:
პოპულიზმი ლიბერალიზმის წინააღმდეგ
ცენტრალურ ევროპაში
In Search of “True Democracy”:
Populism versus Liberalism in
Central Europe**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities*



საკვანძო სიტყვები: პოპულიზმი, ლიბერალიზმი, დემოკრატია,
ცენტრალური ევროპა.

Keywords: Populism, Liberalism, Democracy, Central Europe.

დიდი ხნის განმავლობაში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტური განვითარება განიხილებოდა, როგორც ახალი ლიბერალური დემოკრატიების დასავლეთევროპულ მოდელთან დაახლოების პროცესი. დემოკრატიის მშენებლობა ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში (განსაკუთრებით, უნგრეთსა და პოლონეთში) ფასდებოდა, როგორც სრულყოფილი და სანიმუშო. „კონსოლიდირებული დემოკრატიების“ ახალი ნარატივი, რომელიც დასავლური ლიბერალური საზოგადოების წარმატებულ შენებაზე აკეთებდა აქცენტს, მხედველობის მიღმა ტოვებდა რთულ და წინააღმდეგობრივ პროცესებს, რომლებიც დაკავშირებულია როგორც იმპერიულ მემკვიდრეობასთან ბრძოლასა და ლიბერალური დემოკრატიის შენების სირთულეებთან, ისე თავად ლიბერალიზმის მზარდ პრობლემებთან. პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში პოლიტიკური საზოგადოებისა და ლიბერალური დემოკრატიის მშენებლობა დღემდე ცხარე დისკუსიის საგნად და დაპირისპირების გამომწვევ პრობლემად რჩება. პოლ ბლოკერის აზრით, ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა უნგრეთი და პოლონეთი, დემოკრატიის კრიზისი და დემოკრატიულ პროცესზე საზოგადოების ნეგატიური რეაქცია პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ნაწილია. მემარჯვენე პოპულიზმის საფრთხის ქვეშ დადგა როგორც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების ლიბერალურ-დემოკრატიული განვითარება, ისე ზოგადად მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წესრიგი, რომელიც გულისხმობს კონსტიტუციურ დემოკრატიას, ადამიანის უფლებების საყოველთაოობას, კანონის უზენაესობას. თავისუფალი და სამართლებრივი საზოგადოების შენების საერთაშორისო პროექტი მძაფრი კრიტიკის ქვეშ აღმოჩნდა. იზრდება პრობლემები, შიშები თანამედროვე ცხოვრების მიმართ, ამ პრობლემების და შიშების გადაწყვეტის გზებს (ან ილუზიებს) საზოგადოებებს პოპულისტები სთავაზობენ. დღევანდელობამ მოიტანა უზარმაზარი პროგრესი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, თუმცა, ამავე დროს, განაპირობა შიში და უნდობლობა არსებული პოლიტიკური წესრიგის მიმართ, არასტაბილურობის განცდა. შიში გახდა პოლიტიკის მამოძრავებელი. არავის უნდა მუდმივ შიშში ცხოვრება, ამიტომ საზოგადოება ყოველთვის ეძებს ვინმეს, ვინც ამ შიშის დაძლევაში დაეხმარება. უფრო მეტი ადამიანი ითხოვს სიმშვიდეს, სტაბილურობას, პოპულისტები კი სთავაზობენ ხალხს ამ შიშს დაძლევის გზას, ან

ქმნიან მის ილუზიას. პოლონეთსა და უნგრეთში შიშების დაძლევის, ან დაძლევის ილუზიის პოპულისტური ნარატივი უპირისპირდება შიშების გაცნობიერების, მასთან შეგუების და თანაცხოვრების ლიბერალურ მიდგომას. ლიბერალური ელიტა ხალხს ასწავლის, თუ როგორ იარსებოს მისთვის არასასურველ გარემოში, როგორ გაუმკლავდეს მას, როგორ ეცადოს რაციონალური მიდგომების შემუშავებას, მაშინ, როდესაც პოპულისტები საზოგადოებას შიშებისგან გათავისუფლებას ჰპირდებიან. შიშისგან გათავისუფლების პოპულისტური რიტორიკა ახლოს დგას რელიგიასთან. ლიბერალ-დემოკრატიული ელიტები საზოგადოებას ცვლილებისკენ მოუწოდებენ, რათა ის ადაპტირდეს ახალ რეალობასთან, პოპულისტები კი პირიქით – სამყაროს შეცვლას და მათ ცხოვრების წესთან შესაბამისობაში მოყვანას სთავაზობენ. „სტატუს-კვო ჩვენგან ითხოვს ცვლილებას, პოპულისტები – სამყაროსგან.“ ნაშრომში უნგრეთისა და პოლონეთის მაგალითზე გაანალიზებული იქნება წინააღმდეგობები ლიბერალურ დემოკრატიულ წესრიგსა და ეროვნულ პოპულიზმს შორის.

ლიტერატურა:

Blokker, P. Conservative Populism in Defiance of Anti-Totalitarian Constitutional Democracy. *Anti-Constitutional Populism*. Cambridge University Press. 297-335.

Czarnota, A. Sources of Constitutional Populism – Democracy, Identity and Economic Exclusion. *Anti-Constitutional Populism*. Cambridge University Press. 495-505.

Krygier, M. (2022) "Introduction: Anti-Constitutional Populism." *Anti-Constitutional Populism*. Cambridge University Press. 1-24.

Sadurski, W. How Democracy Dies (in Poland): A Case Study of Anti-Constitutional Populism Backsliding. <https://shorturl.at/zfS35>. 104-178.

Stambulski, M. Constitutional Populism and the Rule of Law in Poland. *Anti-Constitutional Populism*. Cambridge University Press. 336-365.

For a long time, the post-Communist development of Central and Eastern Europe was seen as a process of convergence of new liberal democracies with the Western European model. The construction of democracy in the former communist countries (especially in Hungary and Poland) was evaluated as perfect and exemplary. The new narrati-

ve of “consolidated democracies” which emphasized the successful construction of a Western liberal society, overlooked the complex and contradictory processes related to both the struggle with imperial succession and the difficulties of liberal democracy building, as well as the growing problems of liberalism itself. The construction of political society and liberal democracy in post-Communist states remains a hotly debated and controversial problem.

According to Paul Blokker, in countries such as Hungary and Poland, the crisis of democracy and the negative public reaction to the democratic process are part of the post-Communist transformation. Both the liberal-democratic development of Central and Eastern European states, as well as the post-World War II liberal order in general, which implies constitutional democracy, universality of human rights, and the rule of law, have come under the threat of right-wing populism. The international project of building a free and legal society came under intense criticism. Problems and fears about modern life are increasing, populists offer societies ways (or illusions) to solve these problems and fears.

Modernity has brought tremendous progress in various spheres of life, however, at the same time, it has led to fear and distrust of the existing political order, a feeling of instability. Fear became the drive of politics. No one wants to live in constant fear, so society is always looking for someone to help overcome that fear. More people are asking for peace, stability, and populists offer people a way to overcome this fear, or create an illusion of it. In Poland and Hungary, the populist narrative of overcoming fears, or the illusion of overcoming them, contrasts with the liberal approach of understanding, adapting to, and living with fears. The liberal elite teaches people how to live in an unfavorable environment, how to cope with it, how to try to develop rational approaches, while populists promise to liberate society from the fears.

The populist rhetoric of freedom from fear is close to religion. Liberal-democratic elites call for society to change in order to adapt to the new reality, while populists offer the opposite – to change the world and bring it into line with their way of life. “The status quo demands change from us, populists – from the world.” The paper anal-

yzes the contradictions between liberal democratic order and national populism on the example of Hungary and Poland.

References

Blokker, P. Conservative Populism in Defiance of Anti-Totalitarian Constitutional Democracy. *Anti-Constitutional Populism*. Cambridge University Press. 297-335.

Czarnota, A. Sources of Constitutional Populism – Democracy, Identity and Economic Exclusion. *Anti-Constitutional Populism*. Cambridge University Press. 495-505.

Krygier, M. (2022) "Introduction: Anti-Constitutional Populism". *Anti-Constitutional Populism*. Cambridge University Press. 1-24.

Sadurski, W. How Democracy Dies (in Poland): A Case Study of Anti-Constitutional Populism Backsliding. <https://shorturl.at/zFS35>. 104-178.

Stambulski, M. Constitutional Populism and the Rule of Law in Poland. *Anti-Constitutional Populism*. Cambridge University Press. 336-365.

სოფიო ჩხატარაშვილი
Sophio Chkhatarashvili

კატერინა ბაბკინას რომანის „ბაბუაჩემი
ყველაზე უკეთ ცეკვავდა“ მოთხრობებად
ქართულად თარგმნის საკითხისათვის
For the Issue of Translation into Georgian
of Katerina Babkina’s Novel in Short Stories
“My Grandfather Danced Best of All”

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities



საკვანძო სიტყვები: ფრაზეოლოგიზმების თარგმნა, ეროვნული რეალიები, უკრაინული კოლორიტი.

Keywords: translation of idioms, national realities, Ukrainian color.

მხატვრული თარგმანი კულტურათა შორის დიალოგის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. რაც დრო გადის, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება მრავალფეროვანი გარემოს პატივისცემა და მიმღებლობა. თარგმნილი ლიტერატურა გვაცნობს ამა თუ იმ ქვეყნის, ქალაქის, გარემოს, ადამიანების, ადათ-წესების თავისებურებებს. თანამედროვე ეპოქაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაწარმოების თარგმნას უშუალოდ ორიგინალიდან, რათა მაქსიმალურად შენარჩუნდეს ავტორის სტილიცა და მანერაც.

უკრაინელი მწერლის, კატერინა ბაბკინას, რომანი – „ბაბუაჩემი ყველაზე უკეთ ცეკვავდა“ – მოთხრობებად სწორედ ზემოაღნიშნული პრინციპით ითარგმნა. კატერინა ბაბკინა მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატია და მისი ნაწარმოებები თარგმნილია ებრაულ, პოლონურ, გერმანულ, ინგლისურ, ჩეხურ, ესპანურ, რუმინულ, სერბულ და ჩინურ ენებზე, ხოლო მის ტექსტებზე დადგმული პიესები არაერთხელაა წარდგენილი კიევში, ვენასა და ჟენევაში.

კატერინა ბაბკინას მოთხრობებში გადმოცემულია, თუ რაზე ფიქრობდნენ და წუხდნენ უფროსი თაობის ადამიანები, რისი რცხვენოდათ, როგორ იქცეოდნენ და როგორ აისახა ეს ყველაფერი მათ შვილებსა და შვილიშვილებზე. მეხსიერებაში სამუდამოდ ჩარჩენილი ფრაზები და სახეები, ადგილები და მოგონებები კატერინა ბაბკინას ხელს უწყობს, გააცოცხლოს ისინი თავის გმირებში, მათ ცხოვრებისეულ მომენტებსა და ემოციებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოთხრობებში, გარდა უკრაინულია, ასახულია ებრაული და გერმანული ჰეტეროხატები. მათთან ერთად, მთარგმნელისთვის სირთულეს წარმოადგენს ეროვნული რეალიების, ფრაზეოლოგიზმების, ჟარგონებისა და სასაუბრო ლექსიკის თარგმნა, რადგან ამ შემთხვევაში მხოლოდ შინაარსის გადმოტანა არ კმარა, მკითხველმა შესაბამისი ემოციაც უნდა იგრძნოს ქართული თარგმანის წაკითხვისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მეტად საპასუხისმგებლოა შუამდგომლობა დედანსა და მკითხველს შორის, რადგან ამაზეა დამოკიდებული, იგრძნობს თუ არა მკითხველი კულტურის, ამ შემთხვევაში უკრაინულ, კოლორიტს.

Literary translation is one of the best means of dialogue between cultures. As time passes, it becomes more important to respect and accept a diverse environment. Translated literature introduces us to the peculiarities of this or that country, city, environment, people, customs. In the modern era, great importance is attached to the translation of the work directly from the original, in order to preserve the author's style as much as possible.

Ukrainian writer Katerina Babkina's novel "My Grandfather Danced Best of All" was translated into short stories according to the above-mentioned principle. Katerina Babkina is a laureate of many literary prizes and her works have been translated into Hebrew, Polish, German, English, Czech, Spanish, Romanian, Serbian and Chinese languages, and plays based on her texts have been presented many times in Kiev, Vienna and Geneva.

Katerina Babkina's stories show what the people of the older generation thought and worried about, what they were ashamed of, how they behaved, and how it all affected their children and grandchildren. Phrases and faces, places and memories stuck in memory forever help Katerina Babkina to bring them to life in her characters, in their life moments and emotions.

It should also be noted that in addition to Ukrainian stories, Jewish and German hetero images are depicted. Together with them, it was difficult for translators to translate national realities, phraseology, slang and colloquial vocabulary, because in this case it is not enough to convey the content, the reader must also feel the corresponding emotion while reading the Georgian translation.

Taking into account the above, it is very responsible to make a plea between the Original and the reader, because it depends on whether the reader will feel the color of the culture, in this case Ukrainian.

ლელა ციხელაშვილი
ეკატერინე ნავროზაშვილი
Lela Tsikhelashvili
Ekaterine Navrozashvili

სარას სახელის ორი ფორმის შესახებ
ბიბლიის ქართულ ვერსიებში
On the Two Forms of Sarah's Name in the
Georgian Versions of the Bible

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities*



საკვანძო სიტყვები: LXX, საკუთარ სახელთა გადმოტანა,
თეოფორული სახელი, სარა.
Keywords: LXX, rendering of proper names, theophoric name, Sarah.

შესაქმის წიგნში უფალი ეცხადება 99 წლის აბრამს და აღწევს აღთქმას, რომ მას კანონიერი მეუღლისგან, 90 წელს მიღწეული სარასგან, შეეძინება ვაჟი, ეყოლება მრავალრიცხოვანი შთამომავლობა და იწოდება „მამად მჩავადთა ნათესავთა“ [შესაქმე 17:5 O]. აბრამის გამორჩევისა და უდიდესი მისიით აღჭურვის შემდეგ უფალი მას და მის მეუღლესაც უცვლის სახელებს და, ბიბლიის ქართული ვერსიების მიხედვით, უწოდებს აბრამს **აბჰაჰამს** [შესაქმე 17:5 OCBAS], ხოლო სარას – **საჰხას** [შესაქმე 17:15 OCBAS]. ამის შემდეგ ბიბლიაში ისინი სახელის ახალი, ე.წ. გრძელი ფორმით მოიხსენიებიან: აბრამი – როგორც **აბჰაჰამ** // **აბჰაამ** (უიშვიათესად – **აბჰამ**), ხოლო მისი მეუღლე – როგორც **საჰხა** (იშვიათად – **საჰა**).

ანთროპონიმი **საჰა** უნდა მომდინარეობდეს ებრაული სიტყვისგან ***საჰჰ** („სუვერენული (მმართველი), პრინცი“) და უნდა ნიშნავდეს **პრინცივს** ან რაღაც მსგავსს (ლექსიკონი..., 1999: 724). სარას სახელის ახალი ფორმა კი, ერთი მოსაზრებით, წარმოადგენს ე.წ. **თეოფორულ სახელს**. *θεοφορος* ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „ტარებას//ღმერთის ტარებას“. „*თეოფორული სახელები ღმერთისგან ნაწახმოები სახელებია*“ (ჰაბერი, 2001: 1). ისინი, ძირითადად, კომპოზიტებია. სახელის ფუძე აგებულია ღმერთის ორი ებრაული სახელის – **יְהוָה** ელოჰიმ/ელოაჰ/ელ ან **יהוה** დაჰ/დაჰვეს – გამოყენებით. თეოფორულ სახელებში **ელ** სრული ფორმითაა წარმოდგენილი (მაგ., **ედიაჰ, ისაჰედ**), **ჰვეჰ** წმინდა ტეტრაგრამიდან კი გარკვეული ელემენტები მონაწილეობს მის სტრუქტურაში (მაგ., **ჰვეჰოშუა, ედიჰაჰუ**). შესაძლებელია, ტეტრაგრამიდან მხოლოდ ერთი გრაფემა იყოს აღებული. სწორედ ასეა **შესაქმეში**, როცა ღმერთი თავად ამატებს **ჰე** (H) გრაფემას და ცვლის **აბჰამ** ანთროპონიმს **აბჰაჰამ** (אֲבְרָהָם ← אַבְרָם), ხოლო **საჰაჰს** – **საჰაჰ** ფორმებით (יְהוָה ← יְהוֹ). ანალოგიური პრინციპით, **ჰე** თანხმოვნის აუსლაუტში დამატებით, დაგრძელდა ეს ანთროპონიმი სირიულშიც და მოგვცა **საჰაჰ** ფორმა: אַבְרָם → אֲבְרָהָם.

ქართულში სარას სახელის ახალი ფორმის წარმოების პრინციპის ასახსნელად მნიშვნელოვანია ბერძნულის ვითარება, რადგან, ძირითადად, სწორედ ეს უკანასკნელი მოიაზრება ბიბლიური წიგნების ქართული თარგმანების წყაროდ. სეპტუაგინტაში სარას სახელის გრძელი ფორმის წარმოება განსხვავებულ პრინციპს ეფუძნება: ბერძნულს არ მოეპოვება **ჰ** გრაფემა, ამიტომ

მან სხვა გზას მიმართა სარას სახელის ორი ფორმის გასარჩევად – როს გემინაციას: $\Sigma\alpha\alpha \rightarrow \Sigma\alpha\rho\alpha$ (ტოვი, 2022: 5). სომხური სარას სახელის დანერილობაში იყენებს რბილ რ-ს, ხოლო გრძელი ფორმის შესატყვისად, ბერძნული გემინირებული როს ეკვივალენტად – მაგარ რ-ს, ამდენად, სხვაობა რბილი და მაგარი რ-ს მონაცვლეობაზეა დამყარებული: $Uu\rho\alpha \rightarrow Uu\alpha\alpha$.

ქართული ენის ფონემატური სისტემა იძლეოდა იმის საშუალებას, რომ განსხვავება სარას სახელის ორ ფორმას შორის დამყარებოდა როგორც ჰ თანხმოვნის დამატებას, ისე – რ-ს რედუქლიკაციას, თუმცა ქართულმა ამ შემთხვევაში ბერძნული წყაროს ვითარება გაითვალისწინა და რ გააორმაგა (*საჰჰა*).

უფლის მიერ სარასთვის სახელის ცვლილების შემდეგ ბერძნულში იგი სახელის მხოლოდ ახალი ფორმით ($\Sigma\rho\alpha\alpha$) მოიხსენიება როგორც სეპტუაგინტაში, ისე – ახალ აღთქმაში (4-ჯერ). ბერძნულში, როგორც აბრამის სახელის შემთხვევაში, დაპირისპირება სახელის მოკლე და გრძელ ფორმებს შორის სისტემებრაა გატარებული.

ბიბლიის ქართულ ვერსიებში სარას სახელის ცვლილებამდე ეს ანთროპონიმი 17-ჯერ დასტურდება, როგორც წესი, სახელის მოკლე ფორმით (წესიდან გადახვევას მხოლოდ SA ნუსხები გვიჩვენებს, რომლებშიც რამდენჯერმე ჩანს *საჰჰა* წაკითხვა). შესაქმის 17:15-ის შემდეგ სარა ახალი სახელით მოიხსენიება (უიშვიათესი გამონაკლისების გარდა). სახელის ძველი ფორმის გამოყენება მხოლოდ ოშკის ბიბლიისთვისაა (O) ნიშანდობლივი, ისიც გარკვეულ მონაკვეთში (შესაქმე 17:19-20:2). ამის შემდეგ ისიც ისეთსავე ვითარებას გვიჩვენებს, როგორსაც – სხვა ნუსხები.

ლიტერატურა:

გოგუაძე, ნ. და სხვ. (2017). ბიბლია, ძველი აღთქმა. I. თბილისი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. <http://www.bible.ge/Manuscript/2win.htm>

ლექსიკონი – Dictionary of Deities and Demons in the Bible. (1999). Edited by Karel van der Toorn, Bob Becking, Pieter W. van der Horst. Second Extensively Revised Edition. William B. Eerdmans Publishing Company Grand Rapids. Michigan/Cambridge, U.K.

ტოვი, ე. – Tov, E. (2022). The LXX Translators' Procedures in Representing Proper Names. Consistency in Representation. საერთაშორისო სიმპოზიუმი

ბიბლია სიგყვება და სახეებში. 27-29 მაისი. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჰაბერი, ჰ. – Haberi, H. (2001). Theophoric Names in the Bible. *Jewish Bible Quarterly*. 29 (1). https://jbnqnew.jewishbible.org/assets/Uploads/291/291_Names1.pdf?fbclid=IwAR0uiKalb0jxj8fb7MWGiGwT2OHJH5mAU_Ch8ZksGbMgaND-fDdBCq_NhvM

In *Genesis*, the Lord appears to 99-year-old Abram and promises that he will have a son from his lawful wife, Sarah, who is 90 years old and will also have numerous descendants. Abram learns that he will be referred to as "*The father of a multitude of nations*" [Gen. 17:5 O]. After distinguishing Abram and equipping him with the greatest mission, the Lord changes his and his wife's names and, according to the Georgian versions of the Bible, calls Abram – Abraham [Gen. 17:5 OCBAS], and his wife, Sara – Sarra [Gen. 17:15 OCBAS]. After this, in the Bible, the couple are referred to by the new, so-called long forms of their names. Specifically, Abram is referred to as Abraham // Abraam (very rarely, Abram), and his wife as Sarra (rarely – Sara).

"The name of the matriarch Sarah *sārā* (Gen 12-15; 49:31; Isa 51:2), alternatively spelled *sārāy* (Gen 11-17), is derived from a noun **sarr*-'sovereign; prince', the name meaning 'princess' or the like (ZADOK 1988: 148; pace HALAT 1262)" (Dictionary., 1999: 724). According to one opinion, the new form of Sarah's name represents the so-called Theophoric name. θεοφόρος is a Greek word that means "bearing or carrying a god". "Theophoric "nomata" are names derived from a god" (Haberi, 2001: 1). They are mostly composites. The root of the name is made up employing the two Hebrew names of God – אֱלֹהִים אֵלֹהֵי / Elohim /Eloah/ El or יהוה Yah/Yahweh. In theophoric names, El is presented in full form (e.g., Eliah, Israel), and YHWH, from the Tetragrammaton, emerges in its structure (e.g., Yehoshua, Eliyahu). It is possible that only one grapheme is taken from the Tetragrammaton. This is also the case in Genesis when God himself adds the H (ה) grapheme and changes the anthroponyms Abram to Abraham (אַבְרָהָם ← אַבְרָם), and Sarai to Sarah (שָׂרָה ← שָׂרַי). Based on the same principle, the long form of this anthroponym (Sarah) in Syriac is formed by adding the consonant "H" to the auslaut: ܫܪܝܝ → ܫܪܗܝ.

In order to explain the principle of the formation of the new form of Sarah's name in Georgian, it is important to take into account the situation in Greek; it is mainly the latter that is considered to be the source of the Georgian translation of biblical books. In the Septuagint, the formation of the long form of Sarah's name is based on a different principle: the Greek language does not possess the grapheme **H**, it uses another way to distinguish between the two forms of Sarah's name – reduplication of the “rho”: Σαρα→Σαρρα (Тов, 2022: 5). Armenian employs soft “R” in the spelling of Sarah's name, whereas hard “R” is used in the long form, as an equivalent of the Greek geminated “rho”. Thus, the difference is based on the alternation of soft and hard variants of “R”: Մարա → Մարառ.

The phonemic system of the Georgian language allowed the difference between the two forms of Sarah's name to be established both by the addition of the consonant “H” and the reduplication of the “R”, although the Georgian language, in this case, followed the situation of the Greek source and reduplicated the “R” (Sarrra).

After the Lord changed the name *Sara* to *Sarra* in Greek, she is mentioned only in the new form of the name (Σαρρα) both in the Septuagint and in the New Testament (4 times). In Greek, as in the case of the name Abram, the opposition between the short and long forms of the name is systematic.

In the Georgian versions of the Bible, before the change of the name into *Sarra*, this anthroponym is confirmed 17 times, usually in a short form (*Sara*) of the name (only SA manuscripts reveal a deviation from the rule, in which *Sarra* appears several times). After 17:15, Sarah is referred to by a new name – *Sarra* (with rare exceptions). The use of the old form of the name is only characteristic of the Oshki Codex (O), and that only in a certain passage (Gen. 17:19-20:2). After that, it also shows the same situation as other manuscripts do.

References

Dictionary of Deities and Demons in the Bible. (1999). Edited by Karel van der Toom, Bob Becking, Pieter W. van der Horst. Second Extensively Revised Edition. William B. Eerdmans Publishing Company Grand Rapids. Michigan/-Cambridge, U.K.

Gogvadze, N. et. al. (2017). *The Bible. The Old Testament. I.* Tbilisi: Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts. <http://www.bible.ge/-Manuscript/2win.htm>

Haberi, H. (2001). Theophoric Names in the Bible. *Jewish Bible Quarterly*. 29 (1). https://jbnqnew.jewishbible.org/assets/Uploads/291/291_Names1.pdf?fbclid=IwAR0uiKaIb0jxj8fb7MWGiGwT2OHJH5mAU_Ch8ZksgbMgaNDfDdBCq_NhvM

Tov, E. (2022). The LXX Translators' Procedures in Representing Proper Names. Consistency in Representation. International Symposium *The Bible in Words and Images*. May 27-29. Tbilisi: Inave Javakhishvili Tbilisi State University.

თეიმურაზ პაპასკირი
Teimuraz Papaskiri

**სსრკ-გერმანიის ურთიერთობები 1940-1941
წლების ზამთარში: მზადება საბოლოო
განხეთქილებისათვის მოკავშირეებს შორის
Soviet-German Relations in the
Winter of 1940-1941: Preparations for the
Final Discord between the Allies**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities*



საკვანძო სიტყვები: მეორე მსოფლიო ომი, საბჭოთა კავშირი,
გერმანია, „სამთა პაქტი“.
Keywords: World War II, Soviet Union, Germany, “Tripartite Pact”.

1940 წლის 12-13 ნოემბრის ვიაჩესლავ მოლოტოვის ბერლინში გამართული წარუმატებელი ვიზიტის შემდეგ ურთიერთობა მოკავშირეებს შორის გარკვეულწილად დაიძაბა. განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ეს 25 ნოემბრის საბჭოთა დემარშის შემდეგ, რომლის დაკმაყოფილების არანაირი სურვილი გერმანიის ხელისუფლებას არ ჰქონდა. მხარეებს შორის დაძაბულობის კიდევ ერთ საკითხად იქცა ახალი საბჭოთა ელჩის რწმუნებათა სიგელების მიღება. საბჭოთა მხარემ 12 დეკემბერს დაადანაშაულა გერმანელები, რომ ისინი აჭიანურებდნენ 24 ნოემბერს ელჩად დანიშნული ვლადიმერ დეკანოზოვის (დეკანოზიშვილი) რწმუნებათა სიგელების მიღებას.

მიუხედავად სირთულეებისა, დეკემბერი და იანვარი გარკვეულწილად სსრკ-გერმანიის თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადასვლის პერიოდად იქცა. გერმანიას საბჭოთა კავშირისაგან ფერადი ლითონების მიღების დიდი ინტერესი ჰქონდა. სწორედ ამიტომ გერმანელებმა ინტენსიური მოლაპარაკებები გამართეს ეკონომიკური შეთანხმების გაფორმებისათვის. ისინი წარმატებით დასრულდა და 1941 წლის 10 იანვარს ხელი მოეწერა შეთანხმებებს ეკონომიკურ საკითხებზე და საზღვრებთან დაკავშირებით. ეკონომიკური შეთანხმების თანახმად, მხარეებს 1942 წლის 1 აგვისტომდე ერთმანეთისათვის უნდა მიეწოდებინათ დაახლოებით 620-640 რაიხსმარკის ღირებულების საქონელი. ოღონდ აქ იყო ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი: პირველ კვარტალში (1941 წლის 11 თებერვალი – 11 მაისი) გერმანიის მხრიდან არანაირი მიწოდებები არ იყო გათვალისწინებული, თუმცა მეორე კვარტლიდან მოყოლებული (ბოლო, მეექვსე კვარტლის გამოკლებით) გერმანელებს მეტი ვალდებულება ეკისრებოდათ. თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ დროისათვის გერმანელებს ჯერ არც ჰქონდათ განსაზღვრული საბჭოთა კავშირზე თავდასხმის თარიღი და სავარაუდოდ ამის განხორციელებას 15 მაისისთვის აპირებდნენ, გასაგებია, რატომაც არ სურდა გერმანიას პირველ კვარტალში რაიმე ვალდებულების აღება. რაც შეეხება საზღვრების საკითხს, საბჭოთა მხარემ 7,5 მილიონ დოლარი გადაიხადა ე.წ. „ლიტვის ზოლში“ (სუვალკისა და ავგუსტოვის რაიონები დღ. პოლონეთში).

1941 წლის 10 იანვრის შეთანხმებების შემდეგ ურთიერთობები სპორადული ხდება. საბჭოთა მხარე ინტერესს გამოთქვამს მხოლოდ რუმინეთში გერმანული ჯარების კონცენტრაციასა და

ბულგარეთთან დაკავშირებით. სწორედ ბულგარეთის გარშემო დაიწყო მთავარი განხეთქილება მხარეებს შორის. 1941 წლის 28 თებერვალს გერმანელებმა შეატყობინეს საბჭოთა მხარეს, რომ ბულგარეთი უერთდებოდა სამთა პაქტს (ხელმოწერის ცერემონიალი 1 მარტს შედგა). ამან საბჭოთა მხარე უბრალოდ გააცოფა. მოლოტოვმა პირდაპირ განუცხადა გერმანელებს, რომ ეს იყო საბჭოთა ინტერესების შელახვა და რომ ბულგარეთი შედიოდა სსრ კავშირის უსაფრთხოების ზონაში.

1940-1941 წლების ზამთრის პერიოდი წარმოადგენდა მოკავშირეებს შორის თანამშრომლობის უკანასკნელ პერიოდს და, მოლაპარაკებების პარალელურად, მხარეები ფაქტობრივად უკვე ემზადებოდნენ ერთმანეთთან ომისთვის.

The Relations between the allies became strained after Vyacheslav Molotov's unsuccessful trip to Berlin (12-13 November 1940). It became evident after the Soviet demarche made on 25 November to which the Germans could not agree. Another problem became the issue of presenting the credentials of the new Soviet Ambassador to Adolph Hitler. On 12 December the Soviets blamed the Germans in delaying the presentation of the credentials of Vladimir Dekanozov (Dekanozishvili), who was appointed as the Soviet Ambassador on 24 November.

Despite the difficulties, December of 1940 and January of 1941 were marked by the new agreements between the Soviet Union and Nazi Germany. Germany was interested in getting the non-ferrous metals from the USSR. Thus, they intensified the talks to sign the new economic agreement. On 10 January 1941 the Economic Agreement was signed along with the secret protocol regarding the borders. According to the articles of Economic Agreement, the signatory parties were obliged to deliver to each other the goods for 620-640 million Reichsmarks till 1 August 1942. Nevertheless, there was an interesting nuance in this agreement: Germany had no obligations in the first quarter (11 February – 11 May 1941), but it would deliver more goods than the Soviets in all other quarters with the exception of the last one. Since the Germans did not have the definite date of attacking the Soviet Union and the preliminary date was set to 15 May, it is evident why they did not want to have any obligation in the first quarter. Regarding the borders, the So-

viet Union agreed to pay 7.5 million US Dollars for the so-called "Lithuanian Strip" (present Suwalki and Augustow districts in Poland).

After 10 January 1941 agreements the relations between the allies were sporadic. The Soviet Union showed its interest only regarding the concentration of the German troops in Romania and on Bulgarian issue. On 28 February 1941 the Germans informed the Soviet Union that Bulgaria was joining the Tripartite Pact. It simply maddened the Soviets. Molotov stated to the Germans that such as step would be considered as the interference with the Soviet interests and that Bulgaria was part of the Soviet security sphere.

The winter of 1940-1941 was the last period of co-operation between the allies. At the same time, along with the negotiations, both parties were preparing to the war with each other.

ნინო წერეთელი
Nino Tsereteli

30-იანი წლების საბჭოთა
ლიტერატურული ცხოვრება
(ვიქტორ შკლოვსკის წერილების მაგალითზე)
Soviet Literary Life in the 1930s
(On the Example of Victor Shklovsky's Letters)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities



საკვანძო სიტყვები : ვიქტორ შკლოვსკი, წერილი, 30-იანი წლები,
ლიტერატურული ცხოვრება.
Keywords: Victor Shklovsky, letter, 1930s, literary life.

1933 წლის 5 იანვარს, ვ. შკლოვსკის სტატია „სამხრეთ/დასავლეთის“ გამოქვეყნების შემდეგ, დაიწყო ბრძოლა ფორმალიზმის წინააღმდეგ. სტატია მწერალთა პირველი ყრილობის აქტიური მზადების წინ გამოქვეყნდა. მისი ავტორი ერთიანი საბჭოთა ლიტერატურის გახლეჩის მომხრედ და სოციალისტური რეალიზმის მოწინააღმდეგედ აღიარეს. შკლოვსკის „მონანიებამ“ არ დააყოვნა. მის მიმართვაში „წერილი რედაქციას“ სტატიას – „სამხრეთ/დასავლეთი“ თავად უწოდა „არასწორი“ და „მავნე“. თუ რა ზეწოლის შედეგი იყო ასეთი გადაწყვეტილების მიღება, ამაზე პასუხი ამ პერიოდის ვიქტორ შკლოვსკის პირად წერილებში უნდა ვეძებოთ. ოსიპ ბრიკისა და გიორგი ბებუთოვისადმი გაგზავნილ წერილებში ვ. შკლოვსკის სულიერი მდგომარეობა ჩანს, იური ტინიანოვისადმი გაგზავნილ წერილში კი ის წინააღმდეგობრივი ვითარება, რომელიც 30-იანი წლებში, სტალინური რეპრესიების პერიოდში, საბჭოთა ლიტერატურული ცხოვრებისთვის იყო დამახასიათებელი.

ფორმალისტური სკოლის მამამთავრის, ვიქტორ შკლოვსკის, 30-იანი წლების პირადი წერილები საბჭოთა მწერლისთვის დამახასიათებელ „ორმაგ ცხოვრებას“ გვიჩვენებს. აღნიშნულ პერიოდში წერილების ავტორის ტონიც სრულიად არაოპტიმისტურია. 1934 წელს ი. ტინიანოვისთვის გაგზავნილ წერილში შკლოვსკი ცდილობს, გაიაზროს ავანგარდიზმის ევოლუცია და განსაზღვროს მისი ურთიერთობა სოციალურ რეალობასთან. ეს წერილი კიდევ ერთხელ აჩვენებს ტოტალიტარული სახელმწიფოს მიერ შექმნილი ესთეტიკისა და ლიტერატურული ცხოვრების წინააღმდეგობრივ გზას. „ჩვენ ერთმანეთს არ ვეთანხმებით... რადგან კულტურის სხვადასხვა საზღვრს ვართ. თან ერთი დაჯგუფების, ერთი ფორმულირების გარშემო გაერთიანებულნი, თუ თანამგზავრები არ ვიყავით, ვიყავით ერთი კონსტრუქციის რკინა და ცემენტი – დაგვანგრეის“. 30-იან წლებში სტალინური ტერორის პირობებში ცენზურა საბჭოთა იდეოლოგიას წარმართავდა და მთავლიტი საფოსტო განყოფილებებშიც ფხიზლად მუშაობდა. პირადი წერილების იმ ნაწილის გარეშე, რომელიც გადარჩენილია და ჩვენამდე მოღწეული, შეუძლებლად მიგვაჩნია ამ პერიოდის საბჭოთა ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების ნათელი და მკაფიო სურათის დადგენა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით პირადი წერილების როლი და მნიშვნელობა შე-

უფასებელია. პირადი წერილების განხილვის საფუძველზე, შესაძლებელია, საბჭოთა ლიტერატურული ცხოვრებისა და საბჭოთა იდეოლოგიის ურთიერთმიმართების გააზრება.

Victor Shklovsky's article "Yugo-Zapad" (South-West), was published in the newspaper "Literaturnaya Gazeta" on 5 January 1933. The paper was published during active work of the organizing committee of the Soviet Writers' Union and in the period of preparation for the Congress of the Writers' Union. After the publication of this paper Victor Shklovsky was charged as a supporter of the split of united and indivisible Soviet literature, and an opponent of socialist realism. In 1933, V. Shklovsky published an article entitled "A Letter to the Editorial Board", in which he called his article harmful and wrong. It is clear that he had no other choice proceeding from the essence of the Soviet system. V. Shklovsky writes letters to Osip Brik and Giorgi Bebutov. Personal letters of that period by the founding father of Formalist school V. Shklovsky show him living a "double life" characteristic to a Soviet writer. The tonality of the letters is not optimistic anymore. The letter written to I. Tynianov in 1934, where he tries to understand the evolution of avant-garde and determine its relation to social reality, once again shows the contradictory path of aesthetics and literary life created by totalitarian regime. "We do not agree with each other because we are on different lines of culture, but united around one group, one formulation. If we were not companions, then we were iron and cement of one construction and they have destroyed us." The private letters that have reached us are of a particular importance. Letters of the thirties are significant for the analysis of not only cultural and literary life of that period, but they also help us to get an idea of the epoch. It should be taken into account that Glavlit (the main censorship department) worked in the conditions of a particular strict regime: in the departments of post offices special points were opened to control the correspondence. From the correspondence of the thirties we can vividly see the tendencies of the Soviet literary life, the link with its politics.

ლელა ხაჩიძე
Lela Khachidze

ელა იერუსალიმელის საგალობლების
ქართული თარგმანები
Georgian Translations of the Hymns of
Elias III of Jerusalem

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი*

*Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities*



საკვანძო სიტყვები: ელია იერუსალიმელი, გიორგი მთანმინდელი,
მარხვანი.

Keywords: Elias III of Jerusalem, George the Athonite, Lenten Tridion.

იერუსალიმის პატრიარქი – ელია III (+797) ქრისტიანული ეკლესიის თვალსაჩინო წარმომადგენელია. ის ხატთაყვანისმცემლობის მტკიცედ დამცველი იყო. ელია პატრიარქი ცნობილია, როგორც ჰიმნოგრაფი, თუმცა დღეისათვის ცნობილ სამეცნიერო ლიტერატურაში მისგან მცირე რამაა შემორჩენილი. ესაა რამდენიმე მცირე ფორმის საგალობელი და ორი ჰიმნოგრაფიული კანონი.

ამ ავტორის შესახებ, ბერძნული და სლავური მარხვანების მიხედვით, შეიძლება წარმოდგენა შევიქმნათ მხოლოდ ძლისპირთა კრებულების – „ირმოლოგიონების“ მიხედვით, რადგან დღეისათვის მხოლოდ ძლისპირთა შორისაა შემორჩენილი მისი ჰიმნოგრაფიული კანონების დასაწყისები. ელია იერუსალიმელის ძლისპირების დაკანონება მის დიდ ავტორიტეტზე მეტყველებს, რადგან მხოლოდ გამორჩეული ავტორების ტროპარებს აღიარებდა ქრისტიანული ტრადიცია. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ყველა მათგანი „თვითძლისპირია“ – შეიცავს საკუთარ რიტმულ საზომსა და მელოდიას. ყველა ამ ძლისპირის უკან, ცხადია, იგულისხმება მათი შესატყვისი ვრცელი ფორმის საგალობლები – ჰიმნოგრაფიული კანონები. მათი უმეტესობა დღეისათვის დაკარგულად ითვლება.

როგორც ცნობილია, ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ქართული თარგმანები ხშირად ორიგინალების ადგენის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს. ანალოგიური მდგომარეობაა ელია იერუსალიმელის საგალობლების შემთხვევაშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანი – უნიკალური კრებული, რომელიც შეიცავს VI-XI საუკუნეების ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის დიდ ნაწილს, რომელთა ავტორები და ტექსტები დიდი სიზუსტითაა დადგენილი გიორგი მთაწმიდელის მიერ.

ამ კრებულში, ავტორზე ზუსტი მითითებით, შესულია დიდმარხვის ყველა კვირა დღისათვის განკუთვნილი 7 ჰიმნოგრაფიული კანონი, რომელთა ბერძნული ორიგინალები დღეისათვის ცნობილი არ არის.

ელია იერუსალიმელის ეს კანონები უფრო ადრეც ყოფილა თარგმნილი ქართულად. მათი ერთი ნაწილი შესულია X საუკუნის სინურ იადგარებში: Sin-1, Sin -34, Sin-59 და Sin-64. სწორედ აქ გვხვდება პირველად ქართულ ჰიმნოგრაფიაში ამ ავტორის შე-

მოქმედება. ამის შემდეგ ელია პატრიარქის საგალობლებს ვხვდებით სინას მთაზე დაცულ ორ ქართულ ხელნაწერში – Sin-5 და Sin-75, რომლებიც წინ უსწრებს გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანს. გამოთქმულია ვარაუდი იმის შესახებ, რომ ამ ორ ხელნაწერში დაცული ჰიმნოგრაფიული რეპერტუარი ეფთვიმე ათონელის მარხვანს შეიძლება წარმოადგენდეს. Sin-5 Sin-75 ხელნაწერებში ელია იერუსალიმელის ეს საგალობლები სახელნაწერლად და იმავე თარგმანითაა დაცული, როგორც სინურ იადგარებში. განსხვავებული ვითარებაა გიორგი მთაწმიდელის მარხვანში. აქ შვიდივე კანონთან მითითებულია ავტორი – ელია. წინადროინდელთან შედარებით, განსხვავებულია გიორგისეული თარგმანებიც. გიორგი მთაწმიდელს, როგორც ჩანს, ეს თარგმანები ბერძნული ორიგინალების მიხედვით გაუსწორებია.

ელია იერუსალიმელის ეს კანონები ჰიმნოგრაფიის საინტერესო ნიმუშებს წარმოადგენს. ავტორი თანამედროვეა ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის დიდი რეფორმატორების – იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის, ამიტომ მის საგალობლები იგრძნობა მათი მოძღვრების გავლენა. კომპოზიციის თვალსაზრისითაც ისინი შეესაბამება მათი შექმნის ეპოქას – ყველა მათგანი 8 ოდისაგან შედგება, არ შეიცავს II ოდას – „მოიხილესა“. როგორც ცნობილია, კანონის ამ ოდამ განვითარების თავისებური გზა განვლო. თავდაპირველად ის კანონის კომპოზიციის აუცილებელი ნაწილი იყო. ამ ოდას კანონი კარგავს უკვე VIII საუკუნეში. ამით უნდა აიხსნას ელია პატრიარქის კანონებში მისი არარსებობა. IX საუკუნიდან იწყება ერთგვარი მერყეობა. IX-X საუკუნეების ბერძენ ჰიმნოგრაფთა შემოქმედებაში გვხვდება როგორც 8-ოდიანი, ისე II ოდის შემცველი კანონები. X საუკუნის დიდი ქართველი ჰიმნოგრაფებისა და მათ მიერ შედგენილი კრებულების შესწავლა მოწმობს, რომ ამ დროს „მოიხილესა“ კანონის კომპოზიციის აუცილებელ ნაწილად ყოფილა მიჩნეული. როგორც კვლევამ გვიჩვენა, ბერძნულიდან თარგმნილი 8-ოდიანი კანონების შევსება II ოდებით ქართულ ჰიმნოგრაფიაში დაუწყია იოანე მინჩხს სწორედ ელია იერუსალიმელის ამ ჰიმნოგრაფიული კანონების სახით. იოანე მინჩხის მიერ შექმნილი ეს ოდები, თავის მხრივ, მცირე ფორმის საგალობლებს წარმოადგენს და ქართული ჰიმნოგრაფიის შესანიშნავი ნიმუშებია. მათში ნათლად იგრძნობა ელია იერუსალიმელის შესაბამისი კანონების გავლენა. ისინი

თემატურად და მხატვრული სახეებით მჭიდროდაა დაკავშირებული ელია იერუსალიმელის საგალობლებთან და საგანგებოდაა დანერგილი ელია პატრიარქის ამ კანონებისათვის.

Patriarch of Jerusalem – Elias III (+797) is a prominent representative of the Christian church. He was a firm defender of icon veneration. Elias the Patriarch is renowned as a hymnographer, although little of his work has been preserved in the known scholarly literature. These are several small form hymns and two hymnographic canons.

According to Greek and Slavic records, we can learn about this author only through the “Hirmologions”, because the beginnings of his hymnographic canons have been preserved only among the hirmoi until now. The canonization of these hirmoi attests to his tremendous authority, because only the troparia of outstanding authors were recognized as hirmoi by the Christian tradition. It is also noteworthy that all of them are ~Idiomela~ – they have their unique rhythmic meter and melody. Beyond all these hirmoi are meant the hymns of their corresponding hymnographic canons. Most of them are now thought to be lost.

As is well known, Georgian translations of Byzantine hymnography are frequently the only way to restore the originals. A similar situation exists with the hymns of Elias of Jerusalem. In this regard, of particular importance is “Lenten Triodion under George the Athonite’s Redaction”- a unique collection containing Byzantine hymnography of the 6th-11th centuries, the authors and texts of which were identified with great accuracy by George the Athonite.

In this collection, with exact reference to the author, there are 7 hymnographic canons intended for all Sundays of Great Lent, the Greek originals of 5 of them are not known today.

These canons of Elias of Jerusalem seem to have been translated into Georgian earlier. A part of them is included in the tenth-century Sinaite Tropologions: Sin-1, Sin-34, Sin-59 and Sin-64. This is the first time we have come across the work of this author in Georgian hymnography. Then, we find hymns of Patriarch Elias in two Georgian manuscripts preserved on Mount Sinai – Sin-5 and Sin-75. It has been suggested that the hymnographic repertoire preserved in these two manuscripts may represent the “Lenten Triodion under of Euthymius the

Athonite's Redaction", which preceded George the Athonite's activity and his "Lenten Triodion".

In the Sin -5 and Sin-75 manuscripts, these hymns of Elias of Jerusalem are preserved untitled and with the same translation as in the Sinaite Tropologions. The situation is different in George the Athonite's Collecton. Here, these 7 canons have the indication to the author. Compared to the previous ones, translations of the hymns are also different. George the Athonite seems to have corrected these translations according to the Greek originals.

These canons of Elias of Jerusalem are interesting examples of hymnography. The author is a contemporary of the great reformers of Byzantine hymnography – John of Damascus and Kosmas of Jerusalem, and therefore, his hymns are influenced by their teachings. All of them consist of 8 odes, excluding the II ode. The canon loses this ode in the 8th century. This explains its absence in the canons of Patriarch Elias. From the 9th century, a kind of fluctuation began. In the works of Greek hymnographers of the 9th-10th centuries, hymnographic canons often contain the II odes. The study of tenth-century Georgian hymnography proves that at that time this ode was considered an integral part of the composition of the canon. As the research showed, in Georgian hymnography Ioane Minchkhi was the first author who started filling the 8-ode canons translated from Greek with the II odes. The II odes for the hymnographic canons of Elias of Jerusalem belong to him. These odes created by Ioane Minchkhi are excellent examples of Georgian hymnography. The influence of the corresponding canons of Elias of Jerusalem are clearly felt in them. They are thematically and artistically closely related to the canons of Patriarch Elias.

დემურ ჯალაღონია
Demur Jalaghonia

პლატონის პოლიტიკური დიალოგების
ფენომენოლოგიური ანალიზი
A Phenomenological Analysis of Plato's
Political Dialogues

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities*



საკვანძო სიტყვები: პლატონი, პოლიტიკური დიალოგები,
ფენომენოლოგიური ანალიზი.
Keywords: phenomenological analysis, Plato, political dialogues.

ბერძნულმა პოლიტიკურმა გამოცდილებამ და თეორიებმა ღრმა კვალი დატოვა ყველა ეპოქის პოლიტიკურ დისკურსში.

კლასიკურ პოლიტიკურ ფილოსოფია შეიქმნა ძველი საბერძნეთში. ძველი ბერძენი ფილოსოფოსები მარადიული ღირებულებებს; სიკეთის, ბოროტების, სიქველის, სამართლიანობის პრინციპებს იკვლევდნენ.

პოლიტიკურ ფილოსოფიის კლასიკურობა ვლინდება კლასიკური აზროვნების „ბუნებრივ“ ხასიათში.

„ბუნებრივი“ უბრალოდ ადამიანურის, ზედმეტად ადამიანურის საპირისპირო რამედ უნდა იქნეს გაგებული. ადამიანი ბუნებრივია მაშინ, როდესაც მას ბუნება წარმართავს და არა ჩვეულებრივი მემკვიდრეობით მიღებული შეხედულებები ან ტრადიციები (შტრაუსი ლ. 2011).

პოლიტიკური ფილოსოფიის დაფუძნების ეპოქას ხშირად ეჭვით უყურებენ. მაგრამ კლასიკური აზროვნების სტანდარტები მეტრია დღევანდელი პოლიტიკური ფილოსოფიური სააზროვნო სივრცისათვის.

კლასიკური პოლიტიკური ფილოსოფიის უმთავრესი წარმომადგენელი პლატონია.

ამ შემთხვევაში მისი თხზულებების გავლენებზე მივუთითებ.

პლატონთან პოლიტიკური ფილოსოფიის ევოლუცია სამი ეტაპობრივი დისკურსით შეიძლება გავაანალიზოთ.

პლატონთან პოლიტიკური ფილოსოფიის ეტაპები მოიცავს მისი დიალოგების „სახელმწიფოს“, „პოლიტიკოსის“ და „კანონების“ კონცეპტუალურ გააზრება-განხილვას და მათში ერთიანი საერთო პრინციპების გამონახვას.

მასთან პირველ ეტაპს ემნის დიალოგი „სახელმწიფო“.

მეორე ეტაპზე ხდება ანალიზი დიალოგი „პოლიტიკოსის“, სადაც ირკვევა, თუ ვინ არის პოლიტიკოსი.

მესამე ეტაპი მოიცავს დიალოგ „კანონებს“.

სახელმწიფოს შესახებ განაზრებები პლატონის მრავალ თხზულებაში გვხვდება, ამ დიალოგთაგან უმნიშვნელოვანესია „სახელმწიფო“ (პოლიტეია), რომელიც პოლიტიკური ფილოსოფიის ერთგვარი გასაღებია, რამდენადაც ის იმ უმნიშვნელოვანესი საკითხებს განიხილავს, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების და ადამიანის სახელმწიფოსთან ურთიერთობის უკლებლივ ყვე-

ლა ასპექტს მოიცავს და უშუალო ზეგავლენას ახდენს პოლიტიკური ცხოვრების წესზე.

პლატონის „სახელმწიფო“ სწორედ საუკეთესო პოლისის, საუკეთესო რეჟიმის გამორკვევას ისახავს მიზნად.

პლატონის პოლიტიკური ფილოსოფიის გააზრება წარმოდგენილად მიგვაჩნია მისი თეორიული ფილოსოფიის გავლენის გააზრების გარეშე. მისი სამივე დიალოგის სინთეზურად გააზრება სრულ წარმოდგენას შეგვიქმნის, თუ რა პოლიტიკურ დისკურსს გვთავაზობდა პლატონი.

არსებობს უზარმაზარი ტრადიცია პლატონის წაკითხვისა და გაგების, ისე როგორც მისი ფილოსოფიის ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრის მცდელობები. ასევე ხანგრძლივი ტრადიცია არსებობს მისი ნაწარმოებების ინტერპრეტაციების. არსებობს ახალი და განსხვავებული წაკითხვები არისტოტელედან მოყოლებული თანამედროვე პოსტმოდერნისტების ჩათვლით.

პლატონთან ხელისუფლების შესახებ ცოდნა მმართველს უფლებას ანიჭებს, როგორ უნდა მართონ განსწავლულმა ადამიანებმა. მნიშვნელოვანია, ვინ მართავს – ადამიანი, „მცოდნენი“ თუ კანონი. სწორედ ამ დიალოგების ევოლუციური განვითარების მომენტის ჩვენებით უნდა მოინახოს პლატონისეული პოლიტიკური ფილოსოფიის ტრიხოტომიული განაზრების ერთიანი ხაზი, სხვანაირად მუდმივად ცვლადი სიდიდესავით ვერ ჩავწვდებით მისი პოლიტიკური ფილოსოფიის არსს და სიდიადეს.

ვეცდებით, ნათლად ვაჩვენოთ სამართლიანობის ველიდან კანონის უზენაესობამდე მისასვლელი გზა.

ამიტომ ჩვენი მიზანია, ერთიანი კონტექსტით წავიკითხოთ და წარმოვაჩინოთ პლატონის დიალოგებში პოლიტიკური ფილოსოფიის სისტემური პოლიტიკური ველი.

პირველი ეტაპის დიალოგი „სახელმწიფო“ პლატონის მანამდელი თეორიული ფილოსოფიის კვლევათა შედეგების გაერთიანების ცდად შეიძლება მივიჩნიოთ.

„სახელმწიფოში“ მმართველებისა და პოლიტიკოსების ცნებების ანალიზი უფრო ცხადად რომ იყოს გააზრებული, პლატონი ამ საკითხს ფენომენოლოგიურად განიხილავს და აანალიზებს დიალოგ „პოლიტიკოსში“. აქ ანტიკურ აზროვნებაში „იდეალურ სახელმწიფოსთან“ ერთად იდეალური მმართველების, ე. ი. პოლიტიკოსების პროფილის, კონცეპტუალური ანალიზიც გვხვდება.

სწორედ აქ იწყება პლატონთან პოლიტიკური ფილოსოფიის მეორე ეტაპი.

პლატონი ცდილობს გააარკვიოს, რომელია მმართველობის საუკეთესო ფორმა.

„პოლიტიკოსი“ არის გარდამავალი ნაწარმოები პლატონის ორ დიალოგს – „სახელმწიფოსა“ და „კანონებს“ შორის.

„პოლიტიკოსში“, უფრო მეტად „კანონებში“, წამოწეულია კანონის უმთავრესი მნიშვნელობა და არსი. კანონის აქტუალობას განაპირობებს მხოლოდ პრაქტიკული რეალობისადმი ანგარიშის განწევა.

მესამე ეტაპის „კლასიკური პოლიტიკური ფილოსოფიის ხასიათი ყველაზე უფრო მკაფიოდ პლატონის დიალოგ „კანონებშია“ გამოხატული.

ლეო შტრაუსი მიიჩნევს, რომ ეს დიალოგი პლატონის უმთავრესი შრომაა, რამდენადაც მასში პოლიტიკური ფილოსოფიის ხასიათი და რაობა ყველაზე უკეთ არის ნაჩვენები.

ლიტერატურა:

პლატონი. (2003). სახელმწიფო, ძველი ბერძნულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, თბილისი.

პლატონი. (2014). პოლიტიკოსი, ძველი ბერძნულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო მაია შუხოშვილმა, თბილისი.

შტრაუსი, ლ. (2011). „რა არის პოლიტიკური ფილოსოფია?“, ინგლისურიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო გ. ხუროშვილმა, თბილისი.

Платон, Законы, <https://psylib.org.ua>, ა. ა. ტახო-გოდის შენიშვნები.

Classical political philosophy was created in ancient Greece. Ancient Greek philosophers studied eternal values: principles of goodness, evil, kindness, justice.

The era of founding political philosophy is often viewed with suspicion. But the standards of classical thought are the yardstick for today's political philosophical thought space.

Plato is the major representative of classical political philosophy.

In this case, I will point to the influences of his writings.

The evolution of Plato's political philosophy can be analyzed in three stages of discourse.

The stages of political philosophy with Plato include the conceptual understanding-discussion of his dialogues “State”, “Politician” and “Laws” and finding common principles in them.

For him the first stage is the dialogue the “State”.

At the second stage, the dialogue of the “Politician” is analyzed, where it is clarified who the politician is.

The third stage includes the dialogue “Laws”.

Opinions about the state can be found in many writings of Plato, the most important of these dialogues is “State” (Politeia), which is some kind of key to political philosophy, as it discusses the most important issues that cover all aspects of public life and human relations with the state and directly affect the political way of life. .

Plato’s “State” aims to find out the best policy, the best regime.

We find it impossible to understand Plato’s political philosophy without understanding the influence of his theoretical philosophy. A synthetic understanding of all three of his dialogues will give us a complete idea of what kind of political discourse Plato offered us.

There is a huge tradition of reading and understanding Plato, as well as trying to define his philosophy once and for all. There is also a long tradition of interpretations of his works. There are new and different readings from Aristotle through modern postmodernists.

With Plato, knowledge of government gives the ruler the right to know how educated people should rule. It is important who rules – the person, the “knowledgeable” or the law. Exactly by showing the moment of evolutionary development of these dialogues should be found the unified line of the trichotomous understanding of Plato’s political philosophy, otherwise we will not be able to understand the essence and greatness of his political philosophy.

We will try to clearly show the path from the field of justice to the rule of law.

Therefore, our goal is to read and present in a unified context the systematic political field of political philosophy in Plato’s dialogues.

The dialogue of the first stage – “State” can be considered as an attempt to combine the results of Plato’s previous theoretical philosophy researches.

The analysis of the concepts of rulers and politicians in the “State” should be more clearly understood. Plato conducts a phenomenologi-

cal discussion-analysis of this issue in the dialogue “Politician”. Here, in ancient thought along with the “Ideal State” he conducts a conceptual analysis of profiles of ideal rulers, i.e. “Politicians”.

This is where the second stage of political philosophy of Plato begins.

Here Plato is trying to find out what the best form of government is.

“Politician” is a transitional work between two dialogues of Plato “State” and “Laws”.

In “Politician”, more in “Laws”, the main meaning and essence of the law is brought to the forefront. The relevance of the law is determined only by considering the practical reality.

The character of the “classical political philosophy” of the third stage is most clearly expressed in Plato’s dialogue “Laws”.

Leo Strauss believes that this dialogue is the most important work of Plato, as it best shows the character and nature of political philosophy.

References

Plato. (2003). *State*, translated from Greek by Bachana Bregvadze, Tbilisi.

Plato. (2014). *Politician*, translated from Greek by Maya Shukhoshvili, Tbilisi.

Plato, *Laws*, <https://psylib.org.ua>

Strauss, L. (2011). “What is Political Philosophy?”, translated from English by G. Khuroshvili, Tbilisi.



უნივერსიტეტის
გამომცემლობა